# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 23 მაისი 2008 №11(63)

1516
2008

გურამ ქართველიშვილის მოთხრობა

ვახტანგ ჯავახაძე გალაკტიონზე

საუბარი ნამდვილ მელომანთან

ორჰან ფამუქის ნოველა

ლია სტურუას ლექსები

მეექვსე სახარება



ეროვნული ბიბლიოთეკა



28 მაისი

ლია ელიავას დღე

# ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი გთავაზობთ


























მისამართი: ილია ჭავჭავაძის 33 ტელეფონი: 8 (231) 2-34-99; 8 (231) 2-37-11

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| როგორ ვკითხულობთ კლასიკას | 2 | ვახტანგ ჯავახაძე **ორი სტრიქონი** |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 4 | **თავისუფლებაზე ძვირფასი მართლა არაფერია** (საუბარი დათო ტურაშვილთან) |
| პროზა | 6 | გურამ ქართველიშვილი **კავკასიური „პიტომნიკი“** |
| პოეზია | 13 | ლია სტურუა **თუნდაც, ერთი სტრიქონი** |
| | 15 | ნატო ინგოროყვა **მეორედ დაბადება** |
| | 18 | ზაალ ებანოიძე **ზიარი ტექსტი** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 20 | **მე ნამდვილი მელომანი ვარ** (საუბარი რობერტო ალანიასთან) |
| პოეზია და სინამდვილე | 23 | ტრისტან მახაური **შხარას სამყაროს ნაწილი** (მურმან ლებანიძის ერთი ლექსის პარადიგმული მოდელი) |
| კრიტიკა | 27 | სალომე კაპანაძე **„ხიდი“ – დიალოგი წარსულთან** |
| | 30 | როსტომ ჩხეიძე **მეექვსე სახარება** (მახარებელნი, ნიცშე, ჯიბრანი) |
| სადისკუსიო დარბაზი | 35 | ნინო კაკაბაძე **„უსწავლელი სწავლული“** |
| რეპორტაჟი | 40 | ეკა ბუჯიაშვილი **თავთავები ლიტერატურის ყანიდან** (ვერჯილ ნემოიანუს ლექცია თორნტონ უაილდერის შესახებ) |
| ეპისტოლე | 43 | თემო ჩიტაძე **მონოგრაფიის უნებლიეთ გამორჩენა?** |
| დოკუმენტური პროზა | 44 | ელგუჯა თავბერიძე **რიდი რაინდისა** (ბიოგრაფიული რომანიდან „ნისლის ტიხარი“) |
| პოეზიის მერიდიანები | 52 | ალექსანდრ ბლოკი **თორმეტი წლის შემდეგ** |
| უცხოური ნოველა | 54 | ორჰან ფამუქი **ფანჯრიდან ყურება** |
| მოზაიკა | 63 | **აკრძალული ფიქრები** |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 98-80-34
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – გელა გარდაფხაძე

გარეკანზე: გრემი
ვერჯილ ნემოიანუ, მაკა ჩაგანავას ფოტოეტიუდი

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა ტეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 6 ივნისს

ვახტანგ ჯავახაძე

# ორი სტრიქონი

## I. „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“

გალაკტიონის არქივში ი ი ს ფ ე რ ი მ ე ლ ნ ი თ ნაწერი და ნახატი ერთი გაყვითლებული ფურცელი ინახება: ფურცლის ქვედა ნახევარზე ორი პარალელური ხაზით შემოსაზღვრული მართკუთხედის ჩარჩოში (14ხ10) ჩახატულია:





– ზედა მარჯვენა კუთხეში მოჭარბებულ ოცნებათა ბურუსში მამაკაცის პროფილი ავტოპორტრეტივით ილანდება.

– ქვემოთ პატარა დისკო მზესავით ასხივებს.

– ამათ შორის პარალელურ ხაზებზე სამი სანოტო ნიშანი ჰკიდია.

– მარცხენა მხარეს მრავალსართულიანი შენობის სიგრძივი ფრაგმენტი და ეიფელის კოშკივით მაღალი ძაბვის ანძის მსგავსი რკინის კონსტრუქციის ფრაგმენტი ერთმანეთსაც კვეთენ და ჩარჩოს საზღვრებსაც.

– იქვე ბორბალივით დიდი ორმაგი წრე, რომელშიც სამი სამმაგი რგოლი ასიმეტრიულადაა განლაგებული, კოშკის ნახევარს ფარავს.

– ზემოთ ოთხი ჯვარივით ოთხი თვითმფრინავის სილუეტი ჩარჩოს საზღვრებს არღვევს.

– დანარჩენი სივრცე მთლიანად შევსებულია ხაზებით: სწორი პარალელური და რკალური პარალელური ხაზები საგნებს ერთმანეთთან აკავშირებენ, ალაგ-ალაგ ერთმანეთს კვეთენ, უარყოფენ, უარს ეუბნებიან, მართკუთხედის ფარგლებიდან გადიან.

– მარჯვენა ქვედა კუთხეში ჩვეულებისამებრ მიწერილია ავტორის რუსული ინიციალები: Г. Т. სამწუხაროდ, თარიღი აკლია.

მიმაჩნია, რომ ეს ნახატი, რომელიც აშკარად ვერ ეტევა ჩარჩოში, გახლავთ ილუსტრაცია გალაკტიონის ყველაზე მეტად აბსტრაქტული სტრიქონისა –

**ოცნება, ნახაზი საგანთა უარით, –**

რომელიც 1 9 1 7 წ ე ლ ს დაიწერა ცალკე ფურცელზე ი ი ს ფ ე რ ი მ ე ლ ნ ი თ და 1919 წელს დაიბეჭდა „არტისტულ ყვავილებში" („ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი").

გარდა ოთხივე ცნებისა და მელნის ფერის შესაბამისობისა – ნიშანდობლივია შემდეგიც: როგორც ხაზებით ალსავსე ჩარჩოში ვერ თავსდებიან მოძრავი და უძრავი საგნები, ისე ამ ოთხუცნობიანი სტრიქონის თითოეული სამმარცვალა ერთმანეთს გაურბის და მხოლოდ ოთხტერფიანი დაქტილის ჰარმონია აბრუნებს ერთმანეთთან, არიგებს და აკეთილშობილებს მათ.

დამატებითი დოკუმენტაციის მოსაპოვებლად დავაკვირდეთ ნაწერ-ნახატის ზედა ნახევარს: მარჯვენა მეოთხედზე მამაკაცის ხუთ პროფილს შორის გაბნეული ოთხი სახელდახელო მინაწერი („მამიდა, შემოგევლოს ჩემი თავი", „ვინ იყო იგი?", „გულიანათ გადიხარხარა" და „გადახარხარება") დათარილების არავითარ ნიშანს არ იძლევა.

საყურადღებოა მარცხენა მეოთხედზე – გაურკვეველი მნიშვნელობის საგანთან ერთად – წარმოდგენილი რიტმული სავარჯიშო:

**დარი დარი დარა-**
**ტირი-ტირი-**
**ჰიმტარატა რაა რაა,**
**რიმტა-რიმტა-**

**ლაა-ლაა-ლა-ლა ლა ლა ლა**

**ლალა-ლა-ლა-რალალა-ლალა**
**და-რიტა-რა-რა**
**და რილა-რა...**
**და რილა-ლა.**
**დაა-რა-რა-რა.**

სავარჯიშოს საზომებიდან მხოლოდ სამი ემთხვევა ერთმანეთს და, რაც მთავარია, მხოლოდ ერთი – მეხუთეა ორმხრივად გამოყოფილი: ლ ა - ლ ა - ლ ა - ლ ა ლ ა - ლ ა - ლ ა.

სწორედ ამ მეტრმა მიგვიყვანა იმავე 1 9 1 7 წ ე ლ ს იგივე თუ ისეთივე ი ი ს ფ ე რ ი მ ე ლ ნ ი თ ცალკე ფურცელზე დაწერილი ლექსის („იმ ატმებს გაუმარჯოს!") მეთერთმეტე-მეთორმეტე სტრიქონებთან:

**მესმის რულში, ერთხელ გაიზზარა რა,**
**მატარებლის: რ ა - რ ა - რ ა - რ ა რ ა - რ ა - რ ა.**

ამ ლექსის რიტმიც, როგორც სავარჯიშო, პოლიფონიურია და მეორე შეიძლება პირველის „ბალვანკადაც" კი ჩაითვალოს.

ერთი მხრივ – ერთსა და იმავე წელს ერთი და იგივე მელნით ორი ლექსის თანხვედრა ერთმანეთთან და მეორე მხრივ – იმავე ფერის მელნით ნაწერ-ნახატის საგნებთან და სავარჯიშოს პეონ-დაქტილთან – გვარწმუნებს, რომ სამივე ავტოგრაფი ცალ-ცალკე ფურცლებზე ერთდროულად დაიწერა და დაიხატა: აბსტრაქტული ნახატი აბსტრაქტული სტრიქონის ილუსტრაციაა!

კარგად მოგეხსენებათ: აბსტრაქტული ანუ უსაგნო ხელოვნება 1917 წლისათვის მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა და აქ ოდენ ქვეცნობიერ წვდომასთანა გვაქვს საქმე, რასაც არამარტო ამ შემთხვევაში ადასტურებს გალაკტიონის ლირიკა და გრაფიკა. ამჯერად პოეტის ინტუიციამ აბსტრაქტულ ანუ უ ს ა გ ნ ო ხელოვნებას – „ს ა გ ა ნ თ ა უ ა რ ი თ ნახაზი ოცნება" უწოდა.

აბსტრაქციონიზმი – სახვითი ხელოვნების მახასიათებელია და გალაკტიონის მართკუთხედის კომპოზიცია მის გამოძახილად ან წინათქმად უნდა ჩაითვალოს: როგორც ცხოველები გრძნობენ ადამიანებზე ადრე მიწისძვრის საფრთხეს, ასევე შეიცნობენ ხოლმე ტალანტები სხვებზე ადრე მოსალოდნელ სიახლეთა მოახლოებას.

P.S. „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!" – სათაურისმიერი ეს სამგზისი რეფრენი ავტოგრაფში და პირველი პუბლიკაციისას ორ სტრიქონადაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, თითქმის ყველა შემდგომ გამოცემაში გაერთიანებულია, რის გამოც სალექსო საზომიც დაირღვა და რითმაც დაიკარგა. აუცილებლად უნდა აღდგეს პირვანდელი სტრუქტურა, აგრეთვე – გრაფიკა ავტოგრაფისა – სამი რვატაეპედი.

## II. „დოვინ-დოვენ-დოვლი"

გალაკტიონ ტაბიძე უაღრესად მუსიკალური, ყველაზე მეტად მუსიკალური პოეტია. მისი ზოგიერთი სტრიქონი თითქოს და თითქმის ლოგიკური შემეცნების საზღვრებს არღვევს და ჰარმონიის სამყაროში იჭრება.

– თქვენ ისე ახლოს მიდიხართ პოეზიის ნაპირთან, რომ საშიშია მუსიკის მდინარეში არ გადაიჩეხოთ, – შენიშნეს ერთხელ პოლ ვერლენს.

26020
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

– პოეზია, რომელიც არ მიდის უფსკრულის პირად, ისევე ნაკლები ყურადღების ღირსია, როგორც ყოველივე, რაც კი ამ უფსკრულში ჩაიჩეხება, – განაცხადა ერთხელ გალაკტიონ ტაბიძემ.

1915-1926 წლების გალაკტიონის სტრიქონი ზაუმის უკიდურესად სახიფათო ზღვარზე მიაბიჯებდა, მაგრამ ფეხი არასოდეს დასცდენია. არის ერთადერთი გამონაკლისი: ესაა 1918 წლის 21 ივნისს, ოთხშაბათ დღეს, საღამოს 10 საათზე, მოსკოვში დაწერილი „მარია ანტუანეტა" ანუ „მოვა... მაგრამ როდის". მერვე უკანასკნელი ტაეპის მეორე სტრიქონში პოეტი „მუსიკის მდინარეში გადაიჩეხა", მუსიკალური გამის პირველსავე ბგერას ხავსივით ჩაეჭიდა და – განსაცდელში ჩავარდნილივით – მექანიკურად სამჯერ გაიმეორა. თუმცა მკითხველმა ვერავითარი უხერხულობა ვერ იგრძნო და, მგონი, ვერც ავტორმა გააცნობიერა, რა მოხდა:

**მიქრის დალალ-გადაყრილი**
**დ ო ვ ი ნ - დ ო ვ ე ნ - დ ო ვ ლ ი:**
**თოვლი, ფიფქი და აპრილი,**
**ვარდისფერი თოვლი.**

ვერლენისა რა მოგახსენოთ და, გალაკტიონი ამჯერად ნამდვილად გადარჩა:

– გადავრჩით, ძამიკო, გადავრჩით!

ერთხელ გულწრფელად გაოცებულმა გალაკტიონმა ნაცნობებს აუწყა: ახლახან უცნობმა ყმაწვილმა მკითხა, როგორ უნდა გავიგოთ თქვენი ლექსი „სიკვდილი მთვარისაგანო" და, რომ ვერ ავუხსენი, ისე გამინაწყენდა, თითქოს ვიცოდე და არ ვუმხელდეო.

ჩვენი მეორე სტრიქონის ახსნაც რომ გვეკითხა, ალბათ, ასევე გაიკვირვებდა:

– ვიცი და არ გეუბნებით, ძამიკოებო?!

ექსპრეს-ინტერვიუ

# თავისუფლებაზე ძვირფასი მართლა არაფერია...

*

## საუბარი დათო ტურაშვილთან

**ემოციურია,**
**გულწრფელი,**
**ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს და „ორ იბერიას" შორის არსებულ კავშირებს იკვლევს.**
**ახალი თაობის მწერალი დათო ტურაშვილი ამჯერად „ჩვენი მწერლობის" სტუმარია.**

**– თქვენი გმირები ხშირად გაურბიან რეალობას და საკუთარ, გამოგონილ ილუზიურ სამყაროში ცხოვრებას ამჯობინებენ. როგორია მწერალი დათო ტურაშვილი, თქვენ თუ გაურბიხართ რეალობას, საკუთარ თავს და საერთოდ, რთულია იყო რეალისტი, თუ სწორედ ეს თვისებაა მწერლისთვის აუცილებელი?**

– ხორხე ლუის ბორხესი ამბობდა, რომ ლიტერატურის მიერ შექმნილი სამყარო გაცილებით რეალურია, ვიდრე რეალური სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ამიტომაც, ადამიანებს, რომლებიც წერენ, მიუხედავად თანმდევი დარდისა, ისეთი სამყაროს შექმნის უპირატესობა აქვთ, სადაც შეუძლიათ მაშინ აღმოჩნდნენ, როცა მოესურვებათ. ვერ ვიტყვი, რომ ზემოთქმულის მიღწევა ადვილია, მაგრამ ლიტერატურაც იმდენად არის ფასეული და მნიშვნელოვანი, რამდენადაც ადამიანისთვის თავისუფლება მოაქვს.

**– „როცა ვუყურებ ქალაქურ ქაოსს, ყოველდღიური ბოროტებით დამძიმებულ გარემოს და უაზრობად მეჩვენება ყველაფერი. მინდა მოვშორდე ყოველივე ამას და სადღაც შორს, ძალიან შორს გადავიკარგო, თუნდაც დროებით... ასეთ დროს, მთაში მივდივარ". რას ვერ ეგუებით ყველაზე მეტად ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან და რაში გეხმარებათ მარტოობა?**

– სამწუხაროა, რომ ჩვენი გარემო გაჯერებულია ამდენი ტყუილითა და ისეთი აგრესიით, რომელიც ნებისმიერ ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს და ნებისმიერი ადამიანის აურა კი ჩვენს საერთო მენტალურ სივრცეზეც აისახება. ამიტომაც მგონია, რომ ნებისმიერ ჩვენგანზეა დამოკიდებული ყველაფერი და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია საზოგადოების რაობა განსაზღვროს და ეს აუცილებელიც კი არის, თუ გვსურს, რომ ეს საზოგადოება და ეს ქვეყანა, ცოტა მაინც უკეთესი იყოს.

**– საკუთარი ბიოგრაფიის დაწერაზე თუ გიფიქრიათ და როგორ გგონიათ, რა იქნებოდა თქვენი ბიოგრაფიიდან ყველაზე საინტერესო მკითხველისთვის?**

– იმედია, რომ სერიოზულად არ მეკითხებით, მაგრამ მე მაინც სერიოზულად გიპასუხებთ. რასაკვირველია, არ მიფიქრია ჩემი ბიოგრაფიის დაწერაზე. თუმცა, ჩემს ბიოგრაფიაში შეიძლება მართლაც იყოს რამე საინტერესო. თუნდაც დაბადებიდან მოყოლებული, რადგან თურმე ფეხებით ანუ უკულმა დავიბადე.

**– „ყველა ადამიანს აქვს რაღაც მისია, რომელსაც უნდა მიაგნოს"... თქვენ თუ მიაგენით საკუთარ დანიშნულებას?**

– ხშირად, საკუთარი ადგილისა და ფუნქციის მიგნებასა და აღმოჩენას, მთელი სიცოცხლე სჭირდება და ზოგჯერ, მთელი სიცოცხლეც არ ყოფნის.

**– „ქალი გაცილებით ძლიერი და ამტანია, ვიდრე მამაკაცი და თან არამხოლოდ ფიზიკურად", კაცები როგორც წესი, ამას არ აღიარებენ ხოლმე... ყველა შემოქ-**

**მედი ქალს განსხვავებულად აღიქვამდა. როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი?**

– როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი, არ ვიცი და არც იმის მჯერა, რომ შესაბამისი რეცეპტი არსებობს. სამაგიეროდ, შემიძლია გამოვტყდე, რომ უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში, საქართველოში ქალები გაცილებით პრაგმატულები, ამტანები და მობილიზებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მამაკაცები.

**– „ეს მართლაც იყო ქვეყანა, სადაც ყურძნის პატარა მარცვალში თავისუფლად ეტევა ვეება მზე და სადაც თავისუფლება მხოლოდ ოცნებაა, მხოლოდ წარსული ან მომავალი და არა აწმყო“. რა არის თავისუფლება თქვენთვის, პირველ რიგში როგორც პიროვნებისთვის და ამავდროულად, როგორც მწერლისთვის?**



დათო ტურაშვილი

– თავისუფლება უპირველესად გონებრივი და სულიერი მდგომარეობაა, რომლის მიღწევასაც ადამიანი ყველაზე მეტად უნდა ცდილობდეს, რადგან თავისუფლებაზე ძვირფასი მართლა არაფერია...

**– რამდენად თავისუფალია ქართველი ერი ამ ეტაპზე?**

– მხოლოდ დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რასაკვირველია, სულაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანი ან რომელიმე ერი თავისუფალი გახდეს.

**– „სამწუხაროდ, ინტელიგენციის დიდი ნაწილი ფრთხილობდა ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირებას და ერთეულთა გარდა, მომლოდინის როლში რჩებოდა“... საქართველოში, ქვეყანაში, სადაც საზოგადოება ზედმეტად პოლიტიზებულიც კია, რატომ არის ინტელიგენცია ყოველთვის ჩუმად და რა „გამოაღვიძებს“ ქართულ ინტელიგენციას?**

– საქართველოში, ინტელიგენციის საბჭოური გაგება, სამწუხაროდ დღემდე არსებობს და როცა საქართველო იქნება ნამდვილად თავისუფალი ქვეყანა და ეყოლება თავისუფალი საზოგადოება, საბჭოთა ყაიდის ინტელიგენტებიც გაქრებიან გაღვიძების გარეშე ან რომ გაიღვიძებენ, უკვე გვიანი იქნება.

**– „და მიუხედავად იმისა (ჩემი ღრმა რწმენით), შოთა რუსთაველს დღეს რომ ეცხოვრა, ახლაც ისეთივე მონდომებით გააგდებდნენ საქართველოდან, მაინც მჯერა ამ გაბრწყინებული და აყვავებული საქართველოსი“, – წერთ თქვენ. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ქართველი ერის მთავარი პრობლემა, რატომ არაფერი იცვლება და რატომ ვიმეორებთ ერთსა და იმავე შეცდომას თუნდაც საუკუნეების განმავლობაში?**

– რასაც თქვენ ბრძანებთ, ამაში გეთანხმებით და მეც შემიმჩნევია, რომ ხშირად ერთსა და იმავე შეცდომას ვიმეორებთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ნებისმიერ ხალხში შეიძლება მოხდეს ისეთი მენტალური ცვლილება, რომელიც ამ ხალხისა და ქვეყნის რადიკალურ შეცვლას გამოიწვევს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ჩვენი პრობლემები უპირველესად ჩვენი უცნაური ცნობიერებით არის განპირობებული.

**– თუ შეიძლება დათო ტურაშვილი ოდესმე პოლიტიკოსის ამპლუაში ვიხილოთ?**

– მეეჭვება.

**– უცხოეთში ცხოვრებაზე მოგვიყევით. რას საქმიანობთ ამჟამად, რით არის ეს საქმიანობა თქვენთვის საინტერესო და როგორ ფიქრობთ, რაში დაგეხმარებათ ეს პერიოდი შემდგომში?**

– ორი წლის წინათ მოვიგე მადრიდის უნივერსიტეტის სტიპენდია, რომელმაც ჩემი ძველი ოცნების ახდენის საშუალება მომცა და დავიწყე იბერიული პრობლემის კვლევა. მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ პლატონიდან მოყოლებული, ანტიკური ავტორებიც ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ არსებობდა ორი იბერია – ერთი ესპანური და მეორეც ჩვენი, კავკასიური. ჩემი კვლევის თემაც იმ კავშირების მოძიებაა, რომელიც არსებობდა და დღესაც არსებობს ორ იბერიას შორის.

ტოპონიმიკასა თუ ლექსიკაში, კულტურასა თუ ეთნოგრაფიაში იმდენი მსგავსებაა, რომ დაუჯერებელია ეს ყველაფერი შემთხვევითი იყოს. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, მეცნიერები დაამტკიცებენ, რომ ჩვენც იბერიული ცივილიზაციის მემკვიდრეები ვართ და ევროპულ სახლშიც იმიტომ დავბრუნდებით, რომ ის ჩვენი, ოდესღაც მიტოვებული სახლია.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**


სამშაბათს, 27 მაისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში
**დალი ფანჯიკიძე**
წაიკითხავს საჯარო ლექციას
**„სტილის მრავალფეროვნების პრობლემა თარგმანებში (ფრიში, ჰესე, პლენცდორფი, რობაქიძე)“**
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41



გურამ ქართველიშვილი ჩამოყალიბებული ოსტატია და ამიტომ მის მიერ შემოთავაზებული მასალა ნესით უნდა გაიზომოს არა შეკითხვის კატეგორიით „რა?“, არამედ „როგორ?“

მკითხველს შეიძლება ეუცხოვოს ან მოძველებულად ეჩვენოს მისი მოთხრობის თემა, დრო და სივრცე, ეს არის კარგად დავინყებული ძველი, მაგრამ მშობლიური, ნაცნობი, მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩენილი ამბავი, რომელიც ჩვენი ცხოვრების „კანონიკური“ ნანილი იყო ამ ორი ათეული და მეტი ხნის ნინათ.

თუმცა აქ, როგორც ითქვა, მთავარია არა ანტურაჟი, არამედ განწყობილება, სულისკვეთება, სულიერი მხარე დროისა, რომელიც თითქოს ჩვენი იყო და არც იყო ჩვენი, რადგან სხვა მართავდა, სხვა იყენებდა ჩვენი ყოფიერების სივრცეს.

მოთხრობის მთავარი გმირის მიერ განვლილი ჯოჯოხეთი – ჯულფის სამხედრო ნანილი, რომელსაც დაცინვით „კავკაზსკი პიტომნიკს“ ეძახიან – არის საბჭოთა კავშირის მიკრომოდელი და, თუ კარგად დავაკვირდებით, ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას ემართება, იმ რეალობის გაგრძელებაა.

აი, ეს არის ჩვენი აზრით, გასაღები მოთხრობის გააზრებისათვის; დანარჩენს რაც შეეხება, ყველაფერი რიგზეა, გურამ ქართველიშვილი სანდო ოსტატია.

გურამ ქართველიშვილი

# კავკასიური „პიტომნიკი“

თბილისის ტრავმატოლოგიურში აგერ უკვე მეათე ძველი ბიჭი რომ მიიყვანეს ყბამომტვრეული ერთი და იგივე ხელწერით, მილიციამ თემურის კვალსაც მიაგნო. არადა უბრალოდ ლამაზ თბილისურს ჩხუბობდა და მეტი არაფერი. მის მოქნეულს ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, ვერა და ვერ ზომავდა ქარიშხალივით მუშტს. კანონმაც არ დააყოვნა, დამნაშავე აღმოაჩინეს და საქმეც შეიკერა. ისე დიდი აღმოსაჩენი თემოს არაფერი სჭირდა. ეგეთი მილიონში ერთი იყო, ალბათ – ორმეტრიანი ათლეტი, მაგრამ სახით ჯერ კიდევ 18 ნლის „რიჟა“, დედიკოს ბიჭი.

შენუხდნენ მონარქივით სახელის მქონე მამიკო გიორგის მძიმედშესანუხებელი მეგობრები, მაგრამ მამიდამ ყველას აჯობა, თემოს გარანტირებული სასჯელი ააცილა და საბჭოთა არმიის დუშეთის ნანილში გაამნესებინა ერთადერთი უსაყვარლესი ძმიშვილი.

სადაურსა სადაო და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველკურსელი თემო, მშობლიურ თბილისთან ახლოს მონყობილ ჯოჯოხეთში აღმოჩნდა.

ძლივს მოთავდა „სალდაფონური“ გემოვნებით მოკაზმულ შენობებში ათასნაირი კომისიები და ოფიცრების ჯაჯღანი – „ვეშაინეს სალაბონი“. თეთრი ყვავივით შესამჩნევმა გარეგნობამ თავისი ქნა და დუშეთის სამხედრო ნანილში მიყვანისთანავე თემოს ორიოდ ცელქი შემოელახა. საქმე იმაში იყო, რომ მის ათლეტურ ტანზე შემოსკუპული კოხტა, ქერა და კეთილი თავი ყველას მისი დაჩაგვრის სურვილს აღუძრავდა ნანილში, სადაც „დედოვშჩინა“ ბატონობდა. „ძედუშკები“ – კეფაზე ქუდმოგდებულები, „გარმოშკა“ ჩექმიანები, „ძერსკი“ გამომეტყველებით და ალესილი ქამრის ბალთებით, განუკითხავად ბატონობდნენ ყველაზე, ვისაც მათზე ნაკლები ჰქონდათ ნამსახურები. ეს დაუნერელი კანონი ძია ბრეჟნევის საბჭოთა კავშირის ყველა სამხედრო ნანილში მოქმედებდა. ასეთი ჯუნგლის კანონი აცარიელებდა ახალნვეულ ჯარისკაცთა ჯიბეებს და მთელი თანხა ექვსიოდ უსაშველოდ „ბლატნოი ძედუშკის“ ხელში იყრიდა თავს. ქერა-მაღალი გარეგნულად 50 მანეთის გადამხდელად შეფასდა და როცა „ბლატნოი დემბილების“ ნარმომადგენელმა გადასახადისთვის რიხიანად მიაკითხა, თემურმა სამი გრძელი თითის კომბინაციით ცხვირი პლასტილინივით მიუსრისა ხარკისამკრეფს. „ბუნტ ნა კარაბლე“-ო იყვირა ყველაზე დიდმა „ბლატნოიმ“ და სასტიკი განაჩენი გამოუტანა მოჯანყე ახალნვეულს. დაადგინეს, რომ გენადა პრაპორშჩიკს ყაზარმების გადაღმა მოაყვანინებდნენ მაღალ სალდაფონს და... ბოლოს „ძედუშკებმა“ ერთმანეთს გადახედეს, ვაიდა, კერკეტი აღმოჩენილიყო ეგ ვიღაც რიჟა, მერე ვის უნდა ერტყა მისთვის? ხარკის ამკრეფებს ქონიც ბლომად დაეგროვებინათ ბლატმარაგთან ერთად, მაგრამ ჩათვალეს, რომ იმ დედიკოს ბიჭს მაინც ეყოფოდნენ – ერთი ქართველი და ორი ჩეჩენი.

მეორე დილას სირბილის შემდეგ თემური გენადა პრაპორშჩიკმა ორ ბოთლ არაყში გაიმეტა და „ბლახებ“დალესილ ნანილის მამებს ყაზარმებს უკან მიუყვანა. თემურმა კარგად იცოდა სამი თითის კომბინაცია ძვირად რომ დაუჯდებოდა და მზად იყო. პრაპორშჩიკმა მაღალი „ძედუშკებს“ სამხედრო ნესით გადააბარა და ნაქრთამალი არყების ჩასახეთქად გაიძურნა. მტრისას, იქ ამბავი დატრიალდა! თემურმა ჯერ ორი ფოლადივით ჩეჩენი დალენა და მერე მათი მომქსევი ენაგატლეკილი ქართველი ისე ცემა, რომ სასნრაფო ნესით ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ნაცემი „ძედების“ ამბავი ხანძარივით მოედო ნანილს. სამმა უვნებლად გადარჩენილმა „დემბილმა“ ყაზარმები გადააქოთა და სანამ ამ ჩეპე-ში ნითელი კანონი ჩაერეოდა თემური „კაპტიორკაში“ აღმოაჩინა. იქ ბევრი სიტყვა არავის დაუხარჯავს. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სოლოლაკის ქუჩებში ხდებოდა ხოლმე. ზუსტად ხუთ ნუთში სამივე „ბლატის“ მამა მოხარშულ კარტოფილებში იყო აზელილი. ქარიშხალივით მუშტებმა თემურს ისევ საციხედ გაუხადეს საქმე.

* * *

– ჩაჯდეს და თანაც „დისბატში“?! – მთელი ღამე ხმამაღლა ფიქრობდა მამიკო გიორგი და თხუთმეტ ნუთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კონიაკის სათითეს ცლიდა. გამთენიისას გივიკო მოვიდა და ბორჯომი მოიტანა.

– ცოტა ვერ დაიძინე?!

– ჰო, სამ საათზე დაიშალენ. შენ რა გაიგე?

– ათ წუთში შენი გენერალიც მოვა.

– სად აღმოაჩინე? ნინო!!! – ლომი რომ ქართულად აალაპარაკო, ისეთი ბარიტონით გასძახა გიორგიმ ცოლს. – ხილი შემოიტანე, ოთარი მოვა!

– აბა ეხლა შენ მაგის თავისტკივილი სადა გაქვს, მაგრამ ეგ შენი მეზობელი როა, გრიშიკა...

– გრიშიკა? – ირონია აამოქმედა მთელი ლამენატეხმა გიორგიმ.

– კარგი რა. შენა ხუმრობ, კაცო, და მაგ ნაჩეკისტარის დახვრეტილია ნახევარი ქალაქი ტრიცატსედმოიში.

– ეხლა ვოსემდესიატპერვია! რა უნდა გრიშიკას? – ისევ მონარქული ბარიტონით დაიბუხუნა მასპინძელმა.

– კარგი, რა, ვითომ არ იცი! ამას წინათ მილიციაში გარბოდა. ძლივს გავაკავე. გიორგის უნდა ვუჩივლოო.

– გრიშიკა და მომჩივანი? არ მჯერა! რეებს იტყვი ხოლმე?! მაინც რატომ მაჭერინებდა?

– ძილი აღარ მაქვსო, კაცო. ჯერ იყოო და ვისოცკის მასმენინებდა მთელი ღამეებიო. ტელეფონით უთხოვია შენთვის, ცოტა დაუწიეო. დაუწია კი არა, მას შემდეგ „გრამზაპისში" ჩაწერილი წითელქუდა მასმენინა ერთი კვირაო.

– ჰოო? საჩივარში ეგრე ეწერა? წითელქუდაო?

გივიკომ მასპინძლის ხმალივით ირონია იგრძნო და ცარიელი სათითე კონიაკით შეავსო. ჯანსუღმა სასმელი ფიქრის შეუწყვეტლად გადაუშვა და კარზეც დარეკეს. დიასახლისი ოთახში ოთარს შემოუძღვა. სტუმარმა ჯიბიდან რაღაც ამოიღო და პალტო გაიხადა. გაჩახჩახებულ ოთახში საბჭოთა ორგანოების გენერლის საპარადო მუნდირმა იელვა.

– რას მოკაზმულხარ, ოთარ? აი, მუნდირში ჯერ არ მინახიხარ.

– ჰო, იშვიათად ვატარებ. "ზაკვოს" უფროსთან ისე მისვლა არ მინდოდა.

– ზაკვოს უფროსთან მიხვედი? – იმედიანად იკითხა მასპინძელმა და კონიაკით სავსე ჭიქა გენერალს წინ დაუდგა. – რახან მაგის ჩარევა დაგჭირდა ამხელა ნაჩალნიკს, ესე იგი...

– ჰო, სერიოზულად არის საქმე. ორ დაზარალებულს მძიმე მოტეხილობები აქვთ ყბა-სახის არეში, დანარჩენებზე რომ აღარაფერი ვთქვა. მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ ერთ-ერთი ამათგანის მამა დაღესტნის ცეკა-ს მდივანია, დარუდაევი, და ის არ ჩერდება, „პატალოკს" ითხოვს, „გასროკეთო".

გიორგიმ მის უკან მჯდომ გივიკოს გაჩვეული მოძრაობით ანიშნა ოთახიდან გასულიყო. გენერალმა იგრძნო დარდით სავსე ბავშვობის მეგობართან მარტო დარჩენის სიმძიმე და მუნდირი ნათხოვარივით ეუხერხულა. მასპინძელმა ჯერ მონარქის თანდაყოლილი მანერებით იარა ოთახში, მერე ხმელი სხეული სავარძელში ჩაალაგა და მუდამ ჭკვიანი მზერა მუნდირს ესროლა.

– მერე? კიდევ რაო ცეკა-ს მდივანმა დარუდაევმა? მე შვილი კაცად ვერ გავზარდო და მორევაზეაო? „სალდაფონებ" რომ ვწველით, მაშინ კარგიაო და მოტეხილი ყბები აღარ მოეწონა, არა?!

– მარტო ეგ არა აქვთ ხელში. ბავშვი რომ აუყვანიათ ოფიცრებს, თურმე, სულ დედას აგინებდა წითელ არმიას და საბჭოთა მთავრობას. იმ მომტვრეულ ყბებს ხუთი ოფიცრის „რაპორტი" ზემოდან ადევს ამის შესახებ და აღარ ვიცი, რა ვქნა კაცმა.

– შენ რაღა უნდა ქნა, ოთარ. შენ ძმა ხარ. თემური რომ დისბატში გაუშვან ეგ იქაც ეგრე მოკლეზე ივლის და მომიკლავენ. მერე, შენ ხო კარგად იცი, ჩემო გენერალო, რომ მე იმ დარუდაევიდან დავიწყებ... აი დაღესტანში ცეკა-ს მდივნად რომ ზის და თავი კიტრი ჰგონია და სანამ გამაჩერებენ...

– ვიცი! – დარწმუნებით მოუჭრა ოთარმა. –ეჰ, რა ადვილი იყო ადრე ცხოვრება!

– რაზე ამბობ?

– ვისა ჰგავს აბა თემური?! აღარ გახსოვს გაგრაში „ტანც პლაშჩატკაზე" 1957-ში შენ და გურამ რჩეულიშვილმა ბილიკი რომ გამოიტანეთ ჩხუბით? მაშინ თვრამეტი ნაცემი მომჩივანი ათ-ათ მანეთად გავაჩუმეთ. – „ტკბილი" მოგონებით მეხივით ძმაკაცის ხასიათის გამოსწორება სცადა გენერალმა.

– მთავრობის გინება კი არა, შენ კარგად გახსოვს გურამმა მაშინ ლენინის ძეგლს ესროლა ორლულიანი და ის საქმეც კი ჩაფარცხეს.

– ეჰ, ორმოცდაათიანებში სტალინის „ლაგერები" ყველას ყელში ჰქონდა ამოსული და იმიტომ აღარ გვიმეტებდნენ, თორემ მაგის გამო ცოტა ადრე დახვრეტა არ აცდებოდა გურამს – ისევ გაასერიოზულა თემა მასპინძელმა. დიასახლისმა ხილთან ერთად შემოანათა ოთახში. გენერალმა ისე იუხერხულა მისი შემოსვლა, თითქოს ბიჭობაში მის სადარბაზოსთან ღამეები არ ეთენებინოს გიორგისთან ერთად. ქალმა სტუმარს და მეუღლეს ნამტირალევი სახე მოარიდა და ოთახიდან გავიდა.

– არის ერთი გამოსავალი! „ზაკვოს" უფროსთან შევათანხმეთ მე და სამხედრო პროკურორმა.

– რაო, აღარ ჩამოვახრჩობთო?

– კარგად მომისმინე! ეს უფრო გამოუვალი მდგომარეობის გამოსავალია, რასაც „ზაკვოს" გენერალი მთავაზობს, ანუ ერთადერთი გზაა ბავშვს „დისბატი" ავაცილოთ. აქვე, აზერბაიჯანში, ირანის საზღვარზე, ჯულფაში ერთი განსაკუთრებული ნაწილი აქვთ და იქ გადავიყვანთო. ექვსი თვე მოუწევს სამსახური და მერე სადმე „სპორტროტას" გავუკეთებ.

გიორგიმ ერთხანს თითქოს ამოისუნთქა. მერე ათას ჭირში გამოვლილ მეგობარს თვალებში ჩააშტერდა და მშვიდად იკითხა:

– ეგეთი რა ნაწილი აქვს ჯულფაში „ზაკვოს", „დისბატს"რომ შეცვლის?

გენერალი ჩაფიქრდა და სახეზე ერთხანს საბჭოთა ფუნქციონერი დაეხატა. მერე წამოდგა, უზარმაზარ ეკრანიან ფერად ტელევიზორთან მივიდა და ხმას საგრძნობლად აუწია. დილის გადაცემაში ოქროსკბილება შრომის გმირი იწონებდა თავს.

– ჯობია ტელევიზორმა ჩვენზე ხმამაღლა ილაპარაკოს. მე ფოლაქიც კი მანქანაში დავტოვე და აბა შენნაირი წესიერი კაცი ვის რაში აინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შენც გისმენენ, გენერალო? – ისევ დაღლილი ირონია გაურია გიორგიმ.

– ეჰ, ლეონიდ ილიჩს არ უსმენენ, რო?!

– ოთარ, ასეთში სად ისტუმრებ ჩემს შვილს ყველას ყურმა რომ არ უნდა მოისმინოს?!

გენერალმა სახე მეგობარს ახლოს მიუტანა და დაიწყო:

– ჯულფის სამხედრო ნაწილს „კავკაზსკი პიტომნიკს" ეძახიან და ძირითადად ასეთი აქტიური და ძნელად მოსათოკი კავკასიელებითაა დაკომპლექტებული. თუ საბჭოთა კავშირის რომელიმე სამხედრო ნაწილში კავკასიელი კანონით დაისჯება და დისბატის „სროკს" აიკიდებს, ალტერნატივად ამ ნაწილში სამსახურს უდებენ წინ. ეს არის ერთგვარი „ვერბოვკის" ხერხი – ასეთი დაუმორჩილებელი კავკასიელები ავღანეთში გამოიყენონ. ჯულფის ექვსთვიანი წვრთნების შემდეგ ისინი ძირითადად ცხელ წერტილებში გაჰყავთ და აომებენ. კაი ეხლა, სახე ნუ მოგენგრა. ჩვენ სხვა გზა მაინც არა გვაქვს. თუ არადა სამი წელი „დისბატი" ხელში უჭირავს ბავშვს.

– ოთარ, ჩემი შვილი დიდი ხანია ბავშვი აღარ არის. მერედა მაგისგან რუსის გლადიატორობას ის მირჩევნია ისევ დისბატში ჩალპეს. – ლომის ხმას ბოლმა ამოაყოლა გიორგიმ.

–ოხ! ოხ! გლადიატორი! გლადიატორი კი არა „უჩებკის" შემდეგ პირდაპირ „სპორტროტაში" გადავიყვანთ და სახლში გეყოლება.

– ბიჭო, პლეხანოველი მაინც არ იყო! ამდენი ნაგიჟარი ერთად შეყრილი ზონაში არ არის და სამხედრო ნაწილში?! თანაც ხელში იარაღით! აბა დალეწილი ყბები მანდ იქნება თუ იქნება. ჩემს შვილს ვერ მოტეხავენ და რამე რომ დაემართოს... დარუდაევთან ერთად... მერე ჯულფაც... – ჩიხში მოქცეული ნადირივით ამოძრავდა ოთახში გიორგი.

– კი მაგრამ, როდემდე უნდა მიგვერეკებოდნენ რუსები სხვის ომებში „ვერბოვკებით", „ლაგერებით" და ათასნაირი „ტისკებით"?! ვფიქრობდი შვილებს მაინც აცდებოდათ ამათი ჯოჯოხეთი-მეთქი და ამათმა სულ შეუბერეს. იმას არ ეკითხებიან, არა, ოჯახს უნდა მერე მაგათგან გამოზრდილი სახლში მობრუნებული მკვლელი?

– კარგი, გიორგი, მომისმინე! ინგრევა ეს დამპალი ქვეყანა – უფრო აჩურჩულდა გენერალი – ლიონია მალე წაილებს წერილს და ქვეყანაში მეტი აღარავინაა რღვევა შეაჩეროს. პირიქით, უკვე არც ისე კარგი პოზიციები გვაქვს, როგორც ამას „ვრემია" გადმოგვცემს. ქვეყანა გაძარცულია. ავღანეთში დამარცხება დამარცხებაზე აჭამეს რუსებს. ამიტომ ჭირდებათ წინა ხაზებისთვის კავკასიური ცხელი სისხლი და ზრდიან კაციჭამიებს. დამიჯერე, სხვა გზა არ არის. ბავშვს ექვსი თვე ომს ასწავლიან და მერე სახლში, აქვე, რაგბის ბაზაზე გვეყოლება.

– ესე იგი ჯულფა, არა?! – ამოიხვნეშა გიორგიმ.

– დედისერთა გყავს და ძნელია. ათმაგი ტკივილია, ვიცი, მაგრამ, მოდი, იცი რას გაუმარჯოს, ჩვენი ბიჭი ყველაზე მოუდრეკელ კავკასიელებში რომ მოხვდა! რაც მთავარია, „დისბატს" ავაცილებთ და ჯულფა რაა, შე კაცო, ჯულფა უფრო დააკაცებს თემურს –იმედი მისცა მეგობარს გენერალმა.

* * *

სანამ სამხედრო ეშელონი ჯულფას მიაღწევდა, ეტაპი აზერბაიჯანის გადამწვარ ტრამალზე რამდენჯერმე შეჩერდა. ეს ნაცრისფერი ველები ქანცგანწყვეტილ და „პაუპტვახტებში" ნაგდებ თემოს მხოლოდ იმ ფიქრებს აღუძრავდნენ, რომ აქ, შამქორთან თამარის ჯარმა აბუ-ბაქრს სძლია და იქ, სადღაც, მტკვრის პირას დატყვევებულ კონსტანტინე პირველს თავი მოახერხეს შავბატკნიანმა ველურმა თურქმანებმა. მერე ვაგონის რიტმულ ჩაქჩაქში გალაკტიონს იმეორებდა და შხამნარევ ძილში დროც გადიოდა. მეხუთე დღეს ქალაქს მიაღწიეს. ქუჩებში მზეზე გადაღვრილი, გაფუჭებული ჩაის მწკლარტე სუნი იდგა. სპარსული ჰანგით კვნესოდა ირანისა და აზერბაიჯანისაგან შუაზე გაჭრილი ჯულფა.

სამხედრო ნაწილი გარეგნულად შრომა-გასწორების კოლონიისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა. ვინ აღარ დაეხეტებოდა უზარმაზარი გალავნებით შემოლობილ ტერიტორიაზე – სამკუთხედად ნავარჯიშები ჩეჩნები თუ კისერჩადგმული ინგუშები, თეთრი ბულებივით ოსები თუ წერწეტი ჩერქეზები. არტისტულობით შეზავებული ღირსეული მიხრა-მოხრით ხომ ყველა მხარეს დაძველბიჭობდნენ ქართველები. სახეებს ნუღა იკითხავთ, ერთი დალაგებული სახე სანთლით საძებარი იყო, ცოტა გიჟი კი „კავკასიური პიტომნიკის" ყველა ბინადარს ედგა თვალებში. ამის გამო იქაურობა კაციჭამია გლადიატორების სკოლას უფრო წააგავდა, ვიდრე საბჭოთა არმიის ნაწილს.

– ჰავნო სჯდელაიწე, ჰავნო პალუჩინე, სალდატ! – ასე მიმართა თემურს ნაწილის უფროსმა – ბეგსულთან ბეგხანოვიჩ ხალუხაევმა – შაჰ-აბაზის ულვაშა და ფეხებმობრეცილმა დაღესტნელმა გენერალმა.

თემურს ჯერ კიდევ დუშეთის ნაწილში ჩხუბისას ჩამტვრეული ნეკნები სტკიოდა და ბეგხანოვიჩმაც ერთი კვირით „სანჩასტში" გადააგზავნა, მერე ერთხანს თბილისელის კეთილ სახეს უყურა და დაეჭვებული ახალმოყვანილის პირად საქმეს კიდევ ერთხელ ჩაუჯდა, ხომ ნამდვილად ის არის, ხომ არაფერი შემეშალაო?

ორკაციან თაგვის სოროსავით პალატაში სუნთქვა ჭირდა. თემური ცარიელ საწოლზე ჩამოჯდა და სტალინისდროინდელი შავი „ნაჩნიკი" აანთო. მეორე საწოლზე დარდიმანდულად გაშოტილიყო უსაშველოდ ნაცემი ტიპიური ქართველი. მაღალმა ერთხანს ათვალიერა თანაპალატელი."ნეტა, რა სჭირს? ტანკმა ხომ არ გადაუარა?"

– ქართველი ხარ, ძმაო? –უეცრად ხმა ამოიღო უთავბოლოდ ნაცემმა გვამმა.

– კი, ქართველი ვარ. თბილისელი.

– მეც თბილისელი ვარ. რა გქვია?

– თემური.

– მე დათო ვარ. დათო ბიძიას მეძახიან. აბა, ხელს რომ ვერ გართმევ?!

– ეგ არაფერი, აი, მე ჩამოგართმევ. – ახალმოსულმა სითბოზე სითბოთივე უპასუხა დათო ბიძიას.

– რა დაგემართა, ტო? „მიასარუბკაში" ჩავარდი?

– ჩეჩნებს შევასკდი ორი დღის წინ და კინაღამ „კალიასკაში" დამტოვეს, იმდენი მირტყეს.

– მოტეხილობა ხომ არა გაქვს?

– არა, გადავრჩი, ძვალი არა. პროსტა მაგრა ვარ ნაცემი. აი, მოტეხილობები იმათ აქვთ. – ბრძოლის შედეგით მაინც წაიამაყა ნაგვემმა.

– გტკივა?

– მტკივა კი არა, გავთავდი კაცი, მარა გალაკტიონს ვკითხულობ ჩემთვის ჩუმად და მშველის.

კიდევ ორიოდ წინადადების შემდეგ თემომ იგრძნო, რომ მის წინ, როგორც მამა იტყოდა, მართლაც იშვიათი დაბადება-კაცი – დათო ბიძია ინვა. ცოტა ხანში ერთ დროს პუტკუნალოყებიანი რიგითი ჩლაჩიძე შემოვიდა, დათო ბიძიას თავი წამოუწია და ორჯერ ას-ასი ზედიზედ გადაახუხა. მწოლიარემ ნაცემი სახე დამანჭა, მერე თავისი ჭკუით თემოს გაულიმა და ახალმოსულზე მიუთითა.

– ეს, ბოშო, რაჭველი ჩლაჩიძეა, პატიოსანი კაცი. ჩხუბში, იცოცხლე, ზურგს უკან უყვარს ამოფარება! მუშტს ვერ მოაქნევინებ. უტრაკო არ გეგონოს, გვიან ხვდება.

– აბა აქ როგორ მოხვდა? – იკითხა თემომ.

– „კაპტიორკაში" თბილი ადგილი უყიდა რაჭველმა მამამისმა თურმე, ხოდა ეს კარტოფილის თლაში რომ იყო ერთ დღეს, ვილაც კაპიტანს ფეხი დაუცდა თურმე და რაჭველის კარტოფილიან დანას წამოეგო შემთხვევით.

ჩლაჩიძემ თვითონაც გულიანად გაიცინა უჩას ხუმრობაზე და რაჭულად მოყვა ბუზღუნს.

– რაის კაპტიორკა და სითბო, ბოშო, ვორმოც გრადუსიან ყინვაში ვეგდევი, ე, იქ, ციმბირში. – კოტიტა ხელი უმისამართოდ გაიშვირა რაჭველმა. – პოტაპკის ტყეში სულ ორასი კაცი ვიდექით. მე გადამეკიდა მაინცდამაინც ყველა, წყალი ზიდეო და „იპახავეო". ვოთხი თვე ვითმინე ვირული საქმე და მერე დავძუყნე კარგად.

– ვინ დაძუყნე? – ასჯერ მოსმენილზე მაინც გაფაციცება დაეტყო დალილავებულ სახეზე დათო ბიძიას.

– ვინ და სუყველა, ვინც კი მამყვა მჯილში. დავლეწე როგო კრამიტი, ისე.

– შე კაი კაცო, ჩასვლისთანავე ორი-სამი კაცი გაგელახა და აქ აღარ მოხვდებოდი – გახალისდა ნაღდი რაჭველის აღმოჩენით აღფრთოვანებული თემო.

– რავარც ეს ურტყამს ყველას, ხო, და მერე ამას ურტყამენ. მე ქვე პატარა კაცი ვარ და შემარგოს ყველამ ჩემი გათლილი კარტოფილი, – დინჯად თქვა ჩლაჩიძემ და წასვლას დაადგა.

– შენ, ბიძია, მინის მუშის და მეპურის შთამომავალი რაჭველი ხარ. აი, ჩემი წინაპრების ჩვიდმეტი თაობა ფიცისკაცებად ომობდნენ. ბაგრატიონების ტახტის აზნაურები იყვნენ, ბატონო. – იმერულად მოუქცია და გაიჭიმა საწოლზე ნაგვემი.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

– მერე რატომ ჩეჩნებს არ უთხარი ფიცისკაცი ვარო, შე კაცო, ქე არ დაფრთხებოდნენ გოჭუნებივით?! – ამის თქმაზე ჩლაჩიძემ კარი გაიჯახუნა, რადგან ნაგვემობის მიუხედავად ფიცისკაცის ორგანული შიში მაინც ჰქონდა.

– ამას კაი პარავოზი თუ არ უბია, მოგჭამა ჭირი ვაჟკაცობამ. მე ჩემი ოხერი თავი მყავს აქ გადასარჩენი და მაგას ჩემი ფრთის ქვეშ უყვარს ცხოვრება – ათუხთუხდა დათო ბიძია.

– ისე, ვატყობ, ლაპარაკი არ გიჭირს და გამარკვიე, თუ ძმა ხარ, აქ სად მოვხვდი?!

– დროული შეკითხვაა. აქ მოყვანისას არავინ იცის, სად მოხვდა. ერთი რამე უნდა ისწავლოს აქ კაცმა თავიდანვე, რომ ამ ჯოჯოხეთში თუ „გაობახტში" და „სანჩასტში" მოხვდი – დიდი ფუფუნებაა. ჩემი მდგომარეობიდან კაცმა ხეირი თუ შეიძლება ნახოს, ეგ არის, რომ სანამ მოვშუშდები ერთს მაგრა დავასვენებ ძვლებს და გამოვიძინებ.

– კი, მაგრამ რა ხდება აქ ისეთი, რაც სხვაგან არ ხდება?

ფიცისკაცი ტანჯვით წამოიწია და მთვარიდან ჩამოსული დედიკოს ბიჭის სახეს კარგად დააკვირდა.

– ერთი სიტყვით, აქ კაიკაცობისთვის არავინ მოყავთ. რაც აქამდე ჩაგიდენია აქ არავინ გაგახსენებს, მაგრამ ამ ჯუნგლებში რომ გაძლო, მგლობაა საჭირო. აქ „ძედოვშინა" არ არსებობს. ყველაფერს მახვილი ჭკუა და გალესილი კბილი მართავს. „უჩებკაა" ისეთი, დილიდან საღამომდე ვერ დაჯდები. იცოცხლე, კაცის კვლას გვასწავლიან. რა მეთოდი გინდა, მარტო „რუკაპაშნით", არ ვიცოდე

ადამიანის ჩასაძაღლებლად. აგერ ტანკი მოდის არეკილი შენკენ, ოფიცერი გიყვირის ჩაწექიო. შენ ორმოს თხრას იწყებ „საპიორნი ლაპატით" და წვები.

– ტანკი? – მიამიტად იკითხა თემომ.

– ტანკი გადაირახრახებს შენს თავზე და წავა. ყოველ საღამოს ამ ჯოჯოხეთის შემდეგ კიდე ურთიერთობის „გაიასნება" იწყება. დაუნდობელი ჩხუბები აბანოებში და ყაზარმებში ყოველდღიური ცხოვრებაა აქ.

– მუშტის გარდა სხვა საზომი არ არსებობს ურთიერთობაში?

– ღირსება მაინც მუშაობს, ოჯახიშვილობიდან გამომდინარე. აქ ხომ სულ კავკასიელები ვართ. მაგრამ მუშტს მაინც ვერაფერი ცვლის. აქ ძალით იზომება ყველაფერი. ყველაზე მაგარი მეომარია აქ ყველაზე ზევით, ძმაო.

– კი, მაგრამ რად უნდათ ამდენი კაციჭამია კრიმინალი ერთად?

– მგონი ავღანეთისთვის. ჩვენი ბოლო ავღანეთია, მეგობარო. ასე, რომ საწოლი თუ ჩაგივარდა ხელში, ისარგებლე და გამოიძინე.

თემო წამოწვა და გაყინული ვაგონის შემდეგ ეს ნესტიანი სორო-პალატა თბილ სამოთხედ ეჩვენა.

– და ვინ არის აქ ყველაზე მაგარი დღეს?

– ერთი „კრასავჩიკია", ჩერქეზი, ზაურ ერისტაევი. თუ შენში „საპერნიკი" ვერ დაინახა, ხელსაც არ გაისვრის, თავისი ბანდებიდან რომელიღაც „ნაკაჩავებ ბრიგადას" მოგიქსევს და ინვალიდობას თუ გადარჩი, კარგია. ჩემნაირად ნაცემი კაცი აქ გადარჩენილად ითვლება.

– ქართველები რას მიკეთებენ?!

– ქართველები ბლატაობენ, ძმაო – შეძლებისდაგვარად გამოაჯავრა ნაცემმა. ქართველებს ვარჯიში ეზარებათ ისე, ცოტა ოპიუმი თუ არ გადაყლაპეს. წამალზე ბევრი შეჯდა! ეს ჯულფაა, თემო. აქ ნარკოტიკი ყრია და ფრთხილად იყავი! – დათო ბიძიას ეს ბოლო გაფრთხილება დედის ნანასავით ჩაესმა ჩაძინებულ დედიკოს ბიჭს.

თემურს თბილისში ხუთიოდ თავისნაირი მეგობარი ჰყავდა და ვერც კი წარმოედგინა, რომ ამ ერთკვირიან გამოჯანმრთელებაში სადღაც ჯულფის ნესტიან „სანჩასტში" უსაყვარლეს ძმას შეიძენდა. ადამიანი ეძებეო – ასე ზრდიდა მამა. – ცხრა მთას იქით რომ კარგი კაცია, იცოდე, ისიც შენი მეგობარიაო. ბუნებითაც ისეთი იყო მაღალი, რომ ნიჭიერი და უცნაური ადამიანი არ გამოეპარებოდა. მაგრამ დათო ბიძიამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კვირის თავზე თემურს ნაცემი ლეშისგან ტანწერწეტა ჯანმაგარი, თავზეხელაღებული იმერელი აზნაური გამოეცხადა. ფიცისკაცი ერთობ იმუნიტეტიანი აღმოჩნდა. ასეაო, – შეუდარებელი არტისტიზმით ამბობდა დათო ბიძია – აბა სად გვეცალა ფიცისკაცებს ჭრილობების მოსაშუშებლადო. სულ ომებში ვიყავით და ამიტომაც გვიხორცდება ნაჩეხ-ნაგვემები ასე ადვილადო. უჩა ბიძიას ასეთი მასხარაობა ერთგვარ ფსიქოთერაპიად ექცა იმ ჯოჯოხეთში – პარკეტზე და ასფალტზე გაზრდილ თბილისელს. საშინელი დღეები კი მალე დაიწყო. პირველ დღეებში თემოს რაგბის ვარჯიშებზე დაგროვილი „დიხანია" მეხუთე კილომეტრზე უკვდებოდა, არადა ჩასაძაღლებელი მეთაური ოცდაათ კილომეტრს მაინც არბენინებდა დღეში. თვითონ კი ნაგაზისთვალება აზერბაიჯანელი კაპიტანი არც კი იღლებოდა. „უარესი წამება კაცისთვის ალბათ არ არსებობს, ვიდრე ომისთვის მზადებაა" – ფიქრობდა თემური.

ორმა თვემ ვარჯიშში, ჩხუბებში, კუნთების აუტანელ ტკივილსა და „ჰაუპტვახტებში" გაიფრინა. იმ დღეს ცხრამეტი წელი შეუსრულდა დათო ბიძიას, ნაგაზისთვალება ოფიცერმა პირველი ნორმატივების ჩაბარება რომ მოსთხოვა თავის ჯარისკაცებს. ყველამ ძალიან მოინდომა. „რუკაპაშნიში" ერთმანეთს არავინ ზოგავდა. კაპიტანმაც ის მოწინააღმდეგეები დააწყვილა, ვისაც ერთმანეთთან ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი. ასეთი კი ბევრი იყო. ბოლმამ ორთაბრძოლებში ერთმანეთის გამეტება მოიტანა. მონდომებით ურტყამდნენ სასიკვდილოდ ერთმანეთს ყველაზე ძნელად აღსაზრდელი კავკასიელები. თემურმა საუკეთესო შედეგი აჩვენა და ბეგსულთან ბეგხანოვიჩის მაღალი ყურადღებაც დაიმსახურა. ფეხებმობრეცილმა დაღესტნელმა შაჰ-აბაზის ულვაშების გრეხვით უყურა ორმეტრიანი დედიკოს ბიჭის ჰაეროვან ჩხუბს და აყვირდა:

– აი, მალადეც! აი, თამერ-ლან! ვოთ ნასთაიაშჩი გურზინ! ფრივიდიტე ივო ქა მნე! – ბრძანება გასცა „კავკასიური პიტომნიკის" მამამ.

ორთაბრძოლებისგან გაცეცხლებულ თბილისელს „ჩესტის" მიცემა დაავიწყდა და ამისთვის ბეჭებში კაპიტნის მუშტი მიიღო.

– რიადავოი პო ვაშემუ პრიკაზუ...

– ათსთავიც, სალდათ – ახლა მართლა შაჰ-აბაზივით გაიღიმა გენერალმა. – ათ ქუდა თი თაქოი დჟიგით ვზიალსა? ბოქსამ ნი ზანიმალსა, და?

– ნეტ, ტავარიშჩ გენერალ! – შეუმჩნეველი ირონიით გაეჭიმა თემური ხალუხაევს.

– თი სერიოზნი ბაეც. ია თაბოი გარჟუს. ია თებე დაჟე დამ ბალშოი შანს... –ბეგხანოვიჩმა ეშმაკურად გაუღიმა თბილისელს და ხუთი თითი ცხვირწინ გადაუშალა.

– უ ნას ზდეს ვსივო ფიატსოტ ჩალავექ. ხოჩეშ სა მნოი, ხოჩეშ სა სვაიმ აფიცერომ, ვოფშემ ქავო თი ვიბირიშ საფერნიქომ, სრაზის! თოლქა სევოდნია თი უსთავში. ზავთრა ვ ეთო ვრემია ვსთრეჩაემსა ვსე ზდეს. ზავთრა თი ნაზავიოშ საფერნიქა. – იმ დღეს ასე მიაშურეს ყაზარმებს.

– ცოტა წაგეზარმაცა, შე კაცო, რო გამოიჩინე თავი. –ხითხითებდა დათო. – თუ გამოგიყვანეს ხვალ ვინმე პირუტყვი...

– გამომიყვანონ, რა. ვერ გაიგე რა თქვა ბეგსულთანამ? შენ თვითონ აირჩიეო.

– ეჰ შენ მაგას არ იცნობ. მერე გაუტკბება და შეიძლება ყველა „კუალდასთან" გაჩხუბოს.

– აი, მაგიტომაც, ყველაზე მაგარს დავეჯახები და მერე ხომ დამანებებენ თავს?

– ყველაზე მაგარი, ძმაო, ჩერქეზია.

– ხოდა მაგ ერისტაევს ვანახებ ხვალ ვინ უნდა იყოს „კავკასიურ პიტომნიკში" პირველი – ჩერქეზი თუ ქართველი.

– გინახავს მაინც მაგისი ჩხუბი? შავი ქამარი აქვსო, ამბობენ.

– აბა, შავი ქამარი. პირდაპირ სამურაებს გამოუზრდიათ მანჯურიაში!..

– არ ვიცი, ვინ გაზარდა, ბიჭო, მაგრამ კატასავით რომ ჩხუბობს ეგ ბევრჯერ მინახავს.

– შავი ქამარი არა, ლენინის ნიფხავი აქვს მაგას. ხვალ განახებ მაგის ქამრებს.

დათო ბიძიას თქმა რად უნდოდა, მაღალმა თვითონაც იცოდა, რა ქარბორბალაც იყო ჩერქეზი. „მთავარი მაინც გულია. ერისტაევს ჩემზე მაგარი გული არ ექნება. რომც გამლახოს, რას ვაგებ, რო?! იმას მაინც იტყვიან, ჩერქეზს ეჩხუბაო“ – ფიქრობდა მთელი დღის ნაბრახუნები სხეულის ბანით გართული თემური. ყაზარმაში შუქი ჩააქრეს და მორიგე სერჟანტმა კარი გაიხურა. თემურს დათოს რჩევა-დარიგებისთვის აღარ უსმენია. ჩაძინებამდე თავისთვის მხოლოდ ერთს იმეორებდა – "შევჭამ"!

ბეგხანოვიჩმა ბრძანება გასცა და მაღალს დილის ძილი აცალეს. თემომ წინა დღის ნაჩხუბარი სხეული ლოგინიდან ძლივს აკრიფა და მოწესრიგებას შეუდგა. „უნდა დავასწრო. ისიც რა, შეიძლება ერთი დარტყმა გავაძვრინო, მაგრამ დარტყმად უნდა ღირდეს“ – ძილიდან გამოყოლილ ფიქრს აგრძელებდა თბილისელი. ფიცისკაცი მთელი დღე არსად ჩანდა და ხუთ საათზე სეკუნდანტივით გამოჩისტული შემოვარდა ყაზარმაში:

– ბიჭო, ბეგსულთანამ კიდე ვიღაც ორი გენერალი მოიყვანა და მთელი ნაწილი ლარივით ჰყავს გაჭიმული. მოდი, დავაგვიანოთ. შეიძლება გაგვიცოფდეს გენერალი და „გობახტი“ განაღდებული გვექნება. ცოტას გამოვიძინებთ.

– ბიჭო, შენთვის ფიცისკაც წინაპრებს არ უსწავლებიათ, დუელზე არ აგვიანებენო?

– ეგ რა დუელია?! გული არ მინდა გაგიხეთქო. დილიდან ჩერქეზს ვუთვალთვალებ. კამეჩივით ჯანზეა ეგ შობელძაღლი! დაანებე თავი, მურთაზაევი გამოიწვიე. მაგას ნაღდი დაჟეჟავ.

თემომ მეგობარს მხოლოდ მშვიდი ღიმილით უპასუხა და ყაზარმიდან გავიდა.

აი, იმ დღეს კი ნამდვილი შაჰ-აბაზივით იჯდა ორ რუს გენერალს შორის ბეგსულთან ბეგხანოვიჩ ხალუხაევი და მისთვის ყველაზე სანუკვარი სანახაობის მოლოდინში სივრცეს თემურ-ლენგივით გაჰყურებდა.

– ნახე, რა სახე აქვს! თავი მომჭერი ეგ თუ ცოლის უკანალზე არ ფიქრობდეს, – ხითხითებდა დათო ბიძია და გუნდებად ჩამომდგარ ნავარჯიშებ ბულებს შიგადაშიგ თვალებს უბრიალებდა. ნაგაზისთვალა კაპიტანმა თემური გენერლებს წარუდგინა. ბეგსულთანს მაღალის მისალმება არც გაუგონია, ისე იკითხა:

– ნუ, გურზინ, ქავო თი ვიბრალ?

– ია ს ჩერქეზომ ბუდუ დრატსა, ტავარიშჩ გენერალ.

ხალუხაევი ცოტა დაიბნა:

– ს ქაქიმ ჩერქეზომ, ს ერისტაევიმ?

– ტაკ ტოჩნა, ტავარიშჩ გენერალ!

რას იფიქრებდა ზაურ ერისტაევი, რომ ორი თვის წინ მოთრეული კეთილთვალება ქართველი მას აკადრებდა შებრძოლებას, მაგრამ გამოწვევის მიღებისთანავე გენერალთან გამოცხადდა და მოედანზე თავისი ერთ დიდ კუნთად ჩამოსხმული სხეული აათამაშა.

იქ ბევრი ისევ არაფერი მომხდარა. თემურმა „ბრუსლი კარატისტივით“ დამანჭულ და მომკივან შავქამრიანს თავისი ქარიშხალივით მუშტი ქუჩურად გაუტარა და ცხვირში გლიჯა. „ეხლა უკვე ჩემი ხარ, ლამაზო.“ ორი დამანგრეველი დარტყმით ზაურა ჩერქეზი სასწრაფო წესით ჰოსპიტალში გადასაყვანი გახდა. უხერხულად მიხედ-მოიხედეს უხვად ჩამომდგარმა ნავარჯიშებმა კავკასიელებმა აქეთ-იქეთ და შიშით მიაშტერდნენ გენერლებს – რომელიმე მათგანმა ამ ორმეტრიან ნაგიჟართან ჩხუბი არ გადაგვიწყვიტოსო.

იქუხა თემურის სახელმა და დათო ბიძიაც „კავკასიური პიტომნიკის“ კაციჭამიების კეთილი ბელადის მარჯვენა ხელი გახდა. ერთი კვირის თავზე ზაურ ერისტაევმა გამარჯვებული ქართველი ყაზარმაში მოინახულა. თემურმა შემოთავაზებულ ძმობას ძმობითვე უპასუხა და ჩერქეზს ისიც „გაუიასნა“, რომ „პალევოი კამანდირობას“ მას უთმობდა. მისი ერთადერთი მოთხოვნა ის იყო, რომ ნაწილში ძალადობა მოესპოთ და ღირსებას ეხარა. ერისტაევმა სამსახური აღუთქვა.

მიეცა ფიცისკაცს ასპარეზი და „ასეტრინა“ თავისი ერთი ბოთლი კონიაკი „აფშერონით“ სულ იდო მის სასთუმალქვეშ. მარტო ჩერქეზის ცემა აბა რას ეყოფოდა ხუთას კაცში პირველობას და მაღალმაც მთელი თავისი გონება და ძალა მოანდომა მართლა ღირსეული სახელის დამკვიდრებას. ხუთი თვის თავზე მის სიტყვას ვეღარცერთი „პიტომნიკელი“ ვეღარ ადგამდა ფეხს. აი, ექვსი თვის თავზე კი უკვე ყველაფერი სწრაფად შეიცვალა.

ერთ დღეს ნაწილში ორი „მეომარი“ გენერალი ჩასახლდა. ისინი ბეგხანოვიჩს ზემოდან უყურებდნენ და ჯარისკაცივით ათას რამეს ავალებდნენ. „პალევოი“ გენერლებმა ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ ხუთასი კავკასიელისგან ასორმოცდაათი კაცი ამოარჩიეს და მათ ცალკე დაუწყეს წვრთნა. ერთი თვის განმავლობაში დიდი რუდუნებით უმაღლებდნენ მკვლელობის კვალიფიკაციას რჩეულებს. რაც შეეხება თემოს და დათოს, გენერლებმა ეს ორი „გრუზინი“ თავიდანვე შენიშნეს. ყოველდღიურ „უჩენიებზე“ უკვე ალარავინ მალავდა, რომ ამდენი ჯაფა ავღანეთისთვის მოსამზადებლად იხარჯებოდა. თვის თავზე მეომარმა გენერლებმა წვრთნები დღეგამოშვებით დანიშნეს, ალბათ ჯარისკაცების ძალებს ზოგავდნენ. წინ ხომ ბრძოლები იყო.

იმ ღამეს თემო ახალჩაძინებული გაალვიძა ნაგაზისთვალებამ და ნაწილის უფროსთან წაიყვანა. ოთახში შესულს შვიდი თვის უნახავი მამა და მისი ბავშვობის მეგობარი, გენერალი ოთარი ნათლია დახვდნენ.

– ნუ, შთო, თამერლან, დამოი იედეშ, და? – ბედნიერად შესცინა თემურს თვალებში ხალუხაევმა. – ათლიჩნი უვას სინ, თავარიშჩ. – ხელი ჩამოართვა კიდევ ერთხელ იქვე მდგარ გიორგის და ოთახიდან გავიდა.

– მოემზადე, მამა, მივდივართ! – მშვიდად მიმართა შვილის გარეგნობით მოხიბლულმა გიორგიმ თემოს.

– შენ ისეთ ფორმაში ხარ, მგონი ბოდიშებით უნდა გელაპარაკოთ, – გაეხუმრა ნათლია გენერალი ოთარი და ისიც გავიდა ოთახიდან. გიორგიმ შვილის ყოყმანი იგრძნო და კარი მიხურა.

– მამა, უნდა მომისმინო! – თავდაჯერებით დაიწყო თემურმა.

– რა არის აქ მოსასმენი, მამა?! აკრიფე ნივთები და წავედით.

– მე ვერსად ვერ წამოვალ!

– როგორ თუ ვერ წამოხვალ?! ყელში ამომივიდა შენი დონკიხოტობა. რა გინდა კიდე? შვიდი თვეა მუშტებს იქნევ და აღარ მოგბეზრდა? თუ ავღანეთში აპირებ მოხალისედ წასვლას?! – ადუღდა თანდაყოლილი მონარქი მამაში.

– მე ისეთს არაფერს ვაკეთებ, რაც შენ არ გისწავლებია ჩემთვის.

– მისწავლებია? რა? რუსის საზარბაზნე ხორცი გახდი მეთქი?! – რიხიანად აენთო მამა. – თუ ისტორიის წიგნებში წაკითხულის ნახვა მოგინდა შენი თვალით?! გიორგი მეთერთმეტე, არა? ირანის დიდებისთვის ავღანთა მჟლეტელი! რა მოვიგეთ მერე ამით ქართველებმა?!

– აი, თუნდაც ის, რომ ავღანების ბელადმა მირ-ვეისმა მაშინ თქვა „ქართველი უნდა მოკლა, თორემ ვერ დაიმორჩილებო“ – ცოტა ირონია აკადრა მამას თემურმა.

– რა მირ-ვეისი, შენ ხომ არ გაგიჟდი?!

– დამშვიდდი, მამა. მე რომ აქედან წამოგყვე, აღარასოდეს არ ვიქნები მართალი და არა მგონია შენ ეს მოგეწონოს.

– რა მოხდა?

– რა უნდა მომხდარიყო? მე აქ მარტო არა ვარ. ამ სატანჯველში ერთი მართალი კაცი დამიმეგობრდა, დათო ბიძიას ეძახიან. ჯოჯოხეთში ნაპოვნი ძმაა, და ვერ დავტოვებ, ოთარი ნათლია კი აქედან ორივეს ვერ დაგვიხსნის.

– დათო ბიძია? – უხერხულობა გაერია ხმაში მამას.

– ხოდა მე რომ აქედან წამოვიდე და ამას რამე დაემართოს ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ.

გიორგიმ ოთახში ბევრი იმოძრავა, მაგრამ შვილში ჩადებულ თავისივე ლოგიკას ველარაფერი დაუპირისპირა.

– ნინოსთან რას დამაბარებ? დარდით მოკვდება, ხომ იცი!

– დედას ნუ ეტყვი ნურაფერს. ნუ გეშინიათ უვნებელი დავბრუნდები.

ბეგსულთან ბეგხანოვიჩმა კიდევ ერთხელ ირწმუნა „ვეკ ჟივი, ვეკ უჩისო“, რადგან არასოდეს ენახა „ბებერ“ გენერალს გიორგისნაირ მამას თვრამეტი წლის შვილისთვის დაეჯერებინოს და სასაკლაოზე ასე მშვიდად გაეშვას საკუთარი შვილი.

გიორგი გენერლის ანტენებიან მანქანაში რომ ჯდებოდა, კიდევ ერთხელ მოუტრიალდა თემურს:

– ღირსება, რა თქმა უნდა, უპირველესია, მამა, მაგრამ სხვისმა ომმა ღირსება არ იცის, იცოდე.

მამის სიტყვა, როგორც ყოველთვის, გამართლდა და ორმა წელიწადმა ავღანეთის დახრუკულ ხრიოკებზე თემურს ზღვად დაღვრილი სისხლი და ათასი სიბინძურე ანახა. იმას სიგიჟე უფრო ერქვა, ვიდრე რისკი, რასაც მათი სპეცნაწილი ასრულებდა. სანამ „ბასმაჩებთან“ ბრძოლაში გაიწაფებოდა, კავკასიელთა ნაწილი ორმოცი კაცით შეთხელდა. თავისი სამშობლოს ხრიოკ მთებს ამოფარებული ავღანები ჩიტებივით ხოცავდნენ მტრებს. ტყვედ ჩავარდნა მათ ხელში კი იმას ნიშნავდა, რომ შენ გვამს ასო-ასო აქნილს და შეურაცხყოფილს იპოვიდნენ შენიანები სადმე სარზე წამოცმულს. ამ აუტანელ ხოცვა-ჟლეტაში თემურს ნადირის ალღო აღმოაჩნდა. მის ომს ველარ უყურებდა შორეულ ჯულფაში დარჩენილი ბეგსულთან ბეგხანოვიჩი, თორემ – ნამდვილად პოემას მოგიძღვნიდაო – ხითხითებდა ფიცისკაცობიდან სუპერმკვლელად ქცეული დათო ბიძია. კავკასიელთაგან ერთ წელიწადში ორმოცამდე კაცილა გადარჩა და ეს რიცხვი აღარ იკლებდა. – „ესტესტვენი ატბორი“ შედგა, ძმაო. სულ მგლები დავრჩითო, – ხუმრობდა ფიცისკაცი და მართალიც იყო. ეს ორმოცი კაცი ყველას ენანებოდა უბრალო ბრძოლებისთვის და მათ ზეგანსაკუთრებული დავალებების შესრულება უწევდათ. მარტის ბოლო და თემურის დაბადების დღე რომ მოახლოვდა, მათი ნაწილი სამხრეთ ავღანეთში ებრძოდა თალიბებს. დათო ბიძიამ ვერტმფრენის მძღოლი დაითანხმა და მეგობარს დაბადების დღე იმ ადგილას გადაუხადა, რომელსაც დღესაც „გორჯიეს“ ეძახიან ავღანები და სადაც გიორგი მეთერთმეტემ თავის კაცჭამიებს ხუთიათასი ტყვე ავღანი ამოაჟლეტინა ერთ დღეს. თვითონ ყელამდე სისხლში მდგარ თემურს ესიამოვნა უცნაური საჩუქარი, რადგან ბავშვობიდან ლეგენდად გაგონილ მიწაზე ედგა ფეხი. იმ დღეს ბევრი არაყი დაილია ნაწილში. ძილის წინ ჩუმად ილოცეს მეგობრებმა, მეორე საღამოს კი ბრძოლიდან მობრუნებულებმა ორი კაცი მოასვენეს ბანაკში – ერთი ზაურა ჩერქეზი და მეორე – ფიცისკაცი – დათო ბიძია. თბილისელს, სანამ მეგობრის გვამი წინ ედო, მის დაკარგვას თითქოს ვერ გრძნობდა. მერე ცინკის კუბო თვითონვე რომ მოაკალინა საგულდაგულოდ და დათოს ადგილზე სიცარიელე იგრძნო, მთლად ჩაიკეტა თავის თავში – ოცი წლის ასაკში დაბერებული დედიკოს ბიჭი.

აი, ოთხი თვეც და კავკასიელთაგან გადარჩენილ ოცდასამ კაცს სამხედრო სამსახურის ვადის ამოწურვის ბრათები ჩამოურიგეს. უხვად გაიმეტეს ორდენ-მედლები მათთვის მეომარმა გენერლებმა და შინისაკენ გზა დაულოცეს.

იმ დილის ნაცრისფერი არასოდეს დაავიწყდება თემურს, როცა თბილისის აეროპორტში ცივად დაშორდა ნაომარ მეგობრებს. მერე იქვე სამორიგეოში სამხედრო ტანსაცმელი ერთ ფუთად გამოკრა და სამოქალაქო გადაიცვა. ტაქსი უცბად მოიძებნა. თბილისი მშვიდად იღვიძებდა. დათო ბიძიას მრავალჯერ ნაშაყირები სადღეგრძელო მოაგონდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის მტრედებ და უღრუბლო ზეცას რომ ეხებოდა ხოლმე ავღანეთის ცოდვის ტირილში. თემომ მძღოლს მტკვართან შეაჩერებინა და ჯარის ტანისამოსი კაცის კვლაში მიღებულ მედლებიანად წყალში მოისროლა. მანქანა სოლოლაკში გაჩერდა. აი, ბოლო კიბეც, სახლი, ოთახი. თემურმა გაიხადა, ფიცისკაცის სურათი საწოლის ტუმბოზე დადო და დედის გაშლილ ქათქათა ლოგინში შეწვა. მერე ერთდრო მისი ცხოვრების გამმრუდებელი მუშტები თავზე შემოიდო და აზლუქუნდა. ბოლოს ბავშვობის ოთახმა თავისი გაიტანა და თემოს ჩათვლიმა. მონატრებულ სიმშვიდეში ჯოჯოხეთგამოვლილ ნაწამებ გონებას ისევ მალამოსავით ეფინებოდა გალაქტიონი.



ლია სტურუა

## ესეც შეიძლება?

გაყინული ქუჩა ლურსმნებზე მატარებს:
ალესილი პირები ჩემსკენ, ქუდები – მიწაში
უკვე, ფანჯრიდან მეშინია,
გარიგებას ვდებ ტელევიზორთან,
რამდენიმე დიქტორი
ჭინჭარივით ამომდის ყელში
და, ბოლოს, ჩემსავით იწყებენ ლაპარაკს:
ემოცია ენის წვერზე,
ფილოლოგიის ფაკულტეტი ზურგსუკან...
ლაპარაკს რომ სახლში ვტოვებ,
უფრო იოლად გავდივარ გარეთ,
ლურსმნებიანი ქუჩა
კატის ზურგივით ილუნება,
რბილი, შიგნიდან სითბომიცემული
ვილას ვახსოვარ?
ნუთუ, საფლავიდანაც შეიძლება
ხელის ამოყოფა, როგორც საბნიდან?

## შენ

შენ რომ ბავშვობიდან მოდიხარ,
ვაშლების თამაშით,
იდეალურ სიმრგვალეს ვინ შეგილახავს?
მე ასეთი სისხლის წვეთი მაქვს
დაკვნეტილი ფრჩხილების ძირში
ნუ მომთხოვ თანასწორობას!
ჯანსაღი სილამაზე დეკადანსის საპირისპიროდ,
უკვე მომგებიანია,
შენი ქუჩა, ჩემი ტახტის პერპენდიკულარი,
სადაც ხელ-ფეხ მოხსნილი ვდევარ,
სულ ჰორიზონტისკენ დადის, ანუ ცისკენ,
რისი შანსიც დაკარგული მაქვს
იმ ტახტს, კიდევ,
უპიმნო და უდროშო
სამშობლოს ვეძახი,
მისი ზამბარები ჩემი ხერხემალია
და მტკივა
იქნებ, რამე მოიფიქრო,
ისეთი მარტივი, გაქრილ თითს
რომ სულს შეუბერავ,
თორემ მარტო ველარ მოვერევი...

* * *

მაინც, გადავწყვიტე –
ჩემი ყოფილი სახლის
ბოლო სართულიდან!
ხელს კი არ მკრავს ვინმე,
გონებით მიბიძგებენ
დროცაა უკვე:
გული ძაღლივით ყეფს,
უმი სისხლი მძიმეა,
იქვე, ნეფრიტის მძივი,
მაგრამ თირკმლებით ხომ
ვერ ითამაშებ!
კბილების ნერვები
პატარ-პატარა წითელ ალმებს აფრიალებენ
(ახალი ოქტომბრის რევოლუცია)
მე – შიშების ჯამი
ყველაფერი ამის წინაშე
და, კიდევ, მანქანების,
ვაშლის მატლივით რომ გამსრესენ,
თუ ქარმა არასწორად წამიღო
ბოლო თავის მოტყუება:
ვითომ, მთიდან გადავხტი
და მინდორი შემივიდა მკერდში
როგორ ლივლივებს!

* * *

მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრები,
სახლი, ქარვასავით ჰერმეტული
მწერების მიმართ
რამდენიც გინდა, იძახე:
– მე ვარ მწერი, გრეგორი ზამზა!
აბლაბუდიანი კუთხეებიც კი არ დაგიჯერებენ
ჰაერს ბრაზის ხორკლები აყრია,
დავდივარ ქუჩაში და ვეძებ შუადღეს,
ან, თუნდაც, მინიშნებას მასზე
წიგნების გამყიდველი მცნობს,
ალბათ, ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში
ვყიდულობ კაფკას, ცივა,
მზის რიგში ვდგავართ...

## თუნდაც, ერთი სტრიქონი

სად წავიდე ამ მობეზრებული სახლიდან?
მზე, პირდაპირ, ბუზებიანად შემოდის,
პიკის საათი მთელი დღე,
შავი წყალი ხელებიდან,

მერყევი „ხო“ და მტკიცე „არა“
ღმერთო, მომეცი
ლექსის ერთ სტროფში ცხოვრება!
მოთხრობის ერთ აბზაცში,
მთელი ლექსი, ან მოთხრობა,
უკვე, სვეტიცხოველია,
იების გულმკერდი,
სევდის ბაღი
ვისზე ნაკლები ეროტიკა?
ძმისშვილის სილატაკეში არ ცხოვრობდა
გენერალი ორბელიანი, იქიდან
ეთამაშებოდა მაჯამის თვითკმაყოფილებას!
დავდივარ, კუჭის წყლულს,
რეზინზე გამობმული
ნახერხის ბურთივით დავატარებ
თვითონ ამოვიგლიჯე,
თუ ბოშებმა მომყიდეს?
სვეტიცხოველში ვერ ვიცხოვრებ,
მისი სინათლე ჩემს თვალებს აღემატება,
ერთი სტრიქონიც საკმარისია,
პატარა სახლია...

## ზღვაზე ვფიქრობ

რომელი კაცი დაიჯერებს,
რომ ზღვაზე ვარ ფეხმძიმედ,
რომ ამხელა მოცულობის ჩასახვა შეუძლია
ჩვეულებრივ საწოლში?
რა პანიკურად ვცდილობ
ერთი-ორი ტალღა გავაჩინო
ვის მოუნდება მათი მოკვლა,
რა ადგილას ჩაარჭობენ ლურსმანს?
ცრემლის ხელმძღვანელობით
ვფიქრობ ამაზე,
მარილი მიჭამს ფრჩხილებდაკვნეტილ ხელებს
რა სიმწარეა!
წამოვიფოფრები, ერთი ზღვით შემსუბუქებული,
ნერვიულობისგან ფსკერით მოსიარულე,
წყალმცენარეებს თმით,
ისეთი აქტიური ენით,
რამდენიმე ყელს შემოეხვევა, მოახრჩობს.
ვის უნახავს ჩემი აგრესია!
მაგრამ შვილები, ის კაცი?
რომელმაც ბოლო ცეცხლი დამახარჯა
და ზღვით მადლობელი ვარ,
ეს გავაგონე,
აკვარიუმი ოქროს თევზებით
ვეშაპს რომ ხედავს,
ისე დავანახე
დიდი და მტაცებელი სივრცეები,
შიში ჩემთვის დავიტოვე,
ტალღების გაჩენის შესაძლებლობაც,
თუნდაც, გულიდან,
პირდაპირ, საოპერაციო მაგიდაზე...

## ალქიმიკოსი

რა კარგი ამბები ვიცი ალქიმიკოსებზე!
სიტყვას რამდენიმე კგ რკინის წონა აქვს,
აქედან ოქროს იღებენ,
ცხოვრების უკეთეს წუთებში,
სახლები, ფილოსოფიური ქვისგან აგებული,
გულიდან ანათებენ,
მე – ლიფტიდან, სადაც
დროგის ცხენები მყავს შებმული,
ფანჯარაში მოჭრილი ხეების ანაბეჭდი
კვირტებს ისხამს
შუშაზე – კვირტები –
ესეც ჩემი ალქიმია,
შუასაუკუნეების რიმეიქი...
ბოლო-ბოლო, ოქროს, წონითაც
იყიდი, ზოდებს თუ არა,
მოვარაყებულ სიტყვებს ეყოფა,
ყოველგვარი მოდის საწინააღმდეგოდ –
ძაღლს რომ ხელი უკუღმა აუსვა,
თავი დააგლეჯინო,
შვილებს ოქროს ანდერძი დაუტოვო,
თუ გაუჭირდათ, პურში გაცვლიან.

## ინსტალაცია

გრამაფონი იგრეხს კისერს,
ბოთლები, ლამპის შუშები
გედების ინსტალაცია?
შინაური სამშობლო,
შენი წესრიგის მიმღები,
დიდი-დიდი, აიმრიზოს რომელიმე საგანი,
სიტყვას ჩააცმევ ისე მჭიდროდ,
მოითოკება,
ყვირილის დიაპაზონს
ვერცხლის წკრიალამდე შეამოკლებს,
ძირფესვიანი ნივთების დახმარებით,
შენ რომ არ გიყიდია –
მზითევი, მზით გაცვეთა
და სხვა ამგვარი მაღალფარდოვნება,
რაც ამართლებს წიგნების ანარქიას,
ნერვებივით აწეწილ სამშობლოს,
ქარიზმატული ტიპების მიერ,
აუტსაიდერები წიგნებში ეძებენ გმირს,
შენ შინაური საგნების ინსტალაციას
წარუდგენ ქუჩას
– რა წესრიგია! რა მშვენიერი გეომეტრია!
და რა ნგრევა შიგნიდან!
„აირევი ივერიას“ მოტივებზე...

*
* *

დედაჩემის სულ თეთრი თმა
და ქაღალდივით სახე...

– რძე გადავასხი-თქო,
როცა ყველაფრის გვჯეროდა,
სინამდვილის გარდა...
უჟანგავი ფოლადის უღელი მერე დავინახე,
ის კაციც, არწივი კი არა,
ჩ პეპატიტი რომ უჭამს ღვიძლს
(დიაგნოზი მეტაფორის ნაცვლად)
– ნუ ილაპარაკებ ლამაზად!
გაფრთხილება მეორეხარისხოვანი მწერლის,
მაგრამ პროფესიონალის,
ინით შეღებილი თმა, ისეთი მბზინავი,
მეგონა, შარავანდედივით დამადგებოდა,
პირდაპირ მცივანობის კომპლექსზე
კი მაცვია
ისევ ყველაფრის მჯერა,
სიმართლის გარდა...

## მაინც, დასანახად

ზედ შენს გულზე
გადის ეკვატორი.
სადილი პურითაა გამაგრებული,
ვახშამს უფრო უხდება
სევდის მიყოლება
რა მდუღარეა ოქრო,
ალცჰეიმერის დაავადებამდე
და დავიწყების პასტელი მერე,
უძრაობა...
რასაც გინდა, დახატავ,
საგნების სულზეც კი მიანიშნებ,
შუქზე, რომელიც იხედება
ჩრდილის რეტუშიდან,
მოძრაობის გადმოცემა ჭირს,
რაც უნდა ააქტიურო ფერი და ხაზი
ეკვატორის ხაზი, კიდევ, სხვაა,
ქარის წისქვილივთაა,
შენ ხედავ, ვილაცას გიჟი გონიხარ,
უფრო სწორედ, ეგონე,
გაჩერებულს უფრო გეგუებიან,
ბლომად ჩასხმულს
ორთოპედიულ ფეხსაცმელში,
მსუქნად, მაინც დასანახად,
რადგან ერთხელაც თუ გადაიტარე
გულზე ეკვატორი,
ეს უკვალოდ არ მიდის...



„არაფერია დასანახი და მისაგნები" – წერს ნატო ინგოროყვა ამ ციკლის ბოლო ლექსში და ნება-უნებლიეთ მიგვანიშნებს, რომ მკითხველისთვის აქ ყველაფერია დასანახი და მისაგნები.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ეს ლექსები სტრიქონებად კი არა, მეტაფორებად იკითხება ანუ, ცნობილი ჭეშმარიტება რომ გავიმეოროთ, ლექსი მანამ მოდის ჩვენამდე, სანამ მის შინაარსს გავიგებთ.

ნატო ინგოროყვა არაპოეტური რეალობიდან ქმნის პოეტურ ირრეალობას; არ არის ადვილი იმ გრძნობათა სამყაროს გაგება, სადაც მის ლირიკულ გმირს უხდება ცხოვრება; განწყობილებათა დრო-სივრცის განსხვავებული სიდიდეები ერთ ფოკუსშია მოქცეული; ზღვრამდე მისული ექსპრესია მთელი ლექსის სივრცეზე ვრცელდება, ფინალში კი ხდება განმუხტვა, მშვიდობიანი გადასვლა მეტყველებიდან – სიჩუმეში, და ალბათ ეს არის პოეტის ხასიათი როგორც კომპოზიცია.

**ნატო ინგოროყვა**

## პოეზია

გუშინ,  სოფლის ორღობეში მორბენალი
ჩემი ფეხშიშველა სიყვარული,
დღეს, ზღვის ნაპირს კენჭებისგან ალარიბებს
და ხელუკულმა უბრუნებს მის უნაპირო თავდავიწყებას.
ერთი იმედით, რომ სურვილები სარკმლის მინას
                    დუმილად არ შემოახმება
და ოცნებები არ დარჩება ნახატი – ორთქლით.
შემხედე, თვალის უპეები ჩამოვინიე,
გაგიღე კარი და შემოგიშვი.
ნუ, ნუ დაფრთხები, მანდ ტკივილები უფსკეროა.
თუ ჩამივარდი, ხელს არაფრით არ ამოვისმევ.
ნახე, ხელისგულებზე ბედის ხაზი გადავჭერი
და ახლა  სისხლის ყველა უწვრილეს კაპილარში
                    მოედინები.

არ ჩამისახლდე უცხო სხეულად,
ნუ გამომიხრავ ჩემი სისხლის წითელ ბურთულებს.
არ გამითეთრდე, არ შემატოვო ცარიელ ფურცლებს.
ნუ დაგამშვიდებს წიგნის თაროზე მომრავლებული
უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონები.
ჩემს გულისცემას მაჯებთან და ყელთან ახლოს,
შენი სუნთქვა და სისხლში შენი შემცველობა
                    მიწესრიგებს.
სურვილს თხოვნამდე ნუ ამიკრძალავ...
ა მ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ დ ი...

## დრო

გაზაფხულის მზე დაჟინებით მიმარცვლავს დღეებს
და კალენდარიც უხმოდ იტანს დროს, რომელსაც ვახევ
                    ფურცლებად,
ვალარიბებ და ვანუგეშებ სამოსელის სიხალვათით.

მე ამ სიჩუმის დაურღვევლობას ვერ მივუცეკვე
ფეხშეწყობილად
და დროის სურნელს ვალამაზებ მუმიებივით...
კაბას, რომელსაც ვუნახავდი შენს ხელს და თითებს
ჩემს აივანზე, სარეცხის თოკის მკლავებზე ვკიდებ.
და ამ ქალაქის ვიწრო ქუჩის ქვაფენილებს,
ვუთვლი ღიმილებს ნაოჭებში ჩაფენილებს.
და სანახევრო გულდამშვიდებით,
სიყვარულის არაფრისმთქმელ გამოცდილებას ვუცვლი...
ვაშიშვლებ წუხილს და ვგრძნობ,
სულ რაღაც, ცხრა გრამ უპირატესობას ბედნიერების
დაკარგვის წინ...
ნუ აირევი, უნდა გამხილო და გაგიმხილო:
გაგროვებდი:
დედის ნაჯაფარი ხელების დანაყილი სურნელის
სურნელად,
მამის ყველა უთქმელ სიტყვად,
ბებოს ჩამოქნილ ჩემი სიმაღლის სანთლად,
წარმოსახვებში გაცოცხლებულ ბაბუის ხატად
სისხლად და ხორცად,
ჩემს მიცვალებულებად და ცოცხალმკვდრებად,
უკანონოდ გაჩენილ იმედებად,
სევდად, ნისიად შემოსაღებულად,
წაკითხულ და წაუკითხავ წიგნებად,
დაწერილ თუ დაუწერელ სტრიქონებად,
აორთქლებულ წვიმის წვეთებად,
უბოროტო თანაგრძნობად.
დუმილად, რომელიც ვერ ვზიდე,
მზედ, რომელიც ფეხისგულებს აღარ მიწვავს,
ფერებად, რომლებსაც ვერ დავწერ,
შვილად, რომელიც ვერ გაგიჩინე,
შეცდომებად, რომლებსაც არ გამოვასწორებ,
უპასუხო კითხვებად, უასაკო საიდუმლოდ,
ვერაგ ბედისწერად, ჯიუტ სიცოცხლედ.
გაგროვებდი და მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ
ურჩ კულულებში გიწნავდი.
ჩამომიშვავდი...გამოგიზოგე...
მაინც დამთავრდი...

## მეორედ დაბადება

*ფორუყ ფაროხზადეს*

ფორუყ, როცა შენს სიყვარულს, ბავშვურ თვალებს,
კანონის თალხი ნაჭრით უხვევდნენ,
ჩემი სიკვდილი, დედის საშოში ჩემს სიცოცხლეზე უფრო
ადრე იბადებოდა.
დედა ცდილობდა სხეული ჩემგან გამოეთავისუფლებინა
და ამ ვიწრო სამყაროსთვის მიმეტებდა.
ჩემი დედაც გზა და ფარდაგია, მთელი ცხოვრებით,
ჯოჯოხეთის კარიბჭესთან დაფენილი.
ფორუყ, მე ის ბავშვი ვარ, წვიმიან ამინდში უფსკრულში
რომ გადაჰყევი და სიცოცხლედ ამოიოხრე.
გახსოვს, მითხარი, ზნეობა ისეთი მაღალია, ვერ იქნებაო
ადამიანი.
ვერ გედავები, მეც დამყოლი ვარ სისუსტეებზე და
ცხოვრებისთვის ძალებს ვიკრებ.
გზები ჩემთანაც გზაჯვარედინობს და მეც ვფიქრდები,
ნეტავი საით?
თუმც არ ვჩერდები, უნდა ვიარო, სიკვდილის შემდეგ ჩემი
ფოტო შენს ფოტოს დარად
ჩემს ქვეყანაშიც „უჩადროდ" რომ გამოჰფინონ ცოდვის
შვილებმა.
ფორუყ, შენი სახელი შენსავ ენაზე „სინათლეს" ნიშნავს,
ჩემი - მშობლიურს,
და განაჩენი „ლექსებისათვის განქორწინება",
ხელისგულებზე დამლად დამედო.
მეც ჩემს სარკმელთან ჩამომჯდარმა საკუთარ თავს
დავუწყე ძებნა,
და დავინახე ფანჯარასა და მზერას შორის მანძილი
როგორ იზრდებოდა,
მერე მოვიდნენ და დამილაგდნენ სტრიქონებად
სიტყვები, რომლებიც მჭირდებოდა.
ფორუყ, როგორ მეგონა, ადამის მოდგმა სუნთქვით
ერთმანეთს ათბობსმეთქი,
ვაი და, თურმე, ვაბინძურებთ ბედნიერებას
ღვთისმოსაობით.
იცი, ვგრძნობ ვშრები წყალივით საკუთარ გუბეში,
და დედამიწას, რომელიც ჩემზე უფრო მარტოსულია,
რითაც მოვედი, მეც იმადვე ჩავუბრუნდები.
ფორუყ, „ამ მარტოობისხელა ოთახში, ჩემი
მარტოობისხელა გული", შენით დაორსულდა
და აკაციამ, ყვავილები შენს თვალებად რომ გამოისხა,
მე ლექსად გიშვი.

## გუგულის ბუდე

კაფე-თესე,
კაფე-თესე,
კაფე-თესე,
ეს ძახილი გაზაფხულზე იტყუებდა
სოფლის ქალებს ყანა-ბაღში
და თასმები ეხსნებოდათ
თესლით სავსე პირმოკუმულ აბგებს.
ქალები კი ბარის პირით აგორებულ მიწას
აბარებდნენ სხვის ბუდეში ჩასადებად გამზადებულ
ამბებს.
და კაცები მარნის ჭურებს მონდომებით ურეცხავდნენ
შიშის ფერით გაზავებულ ნალველს.
ჩემი სოფლის უცნაური მოხუცები
მხრებზე თრთოლვით იმაგრებდნენ წურბელებს და
სისხლს ატანდნენ ტკივილებით ჩაშენებულ დარდებს.
იდუმალი სუნი იდგა ორღობეში
სოფელი კი კალთებიდან იფერთხავდა
შემოდგომით შენახულ და გაზაფხულზე პირმოსახსნელ
ამბებს.
მე ამ ყოფას შევერიე ჩემი სევდის მარაგით და
დუმილის და უკმარობის განცდით.
დავეძებდი იმას, ვინაც იქნებოდა ჩემში ჩემზე მეტი.
კაფე-თესე,

კაფე-თესე,
კაფე-თესე,
მეც ამ ძახილს გამოვყევი და მოვედი შენთან.
გამიმეტე, უმოწყალოდ სხვის ბუდეში ჩამდე.
მოვიგონე, რომ ხარ ყველა ჩემი ლექსის სათაური
და სტრიქონებს ჩამოვკიდებ საიმედო მხრებზე.
თუმცა სიტყვებს ვერ ვხმამაღლობ,
ყოფნას ჩემთან გიადვილებ სიჩუმით და სამწერტილით...
კაფე-თესე,
მე შენამდე მოვედი და მე შენამდე წავალ.
კაფე-თესე,
ბევრს ვერაფერს შეგპირდები,
დაგიბევებ სასუფევლის ჩეროს
და ჯოჯოხეთს ამოგივსებ ჩემით.
კაფე-თესე,
მე შენამდე მოვედი და, სანამ წავალთ, წავალ...

## ვახმობ სიტყვებს

ვახმობ სიტყვებს.
(ნედლი არ გიყვარს.)
გიმზეურებ და სიმინდის მარცვლებივით
კაკალ-კაკალ გიფშვნი.
ჩემი გამხმარი სიტყვები დასაფქვავად მოგიტანე
ნისქვილო,
ზოგიც ცის ფქვილად,
ზოგიც მიწის ქატოდ.
სალერღელი ამეშალა,
შენთვის გასანდობი ამბები დამიგროვდა.
უცნაური ვინმე ხარ წისქვილო,
ღერღავ და ღილინებ.
გამოგიტყდები: ვერ ვიცხოვრე შენებურად.
„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო"
ვერც იმას გეტყვი, რომ შენი ქვა არ დატრიალებულა ჩემს
თავს.
პო, ნუ დაფრთხები, არ შეყოვნდე,
ჩემზე დარდი ღარში არ გაიჩხირო,
მოდი ჩამოვფქვათ.
შენ წყლის მითხარი, მე მიწისას გაგანდობ.
ფქვილს გობი უცდის მოსაზელად,
ცომს ცხელი კეცი.
ვაცხოთ სიტყვები.
წაბლის ფოთოლში გავახვიოთ სურნელებისთვის.
ცხელ-ცხელი დავტეხოთ და ჩამოვარიგოთ.
დედა სულს შეგიბერავს,
მამა დაგაგემოვნებს,
ბებო ცოცხალი რომ იყოს, პირჯვარს გადაგწერდა
და ყველა ლუკმას ხელიდან რომ დამცვივდებოდა,
ობლის იყოსო, მიაყოლებდა.
მე ნება- ნება შეგექცევი, თან მეღიმება,
ვიცი ისევ ამეშლება სალერღელი.
ისევ გავახმობ სიტყვებს
(ნედლი არ გიყვარს),
ისევ მოგიტან ჩამოსაფქვავად,
ზოგსაც მიწის ქატოდ,
ზოგსაც ცის ფქვილად,
წისქვილო...

* * *

არაფერია დასანახი და მისაგნები.
დრო არ არსებობს, არც არსად მიდის.
ეს მე მივდივარ, მივედინები.
და ვილუკმები უძვლო სიტყვებს,
ვტეხ და ვალაგებ სტრიქონებად ყველა სიჩუმეს.
ვაშიშვლებ ყველა თვალღია და მშიერ იმედებს.
და სანამ ვილაც, ჩემს უჭერო სახლს შემოუღებს
გაცრეცილ კარებს,
მზეს მივაფიცხებ,
ვამზეურებ საკუთარ ჩრდილებს.
... გეპატიჟებით მარტოობაზე!
თუმც ვერაფერი მასპინძლობაა კურცხალი თვალთან,
ჭაღარა თმაში,
ღიმილში ნაოჭი.
და ოთახის ყვავილები ვერ ყვავილობენ მხოლოდ იმიტომ,
აკლიათ თურმე კალიუმი ნიადაგში,
უმზეობისგან ფერმიხდილები,
ფანჯრის რაფიდან უხმობენ მგზავრებს.
და ვინაც დღემდე ჩემთან ერთად ამ ნუგბარს აგემოვნებდა,
დღეს ამიჯანყდა.
და ითხოვს პასუხს კითხვაზე,
რომელსაც გავურბოდი მთელი ცხოვრება.
ითხოვს სიცარიელის ამოვსებას,
ზღაპრის ახდენას,
სიზმრის გაცხადებას!
და ვიდრე ბედისწერა, ეს ურჩი პოეტი,
დამიგებს მახეს, რომ დამანახოს ჩემი სახე,
მოვირგებ ნიღაბს,
იაფად ნაყიდს მეორადი ნივთების მაღაზიაში.
ფრთხილად ვილებ გარდერობში
სადღესასწაულო კაბასავით გადანახულ ჩემს ქალობას
... და ვერ ვირგებ...
ნივთად ქცეული სიცარიელე მკარნახობს,
რომ გამოვტოვე შესაძლებლობა, ვიყო ქალი.
ტკივილებს, სახიფათოდ გაზრდილებს,
ვუზომავ არტერიულ წნევას,
ვატყუებ ტკივილგამაყუჩებელი აბებით
და სევდით ვუკრავ ცხელ შუბლს.
იდუმალებით შეზავებულ ხილვებში,
გვერდით ვუწვები სიკვდილს თავისთავის დაკარგვის
სურვილით
და შენზე ფიქრით გაჯერებულ გარემოს,
ვნების მარილი რომ არ აკლია,
ხელისგულებში ვალღვობ.
ვსვამ მანძილს, ჩვენ რომ გვაშორებს
და თვალებში, ფინჯანზე დალექილი
ყავის ნალექივით რომ ამომილამდა,
ასანთის ღერით ვახატავ მზეს...

26020
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ლექსების ავტორს, როგორც იტყვიან, წარდგინება არ სჭირდება, სტაჟიანი მკითხველი კარგად იცნობს ზაალ ებანოიძეს და მის შემოქმედებას, მის მოქალაქეობრივ და სამწერლო პოზიციას, მაგრამ ამჯერად საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როცა ლექსი თვითონ ითხოვს რაღაც ისეთს, რასაც თანამედროვე კრიტიკის მამები რეპრეზენტაციას უწოდებენ.

ლექსები ერთ შინაარსობრივ ქარგაზეა შერჩეული და დალაგებული, მთლიანობაში იკითხება როგორც პოეტური იგავი, რომელიც „წუთისოფლის სიჭრელის" ალეგორიით იწყება და მთავრდება ეგზისტენციური მორალით: „წუთისოფელიც ერთგვარი თამაშია".

შეიძლება ამიტომაც – თავისებური სილბოთი აღიქმება ეს ღია მეტაფორები, დატეხილი რიტმი, სხარტი ანჟანბემანი, აკადემიური რითმები და აქა-იქ ყვავილებივით გაბნეული ავტონომიური ფუნქციის მქონე სიტყვები.

შეიძლება ამიტომაც – სხვანაირი გვეჩვენება ზაალ ებანოიძის პოეტური პროფილი.

ზაალ ებანოიძე

* * *

წინდაწინ გლოვობ გამოტყუებულ კვირტებს
– მაცდუნებელის კვალზე შემდგარებს თავისით;
და მარტის ქარი ხელს არ დაგვიქნევს ვიდრე.
შუბლზე გამოსხმულ სიმწრის ოფლივით განიცდი.

ეს იმას ნიშნავს – წაკითხულია მარტის
ალეგორია – „წუთისოფელი ჭრელია";
რა სათქმელია – რო შეამჩნიო დარდი
წამწამებივით ახამხამებულ ლელიანს.

ყოველ წელიწადს – სამად სამი დღე სესხად,
რაღა სესხია – მარადიული ვალია;
ეს რა ხანია, ტყემალს რო ხათრად ესხა –
ცოტა მარტის და ბევრი – ტყემალის ბრალია.

* * *

გულგრილობანარევ სიმშვიდეშიც მოჩანს
ინტერესი ზოგად მოვლენათა ჯამის:
იკითხება მოლი – გაზაფხულის დროშა,
გალუმპული გრილი გამთენიის ნამით.

იკითხება ლიბრი ზედაპირი ტბორის,
რგოლზე რგოლის აცმა და ლივლივი ნელი;
გაყურსულა ჭალა და ორ მინდორს შორის
დევს საურმე შარა – გამოწვდილი ხელი.

## ჩვენებებს ფეხდაფეხ რო მიჰყვე...

ეს ღამეც გამოიხმობს სიზმარს
და შენს ამტანობას ამოწმებს;
და ტანზე პერანგივით ისხამ
ნიავის სიფრიფანა სამოსელს.

გარშემო ფშანებია მდორე,
მშვიდად რო აგროვებენ ხმაურებს;
და ყურთან „სო-ლა-სი" და „დო-რე"
თანდათან თავს იშინაურებს.

სხვა რა ჩანს? – სხეულების რიყე
და ჩრდილი შეჯამებულ სახეთა, –
ჩვენებებს ფეხდაფეხ რო მიყვე,
უფრო შორს გევალება გახედვა.

უფრო შორს – ასხლეტილი მორის
ხმაური ორწოხებში ვარდება;
ღრმავდება კიდევ უფრო, მგონი,
ეს ღამეც კიდევ უფრო ღრმავდება.

სადღაა ჟივჟავების ქორო,
ბგერები ნიავებთან მიბმულები;
გარედან იხურება სოროს
კარი და შიგნიდან იყურები.

შიშებმა დაგაწია ხელი,
ძნელია კუნაპეტის შეჩვევა;
ასეთ დროს – ყმუილია მგელის,
დუმილს რო მახვილივით ეჩრება.

თენდება! ფორიაქის კვალი
სიზმრიდან სიცხადეში გადმოგყვება;
ესაა ატრუებაც ღამის
და თვალის კოშმარებთან დამოყვრებაც.

* * *

რომანტიკული რო იყო,
მჩატედ გეჭიროს ქედი:
მთვარეს ჰკოცნიდე – მოითხოვს
ამგვარი კაცის ბედი.

ნისლიდან ამოიხედავს,
სასიამოვნოდ მკრთალი:
თითქოდა ბროლის ციხედან
ქალმა დაგადგა თვალი.

და როცა ცარგვალს შემოწერს
და ჩადრს ბოლომდე იხსნის:

ნამოგახურებს თეოზე
დაბმული ძაღლის სისხლი.

## ზიარი ტექსტი

*გივი ალხაზიშვილს*

ინყება უკვე თამაში ღია,
გროვება ერთად ეკლის და ნარის;
რაღაცა ყურთან დაცდება ნიავს
და საიდუმლო მჟღავნდება ქარის.

„ტირის“ გარეშე ნასწრებულ ფრაზით
დიალოგებში დამალვას ლამობ,
და წუთი-წუთზე ითხზვება აზრი –
თანაც სამივეს სურვილის გამო:

„ის“ „შენ“ გიყვება, „შენ“ კიდევ „მე“ და
ლაგდება სამად სესხი და ვალი, –
ეს იმას ნიშნავს – სამ აჩრდილს ხედავს –
სამ კაცს კი არა – „მეოთხის“ თვალი.

აშენებს ბოლოს „მეოთხე“ ჩვენით
სამყაროს, მაგრამ ჰგონია მისი;
დასაბამიდან ეს არის ძლვენი, –
ძარღვიდან ძარღვში გადასხმა სისხლის.

* * *

ხო ვიტყვით – „კაცი კაცითა“,
ღობე თუ ღობეს მიება;
ცხრა ქალამანი გაცვითე –
ეძებ და გეპატიება.

იპოვე? – გული მიანდე, –
რწმენა შეკონე იებად;
მაღალ სულს ახასიათებს
სხვაში საყრდენის ძიება.

* * *

მსუბუქი მელანქოლია,
სარკმლის ნიავი გრილი...
ყორნის ფიტული მგონია
ფორტეპიანოს ჩრდილი.

აილანდება თითები,
კლავიშებივით თეთრი;
და წუთი-წუთზე ფითრდები
გულის ფარული ფეთქვით.

მორცხვად რო გადმოიხედავს –
დგახარ უფსკრულის პირზე:
ესაა – ბროლის ციხედან
მეფის ასული გიმზერს.

აჭრილი ბედნიერება
ტანში ფარულად გთენთავს,
თუ უკვე რული გერევა
და ეკარგები შენ თავს.

უწონადობაც ინყება,
ბგერის გადათქმა სხივად;
თითქოდა ცოტა სიცხე გაქვს,
თითქოდა ცოტა გცივა.

მიდი-მოდიხარ ამ ორთა
შორის გიჟი და ხელი;
სხვას რას გრძნობ – მე რო გამოვთქვა –
შენც წამაშველე ხელი.

* * *

თვალის ქუთუთოები ფარდებივით ასწია,
შენ რომ გამოხედვაში გაოცებას ელოდი,
ბაგეს მაინც ჩამოტყდა: „ალბათ ეს ის კაცია,
მთელი ჩემი ცხოვრება სიზმრებში რო ვშველოდი“.

„ცხადში ჩემო დუშმანო, ჩემო სისხლის ციებავ“ –
სიტყვას წამოგაშველებ – „წყლულოვანო ალაგო“;
ალბათ მეპატიება, მართლა მეპატიება,
რომ ორივეს მაგიერ ჩემ გულს ველაპარაკო.

## სურო

ტანმრუდე აოტება სუროთა,
სხეულის გაკიდება ხე და ხე...
გწყუროდა, ცახცახი გწყუროდა
გეგრძნო და თითები შეახე.

ქარის და ნიავის მოჭრილს
მართლა რო ცახცახით ამოწმებს,
აგერ რო ჩანია ქოჩორი,
აგერ, ე, იმ სერზე ამოსწევს.

ტყეების ლივლივა სამოსი,
შორიდან – ზღვის მოქცევ-მიქცევა,
ხანდახან მინაზე ჩამოსვლით
ლუნლულა ღრუბელად იქცევა.

ნაისწრებს მოლიბრო საცეცებს –
სულ სხვების ფერებას ჩვეული;
და როცა არ იცის, რას ეცეს –
ე, მაშინ ეზრდება სხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცდურად უმსხვილებს მუსკულებს
ასწლოვან ძელქვებს და ურთხმელებს;
და კერავს ხრამ-ღელე-უფსკრულებს
და ველებს ჭრილობებს უმთელებს,

ტანმრუდე აოტება სუროთა,
სხეულის გაკიდება ხე და ხე...
გწყუროდა, ცახცახი გწყუროდა
გეგრძნო და თითები შეახე.

* * *

არც ჯარისკაცული გაბიჯება,
არც წელმოწყვეტილი რონება;
საშუალო ნაბიჯი რა გვიჯდება –
გული თუ აუხსნის გონებას.

თუ თავად გონებას ავალია
აზრი მისხალ-მისხალ აწონოს;

სოფლის სახურავი – ყავარია,
წყალიც... ამის გამო... ბატონო!..

* * *

წუთისოფელიც ერთგვარი თამაშია,
თანაც რო ფანტაზია შვენის:
მოსვლამდე – აუთვლელი შაბაშია,
წავალთ და მარადისობაა მთელი.

ტრაგედიებზე ბავშვებს ეცინებათ,
ვოდევილებზე მოხუცები ტირიან;
ამ ალოგიკურ შეწყვილებას
ხმალივით ალესილი პირი აქვს:

ვბერდები, მუხლები მემონწმება,
დიმიც მემონწმება და ობჩაც;
საცაა ყელამდე შემომწვდება
სოფლის ქვითკირი და – მორჩა!..

უცხოეთის ცხოვრებიდან

# მე ნამდვილი მელომანი ვარ

*

## საუბარი
## რობერტო ალანიასთან

ეს წლის ნამდვილი ტრიუმფი გახლდათ. რობერტო ალანიამ უკვე გაყიდა 400 000-მდე კომპაქტური დისკი და ამით თავის საყვარელ მომღერალს, ლუის მარიანოს, საკადრისი პატივი მიაგო და, რაც მთავარია, ამ თავბრუდამხვევი კომერციული წარმატების წყალობით ჰიტ-პარადის თავშიც მოექცა. 43 წლისამ, აქამდე მხოლოდ საოპერო ხელოვნების მოყვარულთა მიერ დაფასებულმა მომღერალმა, მთელი საფრანგეთის გული მოინადირა. მის ხმას ყველაფერი აქვს მსმენელის მოსახიბლად: შესაშური მუსიკალურობა, სრულყოფილი დიქცია და ამაყი, ჯანმრთელი ადამიანისათვის ნიშნეული, საუკუნოვანი ფრანგული და იტალიური ტრადიციებით ალბეჭდილი ტონალურობა. სწორედ ამ თვისებების წყალობითაა ეს სიცილიელი ემიგრანტის ვაჟიშვილი დღესდღეობით სხვებზე ბევრად უფრო ალმატებული. გარდა ამისა ამ მომღერალს, დიდ ხელოვანთა დარად, გამორჩეული სცენიურობა და როლისადმი რომანტიკული მიდგომა სჩვევია. სცენაზე თავს არა ზოგავს და ბოლომდე იფერფლება.

**– დღეს თქვენ საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტენორი ბრძანდებით. ძნელი წარმოსადგენია რომ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სიდუხჭირეში გიწევდათ ცხოვრება...**

– დავიბადე კლიში-სუ-ბუაში. სიცილიელ ემიგრანტთა ოჯახში უფროსი ვაჟი მე გახლდით. ღარიბები ვიყავით და თეატრსა ან ოპერაში წასასვლელი ფული არავის ებადა. ბავშვობაში ჩემი კულტურულ სამყაროსთან კონტაქტი საკმაოდ შეზღუდული იყო. გარეთ გასულებს მხოლოდ ტუნისური იაფფასიანი სენდვიჩების ყიდვა თუ შეგვეძლო, ზოგჯერ კი, რა თქმა უნდა, თუ ჯიბე ამის საშუალებას მოგვცემდა, უბნის უბადრუკ კინოთეატრში ფილმებს ვუყურებდით კარატეზე. ორი სეანსი სულ რალაც 10 ფრანკი გვიჯდებოდა.

**– და მუსიკას არ ეუფლებოდით? და არც უკრავდით?**

– როგორ არა! როცა ქალაქში ვერ გავდიოდით, სხვა რა გზა გვქონდა, შინ ვრჩებოდით, ხელში ავილებდით გიტარებს და ვმღეროდით. ცხოვრება ყოველდღიურად ვარდისფერი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, მსგავსი რამ რომ გამოვიარე. ეს ხანა ჩემთვის მაინც ტკბილ მოგონებად დარჩა. ჩვენს ოჯახში ყოველთვის ტრიალებდა მუსიკალური კომედიის სურნელი, როგორც ამას ვხედავთ 50-იანი წლების ფილმებში: ბავშვები იკრიბებიან და ცეკვა-თამაშით ირთობენ თავს, ნამდვილ დღესასწაულს იწყობენ.

**– როგორ ისწავლეთ მღერა?**

– ჩემთვის შეუძლებელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იგივეა, რომ გეკითხათ, თუ როგორ ავიდგი ენა. ყველაფერი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნებრივად მოხდა, ვერ ვიხსენებ ერთ დღესაც კი, რომელსაც უსიმღეროდ ჩაევლოს. სიცილიაში, სადაც ხშირად ჩავდიოდი არდადეგებზე, საოჯახო კონცერტებში დიდი და პატარა მონაწილეობდა, მათ შორის ქალებიც, დედაჩემის მხრიდან უფრო ოპერას ეტრფოდნენ, მამაჩემის მხრიდან კი – საესტრადო ხელოვნებასა და სიცილიურ მრავალსა-

უკუნოვან მელოდიებს ანიჭებდნენ უპირატესობას. საფრანგეთში საბავშვო ბაღში როცა დავდიოდი, ჩემდა უნებურად უკვე ვღიღინებდი. ბიჭები კვდებოდნენ სიცილით და დამცინოდნენ. მათი გაოცების არაფერი მესმოდა. მოგვიანებით, როცა გავიზარდე, ყველაფერს მივხვდი. თურმე ზოგიერთ ოჯახში არც არასდროს მღეროდნენ. ჩემთვის ეს ნამდვილი შოკი იყო. ჩვენთან მუსიკა აღიქმებოდა როგორც მეორე ბუნება. მეგონა, რომ ასე იყო ყველასთვის. თურმე ვცდებოდი.

**– როდის მიხვდით, თქვენი ხმა სხვებისგან სრულიად განსხვავებული რომ იყო?**

– შინ მუდამ გნიასი და ყაყანი იდგა. მაგრამ ჩემი ხმა სჯაბნიდა ყველას. მაშინ შევიგნე, სხვებზე უკეთესი სუნთქვა რომ მქონდა, მეტი სიადვილე და სიმსუბუქე მღერაში. ისიც უნდა ითქვას, რომ იმხანად ჩვენ ყველა ცოტა „ველურად" ვმღეროდით.



*რობერტო ალანია*

უსუფთაო სიმღერა არავის ადარდებდა. მე კიდევ ძალიან ვღელავდი. უცნაურია, მაგრამ ჩემში ეს უხერხულობის შეგრძნებას ჰბადებდა. უკვე 10 წლისა სიმღერას ფრიად სერიოზულად ვუდგებოდი. გადავწყვიტე სამზარეულოში სრული წესრიგი დამემყარებინა: ყველას მივუთითებდი ხოლმე, რა უნდა ემღერა და როგორ უნდა ემღერა. ყველაზე ყრმა მე ვიყავი, მაგრამ ბრძანებებს მე ვიძლეოდი. თუ ინსტრუმენტთა თანხლებით ვმღეროდით, საქმე ბევრად უფრო რთულდებოდა. ქვაბებზეც კი ვურახუნებდით. მთავარი ხმაური იყო. ერთი სიტყვით, მმართველობის სადავეები მოვიხელთე და ცოტა ხანში გუნდი ჩამოვაყალიბე პატარა ორკესტრის თანხლებით. წესი მარტივი გასაგები იყო: თუ ვინმე შეუსაბამო აკორდებს აიღებდა, ინსტრუმენტს უნდა გამომშვიდებოდა... ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემიც კი დავსაჯე, მის გიტარას სიმები მოვხსენი და მივახალე: თუ მაინც და მაინც დაკვრას იჩემებ, შეგიძლია გიტარაზე რიტმი ჩამოკრა. გავხდი რა ოჯახის დირიჟორი, მალევე გავისიგრძეგანე ჩემი ხმის ღირებულებაც. მოგვიანებით მეჯლისს ჩემი ორი უმცროსი ძმაც შეუერთდა. ისინი პროფესიულად უკრავდნენ. ჩემგან განსხვავებით, მათ უკვე ჰქონდათ მუსიკალური განათლება: შეეძლოთ ყველაფრის ჰარმონიაში მოყვანა. ასე და ამგვარად, ჩვენი საოჯახო გუნდი უფრო კომპეტენტური გახდა.

**– უკვე იკვეთებოდა თქვენი, ასე ვთქვათ, მსუბუქი ხასიათი... მაშინ ოპერა უფრო გიზიდავდათ თუ ესტრადა?**

– შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობიდანვე ამ ორი სამყაროს ჰანგები მარნევდა. თავიდან მეგონა, რომ პოპულარული მუსიკა უფრო მიზიდავდა. სინამდვილეში ოპერა უფრო წვდებოდა გულის სიღრმეებს, უფრო მაღელვებდა. საოპერო მელოდიებს უფრო ბუნებრივად ვმღეროდი, როგორც კი მარტო აღმოვჩნდებოდი. მაშინ 13-14 წლისა თუ ვიქნებოდი. იმხანად ისეთი მორცხვი გახლდით, რომ ოჯახის სხვა წევრების წინ პირის გაღებას ვერ ვბედავდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ხელოვნებისათვის აუცილებელი თვისებები არ გამაჩნდა. ჩემი ერთადერთი მსმენელი, ჩემზე ოთხი წლით უმცროსი და მარინელი იყო. რამდენიმე წლის თავზე ჩემი ოპერით გატაცება ყველამ შეიტყო.ჩემი სახლობლოდან რამდენიმე ადამიანი ეჭვობდა, რომ შესაძლოა ხმა მქონოდა. სწორედ ამ დროს დავინტერესდი ესტრადით. ვთხზავდი სიმღერებსაც და კაბარეში სამუშაო ადგილსაც გამოვკარი ხელი. წარმოიდგინეთ, რვა წელი ღამის 12 საათიდან დილის 6-მდე კაბარედან ცხვირს ვერ ვყოფდი.

**– საბოლოოდ ხელოვანი გსურდათ გამოსულიყავით...**

– ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ამ ოცნებას გულის სიღრმეში სათუთად ვინახავდი.ბავშვობაში მიყვარდა ცირკი, კინო, თეატრი.. სამაგიეროდ, სკოლაში დიდ სისულელეებს ჩავდიოდი, ნამდვილი შტერი ვიყავი. თავი, არც მეტი არც ნაკლები, ხელოვანი მეგონა. ამის გამო ჩემს მშობლებს ძალიან შეეშინდათ. განსაკუთრებით დედაჩემს. მისთვის ჩვენ მხოლოდ ემიგრანტები, გადამთიელები ვიყავით. ნამდაუწუმ მიმეორებდა: ძალიან მძიმე ხელობას შეები. ძლიერი ზურგისა და ნაცნობობის გარეშე არაფერი გამოგივა. რაც გინდა, ის გააკეთე, ოღონდ არტისტობას თავი დაანებე. რამე სუფთა სამუშაოზე იფიქრეო. ჩემს ოჯახში ყველა კალატოზი იყო და დედაჩემი მიიჩნევდა, რომ სადმე ოფისში მუშაობა ჩემთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა. მისთვის სიამოვნების მინიჭების მიზნით საბუღალტრო საქმესაც კი დავეუფლე. ერთი წელინადი კაბინეტში ვიმუშავე... დედაჩემი მალევე მიხვდა, რომ ციფრები ჩემი საქმე ნამდვილად ვერ იყო. სხვათა შორის, კაბარეში სიარულს ისევ განვაგრძობდი, იქ კიდევ ჩემი ლათინოამერიკელი კოლეგები მსაყვედურობდნენ, ერთი ძალიან დიდი ნაკლი გაქვს, ძლიერ და ხმამაღლა მღერიო. საოპერო ხელოვნების ერთ ფანატიკოს მოყვარულთან, უკვე საკმაოდ მხცოვან პედაგოგ რაულ რუიზთან გამაგზავნეს. გითხრეს, რომ ხმამაღლა მღერი, არა? ეს სავსებით ნორმალურია. შენ ხომ ნამდვილი ტენორი ხარ... იმ დღიდან მოყოლებული რუიზმა გიჟივით მამუშავა. 1988 წელს პავაროტის სახელობის კონკურსზე პირველ პრიზს გამოვკარი ხელი. მაშინ სმოკინგიც კი არ გამაჩნდა. საჭირო გახდა მეორე კონკურსზე გამარჯვება, რომ ის ბოლოს და ბოლოს შემეძინა. ეს ხანა ჩემს ცხოვრებაში მეტად ძნელი აღმოჩნდა. კაბარეს თავი დავანებე და დავრჩი ჯიბეგაფხეკილი. საბედნიეროდ, ცოტა მოგვიანებით მოვლენები ჩემს სასარგებლოდ განვითარდა. მილანის ლა სკალას სცენის –ტრავიატას – წყალობით ჩემი დებიუტიც შედგა... ოპერაში საკმაოდ დიდხანს მქონდა შთაბეჭდილება,რომ ამ სამყაროს ნამდვილი ნაწილი ვერ ვიყავი... გლინდებურნის ფესტივალის დროს

კაბარედან და, საერთოდ, ესტრადიდან ახალი წამოსული ვიყავი. სცენაზე იმ მომღერლებთან ერთად აღმოვჩნდი, რომლებსაც ბავშვობიდან ვეთაყვანებოდი. თავიდან შემომხედეს როგორც თეთრ ყორანს. ჩემდა საბედნიეროდ, რეპეტიციების დროს მათი ჩემდამი დამოკიდებულება შეიცვალა. მიხვდნენ, რომ ნაღდი ვინმე, ღია და გახსნილი ადამიანი ვიყავი. მეც ენერგიას არა ვზოგავდი და ყველაფერს სწრაფად ვითვისებდი. წარმატებამაც არ დაახანა, მაგრამ, ცხადია, ამას თავგამოდებული მუშაობა უძღოდა წინ.

**– როგორ აღიქვა ოჯახმა თქვენი თავბრუდამხვევი აღმასვლა?**

– თავიდან არც არავის ჰქონდა ჩემი წარმატების იმედი. მიიჩნევდნენ, რომ თვითკრიტიკით ზედმეტად ვიყავი გატაცებული, რომ გაუთავებლად დეტალებში ვიქექებოდი და რომ არასდროს არაფერი გამომივიდოდა. „შეხედე ბიძაშენს, შენზე ბევრად უკეთესი ხმა აქვს, მაგრამ რა გამოვიდა, არც არაფერი. იგივე ბედი არც შენ აგცდება. ეს ისეთი ხელობაა, სადაც ადამიანები ადრეულ ასაკშივე კვდებიან. გაიხსენე კარუზო, მარიო ლანცა, – მეუბნებოდნენ. ალბათ არ ცდებოდნენ, მაგრამ მე გამოუსწორებელი სიჯიუტით გამოვირჩეოდი და ჩემი არ მოვიშალე. შინ ისევ ისე დამცინოდნენ, როგორც უწინ, და ელოდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცხვირ-პირს წავიმტვრევდი. წარმატების ჟამი როცა დადგა, ჩემს მიმართ ერთგვარი შური ვიგრძენი. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემი ოჯახი თითქოსდა განმიდგაო. ყველაფრის ერთბაშად გადახარშვა ვერ მოახერხეს. მე კიდევ მგონია, რომ ცოტათი შეეშინდათ კიდევაც. „ის უკვე აღარ ეკუთვნის ჩვენს წრეს, მხოლოდ მდიდრებისთვის იმღერებს, შეიცვლება და ვერც ველარასდროს ვიხილავთ" –ფიქრობდნენ, ალბათ, თავისთვის. სინამდვილეში კი მსგავსი დამოკიდებულებით ისინი ჩემს მიმართ მხოლოდ სიყვარულს გამოხატავდნენ. ამას მოგვიანებით მივხვდი. თავიდან კი მათმა გვერდზე გადგომამ დიდი ტანჯვა განმაცდევინა. შემდეგ ნელ-ნელა ისევ დავუახლოვდით ერთმანეთს. მიხვდნენ, რომ ისევ ისეთი ვიყავი, როგორც უწინ. დღეს კიდევ დარწმუნებული ვარ, რომ ახლო ნათესავები ძალიან ამაყობენ ჩემით. ერთი სიტყვით, ჩვენ ისევ დავიბრუნეთ უწინდელი ჰარმონია.

**– თქვენ ისე გიყვართ სიმღერა და თქვენი მსმენელი. თქვენზე ხშირად ლაპარაკობენ,როგორც სცენის ერთგვარი ბულიმიით სნეულ ხელოვანზე. არსებობს თუ არა ზღვარი, რომელსაც ცდილობთ არ გადასცდეთ?**

– თავიდან ყველაფრის აღმოჩენის სურვილით ვიყავი შეპყრობილი. ვგულისხმობ განსხვავებულ როლებს, დარბაზებს, სხვადასხვა ქვეყნის პუბლიკას. რაღაც გარკვეულ ეტაპზე შემეშინდა, რომ ჩემი ხმა მსგავს დატვირთვას ვერ გაუძლებდა. ამის გამო ანგაჟამენტთა რაოდენობა საგრძნობლად შევამცირე. მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. ჩემმა თანდაყოლილმა ენთუზიაზმმა ისევ გაიმარჯვა. სინამდვილეში მე ნამდვილი მელომანი ვარ. ვმღერი იმიტომ, რომ მიყვარდება როლი, მუსიკა ან ნაწარმოები. ამიტომაც ვერ შევაქცევ ზურგს შემოთავაზებულ წინადადებას... სიმართლე თუ გნებავთ, პროექტთა 70 პროცენტზე მაინც უარის თქმა მიწევს.

**– შარშან უამრავი ანგაჟამენტის გაუქმება მოგიწიათ და მაინც რა მოხდა? რა იყო ამის მიზეზი?**

– 2005 წლის 31 დეკემბერს სასწრაფოდ საავადმყოფოში გამაქანეს. არადა ამ დღეს პარიზის გრანდ ოპერაში გალა კონცერტი იყო დანიშნული. დილით ფეხზე ვერ დავდექი. პირდაპირ იატაკზე მოვადინე ბრაგვანი. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა, რომ ორგანიზმი შაქარს ვერ ინარჩუნებდა. ღამის განმავლობაში მთელი მარაგი იხარჯებოდა. ამის გამო დილით ღონეგამოლეული ვდგებოდი. ამას დაერთო ტრომბოციტი. ალბათ, გასული წლების ქანცგამწყვეტი რეჟიმის გამო დავისაჯე. მე ხომ შვებულებით ჩემს ცხოვრებაში არ მისარგებლია. მაგრამ ჩემი ტემპერამენტის ადამიანისათვის გულზე ხელების დაკრეფა გაუსაძლისი რამ არის. ისევ შევები უღელს. მაგრამ ტურინში „მანონ ლესკოს" რეპეტიციების დროს ძველმა ჭირმა ისევ შემახსენა თავი. ჩემსას არ ვიშლიდი და რეპეტიციებზე მაინც დავდიოდი. ერთხელაც ისევ გავიშხლართე სცენაზე. კვლავ საავადმყოფოში ამოვყავი თავი. ჩემი მეუღლე ანჯელა გეორგიუ რომ არა, ორი დღის თავზე ისევ სცენას დავუბრუნდებოდი... ახლა, საბედნიეროდ, ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს.

**– თქვენი ფირფიტა, რომლითაც თავის დროზე სახელგანთქმულ მომღერალს, ლუის მარიანოს ერთგვარი პატივი მიაგეთ, უდიდესი წარმატებით სარგებლობს. ეს ხომ არ შეცვლის თქვენს მიდგომას საოპერო კარიერისადმი?**

– იოტისოდენადაც კი არ მესმის, როგორ შეიძლება ესტრადისაკენ ამ პატარა გადახვევამ ლირიკულ სცენაზე ამიცრუოს გული. პირიქით, მომეცა შანსი პრაიმ თაიმის დროს ტელევიზიის ეკრანზე გამოვჩნდე და ხალხს ოპერის შესახებ ველაპარაკო. ამაში სასაყვედუროს ვერაფერს ვხედავ. ლუის მარიანოს სიმღერებმა საყოველთაო პოპულარობა მომიტანა, რაც, ვაღიარებ, ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ თავს და ამას არც ვმალავ. ოპერაში მღერის სურვილი კი გამიათკეცდა. ვფიქრობ, ბოლო დროს რაც თავს გადამხდა, ვგულისხმობ ხსენებულ დისკს, ჩემს ავადმყოფობას, მაძლევს საშუალებას, ყველაფერს მეტი სიმსუბუქით მივუდგე. ოპერაში მღერა ამჟამად უფრო მეტ სიამოვნებას განმაცდევინებს, ვიდრე უწინ. ოპერა დიდი ოჯახია, უზარმაზარი გატაცებაა. ამ ხელოვნებისადმი ჩემი სიყვარული ჯერჯერობით არ განელებულა.

**ფრანგულიდან თარგმნა**
**მერაბ ფიფიამ**

კვირას, 25 მაისს

ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში"
გაიმართება შეხვედრა
**სამსონ ლეჟავასთან**

*დასაწყისი 15 საათზე*
*ფურცელაძის 10*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრისტან მახაური

# შხარას სამყაროს ნაწილი

*

## მურმან ლებანიძის ერთი ლექსის პარადიგმული მოდელი

ლექსი უსათაუროა. იგი ეძღვნება გურამ თიკანაძის ხსოვნას – იმ გურამისა, რომელმაც „სამუდამოდ აირჩია შხარა" (ლევან გოთუა).

1963 წლის 27 აგვისტოს შხარას მწვერვალზე დატრიალებული ტრაგედია ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს და საყოველთაო გლოვის ხასიათი მიიღო.

გურამ თიკანაძე მწვერვალიდან ეშვებოდა...

აი, როგორ აღწერს ამ საბედისწერო დაშვებას ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე ვანო წიკლაური: „გურამმა ბოლოს მონახა ბზარი და დაარჭო კლდის პალო. დღესაც გაუგებარია ჩვენთვის, რატომ გადაწყვიტა გურამმა პირველი დაშვებულიყო. პალოს დამხმარე თოკის მარყუჟი გამოაბა, შიგ თოკი გაუყარა, მოავლო ორივე თოკს ხელი და დაიწყო სპორტულად დაშვება. თოკის ნახევარ სიგრძეზე იქნებოდა ჩასული, რომ შეჩერდა, თოკები კარაბინში ჩასხლიტა და დიულფერის მსგავსი წესით დაიწყო ქვევით დაშვება. ამ დროს კლდის ნაბზარიდან პალო ელვის სისწრაფით ამოვარდა... და ასევე სწრაფად გადაეშვა უფსკრულში.

ქვევით ნისლში და ქარბუქში ჩაიფარცხა ყველაფერი... დავრჩით გაშეშებულნი, სადაც ვინ იდგა. თავზარდაცემულთ ეს კლდეები ჯოჯოხეთად გვეჩვენებოდა.

გონება რომ მოვიკრიბეთ, შევაკოწიწეთ დამხმარე თოკის ნარჩენები. 15-20 მეტრამდე ძლივს გავჭიმეთ და დავიწყეთ დაშვება იმ საბედისწერო მიმართულებით. ოთხი საათი მოვუნდით არცთუ დიდკლდოვან, ფრიალო ჩამოსასვლელს. სამასიოდ მეტრზე რომ ჩამოვედით, იქ რაღაც სასწაულად, თოკი ამოშვერილ კლდეს მოსდებოდა და ბედკრული მსხვერპლი უფრო დიდი ფრიალოს პირზე შეეჩერებინა.

ამიერით ჩვენი გურამი შხარას სამყაროს ნაწილი იყო".

მოტანილი ამონარიდის წაკითხვის შემდეგ თითქოს რაღა უნდა იყოს მითოსური სრულიად რეალისტურ, ნამდვილ ამბავში? მაგრამ ლექსი სულ სხვა რამეს გვეუბნება. მოვყვეთ და გავაანალიზოთ მურმან ლებანიძის ხსენებული პოეტური ნაწარმოები.

გურამ თიკანაძის თემა მრავალი პოეტის შთაგონების წყაროდ ქცეულა და არაერთი ნაწარმოები შექმნილა აღნიშნულ თემაზე. საკმარისია დავასახელოთ ვალერიან საღლიანის, ლადო სულაბერიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ოთარ შალამბერიძის პოეტური ნაწარმოებები, თავისთავად კარგი ლექსები, მაგრამ მურმან ლებანიძის ლექსი ყველასაგან გამორჩეულია.

ხალხურ სიტყვიერებასთან სიახლოვის თვალსაზრისით აღსანიშნავია ვალერიან საღლიანის ლექსი „ნუ ჰკივის კვირიკეს ზარი". ლირიკული გმირის სიკვდილს თითქოს მთელი სვანეთის ზვიადი ბუნება გლოვობს:

**გმინავენ**
**თოვლიანი მთები,**
**ფეხზე დგას**
**უშგული და ცანი,**
**დაჰკიდეს**
**არწივებმა ფრთები,**
**ჯიხვებმა**
**დაინაყეს რქანი.**

ელეგიური განწყობილებით ვალერიან საღლიანის ლექსი ხალხური ხოგაის მინდიას ლექსს უახლოვდება, სადაც ბუნება უმძაფრესი ტკივილით განიცდის რჩეული ადამიანის სიკვდილს: განითლებული, მცხრალი მზე, უკუღმა დამდგარი მთვარე, დაბლა ჩამოყრილი ვარსკვლავები, სატირლად გამზადებული მაღლის ჭიუხის ნადირი და ფრთებდაშვებული ფრინველების ხატი ქმნის ლექსის კომპოზიციურ მთლიანობას. ლექსს თავიდან ბოლომდე გასდევს ნაღვლიანი ტონი.

ვალერიან საღლიანის ლექსში არწივებმა მწუხარების ნიშნად „ფრთები დაჰკიდეს", ხოლო „ჯიხვებმა დაინაყეს რქანი". ლექსში გამოყენებული მხატვრული სახეები ავტორს ფშავ-ხევსურული ხმით ნატირლების პოეტური არსენალიდან აქვს ამოღებული. ხევსურეთში ასე დასტირიან კაი ყმას:

**ვეფხვო, დახყარე იარაღიო,**
**არწივო, დაიჭუჭკენ მხარნიო,**
**ჯიხვო, საწოლთით გადმოღვარდიო,**
**ირემო, დაინაყენ რქანიო.**

მაშასადამე, ვალერიან საღლიანის ლექსში ხალხური სიტყვიერებისადმი ავტორის მიმართება ორგვარია: 1. ელეგიის ჟანრის გამოყენება და 2. ხალხური მხატვრული სახეებით აზროვნება.

ხალხურ სტიქიაში უფრო ღრმად არის შეჭრილი მურმან ლებანიძე. დიდია მისი ლექსის მხატვრული ზემოქმედების ძალაც. ავტორი საკუთარ პოეტურ ნაწარმოებს დაღუპული მონადირის მითოლოგემაზე აგებს. მისი ლექსი ლიტერატურული ბალადაა და ჟანრული მახასიათებლებითაც ენათესავება სვანურ მითოლოგიურ ბალადებს. მურმან ლებანიძის ბალადის გმირის არქეტიპებად შეიძლება წარმოვიდგინოთ ბეთქილი, ივანე ქვაციხისელი, ჯარჯი, სინდიურისძე და სხვა მითიური მონადირენი.

ნადირობა და ალპინიზმი სიმამაცის, გმირობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. სვანურ პოეზიაში დიდი ადგილი სწორედ საგმირო და სამონადირო სიმღერებს უჭირავთ. ანალოგიური ვითარებაა ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაშიც.

კარგი მონადირე კარგი მთამსვლელია, კაი ყმაა. იგი ამ ნიშნითაც უპირისპირდება ცუდას:

**შენ იქ ვერ ახვალ, ცუდაო,**
**სადაც ჯიხვ დავა რქიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიუხებში გორგორმავალ მონადირეს, როგორც ომში შესულ ვაჟკაცს, ჩასაფრებული სიკვდილი უცდის. ნადირობაში დალუპვა ომში სიკვდილის ტოლფასად მიაჩნია მირზა გელოვანს, რომელიც ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსში წერს:

**მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,**
**ვეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება,**
**ვეტყვი, რომ შენ წაიქეცი, როგორც მუხა,**
**როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება.**

*(„მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“)*

ბრძოლა ნადირობასთანაა შეწყვილებული ხმით ნატირლებში:

**გორგი შენ ხარა თაველექათიო,**
**მთაჩი მხოცელი ჯიხვებისაო,**
**ქალას მითხოველთ ვაჟებისაო.**

როგორც ითქვა, კაი ყმის საქმიანობათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნადირობა, როგორც სასახელო საქმიანობა. შეიძლება ის არ იყოს, მაინცდამაინც ადამიანთა გამოსაკვები საშუალება, მაგრამ ის არის მოყმეთა სპორტი, ურომლისოდაც მოყმეობის კოდექსი ნაკლული იქნებოდა. ნადირობის დიდ მნიშვნელობას სამხედრო-სასპორტო ვარჯიშისა და წვრთნის თვალსაზრისით ხაზს უსვამდა კორნელი კეკელიძე, რომელიც იკვლევდა ნადირობისთვის საგანგებოდ შეთხზულ წესებს და შესაფერის ქრისტიანულ ლოცვებს ძველ საქართველოში.

ქართული სამონადირეო თქმულებებისა და ბალადების მიხედვით მონადირის დალუპვის მიზეზი ნადირთღვთაებასთან გამიჯნურება და ღალატია. დალიმ შური იძია ბეთქილზე იმის გამო, რომ მისი ნაჩუქარი მძივი ბეთქილის რძალ თამარს აღმოაჩნდა. გურამ თიკანაძე მითიური მონადირე არ გახლავთ. მას არც გამორჩეული ნადირი მოუკლავს და არც ნადირთმწყემსის სიყვარულისთვის უღალატია, მაგრამ მან დალის საუფლოში შეაბიჯა. ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით კი ნადირთპატრონს ერთგვარად აღიზიანებს მის საკუთარ სამყაროში უცხო ადამიანის ფეხის დადგმა. მურმან ლებანიძის ბალადაში გმირის დალუპვის მოტივაციად სწორედ მწვერვალთან შეთამამებაა მიჩნეული. ეს შეხედულება ბალადის ავტორმა გურამის დასატირებლად მოსულ უხნეს დიაცს – ივდითი ნიჟარაძეს ათქმევინა:

**თეთნულდმა რა მოგცა - უშბაზე რა გქონდა?**
**შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!**

ანალოგიური მოტივაციაა შალვა დადიანის „თეთნულდში“. თემური ადათების დამცველი დიგორხან მწუხარედ მოთქვამს გელახსანის დალუპვის გამო: „როგორ მოისურვე შენ, შვილო და ბატონო ჩემო, უწესო საქმის ჩადენა? ნუთუ შენს ნათელ გონებას და წმინდა უმზაკვრო გულს მოუნდა წმინდა თეთნულდის შეხება?“

არგიშდის სიტყვებით, გელახსანი დაიღუპა იმიტომ, რომ მას უნდოდა გაეთელა წმინდა თეთნულდი. ის მიდიოდა სპეტაკ მწვერვალისაკენ.

შალვა დადიანმა თეთნულდის დაპყრობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას დაუკავშირა და ამით გააუბრალოვა თეთნულდის თემა, გელახსანმა ჩრდილი მიაყენა ტრადიციული საზოგადოების წმიდათაწმიდა ადათებს, ზნეობრივ და მორალურ მხარეს.

დავუბრუნდეთ მონადირის თემას. ნადირთმწყემსისაგან დალუპული მონადირე, ხალხური ლექსების მიხედვით, ანდერძს ტოვებს, რომ საკადრისი სუფრა გაუმზადონ; ნათესავებმა გლოვის ნიშნად წვერი მოუშვან; მოყმის ცოლს გადასცენ, ობლები კარგად გამოზარდოს; თანატოლებმა მოიარონ მთების ყურეები და უფსკრულები, მოძებნონ დაკარგული მონადირე და წაასვენონ სოფელში, დაიტირონ და პატივით მიაბარონ სამარეს. ამგვარ სურვილს ამოვიკითხავთ ბეთქილის, ივანე ქვაციხისელის და ვეფხვისა და მოყმის ბალადაშიც.

ამჯერად გავიხსენოთ ბეთქილის ანდერძი. ერთი ვარიანტის მიხედვით გადარჩენილ მონადირეს ბეთქილი ევედრება:

**უამბე მამაჩემს:**
**რანგი და ღვინო ბლომად მიკურთხოს;**
**უამბე დედაჩემს:**
**ხაჭაპური და ჭიშდვარი ბლომად მიკურთხოს;**
**უამბე ჩემს ძმებს:**
**თმა-წვერი დიდად დაიყენონ;**
**უამბე ჩემს დებს:**
**თმები ბლომად მოიჭრან;**
**უამბე ჩემს ცოლს:**
**ბავშვები ობლობაში კარგად გამოზარდოს;**
**უამბე ჩემს საყვარლებს:**
**ჩემმა საყვარლებმა ჩუმ-ჩუმად დამიტირონ;**
**უამბე ჩემს ტოლებს:**
**ჩემმა ტოლებმა საკაცით წამიღონ,**
**აღმართში კვნესით ამიტანონ,**
**ვაკეზე ზარი მითხრან!**

მურმან ლებანიძის ბალადის გმირი გურამ თიკანაძეც ანდერძს ტოვებს. მისი ანდერძიც მსგავსი შინაარსისაა, მაგრამ გურამს, პოეტის თქმით, საკუთარი სიკვდილი სიკვდილად არ მიაჩნია. აი, ესაა ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება შესადარებელ ხალხურ და ლიტერატურულ ბალადებს შორის:

**– ხოჩა საკაცე გამითალეთ,**
**დავაწყო ხორცი და ძვალი.**
**სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,**
**აღმართში კვნესით ამიტანეთ,**
**ვაკეზე მითხარით ზარი!**

გურამ თიკანაძის „ანდერძი“ მოკლეა და ლაკონური. მურმან ლებანიძეს რომ ხალხური ბალადით უსარგებლია, ამას ზედაპირული დაკვირვებითაც შევამჩნევთ, რადგან ბოლო ორი სტრიქონი: „აღმართში კვნესით ამიტანეთ, ვაკეზე მითხარით ზარი!“ პირდაპირ ხალხური წყაროდანაა ნასესხები. მაგრამ აქ სესხება შემოქმედებითია და ამის შესახებ ცოტა ქვემოთ შევჩერდებით.

მურმან ლებანიძემ გურამ თიკანაძეს მიუძღვნა აგრეთვე მხატვრული ნარკვევი „გამოცილება სვანური ზარით“. ამ ნარკვევში ავტორმა შთამბეჭდავად დახატა „კლდეს მორკინალი და ბეწვის ხიდზე შემდგარი ვაჟკაცის“ პორტრეტი, ჭირისუფლის მგრძნობიარე თვალით აღწერა გურამის ჩამოსვენება შხარას მწვერვალიდან და მთელი სვანეთის გლოვა. ეს მხატვრული ნარკვევიც ერთგვარ გასაღებად იქცა მისი ბალადის არქეტიპული მოდელის შესწავლის საქმეში. ზემოთ აღინიშნა, რომ გურამი, ვითარცა მითიური მონადირე, ნადირთღვთაებასთან დაკავშირებული არ ყოფილა, თუმცა ხსენებულ ნარკვევში ქვეშეცნეულად მაინც ტივტივებს ნადირთპატრონის დაფარული სახე და ასევე ფარულად უკავშირდება იგი ლიტერატურული ბალადის გმირს.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ გურამის ცხედართან მისაგებებლად შხარასკენ მიმავალ მურმანს უშგულის გზაზე შემოხვედრილი ამრიდონ ჩეგიანი ჯიხვებზე ნადირობას გაახსენებს და მოუბოდიშებს კიდეც: „კვირის თავზე ცხრა წლის ხარჯიხვი მოვკალით, სულ თავში ხელი ვირტყით, რალა შენთან შევრცხვით, რალა იმ დღეს მოგვეცარა ხელიო!“ (იხ. მხატვრ. ნარკვევი).

ნარკვევის ავტორი დალის არსად ახსენებს (ეს გარემოება შეიძლება ქალღმერთ დალის სახელის ტაბუირებითაც იყოს გამოწვეული ანდა ავტორის შემოქმედებითი მეთოდით აიხსნას), მაგრამ მისი არსებობა მაინც იგრძნობა. გურამის ჩამოსასვენებლად წასულნი თითქოს ბეთქილთან ან ივანე ქვაციხისელთან შესახვედრად მიდიან. ასეთი სურათია დახატული მურმან ლებანიძის ნარკვევში. მითოსურ დროში მომხდარი ამბავი თითქოს ისტორიულ დროში მეორდება.



*გურამ თიკანაძე*

ისტორიული სინამდვილის მითიურ სამყაროსთან დაახლოებას კიდევ უფრო ცხადად გვაგრძნობინებს ლიტერატურული ბალადის კიდევ ერთი დეტალი:

**ვოი, კალა-უშგული შეკრებილა,**
**ყანას და სათიბს მომცდარა,**
**მთელი სვანეთი შეკრებილა,**
**მთლად საქართველო შეკრებილა,**
**შხარასთან ღრუბელივით მომდგარა.**
**ვოი, შხარა სისხლით შეღებილა –**
**კოხტა თიკანაძე მომკვდარა.**

აქ კიდევ ერთი სტრიქონი ააშკარავებს ხალხურ პოეზიასთან ნათესაობას: „ვოი, კალა-უშგული შეკრებილა“. ბეთქილის ბალადა კი შემდეგნაირად იწყება:

„მულახ-მუჟალი იკრიბება“.

მურმან ლებანიძის ლექსში სიტყვა „შეკრებილა“ სამგზის იხსენიება, რათა ხაზი გაუსვას ხალხის ერთიანობას გლოვაში. შხარასთან ღრუბელივით მომდგარმა ხალხმა განშორების ცრემლი უნდა დააწვიმოს გურამის ცხედარს. თითქოს უნდა განმეორდეს ტრაგიკულად დაღუპული მონადირის დატირების უძველესი რიტუალი, რომელიც XX საუკუნის ბოლომდე იყო შემორჩენილი სვანეთის სოფლებში. მითიური გმირი ბეთქილი სიკვდილის წინ თანასოფლელებს სთხოვდა, „სამთი ჭვიშხაში“ შეესრულებინათ. შემდეგში ეს ფერხული სრულდებოდა ყოველ გაზაფხულზე ჟაბეშში, იმ კლდესთან, სადაც თქმულების თანახმად დაიღუპა ბეთქილი. დატირების რიტუალი სრულდებოდა აგრეთვე მონადირე თეთრი მანგურის ან ჩორლას სახელზე, რომელიც, გადმოცემით, ქვემო სვანეთის სოფელ ჩოლურის მცხოვრები იყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მონადირის დატირების რიტუალი დაკავშირებულია ბუნების განახლებასთან, გაზაფხულის დღესასწაულთან, კვდომად და აღდგომად ღვთაებებთან: „კლდეზე დაღუპული მონადირე რაჭაში აგრეთვე აქტიური კულტის საგანი იყო, – წერს ელენე ვირსალაძე, – ივანე ქვაციხისელის სახელს სხვადასხვა ადგილს უკავშირებენ, ყველაზე მეტად კი კლდეს – ქვაციხეს სოფ. ღებთან, სადაც დგას მისი სახელობის ნიში და ქვას, რომელიც თქმულების თანახმად გადმოყვა ივანეს კლდიდან და გააცამტვერა“ (ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, 1964).

ივანე ქვაციხისელის დღესასწაულსაც გაზაფხულზე იხდიდნენ: „ნაალდგომევს, მესამე კვირას, სოფელ ღებში გააბამდნენ ფერხულს და ივანე ქვაციხისელის ლექსს იტყოდნენ. ეს ლობჟანიძეების დღეობა იყო“.

მითოსის კვალი აღბეჭდილია რელიეფში, ბუნებრივ ლანდშაფტში. იახსარისა და კოპალას ბრძოლების კვალს ვხვდებით ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, არაგვისა და ივრის ხეობებში. სამონადირეო თქმულებებიც რეალურობის პრეტენზიითაა შემონახული ხალხში. რაჭველებს მტკიცედ სწამთ ივანეს არსებობა; ისინი არამარტო სალოცავ ნიშსა და ქვაციხეს, ივანეს ნაქონ ნივთებსაც კი უთითებენ: „ივანეს ლახტი და ჯორის ლაგამი ეხლაც აწყვია მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, გონაში, – მიამბობდა უწერის მცხოვრები დიმიტრი მეტრეველი, – იქვეა მისი ციხე ღების მახლობლად“ (ე. ვირსალაძე).

მურმან ლებანიძისთვის ეს ადგილები კარგად ნაცნობი და მშობლიურია; რაჭის ფოლკლორმა და ბუნებრივმა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემომ მნიშვნელოვნად გაამდიდრა პოეტის მხატვრული სამყარო. მისი ლექსების მუსიკალურობას დიდწილად განსაზღვრავს რაჭული და სვანური საფერხულო სიმღერების რიტმი და მელოდია.

ხალხური ეპიკური ტრადიციის მსგავსად ლიტერატურულ ბალადაშიც ხდება გმირის დატირება. მურმან ლებანიძის ხსენებულ პოეტურ ნაწარმოებში დატირების რიტუალს უშგულელი მოხუცი ივდითი ნიჟარაძე ასრულებს. სავსებით რეალური პიროვნება პროფესიონალი მოტირლის დაუვიწყარი ლიტერატურული სახეც არის. იგი გულშიჩამწვდომი სიტყვებით დასტირის მთასთან შეჭიდებულ ვაჟკაცს:

**თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?**
**შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!**
**ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა,**
**რამ დაგაპატარავა, შვილო?!**

დაუვიწყარი სიტყვებია, მაგრამ ეს არ არის ბალადის ავტორის აზრი. მისი პოზიცია შემდეგ იკვეთება, როცა ის გურამ თიკანაძის ღვაწლის წარმოჩინებას ცდილობს. ის თითქოს ეკამათება მოტირალ დიაცს და უფრო ნათლად აყალიბებს მთავარ სათქმელს: გურამ თიკანაძემ წარუშლელი კვალი დატოვა მშობელი ხალხის წინაშე და მისი პოეტური ხატი სამუდამოდ აღიბეჭდა მკითხველის მეხსიერებაში:

**ასი ცხენოსნით**
**უშგული გახლავს**
**და ბეჭზე მიდევს**
**შენი საკაცე...**
**შენ დაგეუფლა**
**ძილი და დაღლა,**
**შენ დასახარჯი**
**შენი დახარჯე...**
**შენ გაიელვე**
**ღრუბლებზე მაღლა**
**და საქართველოს**
**ლამე გახაზე...**

მურმან ლებანიძის შედევრის შექმნას (თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ შედევრი!) ავტორის უდავო ნიჭიერებასა და ეპიკური ტრადიციის ღრმა ცოდნასთან ერთად ხელს უწყობდა თვითონ გურამ თიკანაძის პიროვნული ღირსებები, პოეტური ბუნება. გურამის დღიურებში მის მიერ დაპყრობილი მწვერვალები პერსონიფიცირებული სახით არიან წარმოდგენილნი; დავიმოწმოთ ფრაგმენტები ამ ჩანაწერებიდან:

„კატინ თაუმ და თეთნულდმა არ მიგვიკარეს".

„სიზმარში ვნახე, თითქოს თეთნულდმა გადიყარა ღრუბელი და გვეძახდა – ამოდითო".

„ჩემს წინ, თითქოს ხელი უნდა ნამავლოსო, უშბა დამდგარიყო".

ეს ფრაგმენტული ჩანაწერები იმ კაცისაა, ვინც იცის, რომ „ყოველ ქვის ქვეშ და ფიფქში მარცხია ჩასაფრებული", რომ „ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია", მაგრამ შიშს არ ნებდება და არ კარგავს სილამაზის განცდის უნარს.

მურმან ლებანიძის ბალადა სვანური მოთქმის კილოთი იწყება („ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში..."), მომდევნო სტროფებში კი მეტრი და რიტმი მონაცვლეობს, რაც უფრო საინტერესო საკითხავს ხდის ნაწარმოებს.

დაღუპული მონადირის მითოლოგიურ ქარგაზე შექმნა მურმან ლებანიძემ გურამ თიკანაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბალადა. ავტორმა ღრმად განიცადა და გაითავისა სვანური მითოლოგიური პოეზიის ერთ-ერთი დაუვიწყარი გმირის – ბეთქილის სახე, მოარგო გურამ თიკანაძის პიროვნებას, რითაც უფრო გაამძაფრა მოვლენის ტრაგიზმი და ახალ სიმაღლეზე აიყვანა საკუთარი პოეტური ოსტატობა.

## ჩვენი ფოსტა

ბატონო რედაქტორო, ვიცი, მკითხველების წერილებს დიდი ხალისით არ ბეჭდავთ და ალბათ არც ჩემს წერილს ელირსება გამოქვეყნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე მოგწეროთ და გაგიზიაროთ ჩემი აღფრთოვანება იმ პუბლიკაციის გამო, რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის" მეშვიდე და მეცხრე ნომრებში. კერძოდ, ეს არის მარიამ კარბელაშვილის ჩანაწერები, უფრო სწორად, ფრაგმენტები აკაკი შანიძის პორტრეტისათვის.

სამწუხაროდ, ქალბატონ მარიამს არ ვიცნობ, არც მისი სამეცნიერო შრომები ნამიკითხავს, მაგრამ ამ ჩანაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კარგი მეცნიერი და ღირსეული მოქალაქე უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ასე ღრმად ვერ ჩასწვდებოდა დიდი აკაკი შანიძის ფენომენს, მის ადამიანურ ბუნებას.

დოკუმენტური რომანების ავტორი ბრძანდებით და შესანიშნავად მოგეხსენებათ, ბევრი თავისი ცხოვრების ამბების აღწერას იმისთვის იწყებს, რომ თავი გმირად, ყოვლისშემძლედ და სიკეთის განსახიერებად წარმოგვიდგინოს. ქალბატონი მარიამი ალბათ იშვიათი გამონაკლისთაგანია, იგი სხვაზე წერს, სხვას წარმოაჩენს გმირად და ეს არა მარტო სასიამოვნო და მისასალმებელია, არამედ საინტერესო და, რაც მთავარია, დამაჯერებელია.

კითხულობ ჩანაწერებს და გჯერა, რომ ეცნობი პატიოსანი ადამიანის აზრს ადამიანზე, რომელსაც ყველა ვიცნობდით როგორც დიდ მეცნიერს, მაგრამ ცოტა რამ ვიცოდით მისი პიროვნული თვისებების შესახებ. ქალბატონმა მარიამმა ახლოდან დაგვანახა აკაკი შანიძე. ეს ცოტა არ არის.

მარიამ კარბელაშვილის მოგონებები ადასტურებს, რომ ჩვენში კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ სხვისი ღირსებების დანახვა და დაფასება.

თუ გადაჭარბებად არ ჩამითვლით, მეტსაც ვიტყოდი: ასეთი ადამიანები ქმნიან კულტურას.

ერთი სიტყვით, მადლობელი ვარ, რომ მომეცით საშუალება გავცნობოდი ამ შესანიშნავ მოგონებებს. იმედს ვიტოვებ, მომავალშიც ვიხილავთ ასეთ მასალებს თქვენს ჟურნალში. ეს სჭირდება მკითხველს, საზოგადოებას, ქვეყანას.

არ ვიცი, რატომ, ამეკვიატა და არ მშორდება აკაკი შანიძის ფრაზა: „ფხიზლად, ქართველებო, ფხიზლად!"

**იოსებ ქადაგიშვილი**
*მცხეთა*

სალომე კაპანაძე

# „ხიდი“ – დიალოგი წარსულთან

„ხიდი“ – ასე ჰქვია წიგნს, რომელიც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხელშეწყობით გამოვიდა და რომელშიც ქართველები და აფხაზები 15 წლის შემდეგ არატრადიციულ გარემოში სხდებიან დიალოგისათვის. საუბრის ფორმატი მშვიდობიანია, თუმცა თემა საკმაოდ მძიმე – ომით დანგრეული წარსული და მომავალი, რომელსაც ეს ყველაფერი ახსოვს.




წიგნში აფხაზი და ქართველი მწერლების სხვადასხვა თაობაა წარმოდგენილი და მათ სწორედ ეს პრობლემა აერთიანებთ. მათთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე უკვე ნაცნობი ჭეშმარიტება – ომი თავისი მორალით, ადამიანური ინსტინქტების სრული გამოვლენით, ჰეროიზმთან ერთად იმ განცდებსაც აღვიძებს, რომლებიც იმისთვის გვჭირდება, რათა ადამიანად გაჩენის ბედნიერება და პასუხისმგებლობა სათანადოდ შევაფასოთ. კაცობრიობის ნაცოდვილართა შორის ომი თავისი არსითა და შედეგებით ყველაზე ფატალურია. იგი არაერთხელ ქცეულა ლიტერატურულ მასალად.

მწერლობა – მესამე თვალია ადამიანებისთვის, რომლის მისია ასეთ დროს არამარტო აღწერა, არამედ ბრძოლაა იმისათვის, რათა გადაარჩინოს ყველაზე მთავარი – ადამიანთა სულები თავიანთი განსაკუთრებული ემოციური კავშირით ერთმანეთთან და პიეტეტური, საკრალური დამოკიდებულებით სამყაროს იმ მონაკვეთთან, რომელსაც სამშობლო ჰქვია.

თურმე ადამიანებს ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი სოლიდარობის ძიებისა და სასიცოცხლო სივრცის შენარჩუნების ინსტინქტი მართავთ. მათ შორის, იმათაც კი, რომლებიც ომის დროს ყველაფრის ნებადართულობით მოქმედებენ და ქმნიან იმ ტრაგიკულ ქაოსს, რომელსაც ომი ჰქვია.

აფხაზეთის მოვლენებმა თავისი მიზეზ-შედეგებით თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართულ მწერლობაში ომის თემა დააბრუნა. იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის სახელმწიფოებრიობის უმწიფარმა განცდამ აბელისა და კაენის ბიბლიური ცოდვის რეინკარნაცია მოახდინა. თაობამ, რომელმაც მამების თქმით, „მშვიდობის ფასი“ არ იცოდა, თავისთავზე განიცადა ღირებულებათა რღვევისა და გადაფასების უმძიმესი პროცესი. საქართველო ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის დაისმა მოიცვა. ეს განსაცდელი იქნებ იმიტომაც მოგვივლინა უფალმა, რათა განწმენდილნი მივბრუნებოდით უფლის სამსჯავროს. მიუხედავად იმისა, რომ ომის სასტიკ, მახინჯ რეალობასთან შეხება ძალიან ძვირი დაუჯდა ომის თაობას, ქართულმა მწერლობამ ზომიერების შესანიშნავი განცდით, ბარომეტრის სიზუსტით აღიქვა და შემდგომ ვირტუოზულად ჩაალაგა მოვლენები ქვეყნის მატიანეში. მართლაც, რა „ბედნიერნი არიან მწერლები, აზროვნების ტვირთის სიმძიმისაგან რომ გვათავისუფლებენ და ასე ადვილად ქსოვენ ელვარე სამოსელს არსებული სიმართლისათვის“ (ანდრე მორუა). თუმცა ამ სამოსელს მხოლოდ ის ქსოვს, „ვინც წერს და არა – ცდილობს წერას“ (ერნესტ ჰემინგუეი).

კონკრეტულ შემთხვევაში, როცა მწერალს ომის თემასთან უწევს შეხება, ამის დამტკიცება უფრო ადვილია, ვინაიდან, თუ მართლა წერ – „შესანიშნავი“ კოლაჟია. აქ ნახავ ყველაფერს – ადამიანურ სიმტკიცესა და სისუსტეს, კეთილშობილებასა და სიმდაბლეს, მოძებნი იმ სიმართლეს, რომელმაც ორი დაკარგული ქართულ-აფხაზური ანდროგენი უნდა გააერთიანოს. ამიტომაც ჰქვია წიგნს სიმბოლურად – ხიდი. დავხურე მისი ბოლო ფურცელი და უნდა ვაღიარო – დაკარგული ნახევრის მტკივნეულ განცდასთან ერთად გერტრუდა სტაინის ცნობილი გამონათქვამი – „თქვენ დაკარგული თაობა ხართ“ამეკვიატა. მეორე მხრივ, არსებული რეალობის გათავისებაც გამიჭირდა – მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ამოგლეჯა ჩვენი ისტორიის კონტექსტიდან წარმოუდგენელი და შეუძლებელი მეჩვენა. ქართველმა და აფხაზმა მწერლებმა სწორედ ეს მთავარი სათქმელი გაახმოვანეს – ეს არის ქართულ-აფხაზური მთლიანობის გარდაუვალი აღდგენის კანონზომიერება, რომლის წინაშე უძლურნი არიან ყველაზე დახვეწილი პოლიტიკური ინტრიგის შემოქმედნიც.

წიგნში მწერალთა სხვადასხვა თაობაა წარმოდგენილი. ყველაზე უხუცესი – აფხაზი მწერალი ფაზილ ისკანდერია. ყველაზე ნორჩი – დავით ქართველიშვილი. აქვეა – ალექსი გოგუა, დაურ ზანთარაია, დაურ ნაჭყებია, გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა, დათო ტურაშვილი, ბესო ხვედელიძე, შალვა ბაკურაძე, მიხო მოსულიშვილი, თამრი ფხაკაძე და სხვები. როგორც უკვე ვახსენე, ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის – დავით ქართველიშვილია. ტრადიციას დავარღვევ და მისგან დავიწყებ, ვინაიდან ეს ის შემთხვევა არ არის, როცა „მწერლის ფაქიზ ხელნაწერს სიკვდილისა და ქუხილის შავი ლაქა უსვამს ხელს“ (ჟან კოკტო). აფხაზეთის ომის დროს, იგი მხოლოდ ცამეტი წლისა იქნებოდა და მას ომი ცხელ კვალზე ალბათ არ განუცდია. თუმცა დევიზი, რომლითაც მწერალი შემოდის „სჯობს იყო ბანალური და ჭეშმარიტი, ვიდრე ორიგინალური, მაგრამ მცდარი“, თავიდანვე უკუაგდებს მოლოდინს – იხილო ახალგაზრდა მწერლის წარმოსახვის ვირტუალური ბატალიები. ომი გრძელდება, მისი ცოდვა-მადლის შედეგები ხელისგულზე უდევს მწერალს ინვალიდის სავარძელში მჯდომი მეომრის სახით, რომლის მიმართ გაუგებარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობა გიჩნდება – სიბრალულისა და, ამავდროულად, ზიზღის, რადგან მისი ნათქვამი ფრაზა „მე არ ვიცი, რატომ მივდივარ ომში“ – ითხოვს, გავმიჯნოთ ნამდვილი გმირობა, ყალბი პათეტიკისაგან, რათა ჩრდილი არ მივაყენოთ იმათ, ვინც ზუსტად იცოდა, რისთვის მიდიოდა ომში, ვინც იმ კრიზისულ ჟამს მისი ქვეყნის მთავრობის მოწოდებას კი არა, სამშობლოს ძახილს მიუგდო ყური.

დათო ქართველიშვილის მოთხრობის „მოდი, შუბლზე გაკოცო“ ტონალობა ირონიულია, მწარე სიმართლენარევი და მკითხველს ისევე ესაჭიროება, როგორც ის ჰეროიკული პასაჟები, რომელსაც ამ წიგნში არაერთხელ შევხვდებით. ერთი რამ ცხადია, აფხაზეთის ომში იყვნენ ისეთი „მეომრებიც“, ვისაც არა აქვს სიამაყის განცდის უფლება, თუნდაც იმიტომ, რომ არ იცოდა, „რისთვის მიდიოდა ომში“. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმხანად მავანმა და მავანმა სარფიანად ივაჭრა დაკარგული თაობის ოცნებებით სამშობლოზე, სიტყვები – „პატრიოტიზმი“ „ოპტიმიზმი“ გაიცვითა. ხოლო ფრაზა – „ჩვენ დავბრუნდებით“ –სასიკვდილო სარეცელზე ლაფავდა სულს.. მოთხრობის მთავარი გმირი – ანდრო – ყველა იმ თვისებას აერთიანებს, რომელიც არ უნდა ჰქონოდა მეომარს, თუმცა ისიც ამ დიდი ვაჭრობის მსხვერპლია და ამდენად – შესაბრალისიც.

მეომრის პაროდირებული სახე შექმნა ბესო ხვედელიძემ ნაწარმოებში „წყევლა“. დაკარგული თაობის ცოდვა უწევს ყველას, ვინც იმ მრუდე გზას გაიმეორებს და მომავალი თაობის ოცნებებს ვაჟკაცობასა და პატრიოტიზმზე გააუფასურებს, ფულს – სიცოცხლესა და სიყვარულთან გააიგივებს და ასე შექმნის ცრუ სამოთხეს. მოთხრობის მთავარი პათოსი და მთავარი სათქმელი სწორედ ეს არის.

ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად ირმა მალაციძის მოთხრობას – „გუნდა“. წიგნში არაერთი მოთხრობაა აგებული რეალურ სიუჟეტზე და ეს კანონზომიერია, ვინაიდან ომის თემატიკის გაშლა პროზაში შეუძლებელია დოკუმენტური თხრობის ელემენტების, ნაღდი სიმართლის გარეშე. რა თქმა უნდა, ყოველივე მხატვრულად ტრანსფორმირებული და მწერლის დუღაბში უნდა იყოს გამოტარებული.

ქართველ მეომრებს ომის დროს ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი უვარდებათ ტყვედ, რომელიც აფხაზი მეომრის – სერგო ბგამბას მეუღლეა. ხორციელ ცდუნებასთან ერთად მეომრებს შურისძიების ჟინი უმღვრევთ ტვინს. რა გაიმარჯვებს – ვაჟკაცობა, ღირსება, ქალისადმი პატივისცემა თუ მტრის სიძულვილი? ვითარება მოთხრობაში ფრიად ექსტრემალურია, მკითხველის მოლოდინიც – განსაკუთრებული. „კაი ყმის“ ქვეყანაში იგი სწორედ ისეთ ფინალს ელოდება, როგორიც ამ მოთხრობაშია. ქართველი მეომარი სამშვიდობოს გააცილებს გუნდას. ქაღალდში გახვეულ მინას გაატანს ქმართან და დაუბარებს – „ამას ვერ ვიყოფთ მე და შენი ქმარი... გესმის? ამ მიწად ვიქცევით ადრე თუ გვიან და მაინც ვერ ვიყოფთ“. ასეთ მორალს ეყრდნობა ადამიანების სულიერი გადარჩენის იმედი და ის არასოდეს რჩება უპასუხოდ. ორი დღის შემდეგ მოწინააღმდეგემ ორმოცი ქართველი მძევალი გაათავისუფლა. ერთ-ერთს ხელში წერილი ეჭირა „გმადლობთ. სერგო ბგამბა“... ასე გაიმარჯვა გაზაფხულმა, ასე მოიგო მან „თავისი წილი ომი“ – ამბობს მწერალი.

სრული ზიარება ყოფიერების ტრაგიზმთან, რომლის წინაშე 90-იან წლებში აღმოჩნდნენ ადამიანები, სიკვდილთან ხშირი შეხვედრის დამსახურებაც იყო. იგი ხომ მუდამ ახლოს ტრიალებდა – მტრობის თავაწყვეტილ ექსტაზს შეამხანაგებული. აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებიას მოთხრობაში სიკვდილი იძენს უნივერსალურ მნიშვნელობას, იმ მნიშვნელობას, რომელიც თავისთავში მოიცავს ყველა მიზეზშედეგობრივ კავშირს აფხაზეთის ტრაგედიისა. მოთხრობის გმირი უსახელოა, ეროვნებით – აფხაზი, მაგრამ მისი ნაციონალური სახე უკანა პლანზე გადადის და ბუტაფორიად იქცევა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის ფონზე.

სცენარი ნაცნობია – აფხაზი ბიჭი გაიძვერა ნათესავის მეშვეობით, „ვითომ ჩეჩენისგან“ავტომატს ყიდულობს ორას დოლარად და „მეომრად“ იქცევა. ავტომატის კანის „გველისებური სიცივე“ გულს სითბოთი უვსებს, გონებას კი – შურისძიებით. ასე უახლოვდება იგი სიკვდილის კარიბჭეს. მაგრამ ეს ის სიკვდილი არ არის, რომელიც მისი წინაპრებივით მიწაში დამარხვის ღირსად გახდის მასაც. უსახელო გმირის მონოლოგში კონცეფციური მომენტი სწორედ ეს გახლავთ. იგი სახლიკაცთა ძვლებს შორის წოლას არ ელირსა. მისი სხეული ბოდლერის „სპლინივით“ იხრწნება ერთ-ერთ მიტოვებულ გორაკზე. მწერალი საოცარი ნატურალიზმით აღწერს ამას, იმიტომ, რომ მთავარი სათქმელი გაამძაფროს: „ნუ დაიჯერებთ, რომ იღბლიანი სიკვდილი არსებობს, იგი მშიშრებმა და გულსუსტებმა მოიგონეს. არა არის რა ბედნიერ სიკვდილზე მწარე“. ასეთი „ჰეფი ენდი“ არა მარტო აფხაზი, არამედ ქართველი მეომრების ხვედრიც იყო. მწერლის მთავარი სათქმელი არამარტო კაცთა მოდგმის არსებობის ერთ-ერთ პოსტულატს – „ცხოვრებაი ესე წარვალს, განილევის“ (იოანე დამასკელი) – ეყრდნობა, არამედ იმ კონკრეტულს, რომელმაც აფხაზეთის ომის სახით დიდი გაუცხოება მოუტანა ორთავე ერს, ხოლო გაუცხოებასთან ერთად კი – დიდი ტკივილი. თუმცა „ტკივილი არსებობის დამადასტურებელია, ცოცხლობ მანამ სანამ გტკივა“ – ამბობს მოთხრობის გმირი. ასეთები ხომ მრავლად იყვნენ იმ უბედურ ჟამს, მათთვის ეროვნული ნიღბის მორგება უსამართლობაა, რადგან ისინი, სიკვდილის მიერ „ერთგან“ შეყრილნი, ომის საცთურის მსხვერპლნი არიან. დაურ ნაჭყებიას ამ მოთხრობის ქვეტექსტი ძმათამკვლელი ომის აბსურდულობამდე დაიყვანება. ტკივილი ის საშუალებაა, რომლითაც ამ ჭეშმარიტებას უნდა მივუახლოვდეთ.

ალექსი გოგუას მოთხრობაში „მზის ჩასვლამდე“ მოვლენები მშვიდობიან დროსაც ვითარდება და ომის პერიოდში. თუმცა მუდმივად არ გტოვებს სიკვდილთან შეხებისა და ამით გამოწვეული ქვეცნობიერი სიმძიმის განცდა. ვფიქრობთ, ასეთი შეგრძნებები აფხაზური ოჯახების ტრადიციებითაც არის მოტივირებული. ეს არის გარემო, სადაც ყველაფერი დამორჩილებულია ტაბუს, სადაც არავინ არ აპროტესტებს იმას, რაც უკვე დამკვიდრებულია. ახალგაზრდა აფხაზი ქალი – ესმა – საგვარეულო ტრადიციების მორჩილია, მაგრამ როდესაც ამას თან ერთვის ომით დამკვიდრებული წესრიგიც, მას უჩნდება მდუმარე პროტესტის გრძნობა. ალექსი გოგუა შეუდარებლად აღწერს ამ პროტესტის დინამიკას, რომელიც ესმას მხრიდან არასოდეს ცხადდება სიტყვიერად. თხრობა მონოტონურია, სტაბილური, ემოციების არანაირი აფეთქება. ამ სიმშვიდეში შემოდის სიკვდილიც და სიცოცხლეც. ესმა ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი დღეებიდანვე შავი თავსაფრის მოლოდინშია, უხმოდ ეგუება ქვრივის მდგომარეობას. სინათლე ამ მოთხრობაში მაშინ შემოდის, როცა იგი სწორედ ქმრის დაკრძალვის დღეს მოავლენს პატარას. „ყოფნა, არყოფნა, სწრაფმავლობა და მარადისობა ასე მიჯნაზე უახლოვდებიან ერთმანეთს. მათი სიდიადისა და სიძლიერის შემყურე სიცოცხლე კი სწორედ ასეთ დროს ამოიღებს ხოლმე ხმას".

ასე ხმიანობს მოთხრობაში მომავლის სახელით სიცოცხლის საგალობელი.

მიხო მოსულიშვილი აფხაზეთის ომის მონაწილეა. სოფელ კომანში გმირულად დაღუპული მეომრების – ზურაბ წიქარიძისა და დემურ კარტოზიას ხსოვნას მიუძღვნა მან თავისი მოთხრობა „არღარა ეყივლოს მამალსა", სადაც მწერალი კიდევ ერთხელ აღმოაჩენს და ხელახლა გადაწერს კავკასიისათვის ნაცნობ სიუჟეტს. ვაჟკაცური მორალით შეიძლება დაიურვო ყველაზე დიდი ადამიანური სისასტიკეც. ისტორიული სიზუსტით მოყოლილი ამბავი მწერლისათვის კიდევ ერთი გამოსავალია ომში დამარცხებული, მაგრამ მაინც გამარჯვებული ერისა, რომელმაც ღირსეულად დაცემული შვილების სახით შეინარჩუნა უფლება მომავალ თაობას ესაუბროს „კაი ყმის" ფენომენსა და მის მნიშვნელობაზე სწორედ მაშინ, როცა ყველაზე უფრო გაუჭირდება.

თემის გაგრძელებას ვხედავთ სერგო წურწუმიას მოთხრობაშიც „ხიდი". რაინდობის მარადიულ სადიდებელს აქ ვერ ფარავს ომის ამაზრზენი ხმა. აფხაზი მეომრისათვის არსებობის მთავარი კოდექსია მისი წინაპრების ლოცვა „ანცვა დუძბა ჰაფსუარა უმირძინ" (ღმერთო, მოგვეცი ძალა, ყველგან, ყველა სიტუაციაში დავრჩეთ ადამიანებად). ამიტომაც იგი გულგრილად ვერ უყურებს ხიდზე გადასვლისას ბაბუას ჩამორჩენილ ქართველ ბიჭუნას, რომელიც ტყვიების უმისამართო ზუზუნში ცდილობს დაეწიოს მას. აფხაზი მეომარი სიკვდილისა და განშორების ზღურბლზე მდგარ ბავშვს საფარს შეუქმნის, იგი იმ ლოცვის ერთგული რჩება, რომელიც მისმა წინაპარმა უანდერძა. მწერლის გულწრფელი სინანული უფრო მეტ მგრძნობელობას იძენს ამბის დასრულებისთანავე. სიკეთის ქმნის რა შესაძლებლობებს კარგავენ ადამიანები, რომლებიც „თავიანთი მზვაობარი გონების მიერ ნაკარნახევი, უსაფუძვლო მირაჟების განხორციელებას ალევენ გულის საუკეთესო სისხლსა და მკლავის დაუშრეტელ ძალას".

საერთო პრობლემებით შემოდიან კრებულში უხუცესი აფხაზი მწერალი ფაზილ ისკანდერი და ნუგზარ შატაიძე. ეს გახლავთ – ომის ბავშვები. ფაზილ ისკანდერის მოთხრობასაც ასე ჰქვია – „ბიჭი და ომი". მწერალი თითქოს ყრმის თვალებით უცქერს, როგორ კარგავენ უფროსები სიკეთის მადლს. ეს არის ამ შესანიშნავი მოთხრობის მთავარი დვრიტა – ადამიანთა ცოდვილი სულებისათვის შექმნილი პანო, რომლის წინაშე სისატიკე უნდა შედრკეს და უკან დაიხიოს. ძნელია არ დაეთანხმო თორმეტი წლის ბიჭის განწყობას – „რა აზრი აქვს სიცოცხლეს, ან რატომ უნდა გავიზარდო, თუ ადამიანები ბოროტნი არიან", როცა იგი უფროსების მონათხრობს ისმენს იმაზე, თუ როგორ მოკლეს ქართველი ექიმი გიორგი. ბიჭი მთელი ღამე ფიქრობს და პასუხს ეძებს კითხვაზე – „განა ადამიანები ცივილიზაციის ამ ეტაპზე უფრო გონიერნი და კეთილები არ უნდა იყვნენ, განა სიკეთეს არ უნდა ემატა?" იგი ეძებს საბუთს ამის დასადასტურებლად. „ღმერთო, როგორ გაუჭირდება სიცოცხლე" – წუხს მამა, მაგრამ, აი, სადარბაზოსთან ბოგანო დედაკაცი მანანწალა ძაღლებს აპურებს. „შეხედე, სიკეთე უშრეტი ძალაა, ის ბოროტებაზე ძლიერია" – უთითებს იგი და ამით შვილს ყველაზე ტრაგიკული მარცხისაგან იხსნის. ფაზილ ისკანდერი, როგორც მწერალი სწორედ იმ ასაკში იმყოფება, როცა ყველაზე ობიექტურად აფასებენ ზღვარს სიკეთესა და ბოროტებას შორის. ამ ასაკში განსაკუთრებულად გრძნობენ იმ კავშირს, რომელიც ადამიანებს აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ რატომღაც ვერ იყენებენ. თორმეტი წლის ბიჭმა მამას სწორედ ის კითხვები დაუსვა, რომელიც მოზრდილებს ამ მივიწყებულ პასუხისმგებლობის გრძნობას ულვიძებს.

ომის რეალური მსხვერპლია ნუგზარ შატაიძის პატარა გავროშიც, იგი მთავარი მოქმედი გმირია მოთხრობისა „მოგზაურობა აფრიკაში''. ცხოვრების წუმპეში ყურებამდე ჩაფლული მოზარდი დღისით ქაშუეთთან მათხოვრობს, ღამით კი – წებოთი გაბრუებული, ქაღალდის ყუთში იძინებს და საოცნებო ქვეყანაში „მოგზაურობს", სადაც მამა ცოცხალია, დედა –ახალგაზრდა და ბედნიერი, ზღვა კი საოცრად ლურჯი და ალერსიანი. ბიჭის მამა აფხაზეთში დარჩა. მას მერე მის კვალს ვერავინ მიაგნო. მამის მოსაძებნად ბიჭი სოხუმში მიდის. იგი იმ გზაზე მიაბიჯებს, რომელზეც უფროსები ძალიან ბევრს ფიქრობენ და ოცნებობენ. ამ მოთხრობის თითოეული პასაჟი საბრალდებო დასკვნაა იმათთვის, ვინც მისნაირებს ბავშვობა წაართვა. საბოლოო ვერდიქტიც აშკარაა – ეს არის სრულფასოვანი განცდა იმისა, თუ როგორ არ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა.

მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში" არ არის ჩვეულებრივი, ნაცნობი თემის ვარიაცია – იგი უსაზღვრო სიღრმისა და სიმაღლის შემცველია, საოცრად დრამატული ავანსცენით და უახლოეს წარსულში ჩაკირული ყველაზე კრიზისული მოვლენებით. განსაკუთრებულ დატვირთვას მოთხრობაში იძენს ზღვასთან შეხვედრის სცენა. მართალია, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ზღვის მისტერია განსაკუთრებულ ემოციურ ფონს ქმნის ხოლმე იმ მხატვრულ ქმნილებებში, რომლებიც აფხაზეთს ეძღვნება (განსაკუთრებით ეს იგრძნობა გურამ ოდიშარიას შემოქმედებაში), მაგრამ აქ ზღვა ნამდვილად აირეკლავს იმ განწყობას, რომელიც ადამიანებს ჰქონდათ ომამდე და ომის შემდგომ.

ბოლოდროინდელ ქართულ პროზაში სოხუმელი მწერლის – გურამ ოდიშარიას შემოქმედება–რელიეფური, გამოკვეთილი პერსონაჟებით, ლაღი ჰუმანიზმითა და დროის უზუსტესი ფსიქოლოგური ანაბეჭდით – მართლაც გამორჩეულია. მისი მზერის მიღმა არ დარჩენილა ყველაზე უფაქიზესი ნიუანსიც კი, რომელიც მომავალში აფხაზეთსა და ქართველებს თანაცხოვრებისათვის უსათუოდ წაადგებათ. მიუხედავად შემზარავი რეალიზმისა, რომელსაც, რა თქმა უნდა, არსებობის კანონიერი უფლება აქვს, მწერლის ხედვის რაკურსი მაინც ოპტიმიზმზეა ფოკუსირებული. გურამ ოდიშარიას მოთხრობების დრო და სივრცე არასოდეს სცილდება უახლეს წარსულს, რომელიც მავანთათვის შეიძლება თანდათან „შორეულიც " კი გახდა, მაგრამ მისთვის ეს სიშორე პირობითია, ის არასოდეს არ კარგავს კავშირს წარსულთან და ამით ქმნის წარსულთან უწყვეტობის განცდას. მიუხედავად იმისა, რომ, მწერლის

თქმით „ომმა ყველაფრის შეგრძნება გაამახვილა“, ამ დასანგრევად განწირულ სამოთხეშიც – იგი მაინც ადამიანების უფლისკენ მომზირალ თვალებს ხედავს.

მწერალი ამით სულაც არ აკნინებს ომის სიმძიმეს, კითხვაზე „რა არის ომი?“ ასე პასუხობს: „ომი პარადია, ადამიანების ყველაზე უსაშინლესი თვისებებისა და ჯოჯოხეთური სურვილების პარადი, და ჩვენ კი ამ ბნელი ზეიმის მონაწილენი ვართ“. მიუხედავად ამისა, თავისი მოთხრობებისათვის მწერალი ყოველთვის ისეთ გმირებს ეძებს, რომლებიც სიკეთის სახელით ესაუბრებიან სამყაროს. ეს თვისება ძალზე იმანენტურია მწერლისათვის. გურამ ოდიშარიას – როგორც მწერლისა და, სხვათაშორის, როგორც პიროვნების ემოცია, განცდები, ეპოქის სახესთან ერთად სუბლიმირებულია მის პერსონაჟებში. ერთმანეთისაგან დასალუპად განწირული ადამიანები მაინც ერთმანეთს უწვდიან ხელს. გურამ ოდიშარიას შემოქმედება სავსეა ასეთი პარადოქსული აღმოჩენებით. გამონაკლისი არც მისი მოთხრობა „ძმისშვილია“, რომელიც იდეურად წიგნის მთავარ პოსტულატებს ეთანხმება, ვინაიდან თავისი ფსიქოლოგიური ასპექტებით საფუძველში ეწინააღმდეგება ომის მიერ კაცთმოძულეობის დამკვიდრებულ ტრადიციას. მიუხედავად იმ სივრცული არეალისა, სადაც რაოდენობრივად მორალური კრიზისი სჭარბობს, საბოლოოდ გურამ ოდიშარიას ამ მოთხრობაში იმარჯვებს საზრისი ერთიანობისა, რომელიც კონკრეტულ გარემოში „ძმისშვილების, დისშვილების, ბიძაშვილების“ და სხვათა სიყვარულის ძალით არის ნაქარგი.

მთავარი გმირი – ვალერი – მებრძოლია, რომელმაც მიტოვებული, ცეცხლმოკიდებული სახლიდან ჩვილი გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა. ბავშვი აფხაზი მეომრის – ადგურის – ძმისშვილია. თითქოს უფალმა გამოაგზავნა იგი, რათა ვალერის სული ეხსნა „აჩეხილ სამყაროში“. ამ კოლიზიის არსი სწორედ ის არის, რომ ქართველები და აფხაზები კვლავ დაბრუნდნენ „ერთი ოჯახის ქვეყანაში, უზარმაზარი ოჯახის უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც კაცი არ კლავს კაცს და სადაც მხოლოდ სიყვარულის ძალა განაგებს ყოველივეს“. ეს ფრაზა კრავს არამარტო მისი მოთხრობის, არამედ ზოგადად წიგნის მთავარ იდეას. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ამოგდება ქვეყნის მატიანედან შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით, სიმართლე გითხრათ, ეს წიგნი უფრო პერსპექტიული და იმედისმომცემი მეჩვენა, ვიდრე პოლიტიკოსთა მრავალწლიანი, რუტინული მოლაპარაკებები და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობანი ქართველთა და აფხაზთა შესარიგებლად.

„კულტურა – კაცობრიობის სინდისია“ (ფრიდრიხ ნიცშე). როგორც ჩანს, ადამიანები ვერასოდეს გაიწყვეტენ შუბლზე ამ ძარღვს, ვინაიდან მასში ქრისტეს დაღვრილი სისხლის წვეთიც ჩქეფს და იგი უფრო ძლიერია, ვიდრე ბოროტების დროებითი აღზევება.

---

როსტომ ჩხეიძე

# მეექვსე სახარება

*

## მახარებელნი, ნიცშე, ჯიბრანი

„სიყვარული გვირგვინსაც დაგადგამთ და ჯვარსაც გაცვამთ, კიდეც გაგზრდით და კიდეც გაგსხლავთ“.

ისეთი ეფექტური სტრიქონია, ბევრი მწერალი მას ფინალურ აკორდადაც გადაიტანდა, რათა ამაღლებული ღაღადისი ყველაზე მოხდენილად დაეგვირგვინებინა.

უთუოდ სარისკოა ამა თუ იმ მონაკვეთის დაწყება ამ სტრიქონით. რათა ექსპრესია არ მოგიდუნდეს – ძნელია ამ სიმაღლის შენარჩუნება ბოლომდე.

მაგრამ ჯიბრან ხალილ ჯიბრანი არ გაურბის არავითარ სიძნელეს თავის უზადო ხელოვნებას მინდობილი – ვრცელ თუ შემოფარგლულ ასპარეზზე ერთნაირად ეყოს სუნთქვა და შთაბეჭდილება არსად გაუფერმკრთალდეს.

ასეა ყოველთვის და ასე იქცევა „წინასწარმეტყველშიც“.

ამჯერად ალმუსტაფა გამოთქვამს მწერლის ზნეობრივ კონსტიტუციას, პოეტურ ქადაგებათა სტილისტიკით ამეტყველებულს, და კონსტიტუციას კი სიყვარულის მეტაფიზიკური რაობის წარმოსახვა ხსნის, ღრმა და ნატიფი დითირამბი, რაკილა სიცოცხლის აზრსა და დანიშნულებასაც ის ასხივოსნებს და მიწასა და ზეცას შორისაც ის გაბმულა ცისარტყელას ფერადოვნებით.

ნათელმხილველი ქალი შესთხოვს ალმუსტაფას: გვესაუბრე სიყვარულზეო, – და ისიც ღაღადისად იღვრება და შეაგონებს ადამიანებს: როცა სიყვარული გიხმობთ, მიჰყევით, თუმც მისი გზები ძნელია და კლდოვანი, და ირწმუნეთ მისი, თუნდ სიყვარულის ხმამ ოცნებებიც დაგიმსხვრიოთ, სწორედ ისე, ზენაქარი მიწასთან რომ გაასწორებს ბაღნარსო.

ის ხომ გვირგვინსაც გადგამს.

და ჯვარსაც გაცვამს იმავდროულად.

„იგი ააღწევს თქვენს სიმაღლემდე და მიუალერსებს მზეზე მთრთოლვარე თქვენს ლორთქო ყლორტებს.

იგი ჩააღწევს მიწაში ჩაზრდილ თქვენს ფესვებამდე და შეძრავს მათ.

სიყვარული თავთუხის ძნასავით შეგკრავთ და შემოგიმტკიცებთ.

გაგლეწავთ, რათა გაგაშიშვლოთ;

გაგცეხვავთ, რათა ბზე გამოგარიდოთ;

გაგმტკიცავთ, რათა გამოგათეთროთ.

და მერმე მიგანდობთ თავის წმინდა ცეცხლს, რათა სეფისკვერად იქცეთ საუფლო დღესასწაულისათვის.

ყოველივე ამას დაგაწევთ სიყვარული, რათა შეიცნოთ თქვენი გულის იდუმალება და ამ ცოდნით გახდეთ ნაწილი სიცოცხლის გულისა“.

ძნელია ამ სიმაღლის შენარჩუნება ბოლომდეო...

ძნელია მწერლისთვისაც და, ცხადია, მთარგმნელისთვისაც, ვინც მოვალეა ახალ ენობრივ გარსში სრულყოფილად განგაცდევინოს პირვანდელი მადლი და ძალმოსილება, და ეს სირთულე განსაკუთრებით ცნაურდება სწორედ ამ ყაიდის მხატვრულ ქმნილებათა გადმოღებისას – როდესაც ვერც სიუჟეტის მიმზიდველობის იმედად იქნები, ვერც ინტრიგის სიმძაფრის და ვერც ხასიათთა მრავალფეროვანი გალერეის.

თხზულების შუაგულში დგას ერთადერთი პერსონაჟი, ისიც უფრო სიმბოლური სახება, ვიდრე ხელშესახები ხასიათი, და მისი ღაღადისის შთამბეჭდაობას მხოლოდ ზუსტად მიგნებული რიტმი და ექსპრესიის შეუნელებლობა განსაზღვრავს.




მანანა გიგინეიშვილი „წინასწარმეტყველის" ქართულ ვერსიაში ამჯერადაც შესაფერის რიტმიკას მონახავდა, მომხიბლავ მელოდიას განგაცდევინებდა და ექსპრესიაც არსად მოუდუნდებოდა თუ გაუფერმკრთალდებოდა. და ახალი ალთქმის სურნელით რომ გაჟღენთდა თხრობას, წინასიტყვაობაში გადაუხსნიდა მკითხველს სტილური არჩევანის საწყისსაც და ჯიბრანის ამ თხზულების გულისგულსაც: დასაწყისშივე გაბნეული ქრისტიანული სიმბოლოები უმალვე მიგანიშნებდათ, ქრისტესმიერი სიყვარული რომ იგულისხმებაო.

იმაზეც მიაქცევინებდა ყურადღებას, რომ „ვენახიც", „ლოდიც თავსაკიდურთა", „ფარაც", „მთაც", „ჭრილობებში თითების ჩაყოფაც", „გზაც" კვლავ და კვლავ სახარებისეულ სიმბოლიკად უნდა აღექვა და გაეაზრებინა; და რომ ადამიანის ღვთაებრივი ბუნების შედარებას ზღვასთან, ოკეანესთან სამივე თხზულებაში („იესო, ძე კაცისა", „წინასწარმეტყველი" და „წინასწარმეტყველის ნალკოტი") ძალდაუტანებლად ავსებდა თვითშემეცნებისა და ამაღლებისაკენ სწრაფვის გაიგივება ნაკადულის ლტოლვასთან უკიდეგანო ზღვისა და გარეშეუწერელი ოკეანისაკენ; და ამ მეტაფორა-სიმბოლოს განსაკუთრებული დანიშნულება ენიჭებოდა და მისი არაერთგზისი განმეორება კი გარკვეულ სტილურ დატვირთვას იძენდა.

და კიდევ ერთი საგულისხმო სტრიქონი „წინასწარმეტყველიდან" – „რა არის სიტყვაში დატეული ცოდნა, თუ არა ჩრდილი სიტყვაში დაუტეველი სიბრძნისა" – რომელსაც საგანგებოდ გამოარჩევს მთარგმნელი, რათა ჯიბრანის მხატვრული ოსტატობა ამ გადმოსახედიდან განსაზღვროს: იგი სწორედ „სიტყვაში დაუტეველს" გვაზიარებს სიმბოლოებით, მეტაფორებით, მრავლისმომცველი ხატებითო.

* * *

„წინასწარმეტყველს" ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ისეთ მკრთალ კომპოზიციურ ჩარჩოს შემოურკალავდა, ეს მხატვრული ქმნილება ქადაგებათა კრებულად უფრო აღიქმება.

ჯერ ფრიდრიხ ნიცშეც მკრთალ სიუჟეტურ ქარგაზე გაშლიდა „ესე იტყოდა ზარატუსტრას", მაგრამ ის სიმკრთალე „წინასწარმეტყველთან" შედარებით ლამის სიმკვეთრედაც გამოჩნდეს.

ნიცშეს ამ ფილოსოფიურ რომანს გაეტაცა ჯიბრანიც და მის განსაკუთრებულობას იმით აღიარებდა, რომ „ესე იტყოდა ზარატუსტრას" ზოგად თარგზე გამოჭრიდა თავის ქმნილებას, იქნებ მის თავისებურ გაგრძელებადაც ნაგულისხმევს.

„წინასწარმეტყველს" უნდა მოერიგებინა ნიცშე და ახალი ალთქმის შემოქმედნი, იესო ქრისტე და ზარატუსტრა; და ალმუსტაფა, „რჩეული და საყვარელი, თავად განთიადი თავისი დღისა", ამ მორიგების შუამავალი და სიმბოლო უნდა ყოფილიყო.

კი მაგრამ, შეუთავსებლის შეთავსება ჯიბრანს ან რატომ მოენდომებინა, ან რას მიაღწევდა?

ორი ურთიერთსაპირისპირო პოლუსი ალმუსტაფას სიმბოლურ სახებაში მაინც როგორ უნდა გამთლიანებულიყო?

ნიცშე უარყოფდა სახარებას, უარყოფდა მაცხოვარს, ამხობდა უფლის დიდებას და მის ნაცვლად ლამობდა დაემკვიდრებინა ზეკაცის ხატი, როგორც ახალი, ფერნაცვალი კაცობრიობის იდეალი.

ჯიბრანი კი შთანთქმულიყო ახალ ალთქმაში და, როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანს, იდეალად დაესახა ჯვარცმული უფალი, მამად, ძედ და სულიწმინდად განსახოვნებული.

მაშ იმთავითვე უნდა გამიჯვნოდა „ესე იტყოდა ზარატუსტრას" და ისევე უარეყო ნიცშე, როგორც ის შეჯახებოდა ჯვარცმულ უფალს და მოენდომებინა მისი განდევნა სამყაროდან.

მაგრამ... თვითონ ნიცშე რომ სულაც არ მიიჩნევდა თავის ქმნილებას იესო ქრისტეს სახების უარყოფად?

ეგაა, მახარებელთა წიგნებს აღიარებდა მაცხოვრის სიჭაბუკის მატიანედ, იმ ყმაწვილურ ცთომილებებად, რომელთაც თვითვე განუდგებოდა იესო, თუკი დააცდიდნენ და ჯვარს არ აცვამდნენ. მერე კი აუცილებლად გაღრმავდებოდა მონიფულობის ჟამის მატიანეებში ის ყოველივე, რაც გასაღრმავებელი გახლდათ, და დავიწყებას მიეცემოდა დასავიწყებლად განწირული.

ნამდვილ ჭეშმარიტებას – და არა მოჩვენებითს – სწორედ ისინი შემოგვინახავდნენ, იესო ქრისტეს მონიფულობის ჟამის ალმწერნი.

და რაკილა გულს დაკლებოდა ნიცშეს, ამ ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას თვითონ შეეცდებოდა.

„ესე იტყოდა ზარატუსტრა" იმთავითვე ასე განზრახულიყო – გასაღრმავებლის გაღრმავებად, უკვე მონიფული მაცხოვრის მიერ ნაქადაგევ ჭეშმარიტებად, რაც განუდგებოდა სიჭაბუკისდროინდელ ალთქმას, როგორც უფრო ადრეულ საფეხურს, თავისთავად მნიშვნე-

ლოვანს, რაკილა მომავალ ალმაფრენას ის ამზადებდა, მაგრამ ნაადრევად წართმეულ დროს ბორკილად გადაექცია და ბორკილს კი, რას იზამ, დამსხვრევა სჭირდებოდა.

ღმერთის მკვლელადაც რომ იხსენიებდნენ ნიცშეს, ეს იმიტომ, ღმერთსმოკლებული სინამდვილე დაუფარავად რომ გაეცხადებინა ადამიანებისათვის. თვითონ არა ყოფილა მოსურნე ღმერთის სისხლში ხელების ჩაბანვის, განმანათლებლურ ეპოქას მოეტანა ეს ტრაგედია, აუცილებლობად დაესახა ფასეულობათა ამოყირავება და ცხოვრების ბუნებრივი მდინარების შეცვლა რევოლუციური აფეთქებებით, მოსაკლავად გაეწირათ ღმერთი, ოღონდ მისი თვალთმაქცური აღიარება ერჩივნათ. არადა, სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია, უფლის მადლში ველარ იქნება განბანილი, და ნიცშე შეეცდებოდა მკაცრი, ულმობელი რეალობა ცხადლივ წარმოესახა კაცობრიობისათვის.

მატერიალიზმის მეუფების ხანაში უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა, გარდა იმისა, შელამაზება-შეფერადებას პირწმინდად გარიდებოდა და, ამასთან, სახარებათა მიღმა გადახედვაც ეცადა.

აქ უკვე გაიხლართებოდა და საბედისწეროდაც, თუმც თავისებურ მეხუთე სახარებას მაინც გამოჰკვეთდა, თითქოს იობის წიგნის ერთგვარი ვარიაციააო, და ისე მოჩანდა, რომ თან უარყოფდა იესოს ხატს და თან აღიარებდა. და ამ სისხლით დაწერილ ქმნილებას რომ ჩაამთავრებდი, ამიტომაც შეიძლება ყურში გაგხმიანებოდა იულიანე განდგომილის სიკვდილისწინა სიტყვები: შენ გაიმარჯვე, გალილეველო!..

და ეს ხმა მთლად მოჩვენებითიც არ იქნებოდა.

სულში გამონატანჯი „ესე იტყოდა ზარატუსტრა" მძაფრი, დაურიდებელი ქიდილის მიღმა სწორედ ამას ლაღადებდა: შენ გაიმარჯვე, გალილეველოო!.. და მოვალე იყავ, ჩაკვირვებოდი და განგეცადა ნიცშესა და მისი გმირის ეს ვედრება.

ჯიბრანს ეს სიტყვები ჩაესმოდა, მერამდენედ რომ გადაიკითხავდა გერმანელი ფილოსოფოსის ამ საკაცობრიო თხზულებას, და ამიტომაც შეეცდებოდა, მოეშალა მოჩვენებითი ჯებირი ახალ აღთქმასა და „ესე იტყოდა ზარატუსტრას" შორის; ამ ქმნილების სწორად წაკითხვისა და გააზრება-შეცნობის უნარი ჩაენერგა მკითხველისათვის, და საამისოდ საუკეთესო გზად ახალი მხატვრული თხზულების შექმნას ივარაუდებდა. თეორიულ განსჯას, ესთეტიკურ-კრიტიკულ თუ ესეისტურ ანალიზსა და შეფასებებს ცოტა არ იყოს უკმარად მიიჩნევდა და ამჯობინებდა პოეტურ ექსტაზს ხიდის გასადებად მახარებელთა და ნიცშეს ქმნილებებს შორის.

ალმუსტაფა შუალედური რგოლია, გარდამავალი საფეხური და არა შეუთავსებლის შეთავსება თუ ურთიერთმოპირისპირე პოლუსთა გამთლიანება.

ეს მოენდომებინა ჯიბრანს და კიდეც მიეღწია.

* * *

ნიცშე თავიდანვე მიხვედრილიყო, რომ ბიოგრაფიის შექმნა არც უნდა ეფიქრა თავისი გმირისათვის. მიხვედრილიყო იმას, რაც საუკუნეთა წინათ მუჰამადსა და მის მიმდევართაც ამოეცნოთ და ამიტომაც ჩამოხსნოდნენ ყურანის სიუჟეტური ქარგის გაშლას პიროვნული ბიოგრაფიის ირგვლივ.

ვერ გაუძლებდა მუჰამადის ცხოვრების ქრონიკა იესოს ბიოგრაფიულ ქარგასთან შეჭიდებას და, ამ ცდაზე ხელის ამღებელნი, ქადაგებათა კრებულის შედგენას იკმარებდნენ.

ვერც ზარატუსტრას ირგვლივ მოიქსოვებოდა ისეთი სიუჟეტი, იესოს ცხოვრებასთან შედარებით ერთბაშად რომ არ გაუმწეოებულიყო.

ამიტომაც სულ აერიდებოდა ნიცშე გმირის ბიოგრაფიაზე ზრუნვას, ერთ-ორ ეპიზოდს შეარჩევდა და თხზულებას ისიც ქადაგებათა კრებულს უფრო დაამგვანებდა.

ჯიბრანს არც სჭირდებოდა ალმუსტაფას ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენა, რადგანაც მისი გმირი ქრისტიანულ მრწამსსა და მორალზე ამოზრდილა, და დაე „წინასწარმეტყველი" ყოფილიყო ღრმად მორწმუნე შემოქმედის ქადაგებანი, და მარტოდენ ქადაგებანი, შეხსენება სახარებისეულ ჭეშმარიტებათა, გაშლილ-განფენილნი ახალი მინიერი ჟამის შესაფერისად.

და ხალხი როგორ მონწყურებულა უფლის სიტყვის მოსმენას სანდო მოციქულისაგან...

ამიტომაა, ასე რომ ენანებათ ალმუსტაფას გამგზავრება მათი ქალაქიდან, სადაც თორმეტ წელიწადს შეეფარებინა თავი და ელოდა მშობლიური კუნძულიდან მომავალ ხომალდს. აჰა ხომალდიც მოცურავს, ალმუსტაფაც მისკენ მიისწრაფის, მაგრამ ნათელმხილველი ქალი მთელი ერის სახელით უნდა შეევედროს: მართალია ძლიერ გენატრება ქვეყანა, რომელიც შენი მოგონებების სამყაროა და შენი დიადი სურვილების სავანე, ამიტომ ვერც ჩვენი სიყვარული შეგაფერხებს და ვერც ჩვენი გასაჭირი შეგაბრკოლებს, მაგრამ განშორებამდე გვესაუბრე და გვაზიარე ჭეშმარიტებას შენსას, ჩვენ მას გადავცემთ ჩვენს შვილებს და ისინი გადასცემენ თავიანთ შვილებს და ის დარჩება სამარადჟამოდო:

„შენს სიმარტოვეში მოცული იყავი ჩვენი დღეებით. ფხიზლობდი და... ყურს უპყრობდი, მძინარენი როგორ ვტიროდით და როგორ ვიცინოდით.

ახლა კი დაგვანახვე ჩვენივე თავი და გვითხარ ყოველივე, რისი ხილვაც მოგენიჭა და რაც ხდება შობიდან სიკვდილამდე".

ამქვეყნიურ კანონზომიერებად დადგენილიყო.

სიმარტოვიდან მოევლინებოდა ხალხს იესო.

სიმარტოვიდან გამოჩნდებოდა ზარატუსტრა.

ალმუსტაფაც სიმარტოვიდან უნდა წარდგომოდათ მქადაგებლად, რაკილა უკვე მინიჭებოდა ძალა და მადლი ჭეშმარიტი სიმღერისა, როგორც დაწაფებულს მდუმარების მდინარეზე; და მოზაიკასავით ჩაევლო მის გასაცილებლად თავშეყრილი ხალხისა და... მკითხველთა თაობების თვალწინ რელიგიურ კოდექსსა თუ ზნეობრივ კონსტიტუციას.

საკაცობრიო კითხვები და სატკივარი ამიტომაც ბრუნავს მის ქადაგებაში.

ეს ქორწინება, შვილები თუ წყალობის გაღებაო, ეს საჭმელ-სასმელი, შრომა-გარჯა თუ სიხარული და სევ-

დაო, ეს სახლები, სამოსი და ყიდვა-გაყიდვაო, ეს დანაშაული და სასჯელი, კანონები თუ თავისუფლებაო, ეს გონება და გრძნობა, ტკივილი თუ საკუთარი თავის შეცნობაო, ეს სწავლება, მეგობრობა თუ მეტყველებაო, ეს დრო, სიკეთე და ბოროტება თუ ლოცვაო, ეს სიამოვნება, მშვენიერება, რელიგია თუ სიკვდილიო.

მოულოდნელი გადასვლებია ერთი თემიდან მეორეზე, დაშორიშორებულებზე, განცალკევებულებზე, ოღონდ ეს გაბნეულობა მოჩვენებითია, სინამდვილეში მარჯვედ მოფიქრებული კომპოზიციური სტრუქტურაა, რათა „წინასწარმეტყველის" კარნავალური სურათების ჩამთავრებისთანავე უეცარი შთამბეჭდაობით გამოიკვეთოს ჯიბრანის რელიგიური მრწამსის მონუმენტურობა და თხზულების მეტაფიზიკური, ფილოსოფიური ფონის სიმწყობრე.

გვესაუბრე რელიგიაზეო, – შესთხოვდა მოხუცი ქურუმი, და უკვირდა და ვერ აეხსნა მისი თხოვნა ალმუსტაფას: განა დღეს სხვა რამეზე გესაუბრებოდით? განა რელიგია არ არის საქმე ყოველი და ფიქრი ყოველი აგრეთვე – ის, რაც არც საქმეა და არც ფიქრი, არამედ გაკვირვებაა და გაოცება, მუდამ რომ გვილვივის სულში, მაშინაც კი, როცა ჩვენი ხელი ქვას კოდავს, ან ჯარას ატრიალებსო.

თურმე ყოველდღიური ცხოვრებაც კი შეიძლება ყოფილიყო ტაძარი და რელიგია ადამიანისათვის, თუკი ყოფიერების იდუმალებასა და სილამაზეს შეიცნობდა და იმ შეგონებასაც დაუკვირდებოდა: ღვთის თაყვანებით ვერ აალწევთ თქვენს წარმატებებზე უფრო მაღლა და ვერც დაეცემით თქვენს მარცხზე დაბლა. ამიტომ თან წაიყოლეთ ყველა ადამიანი, რამეთუ ღვთისმოსაობით თქვენ ვერ აალწევთ მათ იმედებზე მაღლა და ვერც თავს დაიმდაბლებთ მათ უსასოებაზე დაბლაო.

პარადოქსულობა, რაც ასე შესამჩნევია ამ პასაჟში, თავით ბოლომდე გასდევს ქადაგებათა დინებას და საყრდენად უძევს პოეტურ ალმაფრენასა და ექსტაზს. სიმახვილე, პარადოქსულობა ხშირად იჩენდა თავს სახარებათა სიუჟეტური მსვლელობისას და ნიცშე მათესა და მარკოზს, ლუკასა და იოვანეს დაესესხებოდა სტილისტიკის ამ ნიშანსაც, ასე აუცილებელს თვითშემეცნებისა თუ სამყაროს იდუმალებისაკენ გზის გასაგნებად.

ჯიბრანიც გაიმეორებდა ამ ზოგად ნიშანს.

თუმც თვითონ პარადოქსებს საკუთარი ხილვებიდან და მხატვრული ძიებებიდან გამოწურავდა და ასე შეიძლებდა მიახლოებას იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მემატიანეებთან.

ვინ გათიშავდა თავის რწმენას თავისივე ქცევისაგან?

ანდა – თავის აზრებს თავისივე საქმიანობისაგან?

ვის შეეძლო წინ განეფინა თავისი დრო და ეთქვა: ეს ღვთისთვისაა, ეს კი ჩემთვის, ეს ჩემი სულისთვისაა, ეს კი ჩემი სხეულისთვისო?

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიჰყოლოდი ალმუსტაფას რჩევებს, რათა მოულოდნელ აფეთქებათა სიღრმე სრულყოფილად შეგეცნო:

„ვისთვისაც ღვთისმოსაობა სარკმელია, რომელიც იღება, მაგრამ, ამასთანავე, იხურება კიდეც, იგი ჯერ არ სწვევია სავანეს თვისი სულისა, რომლის სარკმლები დაფენილია განთიადიდან განთიადამდე".

აფეთქებათა ფეიერვერკი კი აუცილებლად დასრულდებოდა სიკვდილის დითირამბით, სიცოცხლის წიაღში რომ უნდა მოგეძიებინა, თუ მისი საიდუმლოს შეტყობა მოგეწადინებინა. სიკვდილის სულს მხოლოდ მაშინ შეიცნობდი, თუ ფართოდ გადაუხსნიდი გულს სიცოცხლის სხეულს და ირწმუნებდი სიკვდილ-სიცოცხლის ისეთივე ერთიანობას, როგორც მდინარე და ზღვა არიან ერთნი.

მანამდე კი:

გული გულისათვის უნდა შეეწონა ცოლ-ქმარს, მაგრამ ერთმანეთის საკუთრებად არ უნდა მიეცათ გული;

საკუთრებად არც შვილები უნდა მიეჩნიათ, რადგანაც ისინი არიან ძენი და ასულნი სიცოცხლისა, რომელსაც სწყურია სიცოცხლე;

ვინც ასე გასცემდა საბოძვარს, რომ არც ტკივილი იცის, არც სიხარულს ეძიებს და არც სიქველეზე ფიქრობს, ასეთ ადამიანთა ხელებით გვესაუბრებოდა უფალი და მათი თვალებით ულიმოდა დედამიწას;

ზამთარში, ღვინოს რომ ამოხაპავდი, დაე შენს გულში ყოველი ფიალისათვის ეჟღერა საგალობელს, ამ საგალობელში კი ყოფილიყო ხსოვნა შემოდგომის დღისა, ხსოვნა ვენახისა და ხსოვნა საწნახლის;

შრომით ხორცს ასხამდი მიწის ოდინდელ ოცნებას, შენთვის გამიზნულს თვით ოცნების დასაბამითვე;

სიხარული რა იყო? ნიღაბჩამოხსნილი სევდა;

სახლი ღუზა კი არა, ანძა უნდა ყოფილიყო, ჭრილობაზე პირმოსაკრავად დასაფარებელი თხელი აპკი კი არა, ქუთუთო – თვალის დამზოგავი;

მიწას სიამოვნებდა, შიშველი ფეხებით რომ ეხებოდი, და ქარებს უხაროდათ შენს თმებთან შეთამაშება;

მიწის დიადი სული ქარში მშვიდად ვერ მოისვენებდა, ვიდრე არ დაკმაყოფილდებოდა უკანასკნელი ადამიანიც;

თუ ვინმე მიიჩნევდა, რომ სამართლიანია უნაყოფო ხის მოკვეთა, ნაჯახის მოქნევამდე დაე მისი ფესვებისთვისაც დაეხედა;

ადამიანს სიამეს გვრიდა კანონის დაწესება, მაგრამ კიდევ უფრო სიამოვნებდა მისი დარღვევა;

როცა თავისუფლება იცილებდა ბორკილებს, თვითვე იქცეოდა უფრო დიადი თავისუფლების ბორკილად;

რაკი ადამიანი სუნთქვაა ღვთაებრივი სამყაროსი და ფურცელი ღვთაებრივი ტევრისა, ამიტომაც გონებაშიც სუფევდა და გრძნობაშიც იძვროდა;

ადამიანი თვითვე ირჩევდა საკუთარი ტკივილის დიდ ნაწილს;

სული დაიარებოდა ყველა გზასა და ბილიკზე, არა ერთ სწორ ხაზზე და არა ლერწამივით აშოლტილი;

ადამიანი შეისმენდა მხოლოდ იმას, რაც მის არსებაში უკვე თვლემდა ჯერ კიდევ მისი ცნობიერების გარიჟრაჟიდანვე;

მეგობარი რა იყო? ტაბლა და კერია – ამიტომაც მიაკითხავდი სიმშვიდისათვის და მოშიებული;

ადამიანი მეტყველებდა, როცა ველარ შეეწყობოდა ფიქრებს;

ის, რაც გალობდა და აზროვნებდა ადამიანში, კვლავაც სუფევდა იმ პირველ ბიძგში, რომელსაც სივრცეში გაეტყორცნა ვარსკვლავები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტება რა იყო? შიმშილითა და წყურვილით შეურვებული სიკეთე;

ადამიანს ვერავინ ასწავლიდა ლოცვებს ზღვებისას, ტყე-ჭალებისას, მთებისას. მხოლოდ ისინი, რომელნიც თვითვე იყვნენ ნაშობნი მთების, ტყეებისა და ზღვებისა, შეძლებდნენ მათი ლოცვა-ვედრების მიგნებას საკუთარ გულებში;

ფუტკრისთვისაც და ყვავილისთვისაც გაცემა და მიღება სიამოვნებისა მოთხოვნილებაცაა და ნეტარებაც, და დაე ადამიანებს მიებაძათ ყვავილისა და ფუტკრისათვის;

მშვენიერება რა იყო? მარადისობა – და სარკეში არეკლილ თავის ხატებას უმზერდა; და ადამიანები დაე თვითვე ყოფილიყვნენ მარადისობაც და სარკეც.

სახელდახელოდ ამოკენკილი სტრიქონებიც, ერთმანეთთან დაუკავშირებელნი, ფერადოვან ხალიჩად გაფენილა, და გრძნობ, რომ დაუკავშირებლობა მოჩვენებითი ყოფილა, რადგანაც იდუმალი სული ქსოვდა „წინასწარმეტყველის“ ერთიან ქარგასაც და მისი ყოველი სტრიქონის შემაერთებელ ძაფებსაც ერთმანეთს აბამდა.

* * *

მაინც ეთანალღრებოდა გული ჯიბრან ხალილ ჯიბრანს.

მის მზერაში რაღაც აკლდა ალმუსტაფას ქადაგებათა მდინარებას, რაღაც ნაპრალები ჩნდებოდა ალაგ-ალაგ. გადამეტებული ეჭვი იწვევდა განზრახვის მიუღწევლობის შეგრძნებასა და ტკივილს? გულს აკლდა კი... მაგრამ „წინასწარმეტყველს“ აღარ ახლებდა ხელს, მის ამოვსებას აღარ შეეცდებოდა, ეგაა, მის გაგრძელებად ჩაიფიქრებდა „წინასწარმეტყველის ნალკოტს“ – ან უკვე სამშობლოში დაბრუნებული ალმუსტაფას გრძნობათა და აზრთა ფეიერვერკს.

რა აუცილებელი იყო გაგრძელების შექმნა?

რა აუცილებელი იყო ეს სიუჟეტური სვლა?

განა ადამიანები ორფალესშიც იგივენი არ იყვნენ, რაც მოციქულის მშობლიურ კუნძულზე? და ბარემ გამომგზავრების წინ ექადაგა და ელაღადა ის გალობანი, „ნალკოტისათვის“ რომ შეუფარებია?

მხატვრული თვალსაზრისით ალბათ ასეც გადაწყვეტდა ჯიბრანი, მაგრამ... გარდა მხატვრული სტრუქტურისა, არსებობდა მისი პირადი ცხოვრების ტრაგიზმიც, ბედისწერის ის განაჩენი, სამშობლოს რომ მოაშორებდა მწერალს და მშობლიურ ენასაც ინგლისურზე გადააცვლევინებდა. ლიბანიც შორს დარჩენილიყო და არაბულიც თან მიჰყოლოდა; და ჯიბრანი კიდეც შეგუებოდა და... ვერც შეგუებოდა ამ ხვედრს, იხერხებოდა ორ ენობრივ-კულტურულ გარემოს შორის და „წინასწარმეტყველის ნალკოტში“ სწორედ საკუთარ ბედისწერას დაიტირებდა.

თვითონ თუ ვერ დაბრუნებოდა სამშობლოს, ალმუსტაფას მაინც დააბრუნებდა, ზედ გამომგზავრების ზღურბლზე კი არ შეწყვეტდა მისი ბიოგრაფიის ამ ეპიზოდს, გადმოატარებდა უშველებელ სივრცეს და მშობლიურ ხეთა ჩეროებში მოათქმევინებდა სულს.

სხვაგან ანკი სად ჰპოვებდა ნალკოტს?!

სხვაგან სად იტყოდა: აქ ამოგვზიდა მიწამ ჰანგად და იგავად, ჰანგად ამოგვთქვა ზეცისთვის და იგავად მიწისთვისო?!

ასეთი ულრმესი ინტიმურობით მარტოდენ მშობლიურ სივრცეს განიცდი.

და ეს მუნათიც, ალმუსტაფამ რომ უნდა დასდოს თავის ხალხს, საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი კოსმოპოლიტის მიერ გამოტანილი გულგრილი განაჩენი კი აღარ არის, არამედ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარი მრისხანება, გულში გამონატანჯი უმძაფრესი ტკივილები, ამოუთქმელად რომ შეიძლება დაიხრჩო კიდეც.

თავი აღარც გენანება, მაგრამ ქვეყანა რჩება იმ შეგონებათა გარეშე, ასე სასიცოცხლო რომ არის მისთვის საბედისწერო ჟამს:

„. ..ვაი ერს, რომელსაც აქვს ნაირგვარი რწმენა და არ აქვს სარწმუნოება...

ვაი ერს, რომელიც გმირად მიიჩნევს ტრაბახა ხეპრეს, და ბაქია დამპყრობელი დიდსულოვანი ქველი ჰგონია...

ვაი ერს, რომელიც ხმას აღიმაღლებს მხოლოდ მიცვალებულის დატირებისას.

ვაი ერს, რომელსაც საამაყოდ ნანგრევებილა შერჩენია, და რომელიც ამბოხდება მხოლოდ მაშინ, როცა კუნძზე თავს დაადებინებენ და ჯალათს მახვილი უკვე შემართული აქვს...

ვაი ერს, რომელიც ბუკითა და ნაღარით ეგებება ახალ მბრძანებელს და მერმე ყიჟინით აძევებს მას მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა სხვას შეეგებოს ბუკითა და ნაღარის დგერით.

ვაი ერს დაშლილ-დანიაწებულს, რომლის ყოველ ნაწილს ერად მოაქვს თავი".

ეს რიტმი, ეს ექსპრესია გიყოლიებს და გაგულიანებს კიდეც, ერთი მუხლიც დაურთო ყველაზე ზუსტ და მარჯვე ინტერპოლაციად:

ვაი ერს, რომელსაც ასეთი წინასწარმეტყველნი არა ჰყავს.

* * *

ნუ იტყვით, მე შევიცან ჭეშმარიტებაო, – ამასაც უბეჯითებდა ალმუსტაფა მოყვასთ, – სჯობს თქვათ: სიმართლეს მივაგენიო.

ნურც იმას დაიქადნიდნენ: მე ვიპოვე გზა სულისაო.

უფრო თავშეკავებით სჯობდა: ჩემს გზაზე მოარული სული შემომხვდაო.

ამ სტრიქონებში ხელშესახებად გამოსჭვივის არამარტო პერსონაჟის – და მწერლისაც – ეთიკური მრწამსი, არამედ პიროვნული ხასიათიცა და ცხოვრების წესიც.

სავსებით კმარობდა სიმართლის მიგნებას, კმარობდა შეხვედრას მოარულ სულთან და უფლისადმი ლოცვავედრებას ამ განცდაში ანივთებდა: მირჩევნია ჭა ვიყო, დამშრალი და დაშრეტილი, და ადამიანებმა ქვები დამიშინონ, ამის ატანა უფრო ადვილია, ვიდრე გაძლება იმისა, რომ წყარო ხარ, გაცოცხლებული წყლით სავსე, კაცნი კი ჩაგივლიან და არ გენაფებიანო.

* * *

ნეტა „წინასწარმეტყველი“ – და მასთან ერთად „იესო, ძე კაცისა“ და „წინასწარმეტყველის ნალკოტი“ – როგორღა განისაზღვრება მეტაფორულ ენაზე –

თავისებური მეექვსე სახარებაო?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო კაკაბაძე

# „უსწავლელი სწავლული“

## „უპირატესობა საქართველოს და არა ევროპას“

მეორე ვრცელი პრობლემა, რომელსაც სიმონ მასხარაშვილი თავის წიგნში აანალიზებს, ე.წ. „სომხეთის საკითხია“. მისი აზრით, თუკი ანისში აღდგებოდა სომეხთა მეფობა. წინა აზიაში შეიცვლებოდა პოლიტიკური სურათი: ქართველთა მხარდაჭერით სომხებს შეეძლოთ მუსლიმთაგან სრულად გათავისუფლებულიყვნენ და შეექმნათ ერთიანი სამეფო ანისიდან კილიკიამდე, რომელიც შუაზე გაჰკვეთდა ირანისა და რუმის სელჩუკებს, რაც თურმე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიის მუსლიმთაგან სრული განმენდის წინაპირობად შეიძლებოდა ქცეულიყო. სომხეთის სამეფოს აღდგენა საქართველოსთვის საუკუნო მსოფლიო ჰეგემონობის გარანტი გახდებოდა. „სომხური საკითხი“ გადაწყვეტას ითხოვდა – ქართველებმა კი „იმპერიული“ გზა აირჩიეს და საქართველოში შედიოდა ისტორიული სომხეთის ჩრდილო ნაწილი, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა სომეხთა გაქართველება. XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს დაცემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი თურმე გადაუჭრელი „სომხური საკითხი“ ყოფილა [1, 164-170].

ამ დებულებას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა ზოგადად გავიხსენოთ სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია.

სომხები კავკასიაში ავტოქთონური მოსახლეობა არ არიან. უცხოელი მკვლევარები: ფ. ლენორმანი, ჟ. მორგანი, ჰ. რაულსონი, ვ. სენ-მარტენი, ტესიე, კიპერტი, ე. ბურნუფი, რ. ანდერსონი, მ. ნიკოლსკი, ჰომმელი, გ. მასპერო, სეისი, ი. სერებრიაკოვი და სხვ. აღნიშნავდნენ, რომ მცირე აზიაში უძველესი დროიდან მოსახლე, ქართველების მონათესავე ხათების, ხურიტებისა და ურარტუელების ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნისთვის მოსულმა არმენებმა შექმნეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ცნობილია სიმონ ყაუხჩიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ ეწოდათ არმენებს ქართულად სომხები: „როდესაც „არმენიელები“ დასახლდნენ ქართული პროვინციის „სომხითის“ საზღვრებთან, ქართველებმა „სომხითის“ სახელწოდება გადაიტანეს „არმენიელების“ ქვეყნის აღსანიშნავად და თვით მცხოვრებლებსაც უწოდეს სომხები“ [14, 057]. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ტერმინი „სომხითი“ საისტორიო გეოგრაფიას შემორჩა ამ მხარეში სომეხთა პოლიტიკური მბრძანებლობის დროიდან და X საუკუნიდან მოყოლებული „სომხითს“ უწოდებენ ბოლნის-დმანისის ხეობებსა და ლორეს ველს, ოღონდაც, საყურადღებოა, რომ თავად სომხები და სომხური წყაროები ამ ლორე-ტაშირის ველს უწოდებდნენ არა „სომხითს“, არამედ პირიქით, „ქართველთა ველს“ [15, 18]! მაგრამ მივუბრუნდეთ მთავარ სათქმელს. ძვ. წ. აღ-ის II საუკუნიდან იწყება არმენთა შემოტევა ქართული მიწაწყლის ხელში ჩასაგდებად და ისინი იტაცებენ მესხეთის და ქვემო ქართლის სამხრეთ მიწებს. IV-V საუკუნეებში სომხები ასევე დროდადრო შემოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და V-VII საუკუნეებისთვის ისინი ქვემო ქართლის მონასტრებში სომხურადაც აწარმოებდნენ წირვა-ლოცვას. ის კი არა და, იმ პერიოდში სომხური ეკლესია გარეშე მტრების მეშვეობით ცდილობდა საქართველოს და ალბანეთის ეკლესიები დაექვემდებარებინა. მაგრამ მათი ეროვნული კულტურულ-შემოქმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა მაინც „არ დუღდა და არ გადმოდუღდა“ ქართულ პროვინციებში და არავითარი დიდი კვალი სომხური კულტურული შემოქმედებისა არ ჩანს [16, 602]. X საუკუნეში განხორციელდა მათი მეორე იერიში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე – გუგარეთში. შემდგომ ისინი უფრო თამამდებიან და 1065 წლამდე აყალიბებენ სომხურ ჯუჯა სამეფოს ცენტრით სამშვილდე. ეს ფაქტი უტყუარი დასტურია იმისა, რომ „სომხეთს ერთთავად საქართველოს დაპყრობასა და გასომხებაზე ეჭირა თვალი“ [17, 9]. სომეხთა ამბიციები არც მომდევნო საუკუნეებში ცხრებოდა. XII საუკუნეში, როდესაც ლორე-ტაშირ-სომხითს საქართველოსთვის გარეშე მტრისგან თავდაცვის დროს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მათ მოითხოვეს თავიანთი ჯუჯა სახელმწიფოს აღდგენა. არადა, ეს კუთხე სამხრეთიდან შემოსეულ მტერს პირველი უნდა დახვედროდა, რის გამოც ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით იგი „მეწინავე დროშა“-დაც ინოდებოდა [17, 21]. აღარაფერს ვამბობთ სომეხთა მოღალატური როლის შესახებ მტრების (ჯალალედინის, აღა-მაჰმად-ხანის, ბოლშევიკთა მე-11 არმიის) შემოსევების დროს, აგრეთვე მათ მიერ ქართველი მოსახლეობის ძალდატანებითი გასომხებისა თუ ქართული ტაძრების მიტაცების თაობაზე, რაც, სხვათა შორის, არც ევროპელ მოგზაურებს დარჩენიათ უყურადღებოდ [18, 28].

ახლა გავიხსენოთ ქართველთა ისტორიული დამოკიდებულება სომხების მიმართ. დავით აღმაშენებელმა სომხებისთვის ქალაქი გორიც კი დააარსა, ხოლო არაბთაგან თბილისის გათავისუფლების შემდეგ იქ ანისელი სომხები ჩაასახლა და მათ ქართველებთან გათანაბრებული მოქალაქეობრივი უფლებები მიანიჭა. თამარის დროს ანისის მოსახლეობის ამოხოცვის საპასუხოდ ქართველებმა დალაშქრეს თითქმის მთელი სპარსეთი და მშვიდობიანი მოსახლეობის ამომწყვეტნი დასაჯეს. საქართველოში ყარსელი სომხები შეიფარეს მონღოლთა შემოსევების დროს, ასევე თემურლენგის ლაშქრობების დროსაც გიორგი VII შემოხიზნულ სომხებს თავშესაფარი მიუდგომელ ციხეებში მიუჩინა. ამიტომაც იყო, რომ „აღმაშენებლის, დემეტრე I-ის, გიორგი III და თამარის მეფობაში სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და მათ საშუალება მიეცათ ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინათ და მომავალი განსაცდელის საბრძოლველადაც მოღონიერებულიყვნენ“ [15, 2]. აღსანიშნავია, რომ სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი იმხანად წერდა – სომხებმა ორიენტაცია უნდა აიღონ საქართველოზე, ქართველების მეთაურობით უნდა იბრძოლონ თავიანთი ქვეყნის დასაცავად. უპირატესობა საქართველოს უნდა მიანი-

---

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭონ და არა ევროპასო [15, 11]. ესაა სიმართლე, ქართველებს არასოდეს მიუტაცებიათ არც სომხების „ძირძველი ქალაქი ყარსი“ (?!) და არც მათი სახელმწიფოს ჩრდილო ტერიტორიები. პირიქით, ქართველი მეფეები მუდამ ზრუნავდნენ სომხებისთვის, მათ იფარებდნენ, თუმცა მათთვის უპირველესი საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერე გახლდათ, ეს იყო მათი პოლიტიკური მიზანი და არა ბრმა თავდადება სხვათა დასაცავად. „სომხური საკითხის“ მიზეზი თავად სომხებშია საძიებელი: ბიზანტიისა და სომხეთის ხანგრძლივი დაპირისპირების შედეგად სომხეთში თითქმის სრულად ამოწყდა ფეოდალთა ფენა, ეროვნულობის უპირველესი დასაყრდენი. ამით აიხსნება, რომ სომხებმა ვერ შეინარჩუნეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ერის მთავარი ისტორიული ფუნქცია ვაჭრობა-მიგრირებით შემოიფარგლა, რასაც თავად სომეხი მკვლევარნიც შენიშნავენ – ბართიკიანის თქმით, XI საუკუნის შუა ხანებისათვის სომხები მოხეტიალე, არამდგრად ხალხად მიაჩნდათ, რომლებმაც საკუთარი სახლი დაკარგეს და სხვისას ისაკუთრებდნენ [17, 9].

მართლაც, სომხეთის სამეფოს დაცემის მიზეზი გახლდათ არა ქართველთა „იმპერიული“ ზრახვანი, არამედ მათი შინაგანი პრობლემა: ისინი საკუთარ სახელმწიფოს ვერ იცავდნენ და იმავდროულად ლამობდნენ სხვათა ტერიტორიების მიტაცებას. ამით აიხსნება იმხანად სომხების ეროვნული თვითშეგნების დაკნინება და ისინიც იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მსხვილ სავაჭრო პუნქტებში ჰქონდათ საკუთარი საზოგადოებრივი გაერთიანებები და ეკლესიები, მათთვის შეუფერებელი ვაჭრობის წინაპირობას რომ წარმოადგენდნენ. რაც შეეხება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „სომხეთის სამეფოს აღდგენა საქართველოსთვის საუკუნო მსოფლიო ჰეგემონობის გარანტად შეიძლებოდა ქცეულიყო“, ბატონი მასხარაშვილი აქაც თავდაყირა წარმოაჩენს იმდროინდელ მოვლენებს და მცდარ თვალსაზრისს გვთავაზობს. სინამდვილეში მუსლიმებს ხელს აძლევდათ, თუკი დროებით აღდგებოდა სომხური სახელმწიფო. ისინი შეეცდებოდნენ მის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ, რათა ამით დაესუსტებინათ ეს უკანასკნელი [17, 14]. ესაა ისტორიული სინამდვილე, რომელსაც წიგნის ავტორი ან ვერ ჩასწვდომია, ანდა მიზეზთა გამო განზრახ ამრუდებს.

## „მიზანი და სული ერთი არ იყო“

სიმონ მასხარაშვილი ორიგინალობით საქართველო-ჯვაროსნების საკითხის განხილვის დროსაც გამოირჩევა, როდესაც ამტკიცებს, რომ დავით აღმაშენებელმა, ჩანს, გამოიყენა კონსტანტინოპოლის დიასპორა – აამოქმედა მსტოვართა აპარატი, ევროპის მხრიდან თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მიაღწია მეორე ფრონტის გახსნას და ჯვაროსნული ომის პროვოცირებით თავად შექმნა ახალი საერთაშორისო სიტუაცია, რაც მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა ყოფილა. ამას გარდა, მისი თქმით, ერთი საუკუნის შემდგომ, 1204 წელს, თურმე, მართლმადიდებელი საქართველო და კათოლიკე ჯვაროსნები გაერთიანებულან ბიზანტიის წინააღმდეგ და ეს უკანასკნელი შუაზე გაუყვიათ [1, 132].

ურიგო არ იქნებოდა, ავტორი საფუძვლიანად გაცნობოდა იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც საკითხის თაობაზე შეიქმნა, მაშინ ხომ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის განხილვას ასე ზერელედ არ მოეკიდებოდა. ჯერ ერთი, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯვაროსნების და საქართველოს მოქმედება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ურთიერთისთვის მისაღები იყო. ჯვაროსანთა ახლო აღმოსავლეთში გამოჩენა დავით აღმაშენებლის წარმატებულ პოლიტიკას ხელს უწყობდა. მეფის წარმატებული პოლიტიკა თურქ-სელჩუკებთან კი ჯვაროსნებისთვის იყო სახარბიელო [19, 291]. მაგრამ არსებითად განსხვავდებოდა მათი მიზნები. ჯვაროსნობა იდეოლოგიურად ქრისტეანობის დაცვას ისახავდა, თუმცა, პრაქტიკულად, იგი აღმოსავლეთში გაბატონებას გულისხმობდა, რასაც თან ერთვოდა სწრაფვა სავაჭრო გავლენისათვის. საქმე ისაა, რომ წმ. ადგილების გათავისუფლება უზრუნველყოფდა თავისუფალ ვაჭრობასაც, რომელსაც ბიზანტიაც და იტალიის ქალაქებიც მისდევდნენ [21, 277]. ამიტომაც იყო, რომ ჯვაროსნობის საფუძველი გახდა თურქთაგან იერუსალიმის დაპყრობა, ანუ დასავლეთ ევროპის მიერ სავაჭრო თუ პოლიტიკური ცენტრების დაკარგვა. ასეთ პირობებში ევროპისთვის საქართველო, თუნდაც იგი ნეიტრალური პოლიტიკის გამტარებელი ყოფილიყო, ამ რეგიონში მუსლიმთა წინააღმდეგ დასაყრდენი ძალა მაინც გახდებოდა. მით უფრო, რომ დავით აღმაშენებელი აქტიურად იბრძოდა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. აკი ევროპელი ჯვაროსნები და რომის პაპიც ქართველ მეფეებს დახმარების თხოვნით მიმართავდნენ ხოლმე. მაგრამ ეს იყო ერთი მხარე, არსებობდა თუ არა მსგავსი მოთხოვნილება ქართული მხრიდანაც? სამეცნიერო ლიტერატურაში ესეც გარკვეულია. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველთა მიერ ჯვაროსნობის გაზიარება საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს არ გასცილებია – ჯვაროსნობა ქართველთათვის იყო სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელების საშუალება. ქართველებს გათვითცნობიერებული ჰქონდათ, რომ ისინი და ჯვაროსნები ერთ მტერს სხვადასხვა მიზეზით ებრძოდნენ და მიზანი და სულიც ერთი არ იყო [22, 33]. ეს განსხვავება გამომდინარეობდა იქიდან, რომ საქართველო ბუნებრივი ნაწილი იყო იმ აღმოსავლეთისა, რომლის დაპყრობასაც ჯვაროსნები ლამობდნენ. მართლაც, ჯვაროსანთა ნამდვილი ზრახვანი მალევე გაირკვა – ისინი იდეოლოგიურად ათავისუფლებდნენ მაცხოვრის საფლავს, პრაქტიკულად კი ჟლეტდნენ აღმოსავლეთის მოსახლეობას და არც ქრისტეანთა ხოცვას ერიდებოდნენ. არც ის იყო გამორიცხული, რომ შესაძლებელი იყო საქართველოს წინააღმდეგაც გაელაშქრათ, თუკი მათი დამპყრობლური პოლიტიკა ამას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე საქართველო საკუთარ სახლს აშენებდა. მისი ცდა იყო შინაგანი განვითარება, დაცვა საკუთარი ცხოვრებისა და ეროვნულ ძალთა გაშლა [22, 43]. ეს კი უთუოდ გულისხმობდა იმას, რომ ანგარიში უნდა გაეწიათ იმ „ურწმუნო“ მუსლიმებისთვის, რომელთანაც ბევრი რამ საერთო ჰქონდათ და რომლის მიმართაც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, ერიდებოდნენ მათ გალიზიანებას [17, 14]. ასეთი იყო ქართველ მეფეთა სახელმწიფოებრივი კონცეფცია, რომელიც გამორიცხავდა ჯვაროსნობის ბრმად გაზიარებას. მეტიც, დავითის დროს საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავ-

კასიის ხალხებთან, რუსეთთან, სომხეთთან, შირვანთან და ბიზანტიასთან, რაც, თავის მხრივ, ემსახურებოდა ქვეყნის წინსვლასა და აღმავლობას.

მეორეც, 1204 წელს მართლმადიდებელი საქართველო და კათოლიკე ჯვაროსნები არ გაერთიანებულან და მათ ბიზანტია შუაზე არ გაუყვიათ, როგორც ამას ავტორი ბრძანებს. ერთი შეხედვით, შესაძლოა კონსტანტინოპოლის ჯვაროსანთაგან აღება და ქართველთა მიერ ტრაპიზონის საკეისროს დაარსება ამგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს კიდეც, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სინამდვილეში სრულიად საპირისპირო მოვლენები განვითარდა: ბიზანტიის იმპერიაში ცნობილი იყო მკვიდრ ქალდეველთა ლტოლვა განცალკევებისაკენ. ამ მოძრაობას სათავეში ჯერ კიდევ IV ს-დან ედგა გაბრათა დინასტია, რომელიც ქალდიის (ლაზეთის) დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. სწორედ ქალდთა ეს ლტოლვა გახდა წინაპირობა იმისა, რომ თამარ მეფის დროს ქართველთა ჯარი ტრაპიზონის მხარისკენ დაიძრა. ტრაპიზონის საკეისროს დაარსება იმდროინდელი საქართველოს მაღალ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე მეტყველებს. ერთი მხრივ, „თამარი ხელში იღებდა დაცვის მისიას... დიდი ქალდეური ცივილიზაციისას, რომლის გადარჩენილ ნაწილსაც წარმოადგენდა ქვეყანა პონტოსპირელი ქალდეველებისაც და სამეფოც თავად თამარისა“ [20, 16]. თანაც იქმნებოდა პლაცდარმი, საიდანაც შესაძლებელი გახდებოდა ქართველთა წინსვლა მცირე აზიისაკენ, სადაც ოდითგანვე ქართველური ტომები სახლობდნენ. მეორე მხრივ, „ლათინთა“ მიერ დაპყრობილი კონსტანტინოპოლის სანაცვლოდ ეს იქნებოდა საქართველოსთვის თითქმის შინაური, საკუთარი „ბერძნეთი“ და საქართველო მართლმადიდებელ ბერძენთა ერთგვარ დამცველადაც გამოდიოდა ამ ლათინთა თავდასხმის დროს [22, 71]. ამას გარდა, ტრაპიზონის საკეისროს დაარსებით თამარ მეფეს ეძლეოდა შესაძლებლობა თვალყური ედევნებინა მახლობელ აღმოსავლეთში პირისპირ დარჩენილი მუსლიმური სამყაროსთვის, რათა ამ უკანასკნელისგან დაეცვა ქრისტეანობა [22, 71-72].

ერთი სიტყვით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზანი იყო „ეთნიკური ძმობის“ საკითხი, ქრისტეანობის დაცვა და არა ჯვაროსნებთან შეთანხმებით ბიზანტიის გაყოფა. ეს სრულიად სხვადასხვა რამაა. ქართველებმა ისარგებლეს შექმნილი რეალობით და ისე, როგორც აღმაშენებელმა გამოიყენა ჯვაროსანთა წინსვლა ქვეყნის შინაგანი პროცესების კეთილად წარმართვისთვის, ახლაც, თამარის დროს ჯვაროსნობა გამოყენებულ იქნა ქართული გავლენის გასაფართოებლად ლაზეთში. ტრაპიზონის საკეისროს დაარსებით ქართველებმა შეაჩერეს ლათინთა სვლა ბიზანტიის დარჩენილი ტერიტორიისკენ და ჯვაროსნებს სწორედ რომ „პონტოს ქალდეა“ გამოსტაცეს ხელიდან. ეს საკითხი კარგა ხანია, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია და მასზე ხელი მიუწვდება ყველას, მოყვარულს თუ პროფესიონალს.

ასეთია, მოკლედ, საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი მხარე, რომელსაც არ სჭირდება არც სათავგადასავლო-სადაზვერვო სიუჟეტებით შელამაზება და არც არანაირი საერთაშორისო-სამართლებრივი სენტენციებით შეფუთვა. ყოველი მსგავსი მცდელობა, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ის, მეტადრე სამეცნიერო ხარისხის მქონე მკვლევარს, ოდენ ღიმილისმომგვრელია.

## „მცხეთისა ციხე – სახლი სამეუფეო“

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც სიმონ მასხარაშვილი ოდენ საკუთარი წარმოსახვით ასაბუთებს, არის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანა. მისი აზრით, „მცხეთა ქართლოსიანთა გვარის აღზევების საფუძველზე ქალაქად ქცეული დასახლება იყო. სწორედ ამ გარემოების გამო, ის ძნელად თუ გათავისუფლდებოდა კუთხურ-გვაროვნული თავისებურებებისგან. თბილისი, რომელიც მდებარეობს ორი კუთხის – კახეთისა და ქართლის ტერიტორიაზე, იმთავითვე თავისუფალი იყო ყოველგვარი გვაროვნულობისგან და კუთხურობისგან, სრულიად საქართველოს ადმინისტრაციულ, სავაჭრო, პოლიტიკურ ცენტრად მოიაზრებოდა და უკვე გულისხმობდა ყოველთა ქართველთა შემოკრებას“ [1, 107]. თუკი ავტორის ლოგიკას გავყვებით, მაშინ გამოვა, რომ აია, ანუ ქუთაისი, რომელიც მხოლოდ ერთი კუთხის მიწაზე მდებარეობს, ვერასოდეს გათავისუფლდებოდა აიეტის ოჯახის კუთხურ-გვაროვნული თავისებურებებისგან, დარჩებოდა „ქალაქად ქცეულ დასახლებად“, რომელსაც არასოდეს ეღირსებოდა შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად გახდომა. მაგრამ მაინც რა მოვლენები უძღოდა წინ დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანას?

საქართველოს და იმიერკავკასიელ ხალხთა შორის, ძირითადად, მეგობრული, მჭიდრო ურთიერთობები არსებობდა და ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ით IV-III საუკუნეებიდან მოყოლებული ქართველი მეფეები მომხდურ მტერთან ბრძოლის დროს ხშირად მიმართავდნენ მათ. ქართველთა და იმიერმთიელთა ურთიერთობები, როგორც წესი, იძაბებოდა მაშინ, როდესაც ასპარეზზე მესამე ძალა ჩნდებოდა და იგი იმიერკავკასიას იყენებდა საქართველოს დასამარცხებლად. ოდითგანვე იმიერკავკასიის საკითხი საჭირბოროტო იყო და ქართველი მეფეები მას პრიორიტეტად მიიჩნევდნენ. ამიტომაც მცხეთა, როგორც ჩრდილოსამხრეთ სავაჭრო გზაზე გამაგრებული „მსხვილი დასახლება“ და, რაც მთავარია, კავკასიონთან ახლოს, ანუ მასზე გამავალ კლდეკარებთან და ზეკარებთან მდებარე, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო და მას დედაქალაქის ფუნქციაც შემთხვევით არ ეკისრებოდა. აკი ვკითხულობთ ქართულ წყაროში: „ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობლობა ხაზართა და ოვსთა... რამეთუ ყოველთა ქალაქთა... უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა“ [4, 81]. ე.ი. იმ ხანად მცხეთა თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით გამორჩეული ქალაქი ყოფილა. მაგრამ დროთა განმავლობაში ვითარება იცვლება და ახალი რეალობის გათვალისწინებით დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადააქვთ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას შემდეგ, რაც IV-V საუკუნეებისთვის საგრძნობი გახდა ქვეყნის სამხრეთი საზღვრებიდან სომეხ-არმენების საგანგაშო მოძალება და ქვემო ქართლის ერთ ნაწილში მათი ძალდატანებითი დამკვიდრება, უკვე არსებითი მნიშვნელობა შეიძინა სამხრეთი ტერიტორიების დაცვამ, მით უფრო, რომ მომხდურნი

ოიდა ტერიტორიებისკენაც იწევდნენ. დადგა საკითხი სამეფოს ცენტრის სამხრეთით გადატანისა, თავდაპირველად, IV საუკუნეში ქართველებმა თბილისი „მცხეთის ციხედ" ააშენეს, ანუ სამხრეთიდან გაამაგრეს სამეფოს დედაქალაქი. მაგრამ უკვე V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა განიზრახა მისი სატახტო ქალაქად გადაქცევა, რაც მეფის ვაჟმა დაჩიმ VI საუკუნეში ალასრულა კიდეც. ამიერიდან თბილისი იქცა „სახლად სამეუფეოდ", ეს კი გამოწვეული იყო პოლიტიკური ვითარების ცვლილებით – თბილისი, როგორც ცენტრი სამეფოსი, იმავდროულად ზღუდეც უნდა გამხდარიყო მისი უსაფრთხოებისთვის. ესაა სიმართლე და არა რაღაც „კუთხურ-გვაროვნული" საკითხის წინ წამოწევა, რაც მცდარია.

## „თამარ ქალი ქვეყნის თვალი მზისა დარი"

სიმონ მასხარაშვილი თამარის მეფობის საკითხსაც ეხება. მისი თქმით: „ოპოზიციის შედარებითი სიძლიერე და უზავო ომების პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით აშკარა წამგებიანობა სამხედრო პარტიის წინაშე იდეოლოგიური ბაზის შექმნის აუცილებლობას აყენებდა. ამიტომაც თამარ მეფე მეოთხე ჰიპოსტაზის რანგში... აიყვანეს... თამარ მეფეს „სამგზის სანატრელი და სამებისგან ოთხებად თანაალზევებული" უწოდეს... ამით მაშინდელმა ქართველებმა მართლმადიდებლობის ქვაკუთხედი – მრწამსი – შეურაცხყვეს... მოიშალა ყოველგვარი კონტროლი, ზნეობრივად დაეცა ქვეყანა და... უომრად დავნებდით მონღოლებს... ამას იდეოლოგიური ახსნა სჭირდებოდა და კაციჭამია ჩინგიზ-ხანი გამოვაცხადეთ ზეკაცად, ქრისტეს რჩეულად?! ე.ი. „თამარმა, „ოთხებამ" სუბლიმაცია განიცადა ჩინგიზხანიზმში" [1, 181-7]. დამეთანხმებით, ამის წაკითხვისას კაცი უმალ გაიფიქრებს, რომ მკვლევარის „ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული". თუმცა ისიც აშკარაა, რომ შეუძლებელია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა არ იცოდეს თამარის ღვაწლისა და მისი ეპოქის მნიშვნელობის შესახებ და აქედან გამომდინარე, იგი თავის „მარგალიტებს" უმიზნოდ სულაც არ უნდა აფრქვევდეს. მაშ, რისთვის დასჭირდა მას ესოდენი მკრეხელობა? პასუხი არ არის ძნელი გასაცემი, თუკი გავიხსენებთ ქართული ზეპირსიტყვიერებიდან მზეთა მზისა და დედოფალთა დედოფლის, თამარის სახეს.

თამარი ხალხში იმდენად განთქმული იყო, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება თამარ მეფისა... და ყოველი სოფელი სავსე იყო მისმიერი ქებითა". მის სახელს უკავშირდება საქართველოში უამრავი ეკლესია, ხიდი, თქმულება, ეპოსი, სიმღერა-ხოტბა და სხვ. ამ თქმულებათა საფუძველი ხალხის წარმოდგენაა, რომლის მიხედვითაც თამარის ხანაში თავი მოიყარა ყველა ეროვნულმა მიღწევამ, ყოველივე საუკეთესომ [23, 320]. ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით თამარი მთელი მსოფლიოს მპყრობელია, მისი შიშით ხონთქარი და შაჰი ძრწოდნენ. ალბათ, დავითის და თამარის ეპოქათა გამოძახილიცაა ის ფაქტი, რომ გვიანი შუა საუკუნეების ევროპელი მისიონერები შენიშნავენ, თუ როგორ ეშინოდათ მუსლიმურ სამყაროში ქართული ტანსაცმლის და ეს სამოსელი მოგზაურთა თავდაცვისა და ხელშეუხებლობის საუკეთესო საშუალება ყოფილა როგორც სპარსეთში, ასევე ოსმალეთშიც [8, 124]. ლეგენდა ლეგენდად იყოს და ისტორიული სინამდვილე ისაა, რომ ხალხს თამარის სიყვარულით მისი სახელი ბეჭედზე, ხანჯალზე, ხმალზე, მოხუცებულთა ჯოხზე და მეცხვარეთა კომბალზეც კი ჰქონია ამოტვიფრული [24].

ერთი სიტყვით, „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და სოფლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თუითმფლობელი" თამარი, პირიმზედ წოდებული, ხალხისთვის წმინდა მეფე იყო და ასეთად ინახავს მის ხსოვნას შთამომავლობა. ვფიქრობთ, გლობალისტურად მოაზროვნე მკვლევარს სწორედ ეს გარემოება ზაფრავს, ამ შარავანდედის გამო ებრძვის წმინდა მეფის ხსოვნას და სურს თანამედროვეობა შეაჩვიოს, რომ საამაყო წარსული, ერის გამორჩეული იდეალები შეიძლება დაცინვის, აბუჩად აგდებისა და უსაფუძვლო განქიქების საგანი გახდეს. სხვაგვარად აუხსნელია მასხარაშვილისეული ხედვა თამარ მეფის მოღვაწეობისა და მის მიერ „ენის გასატეხად" შეთხზული სიტყვის „ოთხებიზმის" დამკვიდრებისა თუ თამარის ჩინგის-ხანთან მიმსგავსების მცდელობა. უდავოა, ახალგაზრდა ისტორიკოსი ისე გაიტაცა მოდერნისტულმა აზროვნებამ, რომ ვერც კი მიმხვდარა, რა დღეში ჩაიგდო თავი – დასაცინი თავად მისი გონების ნაჯახირევი გახდა.

## „ათი ბევრი მონამე"

წიგნის ავტორი კიდევ ერთ საკითხს წარმოაჩენს. ეს გახლავთ ვაჭარ-ბანკირთა ე.წ. როლი საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. მასხარაშვილი წერს: „თბილისელ ვაჭარ-ხელოსან-ბანკირ-მომსახურეთა თავგანწირვამ საუკუნოდ დაადასტურა, რომ ბურჟუა არანაკლები ქრისტეს რაინდია, ვიდრე აზნაური. 100 ათასი მოწამის სისხლით მსოფლიო მასშტაბით საუკუნოდ ეკურთხა ბურჟუაზიის მოღვაწეობის სფერო ვაჭარ-ხელოსნობა". ამას მოსდევს შემდგომ, ცოტა არ იყოს, გამაოგნებელი მსჯელობა: „რუსთაველი ბოროტების ძლევისკენ, „ქაჯეთის" აღებისკენ მიმავალ ერთადერთ გზას, ეკლესიასთან ერთად, სავაჭრო სისტემაში ხედავს... ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში ხედავდა რუსთაველი, რომ ჭეშმარიტება, სიკეთე და საქართველო ქაჯეთის ტყვეობაში დარჩებოდა, თუკი არ იარსებებდა გულანშარო, ანუ სავაჭრო კომერციულ-ბურჟუაზიული სისტემა... ყველაფერთან ერთად „ვეფხისტყაოსანი" ბურჟუაზიული აზროვნების სადიდებელიცაა" [1, 178-180].

ავტორის შეფასებას რუსთაველის, როგორც ბურჟუაზიული აზროვნების მადიდებლის შესახებ ლიტერატურათმცოდნეები, ალბათ, სულ სხვა დარგის სპეციალისტებს გადაულოცავენ და ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ არ შეიძლება ორიოდ სიტყვით არ შევჩერდეთ „ვაჭარ-ხელოსან-ბანკირ-მომსახურეთა" ისტორიული როლის შეფასების გამო, რომლის მიხედვითაც ბურჟუა არანაკლები ქრისტეს რაინდი ყოფილა, ვიდრე აზნაური.

ჯერ ერთი, ავტორი ვაჭარ- ხელოსან-ბანკირ-მომსახურეს ერთ ქვაბში აქცევს, თითქოსდა ეს დაჯგუფებები ერ-

თგვაროვან სოციალურ ფენას განეკუთვნებოდნენ, თანაც შუა საუკუნეებში. არადა, სინამდვილე სრულიად საპირისპიროა. მართლაც, XII საუკუნისთვის საქართველოში ქალაქები უკვე წარმოადგენდნენ არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, არამედ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრსაც. თანაც, აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, ქალაქების განსაკუთრებული აღმავლობა განაპირობა განვითარებულმა ხელოსნობამ, ვაჭრობამ, ქალაქთა სატრანზიტო გზებთან სიახლოვემ, სავაჭრო კავშირებმა და სხვ. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საქალაქო ცხოვრების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი იყო იმ დროის ხელოსნობის თითქმის ყველა დარგის განვითარება და რაც მთავარია, ხელოსნები ერთ წოდებას არ წარმოადგენდნენ. ერთნი, და უმეტესნი, ბატონყმობის უღელქვეშ იყვნენ, შედარებით ნაკლებნი კი – თავისუფალნი [23, 230]. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ „მაშინდელი საქართველოს დამახასიათებელი ყოფილა მაღალი ზნეობრივი მოძღვრება, რომელიც ადამიანს უკარნახებდა, რომ მხოლოდ საკუთარი შრომით შეძენილი ფული იყო უმწიკვლო და წმინდა, მხოლოდ ამ გზით მონაგები ქონება შეიძლებოდა ღვთისთვისაც სათნო ყოფილიყო. ანუ მხოლოდ ხელსაქმესა და ნაჭირნახულევს თან ახლდა სრული ზნეობრივი სიფაქიზე, სწორედ ეს აზრი მუშა კაცის, მიწისმოქმედისა და ხელოსნის ცხოვრების მძიმე ტვირთს აკეთილშობილებდა. და ზნეობრივ სიწმინდეს, შარავანდედსა და მიმზიდველობას ანიჭებდა" [25, 297]. რაც შეეხება ვაჭრებს, ანუ ავტორისეულ „ვაჭარ-ბანკირთა" ფენას, ისინიც, თქმა არ უნდა, საქალაქო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და დიდვაჭართა კატეგორია მონაწილეობდა არა მხოლოდ საქალაქო, სავაჭრო ან სასამართლო, არამედ სახელმწიფო საქმიანობაშიც. მაგრამ ერთი კია, ქართულ ქალაქებში ვაჭრები, ევროპელ ვაჭართაგან განსხვავებით, არ წარმოადგენდნენ „პატრიციებს", რომელნიც ქმნიდნენ ქალაქის საბჭოს და რომლებზეც ქალაქის მართვა-გამგეობა იყო დამოკიდებული.

ამრიგად, ქართული ზნეობრივი მოძღვრების მიხედვით, გაკეთილშობილებული იყო იმ მუშაკთა საქმიანობა, რომელნიც საკუთარი ხელსაქმით და ნაჭირნახულევით გამოირჩეოდნენ, ანუ ქმნიდნენ დოვლათს. ეს მოძღვრება არ მოიცავდა ჩარჩ-მევახშეობით, იმავე ბანკირობითა და ვაჭრობით მიღებულ ქონებას და მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისგან ამ ორი გზით მოპოვებულ პროდუქტს. ამიტომაც მცდარია, ჩვენი აზრით, ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ბურჟუა არანაკლები ქრისტეს რაინდია, ვიდრე აზნაური". ბურჟუა, ანუ ვაჭარ-ბანკირი ყოველთვის ოდენ საკუთარი სარგებელისთვის საქმიანობდა. მისი ნაშრომ-ნაღვანი არ გამოირჩეოდა „უმწიკვლობითა და სიწმინდით". ამდენად, მისი მსოფლგანცდა საკუთარი ქისისთვის ზრუნვას არ სცილდებოდა და არ მაღლდებოდა მამულისთვის ზრუნვამდე. არსად, არც ერთ დროს ვაჭარ-ბანკირი ანუ ბურჟუა ნამყვან, პატრიოტულ საზოგადოებას არ წარმოადგენდა, ასეთი რამ ისტორიისთვის უცნობია. რაც შეეხება მასხარაშვილის მტკიცებას, რომ 100 000 მოწამის სისხლით ბურჟუაზიის მოღვაწეობის სფერო ვაჭარ-ხელოსნობა ეკურთხაო, აქ იგი ვაჭარსა და ხელოსანს უსაფუძვლოდ გვერდიგვერდ მოიხმობს და ერთმანეთთან აიგივებს, რაც ასევე მცდარია. ხელოსნობა სხვა დარგია და, თუკი „ათი ბევრი" თბილისელი ხელოსან-მსახურეულის მოწამეობაზე ვისაუბრებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც ზემოთაც ვთქვით, მათ საერთო ჰქონდათ არა იმდენად ვაჭრებთან, რამდენადაც გლეხობასთან, რომელთა ნიაღსაც ისინი არ გასცილებოდნენ, რადგანაც საბეგრო კავშირებით ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურობას, ანუ იმ ფენას, პატრიოტიზმისა და ეროვნულობის უპირველესი გამომხატველი რომ იყო. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს მომდევნო ხანის ერთი თქმულებაც, რომელიც შინაარსით ეხმიანება „ათი ბევრი" მოქალაქის მონამეობრივ ისტორიას და აღწერს 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროინდელ ეპიზოდს, ავლაბრის ხიდზე რომ მომხდარა. იგი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ჯალალედინის დროინდელ ამბავს, საგულისხმო კი ისაა, რომ, თქმულების მიხედვით, შეჭირვებულ მოსახლეობას მაგალითს უჩვენებს ვინმე „გლეხი კაკაბაძე" თავისი ვაჟიშვილითურთ, რომლებმაც ბრძანება არ შეასრულეს და ხატის ნაცვლად სპარსელ ჯალათებს შეაფურთხეს. ამ მაგალითით ათასობით ქართველმა შეწირა თავი სარწმუნოებას, ეროვნულობას, ხოლო მათი თავმოჭრილი გვამებით მტკვრის კალაპოტი იყო გავსებული [11, 69]. ნიშანდობლივია, რომ XVIII საუკუნეში შექმნილ ამ თქმულებას მთავარ გმირად ხელოსან-გლეხი გამოჰყავს და არა ვინმე ვაჭარ-ბანკირ-ბურჟუა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩარჩ-მევახშეთა ფენას არცროდის უჩვენებია თავგანწირვისა და მოწამეობრივი აღსასრულის მაგალითი. ამდენად ავტორის მსჯელობაც ვაჭარ-ბანკირთა განსაკუთრებული ისტორიული როლისა და მსოფლიოს მასშტაბით ბურჟუაზიის საუკუნო კურთხევის შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა. მართლაც, ვაჟას თქმისა არ იყოს, „ვის გინახიათ, მითხარით, მთაში მოსული ნესვი".

სიმონ მასხარაშვილი კიდევ მრავალ თემას განიხილავს და მისი წიგნი საქართველოს ისტორიას მოიცავს XIX საუკუნემდე. თუმცა, შემდგომი პერიოდის ამბების გადმოცემისას იგი არ გამოირჩევა საკუთარი „კვლევის" წარმოჩენით და ოდენ ისტორიის ქრონოლოგიური თხრობით კმაყოფილდება. ოღონდაც ავტორი ფიქრობს, რომ ქართული დროშა ისტორიულად ხუთჯვრიანი იყო. მკვლევარს უნდა მოეხსენებოდეს, რომ დღემდე არსებული ქართული და უცხოენოვანი მონაცემებით სახელმწიფო დროშა არასოდეს ყოფილა ხუთჯვრიანი, არამედ ქართველთა სამეფო დროშა წმინდა გიორგის სახებით იყო შემკული [26, 47-53].

დაბოლოს, სიმონ მასხარაშვილის ნაშრომი განეკუთვნება იმ წიგნთა რიცხვს, რომლებიც ფართო მკითხველისათვის პოპულარულ ენაზე იწერება და რომელთა სიძვირესაც ქართველი საზოგადოება ნამდვილად არ განიცდის. თუკი რაიმე არის ავტორისეული, ის მიმართულია საქართველოს ისტორიის განქიქებისათვის, თავდაყირა აყენებს ჩვენს წარსულს და ქართველთა მატიანეს მკრეხელურად ამახინჯებს. ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ აღვნიშნოთ, რომ ჩვენს წინაშე წარსდგა ისტორიის ფაკულტეტზე ნასწავლი, მაგრამ ეროვნულ ცნობიერებადაკარგული მკვლევარი, რომელიც დამსგავსებია „ფუჭ ძეს", ქვეყნისთვის არაფრისმაქნისი რომ გამხდარა. მადლობა უფალს, მსგავსი „ფუჭნი ძენი" ვერ წარმართავენ საზოგადოებრივ აზრს და ვერც მათი „ნაღვან-ნაშრომი" იძენს ქართველი საზოგადოებისთვის სულიერი საზრდოს მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის სია:

1. სიმონ მასხარაშვილი, მატიანე ქართველთა, თბილისი, 2006.
2. კირიონ II (საძაგლიშვილი), Значение раскопок в Халдее для начальной истории Картвел (Грузин), გაზეთი „ერის ღირსება", 21. IV. 2006.
3. ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტური წერილები, ტ. 5, თბილისი, 1987.
4. ვახტანგ ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.
5. Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910.
6. გილგამეშიანი, ბაბილონურ ტექსტითგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ, კონსტანტინეპოლი, 1924.
7. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბილისი, 1992.
8. მანანა იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XIII-XVIII სს.), თბილისი, 2006.
9. Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае; православный палестинский сборник, т. IV, вып. I., С-ПБ., 1888.
10. რევაზ გაბაშვილი, ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში, „კრებული", ნიუ-იორკი, 1957.
11. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2001.
12. ვიკტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება, ტ. III, თბილისი, 2006.
13. ნინო ჯაველიძე, „აფხაზური პრობლემის" არსის გაგებისათვის, „მნათობი", 1989, №7.
14. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილისიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.
15. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბილისი, 1996.
16. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბილისი, 2001.
17. გულაბერ კლარჯი, ქართველი ერის შავბედობა, თბილისი, 2004.
18. ანზორ თოთაძე, სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია, თბილისი, 2005.
19. როინ მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1986.
20. დენიზა ზუმბაძე, ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა, გაზეთი „ერის ღირსება", №4 (2), XII, 2001.
21. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბილისი, 2005.
22. ზურაბ ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989.
23. როინ მეტრეველი, მეფე თამარი, თბილისი, 1991.
24. დიმიტრი ჯანაშვილი, ახალი წიგნები – „თამარ დედოფალი", სახალხო სკოლებში საკითხავი წიგნი, გაზეთი „ივერია", №III, მარტი, 1882.
25. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1983.
26. ნინო ჯაველიძე, „სეფე დროშა" თუ მასონური ნიშანი, „პერსპექტივა-XXI", №VIII, თბილისი, 2006.

## რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

# თავთავები ლიტერატურის ყანიდან

*

## ვერჯილ ნემოიანუს ლექცია თორნტონ უაილდერის შესახებ

მას „ჩვენი მწერლობის" მკითხველი კარგად იცნობს ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული საინტერესო სტატიითა და ორი საგულისხმო დიალოგით ბატონ პაატა ჩხეიძესთან. ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მისი წიგნიც: „მოკლე თეორია მეორადისა" (სერიით: „ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა"), რომელიც ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს გზას გაუკვალავს ამ სფეროს ლაბირინთებში, მანამდე კი იგი „ჩვენი მწერლობის" მოწვევით, საქართველოს ესტუმრა და რამდენიმე საინტერესო ლექციაც წაიკითხა.

ვერჯილ ნემოიანუ... – ამერიკელი მეცნიერი, მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორი, რომელიც ცნობილია თავისი საინტერესო თეორიებითა თუ ნაშრომებით ლიტერატურის საკითხებზე.

მთელი მსოფლიოდან უამრავი მოწვევისა და სამი წლის გეგმების წინასწარ განსაზღვრის მიუხედავად, მან ყველა საქმე გვერდზე გადადო და ჩვენს ქვეყანას ქართველ მკითხველთან შესახვედრად ესტუმრა.

მისი პირველი ლექცია, რომელიც მან ჟურნალის სალონში წაიკითხა, თანამედროვეობის უდიდეს ამერიკელ მწერალს თორნტონ უაილდერს მიეძღვნა.

ბატონი **როსტომ ჩხეიძის** თქმით, ვერჯილ ნემოიანუ არის ღრმად განსწავლული პიროვნება, რომელსაც შეუძლია ძალზე მარტივად მიიტანოს მსმენელთან თუ მკითხველთან ლიტერატურის ურთულესი საკითხები.

– თავისი მსოფლხედვით და მრწამსით იგი კონსერვატორია, ეყრდნობა გოეთეს, ლაიბნიცს და მიაჩნია, რომ რაც უნდა მოხდეს, როგორი დინებებიც უნდა მოიტანოს პოსტმოდერნიზმის ამა თუ იმ სკოლამ, მისი ტრადიციული მრწამსი უცვლელი დარჩება. თუმცა ამავე დროს ის ძალზე კარგად ერკვევა თანამედროვე მიმდინარეობებში, შეუძლია იმ პროცესებს დახედოს ზემოდან და მთლიანობაში გაიაზროს დღევანდელი ლიტერატურული პროცესები. ამის დასტურია მისი ნაშრომებიც: „მეორადის თეორია", რომლის ერთ-ერთი ფრაგმენტიც ქართულად ვთარგმნეთ მე და პაატა ჩხეიძემ და უკვე წიგნადაც მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადდა. ახლა კი იგი რამდენიმე საინტერესო ლექციით წარსდგება ჩვენი საზოგადოების წინაშე, – თქვა ბატონმა როსტომმა.

* * *

– ბატონი ვერჯილ ნემოიანუ 1990 წელს, აშშ-ში პირველად ყოფნისას, მისი წიგნით გავიცანი, – გვიამბო შეკრებაზე ბატონმა **პაატა ჩხეიძემ,** – მაშინვე გამიჩნდა სურვილი მეთარგმნა – ნაწილი მაინც, შემდეგ კი ფულბრაიტის პროგრამაში გამარჯვებამ საშუალება მომცა პირადადაც შევხვედროდი მას ამერიკაში.



*ვერჯილ ნემოიანუ*

ამას წინათ, ქართულ სუფრასთან ბატონ ვერჯილს ჰკითხეს:

– იქნებ მოკლედ აგვიხსნათ, რას გულისხმობს ეს თქვენი „ მეორადის თეორია"?

მან უპასუხა:

– წარმოიდგინეთ, რომ ყანაში მიდის კომბაინი. მის ნაკვალევზე რჩება ნაწვერალი. მოდის ადამიანი, რომელიც ამ ნარჩენებს კრეფს. კომბაინი პროგრესია, რომელიც ძალზე სწრაფად მიდის წინ, ადამიანი, რომელიც მას უკან მიჰყვება, აკრეფილი თავთავებიანად, კონსერვატორია, რეაქციონერიც კი...

გავა ხანი და სწორედ ეს ადამიანი გადაიქცევა პროგრესულ მოვლენად, რადგან მის მიერ აკრეფილი თავთავები ის ლიტერატურული და კულტურული ღირებულებებია, საზოგადოებას სწრაფი და დამღუპველი პროგრესისაგან რომ გადაარჩენსო.

ასეთია ბატონი ვერჯილის მოკლე ახსნა „მეორადის თეორიისა", მის მეცნიერულ დასაბუთებას კი წიგნში გაეცნობით.

* * *

„თორნტონ უაილდერი, როგორც ამერიკული დილემების კვინტესენცია", – ასეთი იყო თემა პირველი მოხსენებისა. ბატონი ვერჯილის თქმით, მან გადაწყვიტა ქართველი საზოგადოებისთვის წარედგინა ის მწერალი, რომელიც, მისი აზრით, ტიპურია ამერიკული ფსიქოლოგიის, პრობლემატიკისა და ცხოვრების წესისათვის.

ისაუბრა თორნტონ უაილდერის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან ასპექტებზე, მის პროზაზე, დრამატურგიასა და ესეებზე, სამწერლო მანერაზე, ნაწარმოებთა თემატიკაზე და მათში დასმულ ფილოსოფიურ თუ კულტურულ და ისტორიულ საკითხებზე. ამ ყველაფრის მიმოხილვით ბატონმა ვერჯილმა მსმენელს ხელისგულზე გადაუშალა ამერიკული ფსიქოლოგია და კულტურა, მისი განვითარების გზები და პერსპექტივები და აღნიშნა:

– თორნტონ უაილდერის შემოქმედებაში დასმული საკითხები კაცობრიობის ფუნდამენტური კითხვებია, მაშინაც კი, როცა სამყარო უფრო გლობალური ხდება. მის ბრწყინვალე პიესაში „ჩვენი კბილების კანი" უაილდერი თავს არ არიდებს უბედურებასა და ტრაგედიას. ამ ყველაფერს იგი დასაშვებად მიიჩნევს და გვამხნევებს, რათა ღირსეულად შევეწინააღმდეგოთ, გამჭრიახობა დავუპირისპიროთ იმ უბედურებას, რომელიც კაცობრიობის ევოლუციის ნაწილიაო.

* * *

**ზურაბ ლავრელაშვილი:**

– ბატონო ვერჯილ, თქვენ ისაუბრეთ უაილდერის ფილოსოფიურ კონცეფციებზე, მაგრამ მგონი არაფერი გითქვამთ მის სტილზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ იგი ამ თვალსაზრისითაც გამოირჩევა ამერიკელი მწერლებისგან და ის უფრო ევროპულ (შესაძლოა სულაც ფრანგულ) გავლენას განიცდის?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– თორნტონ უაილდერის სტილი ძალზე სადა და ნათელია, განსხვავებით ბევრი სხვა ავტორისაგან (მაგალითად, ფოლკნერთან ან ჯოისთან შედარებით). მან ასეთი რამ გააკეთა: ვთქვათ იმავე ჯოისისგან აიღო რამდენიმე ძირითადი ასპექტი, თემა და ეს ყველაფერი თავის ნაწარმოებებში გაამარტივა (მაგალითად თხზულებაში „ბეწვის ხიდზე"). მისი მწერლური სტილის ჩამოყალიბება შესაძლოა იმანაც განსაზღვრა, რომ იგი ბევრ ენას ფლობდა, მათ შორის ფრანგულსაც, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ასეთი გავლენაც ჰქონოდა...

**შოთა ბოსტანაშვილი:**

– ამერიკელების აზრით, დეკონსტრუქტივიზმის ეპოქაში მათი ლიტერატურა გამოირჩეოდა კავშირებით საზღვრების მოშლის დისკურსთან და ფემინიზაციის პრობლემებთან. დღეს მათ მიაჩნიათ, რომ ეს ეპოქა მათ ლიტერატურაში დამთავრდა. ხომ არ შეგიძლიათ ჩამოთვალოთ ის ნიშნები, რომელიც ამერიკელებს არგუმენტებად მოჰყავთ ასეთი დასკვნისათვის?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– იცით, მე წინასწარმეტყველი არ ვარ, ამიტომ ამაზე ვერაფერს გეტყვით, წინასწარ ძნელია განსაზღვრო, როგორ წარიმართება ლიტერატურული პროცესები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შოთა ბოსტანაშვილი:**

– ამერიკელები ხომ ამ ყველაფერს მიმდინარე პროცესების შესახებ ამბობენ...

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– არა, იცით, მე ასე არ ვფიქრობ. არ მგონია, რომ ის ეპოქა დამთავრდა და ვერც წყვეტას ვხედავ. ამაზე ლაპარაკი კრიტიკის სფეროში უფრო შეიძლება, ვიდრე ლიტერატურისაში...

**შოთა ბოსტანაშვილი:**

– უმბერტო ეკოს ამის შესახებ თავისი განსხვავებული მოსაზრება აქვს – ის ამბობს: ყველა ეპოქას თავისი პოსტმოდერნიზმი აქვსო... ამ აზრს მეც ვიზიარებ...

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– დიახ, მეც დაგეთანხმებით...

**მარინა ბოკუჩავა:**

– საერთოდ იმ მწერლების მიზანი, საგანგებოდ რომ ართულებენ სტილს, ლიტერატურის ელიტარულობის გადარჩენაა. საინტერესოა ამერიკელი კრიტიკოსის აზრი: რა არის მიზანი იმ ავტორებისა, რომლებიც სტილის გამარტივებისაკენ ისწრაფვიან?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– საერთოდ ყველგან, ყველა ქვეყნის მწერლობაში, ელიტარულ ლიტერატურასთან ერთად არის სადა და უბრალო ტექსტებიც, რომელიც ყველასთვის გასაგებია. ასეთი ნაწარმოებები, კომერციული თვალსაზრისით, უფრო მომგებიანია, სტილის გამარტივებასაც ალბათ ეს დანიშნულება აქვს...

**ლევან ქურციკაშვილი:**

– ბატონო ვერჯილ, თქვენ განმარტეთ თორნტონ უაილდერის დამოკიდებულება რელიგიის მიმართ და აღნიშნეთ, რომ მას კარგად ესმოდა რელიგიის შინაარსიც და არსიც და, ამავე დროს, ითვალისწინებდა პრაქტიკულ მოთხოვნილებებსაც, ოღონდ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, მაინც როგორი იყო მისი მსოფლხედვა ამ თვალსაზრისით, რა პოზიციაზე დარჩა იგი რელიგიასთან მიმართებაში?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– კონკრეტულად რა ხდებოდა მწერლის სულში, ამაზე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა ცხოვრებაში ის არ იყო ღრმად მორწმუნე ადამიანი, თუმცა წიგნებში ყოველთვის ცდილობდა დაენახა და წამოეწია რელიგიისა და პრაქტიკული ასპექტების ურთიერთმიმართების პრობლემები. მისი, როგორც პიროვნების რელიგიური მსოფლხედვის ზუსტი განსაზღვრა კი გამიჭირდება...

**ლევან ქურციკაშვილი:**

– საინტერესოა თუ მოუსწრო მას გლობალიზაციის ტალღამ – ამერიკაში ეს პროცესები შედარებით ადრე დაიწყო და ხომ არ აისახა ის უაილდერის შემოქმედებაზეც? ღირებულებების გადაფასებას ვგულისხმობ...

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– თორნტონ უაილდერი 1975 წელს გარდაიცვალა. ამ დროისთვის გლობალიზაცია, ასეთი დამანგრეველი ძალის სახით არ არსებობდა, ამიტომ მას შესაძლოა მხოლოდ ინტუიტიურად ჰქონდა ნაფიქრი და გააზრებული გარკვეული მიმართულებების შესახებ. მასშტაბურად ეს ყველაფერი მის შემოქმედებაზე არ ასახულა. საერთოდ, ამერიკის მოდელი უაილდერს წარმოედგინა ადგილობრივი ტრადიციებისა და გარე დინებების ურთიერთშერწყმით, თუმცა ამ ყველაფერს მთელი მსოფლიოს მასშტაბებით ვერ ხედავდა.

**ნოშრევან არაბული:**

– ბატონო ვერჯილ, თქვენ წარმოშობით რუმინელი ბრძანდებით... თუ გსმენიათ რამე თქვენს სამშობლოში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, ანთიმოზ ივერიელის შესახებ?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– დიახ, რა თქმა უნდა! რუმინეთში ბევრი იციან ანთიმოზ ივერიელის შესახებ, იცნობენ მის თარგმანებსაც, საერთოდ მის შემოქმედებას. ანთიმოზ ივერიელის სახელი ანთოლოგიაშიც არის და სკოლაშიც ასწავლიან მისი ღვაწლის შესახებ...

**ზურაბ ლავრელაშვილი:**

– დღეს აქ თქვენი „მეორადის თეორიის“ შესახებაც ითქვა. საინტერესოა თორნტონ უაილდერი თუ თავსდება ამ თეორიის საზღვრებში და თქვენი აზრით, ის კომბაინში ზის თუ ფეხით მისდევს მას დანარჩენი თავთავების ასაკრეფად?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– უაილდერი ამერიკული ლიტერატურის ტიპური წარმომადგენელია. ის იყო ადამიანი, რომელსაც ორივე სურდა – იგი სიახლეებსაც ფეხს უწყობდა და ამავე დროს ტრადიციებსაც დიდ პატივს მიაგებდა. პროგრესის მომხრე იყო, ოღონდ მისთვის ფასეული ლიტერატურულ-კულტურული ღირებულებების შენარჩუნებაც უნდოდა.

**პაატა ჩხეიძე:**

– თორნტონ უაილდერის „ჩემი პატარა ქალაქი“ წლების წინათ ქართულად ითარგმნა და კინომსახიობთა თეატრის სცენაზეც გაცოცხლდა ძალზე წარმატებულად, მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორობით. ოღონდ ეს იყო არა მხოლოდ გადმოქართულებული, არამედ ქართულ სივრცესთან და სინამდვილესთან ადაპტირებული ვერსია. საინტერესოა, რა დამოკიდებულება გაქვთ თარგმანთან და ადაპტირებასთან?

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– ეს ყველაფერი ამ პიესის უნივერსალურ ბუნებაზე მეტყველებს. სხვათა შორის, ასეთივე წარმატებული ადაპტირება უაილდერის ამ ნაწარმოებისა ამერიკაშიც განხორციელდა – ორიგინალის ვერსია თეთრების ქალაქზეა, შავმა ამერიკელებმა კი აფრო-ამერიკული ქალაქის შესახებ გადააკეთეს და დადგეს...

**იოსებ ჭუმბურიძე:**

– მინდა ორიოდე სიტყვით ავუხსნა ბატონ ვერჯილს: მიხეილ თუმანიშვილი იყო თანამედროვეობის უდიდესი რეჟისორი, ვისაც პიტერ ბრუკი თავისზე დიდს უწოდებდა, სპექტაკლი ისეთი ქართული გამოვიდა, ვერც კი მიხვდებოდი, რომ ის პიესა ქუთაისზე არ იყო დაწერილი. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ნაწარმოები ნიჭიერმა დრამატურგმა და მწერალმა თარგმნა...

ახლაც ძალზე საგულისხმო იყო ჩემთვის იმის გაგება, რომ ამ პიესის ადაპტირება კონკრეტულ რეალობასთან მისი გადაკეთების პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

დიდი მადლობა დღევანდელი საინტერესო მოხსენებისთვის.

# მონოგრაფიის უნებლიეთ გამორჩენა?

ნიკო სამადაშვილის ერთტომეული „ფერისცვალება“ გამოსვლისთანავე ჩემს სამაგიდო წიგნად იქცა, ისევე, როგორც ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობის – „ლიტერატურის მატიანე“ – სხვა გამოცემები. მათგან განსაკუთრებით ძვირფასი ჩემთვის – და ალბათ მთელი მკითხველი საზოგადოებისათვის – შალვა ამირეჯიბის მემუარული პროზისა და პუბლიცისტიკის ორტომეული.




ნიკო სამადაშვილის ლექსებისა და ბელეტრისტიკის, აგრეთვე ეპისტოლური მემკვიდრეობის ამ სრული კრებულის გამოცემისათვის მადლობა არაერთ პიროვნებას ეკუთვნის, უპირველესად კი მის თაოსანს (შემდგენელსა და რედაქტორს) იზა ორჯონიკიძეს.

თავის დროზე მწერალთა გაზეთში წაკითხული მაქვს ერთი რეპლიკა, რომელიც ეხებოდა ამ შემოქმედის ლექსებისა და პროზაული თხზულების („შეხვედრები და სინანული") ერთად გამოცემას და ავტორი (მგონი, ავტორები!..) ასეთ ცდას არ ამართლებდა იმ მიზეზით, რომ ამ ბელეტრისტულ ქმნილებაში ჩართულია ნიკო სამადაშვილის საუკეთესო ლექსები, არა ფრაგმენტებად, არამედ თავიდან ბოლომდე, და ისე გამოვიდოდა, რომ ერთი და იგივე ლექსები ერთ კრებულში ორჯერ უნდა გამოქვეყნებულიყო.

ეს უხერხულობა ნამდვილად ჩნდება და ალბათ მართლაც არ ღირს, რომ ასე ერთად გაუთავებლად იბეჭდებოდეს ლექსები და „შეხვედრები და სინანული“, მაგრამ ამ ერთხელ შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში, მე ყურს არა მჭრის ჩემი საყვარელი ლექსების ხელახლა გადაკითხვა.

სხვათა შორის, ძალიან დაამშვენა წიგნი ფოტომასალის დართვამაც. კარგია, რომ არც ის ფოტოა გამორჩენილი, რომელზეც აღბეჭდილია ერეკლე ტატიშვილის (ნიკო სამადაშვილის პოეზიის შთამაგონებლის) საფლავი, მისმა ერთგულმა მონაფემ რომ შეამკო მარმარილოს ქვით.

„ფერისცვალების“ მდიდრულ შინაარსს ავსებს სტატიების ეს ციკლი, რომელიც სხვადასხვა დროს მიეძღვნა ამ გამორჩეული შემოქმედის პოეტურ ღვაწლს, მის თავისებურებათა და ადგილის გარკვევას ჩვენი ლიტერატურის (არა მხოლოდ მეოცე საუკუნის!) ისტორიაში. და მითუფრო დამაკლდა გულს ნაირა გელაშვილის კრიტიკულ-ესთეტიკური ნარკვევი „გადმორბენა სამყაროსაკენ“ და როსტომ ჩხეიძის ესეი „ორეული“, სხვათა შორის, ესაა ერთადერთი წერილი ჯერჯერობით, რომელშიც ნიკო სამადაშვილის პროზაული ქმნილებაა გაანალიზებული.

მათ გამორჩენაზე მეტად კი გამაკვირვა, რომ ნიკო სამადაშვილის ამ ერთტომეულში სრული დუმილითაა გვერდავლილი თვალსაჩინო მკვლევარის რუსუდან ნიშნიანიძის ღვაწლი ამ პიროვნების წინაშე. მან არათუ სტატია, მთელი მონოგრაფია უძღვნა მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევას, საკანდიდატო დისერტაციაც ამ თემაზე დაიცვა და მონოგრაფიული ნარკვევი კი მთლიანად შეიტანა წიგნში „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან...“ – რომელიც, ერთი პოეტის შემოქმედების გააზრების გარდა, თავისებური გზამკვლევიცაა ამ ტრაგიკული ეპოქის სამწერლო რეალობის შესაცნობად.

ერთტომეულს ერთ-ერთი თავის გადმოტანაც მოუხდებოდა ამ მონოგრაფიიდან და თვითონ ფაქტის გამოკვეთაც, რომ ნიკო სამადაშვილს ეძღვნება არა მხოლოდ წერილები, არამედ აგერ ჩინებული მონოგრაფიაც გამოჩნდა და საერთოდ, მისი შემოქმედება დისერტანტებისთვისაც შესაფერისი მასალაა.

ეს ხომ ისევ ნიკო სამადაშვილის პოპულარობას წაადგება მკითხველის თვალში, კიდევ ერთი ხელშესახები დასტური იქნება მისი მნიშვნელობისა.

ამხელა მონოგრაფია უნებლიეთ შეუძლებელია გამორჩენოდათ.

და მაშ იქნებ თქვენ გამარკვიოთ, რატომ უნდა მომხდარიყო ასე, თორემ სოფლად რომ ხარ გამოკეტილი და სამწერლო ცხოვრებას სრულიად მოწყვეტილი, ეტყობა, ასეთი რამეების ახსნა შენით გიძნელდება.

**თემო ჩიტაძე**
*ყელქცეული*

### რედაქციის მინაწერი:

**ბატონო თემო**

**თქვენი მაგალითი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ შეუძლებელია ადამიანი გამოკეტილი იყოს და სამწერლო ცხოვრების მღელვარებას მოწყვეტილი, თუკი ლიტერატურა უყვარს და, არამარტო ღრმადაა გათვითცნობიერებული, ახალ გამოცემებსაც გულმოდგინედ ადევნებს თვალს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ბიბლიოფილობასთან ერთად ბიბლიოგრაფიც უნდა ბრძანდებოდეთ. ასე რომ, თქვენი შეხმიანება და მოსაზრებისა თუ რჩევის გაზიარება იქნებ სხვა დროსაც არაერთხელ დაგვჭირდეს.**

**იქნებ თქვენ გამარკვიოთო, გვთხოვთ.**

**უმადურ საქმეს გვავალებთ.**

**და მაინც –**

**ეტყობა ძნელია პირად ურთიერთობებზე მაღლა დადგომა!.. და ეს – საზოგადოებრივი აზრის არარსებობის იმედით, თორემ სხვაგვარად ყველა მოერიდება თვალსაჩინო ლიტერატურულ ქმნილებათა გაუთვალისწინებლობას.**

**მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მაინც არსებობს, თუნდაც სოფლად თუ სხვაგან გამოკეტილიც ბჟუტავდეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა თავბერიძე

# რიდი რაინდისა

✸

## ბიოგრაფიული რომანიდან „ნისლის ტიხარი“

დათა ბიძია დაჭრეს, დათა ბიძია დაჭრეს! – თავქუდმოგლეჯილი გარბოდა გიმნაზიელისფორმიანი ყმაწვილი ბულვარში, გვერდს ოსტატურად უქცევდა ჯგუფ-ჯგუფად შეხვირიმებულ ხალხს, მირბოდა, მიყვიროდა. უკან ვილაც მისდევდა, მისი ტოლ-ამხანაგი უნდა ყოფილიყო, ფორმაც ისეთივე ეცვა. ის, წინ გავარდნილი, გამოცდილი მორბენალივით დარბოდა, ეს რამდენიმეჯერ შეეჯახა სასეირნოდ გამოსულ ქალაქელებს, ერთი-ორჯერ თავიც შეიკავა, შეყოვნდა, უფრო გაჯლაგუნდა, ვიდრე გაძვრა ჯგროში.

მირბოდა, მიყვიროდა, მისდევდა...

ერთი წინ, მეორე ოდნავ მოცილებით, მაგრამ აშკარად შეამჩნევდი, ეს იმას მისდევდა.

დათა ბიძია დაჭრეს – მიყვიროდა წინა, უხმოდ მისდევდა უკანა.

ბულვარი აფორიაქდა, აირია,ზოგი წინ გარბოდა, ზოგი – უკან. ვილაც-ვილაცეებმა მორბენალ ბიჭებს გადაუსწრეს, მაგრამ რომ ვერ გაიგეს, სად მირბოდნენ და რისთვის, ისევ შეჩერდნენ, აქეთ-იქეთ დაიწყეს ყურება, მართალია, იმას მიხვდნენ, რომ ვილაც დათა დაჭრეს, მაგრამ ვინ, აზრზე ვერ მოსულიყვნენ, ისიც ვერ დაედგინათ, ბულვარში მოხდა ეს ამბავი თუ ქალაქის სხვა ადგილას.

ბულვარი ბულვარს აღარ ჰგავდა, ქალთა და ყმაწვილთა საჭვრეტლად გამოსულნი აღარც ათვალიერებდნენ, აღარც ესალმებოდნენ, ამბავსაც აღარ ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მსოფლიო პოლიტიკაზე მოსაუბრეებს პარიზის კომუნა აღარ ეკერათ პირზე, იმდროინდელი საფრანგეთის ცხოვრებასაც აღარ ჩაგულისყურებდნენ.

ბულვარი...

უბულვარო ქუთაისი არ არსებობდა. აქედან ხელისგულივით ჩანდა მთელი მისი ცხოვრება, ავან-ჩავანი თავადისა, გლეხისა, მოქალაქისა, წვრილი მოხელისა თუ ბობოლა ჩინოვნიკისა. მწერლებსა და პუბლიცისტებს ბულვარი სიმართლის გამჟღავნების საშუალებას აძლევდა – თავის აზრს ბალში მოსეირნე ჯგუფს დააბრალებდა და მორჩა. ფსევდონიმ „ქუთათურს“ ამოფარებული ვილაცის ირონიული პასაჟი: – ბულვარის განსაკუთრებულობა მარტო ადამიანებს კი არა, ბაყაყებსაც ესმოდათ. ბაღს თხრილი შემოავლეს, შიგ წყალი გაუშვეს და ბაყაყებმაც მოადინეს ზღართანი მყლარტე წყალში. ამის შემდეგ არაფერი მომხდარა ბაყაყების კანტატის თანხლების გარეშე. მერე თხრილი მიწით ამოავსეს და დარჩა უმუსიკოდ ბულვარი, ჩაჩუმებულიყო გაზაფხულისპირის იმ დღესაც, – წერს ქუთათური, – როცა დაჭრა მოხდა, არც ნამდვილი მუსიკა უკრავდა, არც ბაყაყთა ორკესტრი ხმიანებდა.

ბაყაყებმა დატოვეს ბულვარი და ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გუბეებში დაიდეს ბინა. ახლა იქ ყიყინებენ ადრე ბალში მოყიყინენი. იქნებ ადამიანებისგანაც დაიცალოს ბულვარი, აღარც ისეირნონ, აღარც საქმეები გაარჩიონ, მაგრამ როგორც თევზი უწყლოდ, ისე ქუთათურებიც ვერ გაძლებენ უბულვაროდ – გვეუბნება ქუთათური.

ხალხი კვლავაც ისეირნებს, თუ ხანჯლისა და ხმლის ტრიალისა არ შეეშინდათ – ეხმიანება ათი დღის წინათ მომხდარ ამბავს და წერს:

„იქნებ მითხრას ვინმემ, რათ ატრიალებენ ასე მწარედ ხანჯალსა და ხმალს? ვისთვის? რისთვის? ეს მე არ ვიცი. ამას დიდი და უუდიდესი მიზეზი აქვსო. აქაურ გამომძიებლებს ჰკითხეთო. ამათი ფანტაზია თუ რასმე გიშველის ამ მიზეზის გამოძებნაში, თორემ უბრალო მომაკვდავები ვერას გავიგებთ“ – ეს ნაწყვეტიც იმ წერილიდანაა, ბულვარში დაჭრიდან ათი დღის მერე რომ გამოქვეყნდა და რალაცნაირად ეცადა მიზეზი ეპოვნა გახშირებული ხმალ-ხანჯლის ტრიალისათვის.

ბულვარში „გამრებ-გამომრები“, იგივე მოსეირნენი, ამ პუბლიკაციის მიხედვით დავახასიათოთ:

ერთი ჯგუფი მსხდომარეთა:

– რა გვიქნა ამ ოჯახდაქცეულმა, ფულის ნახევარი გამოგვართვა, გაკეთებით არაფერი გაუკეთებია და რუსეთისკენ მოუსვა. არადა, ზეგ სასამართლოა, ასეთი უზნეონი არიან ადვოკატები, სანამ სახელს მოიხვეჭდნენ, თან ყვებიან ყველას, გახდებიან საკმაო პრაქტიკის მქონენი და უფულოდ, უფრო სწორად, დიდი ფულის გარეშე ხელს არაფერს ჰკიდებენ. ექიმებიც ასე – ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს – ამბობს ერთი.

– მაგ ლათაიებს თავი დაანებე, ზეგ სასამართლოა, ადვოკატი მოვძებნოთ, თუ არა, ციმბირი უკან დაგვრჩება-პასუხობს მეორე.

– კაი, ვეძებოთ, მაგრამ ყუყზე ვინ გინდა მოძებნო. ამასწინათ არ იყო, ერთმა რვაასი მანეთი რომ მოგვთხოვა, მერე გავარკვიეთ, თურმე ადვოკატობა აკრძალული ჰქონია.

მოსეირნე მოსწავლეები:

პირველი – რა ქნა თქვენ კლასში რევიზორმა?

მეორე – რა უნდა ექნა, გამოიძახა მასწავლებელმა ერთი შტერი, რომელიც არ დაიბნა და ტყუილ-მართალი ერთად დაახვავა. მასწავლებელი ეკითხებოდა, ის-პასუხობდა, რას არავინ დაეძებდა.

მესამე: მაგ რაა – ჩვენმა ცხვირა პედაგოგმა ერთი ჩვენი თანაკლასელი რუკასთან იხმო. იმანაც რუსეთი ისე შემოხაზა, – დასავლეთი საზღვარი მდინარე რეინზე გაავლო, კიდევ კარგი, ბისმარკსა და მოლტკეს არ გაუგიათ, თორემ გენახათ, რა ვაი-უშველებელი ატყდებოდა...

დაახლოებით ასეთი, უფრო ჭორ-მართლის გარჩევის ადგილი იყო ქუთაისის ბულვარი, იმდღევანდელი კი გადასხვაფერებულიყო, ჩვეულებრივს არ ჰგავდა, სეირნობა აღარავის ახსოვდა, უფრო დარბოდნენ....

ბულვარში იმ დღეს ნელი, სასიამოვნო დასავლეთის ქარი ქროდა, ისეთი, გაზაფხულის პირს რომ იცის, ოდნავ სუსხიანი, თბილიც, ქრის, არ გბეზრდება, არ გაკრთობს....

ქარზე სწრაფად გიმნაზიელისფორმიანი ბიჭი გარბოდა. გარბოდა და ამბავსაც ქარზე მალიად ავრცელებდა.

დათა ბიძია დაჭრეს...

ვინ დათა, რომელი, რატომ... ყველა ინტერესდებოდა, მაგრამ ბიჭი ისეთი წინწიბურით გარბოდა, შეჩერება ზედმეტი იყო, კითხვა და გარკვევა რაიმესი მითუმეტეს.

სწრაფად გარბოდა, ძველი ბულვარი და იმდღევანდელი ერთმანეთს არ ჰგავდა, ხალხიც თითქოს გამოცვლილიყო, ზოგს მოსწავლეთა ოინი ეგონა ყოველივე, ზოგს არაქაური ამბავი, ამათ თუ გაიგეს, ჩვენ რად ვერ შევიტყვეთ – ფიქრობდნენ გუნებაში, და იდგნენ – მათი აზრით და სურვილით – იქ, სადაც უნდა მდგარიყვნენ. ბულვარში გუშინ, გუშინწინ, ერთი თვისა თუ წლის წინათ მომხდარი ამბები ირკვეოდა, იხილებოდა, ფიქრობდნენ მათზე, სხვადასხვანაირად უყურებდნენ. იმწამინდელი კი საოცრად აინტერესებდათ, ერთად შეჯგუფულ ხალხს ეძებდნენ თვალებით, რომ იქეთ გაქცეულიყვნენ და გაეგოთ, რა მოხდა სინამდვილეში...

ბიჭმა ყაფნებისკენ გაუხვია და მეეტლეთა რიგში გაუჩინარდა აქლოშინებული, მდევარიც მიყვა. არც ერთი ჩანდა, არც მეორე – დარჩა ხმა, ყვირილით ნათქვამ-დაკივლებული: დათა ბიძია დაჭრეს.

ბიჭის გაუჩინარებით ამბავი არ მიჩუმათებულა, პირიქით, ცნობისმოყვარეთა რიცხვმა იმატა. ვიღაც-ვიღაცებმა ყველაფერი გაიგეს, შეიტყვეს შესატყობი, მაგრამ ენას კბილი დააჭირეს, სახეზეც უშფოთველობა აღიბეჭდეს, უფრო მეტიც, ვინმე ცნობისმოყვარე რომ შეეკითხებოდათ, კითხვითვე პასუხობდნენ სახეზე გაოცებაალბეჭდილნი.

ესენი კი დადუმდნენ, მაგრამ ჭორის მოყვარულებს რა გამოლევს, ბიჭის კივილი კი არა, მეზობელი რომელ მხარეს წვებოდა და ხვრინავდა თუ არა ღამით, ისიც იცოდნენ. მათ სასტუმროსკენ მქროლავი ეტლიც დალანდეს, მაგრამ არ უფიქრიათ, რომ მასში დუელის ერთი მონაწილე იქნებოდა. არც მეორე დუელიანტი ჩანდა სანიერზე, ისიც უცებ გაეცალა იქაურობას, ფეხით გაქუსლა. ამისთვის ეტლი გახდა საჭირო. ის ორგან, თავსა და მხარში იყო დაჭრილი, ეს სამგან – თავში, მხარსა და გვერდში.

ბულვარში ერთ ადგილას შეგროვდა ხალხი, ზოგი დამუნჯებული, ზოგი მოლაპარაკე, ზოგი კიდევ ხალხში აქეთ-იქით მოსიარულე დაცქვეტილი ყურებით, იდგნენ, წრე შემოევლოთ ფილაქანზე დარჩენილი სისხლის ლაქებისათვის, გაიგეს, რომ თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლის შვილი დავით მიქელაძე და ალექსანდრე წულუკიძე დატაკებოდნენ ერთმანეთს, ერთიც დაჭრილიყო, მეორეც, ზოგი ამბობდა, ქალის გულისათვის იჩხუბეს, ზოგი ირონიით – ქალისათვის ასე როგორ გაიმეტებდნენ ერთმანეთს, ალბათ ძველი შუღლი და მტრობა ჰქონდათ გულში ჩადებულიო, და მისთანანი.

იდგნენ, დაჰყურებდნენ სისხლის ლაქებს...

ბულვარის გადამრბენელი ბიჭი არსად ჩანდა. შეჯახება სხვა ადგილას მოხდა, ის სხვაგან გარბოდა, ეტყობა, შეესწრო, შეეშინდა და თავისიანებისათვის უნდოდა გაეგებინებინა. მირბოდა, მიყვიროდა თვალებში შიშჩამდგარი, იმდენს ველარ ფიქრობდა, რომ არ უნდა ეყვირა, შიში აყვირებდა.

მერე და მერე, მეორე, მესამე დღეს ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი გაირკვა.

ბულვარში იმ დროს მყოფმა ქუთათურებმა ყველაფერი გაიგეს, უკვე ქალებმაც იცოდნენ, რაც მოხდა, იცოდნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეგონათ, მეორემ მასზე მეტი იცოდა ამ ამბისა და არ უნდა ჩამორჩენოდა. იყვნენ ისეთებიც, ბულვარში იმ დღეს რომ არ ყოფილან, და სხვებს, სისხლის ლაქებთან მდუმარედ თავდახრილებს, არ უჯერებდნენ. ამათ „დროების" ინფორმაციაც ტყუილი ეგონათ, მაგრამ მერე გიმნაზიელი ბიჭის კივილზე ჩამოუგდებდნენ ბულვარში იმ დღეს მყოფები ლაპარაკს და ჩერდებოდნენ, თითქოს ეს იყო უტყუარი საბუთი, უეჭველი არგუმენტი – ხალხით სავსე ბაღში კივილით გადარბენა ბიჭისა... ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქიდან მოტანილი ჭორ-მართალი სჯეროდათ, აგერ, ყურის ძირში მომხდარი ამბავი – არა. გაზეთში წაკითხულმა უფრო ცხადად შეაგრძნობინათ ყოველივე და შიშიც გაუჩნდათ, შიში არარაობისა. ყასიდად დუელიანტთა ჯანმრთელობაზე ალაპარაკდნენ. მართალია, სასიკვდილო არაფერი ჭირთო-ენერა გაზეთში, მაგრამ მაინც საკუთარი თვალით უნდოდათ ენახათ, დარწმუნებულიყვნენ ნანახით, ძველი უგულისყურობა ახლანდელი გულმოდგინებით გამოესყიდათ.

ვინც ყველაფერი იცოდა, ბოქლომი დაედო ბაგეზე.

კივილით ბულვარის გადამრბენელი ბიჭი და მისი მდევარიც სადღაც გადაკარგულიყვნენ. მეჭორეებს „დროება" ეჭირათ ხელთ, დააფრიალებდნენ, აკითხებდნენ, ხომ არაფერი იციო, კითხულობდნენ, მერე ორივენი მხრებს იჩეჩდნენ, მარშლის ყმაწვილი მაინც არ იყოს – მრავალმნიშვნელოვნად აკანტურებდნენ თავს კეთილშობილნი, სხვებს უფრო ყურები დაეცქვიტათ, უნდოდათ, მეტი გაეგოთ, და რომ ვერაფერს გებულობდნენ, სხვებსა და საკუთარ თავზეც ბრაზობდნენ.

გაზეთი „დროება" წერდა:

„...დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე და ალექსანდრე სვიმონის ძე წულუკიძე დატაკებიან ერთმანეთს ქუთაისის ბულვარში და ერთს ხრმლითა და მეორეს ხანჯლით დაუწყიათ ერთმანეთის ჩეხა.

ერთი მინუტის განმავლობაში მომხდარა ეს საქმე სანამ ვინმე მიშველებოდა და გააშველებდა ამათ. თ. დ. მიქელაძე მძიმედ დაჭრილი და სისხლში მცურავი დავარდა თურმე ძირს. თ. ალ. წულუკიძე კი ისე მძიმედ არ ყოფილა დაჭრილი, რომ სხვის შეუწევნელად არ შესძლებოდა შინ წასვლა. მიქელაძე ფაიტონით წაუყვანიათ შინ, წულუკიძე კი ფეხით წასულა.

ამბობენ, რომ თ. დ. მიქელაძეს სამი დაჭრილობა აქვს ხანჯლითაო, ერთი თავში, მეორე მხარზე და მესამე გვერდშიო. თ. ალ. წულუკიძე კი მარტო ორ ალაგას არის დაჭრილიო: თავში და მხარზე.

მიზეზი მათი ჩხუბისა, როგორც გავიგონეთ, ქალი ყოფილა"

დააფრიალებდნენ ამ გაზეთს და ყველას ეკითხებოდნენ მომხდარზე, ყველამ იცოდა, რომ დუელები საქვეყნოდ არ ინიშნებოდა, მითუმეტეს, ისეთ ადგილას მომხდარი, როგორიც ქუთაისის ბულვარია, სასწრაფოდ უნდა მიჩქმალულიყო. მაგრამ მოხდა პირიქით, ყველამ გაიგო – იქ ვინც იყო, იმანაც, და ვინც არ იყო, იმათაც, ქალაქმა კი არა, ქვეყანამ შეიტყო, „დროებას" ყველა კითხულობდა, ინტერესდებოდა, ვინც ვერ კითხულობდა, წამკითხველს უსმენდა. ასე რომ, მისაჩუმათებელი გამოაშკარავდა, გასასაიდუმლოებელი – ყველასათვის ცნობილი გახდა.

* * *

სახემოღრეცილი ქართველი თავადი – ასე დაუხასიათა თბილისის მქუხარესახელიანი სასტუმრო „ლონდონის“ მაშინდელმა მოსამსახურემ, მერმინდელმა ვაჭარმა და სოციალ-დემოკრატმა ვასილ კირვალიძემ დიმიტრი ყიფიანს მის მეზობლად დასადგურებული დავით მიქელაძე.

დიმიტრი ქვიშხეთიდან ჩავიდა თბილისში. ამ დროს, 1882 წელს, არც თბილისის ქალაქისთავი იყო, არც იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი, პირველს სამი წლის წინათ შეეშვა, მეორე სამი წლის მერე მოხდა, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი კიდევ ათი წლის წინათ იყო. ჰოდა, შედარებით თავისუფალმა, ჩინოვნიკურ ყოფას ასე თუ ისე გარიდებულმა (თუმც ამაების გარეშე აროდეს ყოფილა. ზუსტად ამ დროს ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატის ამბების გამომრკვევი კომისიის წევრი გახლდათ), სასტუმროში ქალიშვილთან ერთად მოკალათებულმა, მეზობელი მოიკითხა – აქაოდა, ხომ არ შეგვაწუხებს, მყუდროებას დაგვირღვევს ან პირიქით – ჩვენ ხომ არ გავანაწყენებთო. ვასილმა – სახემოღრეცილი ქართველი თავადი მიქელაძე, მიუხედავად კარგი შეხედულებისა, სახით დამახინჯებულია – უპასუხა. ნათქვამი საკმარისი აღმოჩნდა მოსაუბრისათვის, გაეგო, ვინ იყო და რატომაც მოღრეცოდა სახე. არადა, ეს ამბავი, სულ მცირე, ხუთი წლის წინათ მაინც მოხდა, რაც ასე მკაფიოდ არ უნდა ჩაბეჭდვოდა დიმიტრი ყიფიანს მეხსიერებაში. იქნებ ვასილ კირვალიძეს ეშლება და 1882 წელს კი არა, სულაც 1877 წელს ჰქონდა სანუკვარი ოცნების ახდენის – დიმიტრი ყიფიანის გაცნობის შესაძლებლობა. ისიც სავარაუდოა, დუელს ისე ღრმა კვალი დაეჩნია მეველის სახეზე, რომ მისი გვარის თქმისთანავე იხსენებდნენ.

ალექსანდრე წულუკიძესთან დუელი დავით მიქელაძეს, როგორც ვთქვით, 1877 წელს ჰქონდა. სწორედ მაშინ მიიღო სამი ჭრილობა და ალბათ სახეც იმ დროს მოეღრიცა. გამოდის, რომ სამუდამოდ აღებეჭდა ნაიარევი პირისახეზე, შეხედვაც აღარ ჭირდებოდათ, საგანგებოდ მიჩუმათებული ამბავიც ისე გახმაურდა, საკმარისი იყო მიქელაძის ხსენება, რომ გონებაში ქუთაისის ბულვარში მომხდარი დუელი და მეველის დასახიჩრება ამოტივტივებულიყო.

ბუნებრივია, ვასილ კირვალიძე უფრო მერმინდელ დამოკიდებულებას ამჟღავნებს დიმიტრი ყიფიანის მიმართ, ვიდრე იმჟამინდელს. მემუარისტები უნებურად ასე იქცევიან – რაიმე ეპიზოდის გახსენებისას ამა თუ იმ პიროვნებისადმი მთელ მის დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და არა იმდროინდელს, ამბავს კონკრეტულს, მაშინ მომხდარს მოგვითხრობენ, დამოკიდებულებას კი – ზოგად სოფლხედვაში ჩაღექილს. ამიტომ ვასილ კირვალიძისაგან დიმიტრი ყიფიანის გაცნობის სიხარულიც მერე მომხდარი ამბებით, „საშვილიშვილო მეკავშირის“ სიცოცხლის მონამებრივი აღსასრულით უნდა იყოს გამოწვეული.

ასეა თუ ისე, მოკლედ, სახემოღრეცილი თავადი მიქელაძე ცხოვრობს თქვენს გვერდითო, უთხრა სასტუმროს მოსამსახურემ ნამარშლარ-ნაქალაქისთავარ დიმიტრი ყიფიანს და დადუმდა. ის გაჩუმდა, ამან განაგრძო:

„ჰო, ვიცი, ვიცი, ვინცა ყოფილა! ასეა შვილო, იმის ნაცვლად, რომ ქართველმა ვაჟკაცმა სამშობლოსთვის თავი გასწიროს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს, დღევანდელი ჩვენი ჩიტირეკია ყმაწვილები, ქუჩის ქალების მიზეზის გამო დუელში იწვევენ ერთმანეთს. ეგაც ასეთი სისულელის მსხვერპლი შეიქნა“.

დიმიტრი ყიფიანმა არა მარტო გაიხსენა პიროვნება, დამოკიდებულებაც გაამჟღავნა, მსჯავრი გამოუტანა მის ჩადენილს. იმის მაგივრად, რომ სამშობლოსთვის გასწირონ თავი, ჩვენი ჩიტირეკია ყმაწვილები ქუჩის ქალების გამო დუელში იწვევენ და სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთსო. მკაცრი განაჩენია, მითუმეტეს დიმიტრი ყიფიანის ბაგით წარმოთქმული, არავითარი შერბილება ამბისა, თუნდაც დანანება იმისა, რომ დუელის ერთ მხარეს „დროების“ უკვე სახელგავარდნილი კორესპონდენტი, ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტი იდგა. ჩიტირეკია ქართველები – წერტილი დაუსვა ყველას და ყველაფერს. ცივი გონებით განსაჯა საფრთხილოდ სალაპარაკო და განსასჯელი.

დიმიტრი ყიფიანს, ბუნებრივია, ეცოდინებოდა, მეველე ქუთაისის თავადაზნაურთა პირველი წინამძღოლის – ალექსანდრე მიქელაძის შვილი რომ იყო. მას ისიც უნდა სცოდნოდა, რომ 1879 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსაგან დავით მიქელაძემ ითხოვა ნებართვა ქუთაისში ყოველკვირეულ გაზეთ „რიონის“ გამოცემისათვის, იმ დროისათვის ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი მოვლენა, ქვეყნის მეორე ქალაქში არსდებოდა გაზეთი, სულისკვეთებითა და მიზნებით „დროების“ კვალში მდგომი, მისი გზის გამგრძელებელი... სხვათაგან რომ არაფერი გაეგონა დიმიტრი ყიფიანს, „დროების“ პირველ გვერდზე მოთავსებული ეს განცხადება მაინც უნდა ხსომებოდა:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ თ.დ.ა. მიქელაძეს შეუტანია კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში თხოვნა კვირის გაზეთის გამოცემის ნებართვაზედ ქ. ქუთაისში, რომელსაც (გაზეთს) სახელად ერქმევა „რიონი“. ამბობენ, რომ ამ გაზეთის ნებართვის მიცემას ცოტა დაბრკოლება მიეცაო, სახელდობრ ის, რომ გაზეთის წლიური ფასი ექვსი მანეთი არის და პროგრამაში, სხვათაშორის მოხსენებულია სამოსამართლო ქრონიკაც, კანონი კი თხოულობს, რომ ფასი ამ გაზეთისა, რომელსაც სამოსამართლო ქრონიკის განყოფილება აქვს, შვიდ მანეთზე ნაკლები არ უნდა იყვეს. უეჭველია, რომ ამ დაბრკოლების მოსპობა ადვილად შეუძლია გამომცემელს: ან სამოსამართლო ქრონიკას შესწირავს თავის პროგრამიდამ, ან გაზეთის ფასად შვიდ მანეთს გამოაცხადებს და ამის გამო შემდეგ არავითარი დაბრკოლება აღარ ექნება“.

ამდენად, თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა ქუთაისში „რიონის“ გამოცემის საქმე, მაგრამ ეს პირველი „თითქმის“ გახლდათ, ამის შემდეგ ბევრჯერ იყო – “თითქმის მიღწეული, თითქმის ნებადართული...“

ეს ამბავი მეველის დაჭრიდან ორი, დიმიტრი ყიფიანის ვასილ კირვალიძესთან შეხვედრიდან სამი წლის წინათ მოხდა, სამი წლის შემდეგ კი თვითონ დიმიტრი გახდა ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი და ძალიან კარგად შეიტყო, რა დაბრკოლებებიც ელობებოდა ქუთაისში პერიოდული გამოცემის დაარსების საქმეს.

იცოდა, არ იცოდა, უნდა ცოდნოდა, მარჩიელობაა, დიმიტრი ყიფიანმა გულწრფელად გაამხილა გულისნა-

დები – გვარიანად გაკილა თავადიშვილთა დუელებისაკენ სწრაფვა, ღვთისგან ბოძებული სიცოცხლის სასწორზე შეგდება.

დუელს „დროებამ" მიადევნა თვალი. რამდენიმე დღის შემდეგ დუელიანტთა მდგომარეობითაც დაინტერესდა გაზეთი: „ქუთაისიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ თ.დ. მიქელაძე, რომელიც დაჭრილი იყო გასულ 10-ს მარტს ქუთაისის ბულვარზე, ამჟამათ თითქმის სრულიად მორჩენილა. მეორე დაჭრილი თ.ა. წულუკიძე ჯერ კიდევ ლოგინში სწევსო; ამას ყველაზე უფრო მკლავის დაჭრილობა აწუხებს თურმე; ამბობენ, ხელი გაუფუჭდებაო".

ერთი ორგან, მეორე სამგან დაიჭრა, „დროების" ცნობით სამ ადგილას დაჭრილი მალე გამოჯანმრთელდა, რაიმე იარა დარჩა ან სახე მოეღრიცაო, არ წერია, მეორე დუელიანტი კი ისევ ლოგინში წევს, – ალბათ „ხელი გაუფუჭდებაო". ესეც გასაკვირია, თუ ალექსანდრე წულუკიძეზე თქვეს, მეველეზე რატომ დამალავდნენ სიმართლეს, რატომ მიჩქმალავდნენ, დარჩა თუ არა დუელის კვალი სახეზე.



*ქუთაისი. XIX საუკუნე, 50-იანი წლები*

დავით მიქელაძემ „დროებაშივე" გამოაქვეყნა წერილი, სადაც უარყო-ჩვენი შერკინების მიზეზი ქალი არ ყოფილა, ყველა ასე მიიჩნევს – სწერდა რედაქციას – ამიტომ გაზეთებს „კავკაზსა" და „თბილისის მოამბესაც" – ვთხოვ გადაბეჭდონ ჩემი პასუხიო.

მანდილოსნის გამო არ შევჩეხებივართ ერთმანეთს, მე ხანჯლით, ის კიდევ ხმლით – ირწმუნებოდა, მაგრამ მისი ფიცი-მტკიცი არავის დაუჯერებია, როგორც დაიწერა, ისევე დარჩა და ჩარჩათ მეხსიერებაში.

დუელის მიზეზი ვერ გააქარწყლა, მაგრამ ამ რაინდულ შერკინებაზე საინტერესო აზრი გამოთქვა, რის გამოც მთლიანად მოვიტანთ მის „თავის მართლებას"

„უფალო რედაქტორო!

ნება მომეცით, მოგახსენოთ, რომ მიზეზი „10 მარტის უსიამოვნო შემთხვევისა ქუთაისის ბულვარზედ", სრულიად ქალი არ გხლებიათ, როგორც მოგვითხრობთ თქვენ.

მე ვიყავი აღელვებული ზოგიერთი ჩემ მოპირდაპირისაგან ზურგს უკან ნალაპარაკი სიტყვებით და მოქმედებით. ამისათვის ვიპოვე თუ არა, როგორც შეიძლებოდა თავისუფალი დრო, გამოველაპარაკე მას და ცოტა რამ უსიამოვნების შემდეგ, დიახ შეგვექმნა ერთიმეორის ჩეხა.

მართალია, ამ ნაირათ თავის პატივის დაცვა, გასწორება ერთობ მხეცურია: მაგრამ რა უნდა მექნა? დუელს არა თუ არა აქვს მოდგმული ძირი ჩვენს საზოგადოებაში, არამედ მცირეოდენი კვირტიც ვერ გამოულია. ამ უკანასკნელი ხუთის წლის განმავლობაში ათიოდე შემთხვევა მაინც იყო გამოწვევისა დუელში, მაგრამ ერთიც არავინ გაჰყოლია თავის მოპირდაპირეს; საზოგადოებამ იცოდა ყველა ესენი, მაგრამ მას ზნეობით არავინ დაუსჯიათ ამისათვის. თითონ თქვენს მორჩილ მოსამსახურეს ორი შემთხვევა ჰქონდა გამოწვევისა და სეკუნდანტად მისვლისა, მაგრამ ორივეჯერ ჩინებული უარი მივიღე.

იქ, სადაც არ არის სპეციალური სამსაჯულო „Судь чести", რომელიც არჩევს მხოლოდ გალანძღვის საქმეს, როგორც მაგ. იტალიაშია, სადაც არ არსებობს არც დუელი და არც საზოგადოებრივი დევნა მეჭორეთათვის – მიბრძანეთ ერთი რა უნდა ჰქნას კაცმა?

ამ პასუხებზედ აღმძრა მე არა ჩემის მოპირდაპირის გამტყუვნების სურვილმა, მე მსურდა მხოლოდ, რაკი „10 მარტის შემთხვევა" დაიბეჭდა, ბარემ იმის ნამდვილი მიზეზიც ყოფილიყო გამოცხადებული".

ქალის გამო კი არა, ჩემი მოწინააღმდეგე წულუკიძის ლაპარაკით ვიყავი აღელვებულიო, მაგრამ რას შეეხებოდა ეს „ლაპარაკი", ქალს თუ სხვა რამეს, არ წერს. ხუთი წლის მანძილზე ათმა კაცმა მაინც გამოიწვია მოპირდაპირე დუელში, მაგრამ ერთი არ მომხდარა. დუელი ვერ დამკვიდრდა ჩვენს საზოგადოებაშიო – ბოლოს და ბოლოს დუელების ისტორიისთვისაცაა საინტერესო. როსტომ ჩხეიძემ ქართული ლიტერატურის, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ახლებურად შეფასებაში უპირველესად გამორჩეულმა, თამამად ვიტყვი ერთადერთმა მკვლევარმა, დუელების ისტორიის აღნუსხვაც ყველას დაასწრო. დაწერა „ქართული დუელიანა", რომელშიც ეს ამბებიც იქნება მოთხრობილი.

ორჯერ მეც ვესროლე ხელთათმანი, სეკუნდანტიც ვიყავი, მაგრამ მოწინააღმდეგე არ გამოცხადდაო.

და კიდევ: სანამ არ არსებობს ჩვენში ღირსების სასამართლო, ასეთი შეხლა-შემოხლები არ მოიშლება და მისთანანი.

მეველემ თავი კი „იმართლა", მაგრამ ამ დუელზე არც სეკუნდანტთა ვინაობა ვიცით, არც ის, ხალხმრავალი ბულვარი რატომ აირჩიეს სადუელო ადგილად. კორესპონდენციის მიხედვით, დავით მიქელაძე სამ ადგილას დაჭრილა – თავში, მხარზე და გვერდში. მაშ რატომ იყო სახემოღრეცილი, როდის დაისახიჩრა სახე, ამ დროს თუ სხვა დუელებში?! ან იქნებ თავში დაჭრაში პირსახეზე ნაიარევის დამჩნევა უნდა ვიგულისხმოთ.

ერთი სიტყვით, ამ ამბავს ბევრი „ან" ახლავს, დუელების ისტორიაა ხშირად ამგვარი, ბოლომდე გაურკვეველი, მემუარისტებისაგან მიჩქმალული.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა,დავით მიქელაძისა და ალექსანდრე წულუკიძის დუელის მიზეზი, ვფიქრობთ, ქალი უნდა ყოფილიყო. ქალი და არა სხვა რამ, და, აი, რატომ!

თანამედროვეთა გადმოცემით, დავით მიქელაძე ძალიან მოსწონდათ ქალებს, „დროება" ამის მიზეზსაც ჩამომარცვლავდა მეველის დახასიათების დროს: „აი სიმპათიური, ყველასათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, საყვარელი ყმაწვილი კაცი! კარგი ტანადი, ლამაზი თვალადი, კარგად გაზრდილი, წვერულვაში, ჟუჟუნა თვალები, ფართო შუბლი, მაგრამ მაღლა ნულარ აიწევით, ქუდი რომ ეხუროს, ისე ნახეთ!"

ყმაწვილ კაცს მეტი რა სილამაზე უნდა ჰქონოდა, მისი ნიჭის პატრონს ჟუჟუნა თვალებითაც შეეძლებოდა მანდილოსანთა გულის მონადირება.

დუელიდან ათიოდე წლის შემდეგ დავით მიქელაძემ დაწერა დრამა სახელწოდებით „ხაფანგი". ესაა ერთადერთი ორიგინალური მხატვრული თხზულება მის მრავალფეროვან პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში.

დრამის შინაარსის გადმოსაცემად გაზეთ „კვალში" დაბეჭდილი გიორგი წერეთლის წერილი დავიმოწმოთ:

„ახალგაზრდა თავადიშვილი ვარდენ ლომიძე შეიყვარებს თავის ნაყმევის ტიმოთე ბარამიძის ქალს ნინოს და ჰსურს შეირთოს ცოლად. ვარდენის მამა ზაქარია ლომიძე შეიტყობს ამას, გაბრაზდება და რომ ჩაშალოს, ხელს მიჰყოფს საძაგელს ინტრიგას, დაარწმუნებს თავის შვილს ტიმოთეს ქალის ნინოს გარყვნილს ყოფაქცევაზე. ვარდენი დააგდებს თავის ნაყმევის ქალს, რომელიც წყალში გადავარდება. თუმცა მას გადაარჩენენ დახრჩობისაგან, მაგრამ მომაკვდინებელი ანთებით ხთება ავათ. ვარდენი ყოველსავე ამას შეიტყობს აზნაურის სარდიონ კლდიაშვილის პირით, რომელსაც იგივე ნაყმევის ქალი გაგიჟებით ჰყვარებია და ნდომებია აგრეთვე შერთვა, მაგრამ ვარდენისა და ნინოს სიყვარულს ჩაუშლია, მოუწამლავს სარდიონის რაინდული გრძნობა. შემდეგ თავადი ვარდენი და აზნაური სარდიონ კლდიაშვილი, ეს ორი ერთმანეთის მოსისხლე მტერი, გლეხის ქალის, ნინოს გულისთვის ერთმანეთს შეეტაკებიან და ვარდენი რევოლვერით კლავს სარდიონს. სიკვდილის ჟამს სარდიონი არწმუნებს ვარდენს, რომ ნინო მის წინაშე უმანკო ყოფილა. ვარდენი ისევ დაუბრუნდება თავის ნინოს, რომელიც მის ხელზე კვდება."

ვფიქრობ, მეველეს პიესაში ავტობიოგრაფიული მომენტიც უნდა გამოეყენებინა. გლეხის ქალისა და დიმიტრი ყიფიანის „ქუჩის ქალის" სიყვარული ერთი და იგივე უნდა იყოს. ქალის გულისთვის ორი ადამიანის დატაკებაც, მართალია, ოდნავ გადასხვაფერებულა, მაგრამ საფუძვლად მაინც პირადად გადატანილი ამბავი უნდა ედოს. და კიდევ, კი უარყო მეველემ წულუკიძესთან ჩემი დუელის მიზეზი ქალი არ ყოფილაო, მაგრამ, როგორც ვთქვით, არ უთქვამს, მაშ რის გამო შეეტაკა ორი რაინდი ერთმანეთს.

დუელი რაინდული ყოფის ატრიბუტია და მეველეს ხასიათის ერთი განუყოფელი ნიშანი გახლდათ. ამ ამბავზე ერთი წლით ადრე გაზეთი „დროება", თავის თანამშრომლებს რომ ახასიათებდა, დავით მიქელაძეზე წერდა.

„ხასიათში საშუალო საუკუნის რაინდული თვისებანი და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილებანი ერთადა აქვს შეზავებული".

ჰოდა, თუნდ ქალი ყოფილიყო მიზეზი, დათმობით არავის არაფერს დაუთმობდა, წინ გადაღობილ ნებისმიერ პიროვნებას მისაზღვევს მიუზღავდა. დუელიც ასე უნდა გავიგოთ და არა ჩიტირეკიაობად – ზნეშერყეული, სიმტკიცედალეული ქართველობა არც ქვეყნის დამცველად გამოდგებოდა, არც სხვის შემწე იქნებოდა, არც საკუთარი თავისა. უპირველესი გმირობის მაგალითი მისი ცხოვრება უნდა ყოფილიყო, ცხოვრება სხვათათვის თარგად გამოსადეგი, ყალიბად ჩამოსაქნელი და ზოგჯერ ამ პრინციპების დასამკვიდრებლად იარაღის აღებაც იყო საჭირო.

დავით მიქელაძეს, როგორც უნდა დაეცინათ მისთვის, თავადსა და რაინდს, სხვანაირად არ შეეძლო.

ტყუილად კი არ წერდნენ – მის ხასიათში შუა საუკუნეთა რაინდული ყოფა და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული სულისკვეთებაა შეთანხმებულიო.

მართლაც ასე იყო.

* * *

სათავადაზნაურო ბანკის კრებებს იმდენი ხალხი მოაწყდა, თეატრში გახდა მისი ჩატარება საჭირო – წერს იაკობ მანსვეტაშვილი. სცენაზე გამგეობა და საზედამხედველო კომიტეტი, ამომრჩევლები – პარტერში, თვალის სასეიროდ მოსულნი – ლოჟებსა და ქანდარებზე მოკალათდებოდნენ და იწყებოდა გაუთავებელი ბჭობა. ლაპარაკობდა ყველა, მჭევრმეტყველი და ტკეპნით მოსაუბრე, საბანკო საქმეებში ჩახედული და ჩაუხედავი. მანსვეტაშვილი არ წერს, მაგრამ მისი და სხვათა მონათხრობიდან ჩანს, სპექტაკლს ჰგავდა ბანკის კრება, ორატორი არტისტობდა, როგორც შეეძლო მსახიობობდა, შეკრებილებს თავს აწონებდა, იმდენად საბანკო საქმეზე კი არ ამბობდა რამეს, რამდენადაც იმაზე, რაც იმ დღეებში სალაპარაკო და თავმოსაწონებელი ექნებოდა – ხომ მაგრად შევუტიე მაჩაბლის მომხრეებს – დაიქადნებდა კეკლუც ქალბატონებში ჭავჭავაძისტი, მაჩაბლისტი – პირიქით.

სპექტაკლისათვის მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნაცაა აუცილებელი. ჰოდა, მარტო ლაპარაკით კი არ იწონებდნენ თავს, ხანდახან ხანჯალსა და რევოლვერზეც გაიკრავდნენ ხელს, მდორე დინება საუბრისა ჩხუბსა და აყალმაყალში გადაიზრდებოდა და ეს გახლდათ კულმინაცია და კვანძის გახსნაც ამ ამბებისა.

ბანკის ერთ-ერთ კრებას მაჩაბლისტი თავმჯდომარეობდა, მართალია, ილიას მომხრეებსაც აძლევდა სიტყვას, მაგრამ ხშირად აწყვეტინებდა, ჩაერთვებოდა, შეკითხვას დაუსვამდა, ორატორი ლაპარაკის ეშხში რომ შევიდოდა, მაშინ გააჩერებდა. ილიას მომხრე საზედამხედველო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ერთხელ მისცა შენიშვნა, წყნარად უთხრა სათქმელი, მეორედ ხმამაღლა მიაყვირა. იმან კიდევ, ვითომც არ ესმოდა, გააგრძელა ძველებურად.

კრებას, რომ ეგონათ, ერთ-ორ დღეში მორჩებოდნენ, ორ კვირასაც ვერ მოათავეს, ლამის თვე მიიწურებოდა და ესენი ისევ ბანკობიაობდნენ – ერთ დღეს მაჩაბლის მომხრენი დაჯაბნიდნენ ჭავჭავაძისას, მეორე დღეს პირიქით ხდებოდა, უფრო ლაპარაკობდნენ, ხშირად უაზროდ ახვავებდნენ სიტყვებს. იღლებოდნენ, ისვენებდნენ, ისევ აგრძელებდნენ.

მაჩაბლის მომხრე კრების თავმჯდომარე სისხლს უშრობდა მოწინააღმდეგეებს. თვითონ მშვიდად იყო, სხვებს ნერვებს უწეწავდა, აფორიაქებდა, აწყვეტინებდა და აწყვეტინებდა საუბარს.

ისე გადაღლილიყვნენ, რომ სიტყვაზეც მისდევდნენ ერთმანეთს, აუხირდებოდნენ რაღაცაზე, მერე ნათქვამს ხელზე დაიხვევდნენ და პატარას დიდად აქცევდნენ, დიდს – საბანკო საქმეს – სულაც არ ნაღვლობდნენ, უფრო პირადული აინტერესებდათ, თავის გამოჩენის ჟინი კლავდათ.

იტყოდა ერთი, აცქმუტდებოდა მეორე, იტყოდა მეორე, კვალში ჩაუდგებოდა პირველი და ასე განუწყვეტლივ.

მაისი იდგა, ერთმანეთს ენაცვლებოდა გრილი და ცხელი დღეები. ხან მაგრად დააჭერდა, ზაფხულის ხვატზე უმეტეს დაატუნებდა, აათაკარებდა, გაგრძნობინებდა, რომ გრილი გაზაფხული მიდიოდა, ცხელი, პაპანება ტაროსის სურნელი დატრიალდებოდა ჰაერში, ხან კიდევ მომეტებული სიგრილე დაისადგურებდა, ხმოსნებიც ამინდისდარად მოქმედებდნენ, ცხელ დღეებში ადრე ათავებდნენ კრებას, ნაკლებაც ლაქლაქებდნენ, ნოტიო ჰაერი და სასიამოვნო სიხალვათე ლაპარაკის საღერღელს უშლიდათ, – ამ დროს დამთმობიც ნაკლებად იყვნენ, სიმკვირცხლეს ბოლომდე ინარჩუნებდნენ, სიცხიან დღეებში კი პირიქით – ითენთებოდნენ, ილვენთებოდნენ – თეატრშიც ალმური დგებოდა და ორატორს ხშირად სულაც არ უსმენდნენ. ერთი სიტყვით, ამინდისდარად ან მკვირცხლობდნენ ან თვლემდნენ.

ამ დღესაც, მაჩაბლისტი რომ თავმჯდომარეობდა კრებას, წვიმდა, ცივი, შხაპუნა წვეთები ღვარად მოდიოდა, წინა ღამესაც წვიმდა, ნელა, მდორედ, მაგრამ გაბმულად და ბარაქა დაატანა, დილიდანვე აცივდა. ქუჩებში გუბეები იდგა, ამღვრეული, ტალახისფერი. ეცემოდა წვეთები და კიდევ უფრო იმღვრეოდა. საბანკო ამბებიც, რაც მეტ ხანს გრძელდებოდა, მით უფრო რთულდებოდა, ორ ბანაკს შორის იმღვრეოდა ურთიერთობა, მეწყერდებოდა ერთმანეთთან მისასვლელი ბილიკი.

დარბაზში სასიამოვნო სიცივეს დაესადგურებინა, რაც იქ მყოფებზეც ახდენდა გავლენას, ყინჩობდნენ, ყოველივეს გულდასმით აკვირდებოდნენ.

მაჩაბლისტი თავმჯდომარის აკვიატებული ჩაჭრა-ჩამოჭრა სულაც აღარ უნდოდათ, ისედაც ნერვებდაწყვეტილები, ის-ის იყო ხელდახელ გაიწევდნენ ერთმანეთისაკენ. არადა, ის სულაც ვერ გრძნობდა ამ საშიშროებას, იგივეს აკეთებდა, ცხვირს ჰყოფდა ყველაფერში, ეკითხებოდა, არ აცლიდა პასუხს. საზედამხედველო კომიტეტის წევრი იძულებული გახდა, ყვირილით გამოეხატა პროტესტი, უკმეხად მიემართა, არ შეეუკურთხებია, მაგრამ ამას ჰგავდა, გინების მიახლოებული სიტყვებით მიაძახა:

– გაფხორილ ინდაურს რომ ჰგავხარ, აცალე კაცს ლაპარაკი, – ეს თქვა და მამლაყინწნასავით წაიგრძელა კისერი, რაღაც საგინებელი სიტყვები ჩაიბურტყუნა და ორივე ხელი ზეცისკენ შემართა.

კრების თავმჯდომარე მკვეთრად შემობრუნდა, მზერა თავისიანებს მიაპყრო და უფრო სასოწარკვეთილი ხმით დაიკივლა, ვიდრე შესძახა:

– რას უყურებთ?!

ეს მაჩაბლის მომხრეთა აჩოჩქოლების, გადარევის, ნიშანი იყო. კოლა ორბელიანი გამოირჩა მოყაყანე პარტერელებში, რევოლვერი დააძრო და სცენისაკენ გაექანა.

მიდიოდა, თან იქადნებოდა, იგინებოდა რევოლვერმომარჯვებული, მიაცილებდნენ ხანჯალზე ხელდადებული მაჩაბლის მომხრენი. ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა მნახველს, თითქოს კოლა სოლისტი იყო, თანმხლებნი – გუნდი. მიდიოდა ეს, მიყვებოდნენ ისინი, მანძილი კაიხელა გახლდათ, კოლაც მოშორებით იჯდა, წამოვიდა, ჯგროს გამოეყო, წინ რევოლვერი გაიშვირა და მოჰყვა გინებას. ისე ჩქარაც არ მიდიოდა, რომ ვერავის შეეჩერებინა, მაგრამ უფრო გზას უთმობდნენ, წინ გადალობვის მაგიერ წინ იმძლვარებდნენ, მის ირგვლივ, იქით-აქეთ ჯგუფდებოდნენ და მიჰყვებოდნენ ყვირილითა და ყაყანით, ის, სოლისტს რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე ვინმეს მოსაკლავად გამოქცეულს, იგინებოდა, სხვები ყაყანებდნენ, რას ამბობდნენ, ძნელად გაარჩევდი.

ოპერის მიზანსცენას ჰგავდა კოლასა და მისნაირთა გაწევ-გაქაჩვა ვინმეს მოსაკლავად.

სოლისტიანი ჯგროს შესაგებებლად თავზეხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი წამოდგა, გამოიჭრა. ხანჯალი იშიშვლა და ჯიქურ გაემართა პარტერიდან წამოსულებისაკენ. ესენი ჯგუფად მიდიოდნენ, ის – მარტო, უეცარმა ელდამაც გაიარა, შენელდა აქტიურობა, მიდიოდნენ გინებითა და ყვირილით, წამოდგა, მოდიოდა – დაქადნებით.

ვახტანგ ორბელიანის შვილს ალბათ ბევრი ოპერა ენახა, მაგრამ თავში ვერასდროს გაივლებდა, თუ უნებურად თვითონვე იქცეოდა ამგვარი სცენის მოთამაშედ. ძაღლები უყვარდა პროკურორად ნამყოფს, ვინმე რომ შეხვდებოდა – თვრამეტი მწევარი მყავს და 12 გირვანქა ხორცს ვაჭმევ დღეში, ჩემ შვილს კიდევ 36 ჰყავს და 24 გირვანქა სჭირდება, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასო – ჩაიქირქილებდა თურმე. ასე პირდაპირ გაეგო სიბრძნის აზრი, უფრო სწორად, სხვა გამოსავალი რომ ვერ მოეძებნა, თვითირონიით აქარწყლებდა მასზე გავრცელებულ აზრს, გაკოტრებულ ყოფას, ბორჩალოში მამულების დაკარგვას და ა.შ.

მონადირესაც ჰგავდა ამ სცენაში კოლა ორბელიანი, თვითონ წინ გაჭრილი, აქეთ-იქით მწევრებით გარშემორტყმული.

რევოლვერშემართული მიიწევდა სცენისაკენ, მიჰყვებოდნენ ხანჯლებზე ხელდადებულნი. იქიდან ხანჯალამოწვდილი ლელო ანდრონიკაშვილი მოქროდა, სწრაფად გამოირბინა გასარბენი და უცებ აღმოჩნდა ამათ წინ.

წამიც და შეეხლებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა იარაღშემართულები. ეს იგრძნო დათა მიქელაძემ, ქანდარიდან გადმოეშვა და წინ აესვეტა კოლასა და მის გუნდს. ესენი მართლაც თამაშობდნენ, სახიობობდნენ, გამოზომილი ბიჯით მიიწევდნენ წინ, მაგრამ იქიდან წამოსული კაცი არაფერზე იყო უკან დამხევი, ეს განცდა იკითხებოდა დათას თვალებში, რომელმაც ნაპროკურორალს ტყვიაზე უფრო ძლიერი და სწრაფმოქმედი სიტყვა მიახალა.

– თქვენ, ბატონო, არ გცოდნიათ იარაღის ხმარება!

იაკობ მანსვეტაშვილი, შემსწრე ამ ამბისა და მშვენივრად მომთხრობიც, წერს, რომ ეს იმდენად დამაჯერებლად, იმდენად არგუმენტირებულად იყო ნათქვამი, რომ კოლა უცებ შეცბა, შეჩერდა, გაოგნებულმა თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიანებს მიაპყრო მზერა, რომლებიც ახლა თავჩალუნული ჩაჩერებოდნენ ხმალ-ხანჯალს.

– თქვენ, ბატონო, არ გცოდნიათ იარაღის ხმარება... – ამ ფრაზამ შეაჩერა ერთი მხრივ ისედაც შემდოვრებული სწრაფვა და მეორე მხრივ – ადევებული მარტოკაცი. მართლაც და, უცოდინარი კაცის გალაშქრებას ჰგავდა ამოდენა მანძილზე დამბაჩაშემართული სვლა, თეატრალიზებულობასაც ნამდვილობა ეკარგებოდა, ეს შეიმჩნია დუელებსა და სროლაში კარგად გამოჯეგილმა დათა მიქელაძემ, თქვა ის, რასაც ამ ამბებში ყველაზე უკეთ ჩახედული კაცი იტყოდა და დააშოშმინა ორივე მხარე.

– თქვენ, ბატონო, არ გცოდნიათ იარაღის ხმარება!

იქნებ ეს სიტყვები სხვასაც ეთქვა, ზუსტად მიენიშნებინა იგივე, მაგრამ მეველეს სიტყვას სხვა ფასი ჰქონდა, მას ხომ ამნაირ ამბებში გარკვეულ და ჩახედულ კაცად იცნობდნენ. ჩინებული მსროლელის თვალსა და გულს ისიც არ გამოჰპარვია, ვინ ყალბად და ვინ კიდევ ნამდვილად იყო დამმრიალებელი კაცთა კვლისა.

სიყალბე შეამჩნია, თამაში ამოიკითხა კოლა ორბელიანის ვითომ გულწრფელ გაჭიმვასა და წინ გავარდნაში, უთხრა მიზანში მოხვედრილი სიტყვა და შეაჩერა.

სიტყვასაც მიზანდაუმცდარად იტყოდა ხოლმე, ტყვიასაც დაუცდენლად ისროდა. ამიტომაც ხშირად იყო ამნაირ ამბებში გარეული. კიდევ ერთი ამბავი გავიხსენოთ.

1894 წლის 10 დეკემბერს ქაშვეთის ეკლესიაში ალექსანდრე ყაზბეგის წლისთავის პანაშვიდზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მათ შორის იყო უკვე ფოთის ქალაქის თავად დამტკიცებული ნიკო ნიკოლაძეც, რომელსაც ბებურ გურგენის ძე ბებურიშვილმა ხელი გაარტყა. დანამდვილებით არ ვიცით, რა მიზეზი ედო საფუძვლად, ყაზბეგს უკავშირდებოდა თუ ნიკო ნიკოლაძის სხვა საქმეებს, ერთი შეხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ყაზბეგს, რომელსაც სიცოცხლეში ნაკლებად აფასებდნენ, სიკვდილის მერე კი მოუმრავლდნენ თაყვანისმცემელნი. დიდი ნიკოც არ გახლდათ მოჩხუბარიძეზე კარგი აზრისა, კიდეც დაუწერია, უთქვამს... ალბათ ეს იცოდა ბებურიშვილმა და ამიტომაც არ დაერიდა არც ტაძარს, არც იქ თავშეყრილ ხალხს, არც ნიკოლაძის დამსახურებას და ლენა ყბაში – ცოცხალს ვერ იტანდა და მკვდრის პანაშვიდს არ აცდენო – დააყოლა მეორედ გარტყმის მონადინემ. ეს ერთი ვარაუდი, მეორე მიზეზი შეიძლება თვითონ ბებურიშვილის მოღვაწეობას უკავშირდებოდეს. იგი გახლდათ მთარგმნელი, ფოლკლორისტი, რუსულად თარგმნიდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და აქვეყნებდა იმდროინდელ რუსულ პერიოდულ გამოცემებში.

ბებურ ბებურიშვილმა 1884 წელს პეტერბურგში მისივე წინასიტყვაობით გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, 1889 წელს კი თბილისში ქართული ხალხური ზღაპრები და თამაშობები.

ორივე კრებული რუსულ ენაზე გამოიცა და თანამედროვეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. იქნებ ნიკო ნიკოლაძე არ გახლდათ მათზე ამგვარი აზრისა და ეს, შესაძლოა, სადღაც დაწერილი ჰქონდეს კიდეც, ან თუნდაც ეთქვას, რაც პატივმოყვარე ოზურგეთელ ბებურიშვილს გაანაწყენებდა და შემთხვევას არ გაუშვებდა, ანგარიში ფიზიკურად გაესწორებინა.

იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, ორივე ვარაუდი სიმართლე იყოს – ნიკო ნიკოლაძეს ყაზბეგის შემოქმედება რომ არ ეხატებოდა გულზე, ვიცით, იქნებ ბებურიშვილის ღვაწლზეც არ იყო მაღალი აზრისა და ამიტომაც იყარა ჯავრი იმან უკვე გაქალაქისთავებულ კაცზე. მე რომ მკითხოთ, უფრო ეს აზრი მგონია სარწმუნო და სიმართლეს მიახლოებული, თორემ სხვა რამეზე ანგარიშის გასასწორებლად სხვა ადგილს მოძებნიდა ბებურიშვილი და არ ატეხდა ვაიუშველებელს ქაშვეთთან.

შეურაცხყოფილმა ნიკო ნიკოლაძემ დუელში გამოიწვია ბებურიშვილი, თავის სეკუნდანტად პოეტი სიმბორსკი აირჩია... თუმცა დუელამდე არ მისულა საქმე.

ორი დღის შემდეგ ნიკო ნიკოლაძემ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„ღრმად პატივცემულო ბატონო ნიკო

წარსულ კვირას, ალექსანდრე ყაზბეგის წლის წირვის დროს, როდესაც თითქმის მთელი საქართველოს ინტელიგენცია, ქალი და კაცი, შეიკრიბა ჩვენი სასიქადულო ბელეტრისტის პატივის საცემად, თქვენ უღირსმა და უპატიოსნო პირმა შეურაცხყოფა მოგაყენათ, შეძრწუნებულნი ამ ამბით ვისწრაფვით, გამოვთქვათ თქვენდამი ჩვენი ღრმა და გულწრფელი პატივისცემა და თან საქვეყნოდ აღშფოთებულის გულით გამოვუცხადოთ ზიზღი და გულისწყრომა იმ ქვემძრომს არსებას, რომელმაც არ მიიღო მხედველობაში არც სიწმინდე ადგილისა, არც სახსენებელი საყვარლის წამებულის პოეტისა და არც თქვენი ერთგული და დაუღალავი შრომა სამშობლოს სასარგებლოდ და ისე უპატიოსნოდ, ბილწურად შეგახოთ თავის მურტალი ხელი, ხელი მძულევარებას და სიბილწეს მიჩვეული. ჩვენ გვჯერა და გვწამს, და იმედიც გვაქვს, დაგვეთანხმებით, რომ უპატიოსნო ხელით გამოსროლილი ტალახი თქვენამდის ვერ მოაღწევს და ვერ შელახავს თქვენს სპეტაკ შუბლს. ცოფიანს და გონებადაბნეულს არსებას არ ძალუძს არამცთუ თქვენ, არამედ თქვენზე ნაკლებ მოღვაწესაც მიაყენოს რაიმე შეურაცხყოფა. ამისთვის სულით და გულით გთხოვთ, ნურაფრად მიიჩნევთ კვირის ამბავს და კვლავინდებურად განაგრძოთ თქვენი ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა და მოღვაწეობა თქვენი საყვარელი პატარა სამშობლოს სასახელოდ.

ბატონო ნიკო! ჩვენ მოგვესმა, ვითომც თქვენ განგიზრახავთ სისხლით ჩამოიბანოთ ხსენებული შეურაცხყოფა და ვითომ სეკუნდანტებიც გაგეგზავნოთ. თქვენს განზრახვას ვეწინააღმდეგებით მთელის ჩვენის არსებით. ვფიქრობთ, რომ ასეთი თქვენი განზრახვა შეიძლება დიდად პატივსაცემი იყოს სხვა დროს და სხვა გარემოებაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში კი მოკლებულია ყოველს საბუთს. თქვენ ვერ შეურაცხგყოფთ ის ხელი, რომელსაც უპატიოსნების მეტი არა ჩაუდენია რა, ამის გარდა, თქვენც, ღრმად პატივცემულო ნიკო, და თქვენი კალამიც ეკუთვნით სამშობლოს, რომელსაც დიდად ესაჭიროება თქვენისთანა მხნე და დაუღალავი მოღვაწეები და მცირე რამესთვის ასეთის ჩვენთვის მოჭირნახულეს დაკლება ერთი ათად-ასად დაჰკოდავს ჩვენს დაობლებულ გულს. ამისათვის სიყვარულით და წრფელის გულით გთხოვთ და გემუდარებით, უარი განაცხადოთ თქვენს განზრახვაზე და დამშვიდებულის გულით შეუდგეთ თქვენს ჩვეულებრივს ნაყოფიერს შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ."

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილს ხელს მრავალი ადამიანი აწერდა, ცნობილი თუ უცნობი.

ნიკო ნიკოლაძისთვის ასეთივე შინაარსის წერილი ქუთაისიდანაც გაუგზავნიათ. იგივე თხოვნა, გულისტკივილი იგივე: დავით ნულუკიძე სულ სხვა რამესთან დაკავშირებით უგზავნიდა ფოთის ქალაქის თავს წერილს და ეს ინციდენტიც არ ავიწყდებოდა: „გულით ვწუხვარ, რომ ქუთაისის საზოგადოების სახელით გამოგზავნილ მიმართვაზე ჩემი ხელმოწერა შემთხვევითაა გამორჩენილი. ნიკოლოზ იაკობის ძევ, მინდა გჯეროდეთ, რომ სხვებზე ნაკლებ არა ვარ აღშფოთებული თავხედური და ურცხვი საქციელით ბებურიშვილისა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, წმინდა ამქვეყნად არაფერი არსებობს.

სამწუხაროა, რომ მას პასუხი მოთხოვეთ, რისთვისაც თქვენს ძვირფას სიცოცხლეს საფრთხეში აგდებთ. მიეცით ნება თქვენს თაყვანისმცემლებს, გაასწორონ მასთან ანგარიში."

ამ ამბავს იმოდენა რეზონანსი ჰქონია, რომ ნიკო ნიკოლაძის იმ ხანებში მიღებულ თითქმის ყველა წერილში არეკლილა. გიორგი თუმანოვი ნიკოს უნიკოოდ დარჩენილი „ნოვოე ობოზრენიეს" ამბებზე სწერდა, სთხოვდა თანამშრომლობას, ჰონორარსაც პირდებოდა, ახალ წელსაც ულოცავდა, მაგრამ არ ივიწყებდა ქაშვეთის ეკლესიასთან მომხდარ ფაქტს:

„ყაზბეგის პანაშვიდზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გაზეთ „ნოვოე ობოზრენიესთვის" დავწერეთ შენიშვნა, რომელშიც ის აზრი იყო გატარებული, რომ ეს არ გახლავთ კერძო შემთხვევა, რომ მთელი საზოგადოება უნდა აღელვდეს საზოგადო მოღვაწეთა მიმართ ასეთი ანგარიშსწორების გამო. ეს იმ პარტიათა (?) საქმეა, რომელთაც ლიტერატურის მოღვაწეებთან პოლემიკის სხვა საშუალებანი არ გააჩნიათ და ა. შ. (აქედანაც ჩანს, რომ ინციდენტი ლიტერატურულ ფაქტს შეეხებოდა და არა სხვა რამეს), მაგრამ ეს შენიშვნა ცენზურამ ამოიღო. ისიც არ ვიცით, რა ბედი ეწევა მომავალში."

დავით ნულუკიძე რომ სწერდა, შენს თაყვანისმცემლებს მიანდე ბებურიშვილთან ანგარიშსწორებაო, მართლაც ასე მოხდა. დავით მიქელაძემ და ალექსანდრე ერისთავმა დუელამდე მისული საქმე უდუელოდ გაასრულეს.

აი, მათი გაგზავნილი წერილი:

„ძვირფასო ნიკოლოზ იაკობის ძევ!

ამა წლის 12 დეკემბერს შენი დავალებით და შენივე სახელით პასუხი მოვთხოვეთ ბებურ გურგენის ძე ბებურიშვილს იმ ინციდენტის გამო, რომელსაც ამასწინათ ჰქონდა ადგილი ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ყაზბეგის პანაშვიდის შემდეგ.

ბ-ნ ბებურიშვილმა დაფიქრებისათვის ორი დღე მოითხოვა, რომლის გასვლის შემდეგ ქედი მოიდრიკა და უარი თქვა ყოველივეზე.

გამომდინარე აქედან ჩვენს მისიას ამოწურულად ვთვლით.

მიიღეთ ჩვენი რწმუნება თქვენი სრული პატივისცემის ნიშნად.

თავადი ალექსანდრე ერისთავი.

თავადი დავით მიქელაძე."

უნდა ვიფიქროთ, ბებურიშვილთან საქმის მოგვარება ერისთავსა და მიქელაძეს მიანდო ნიკო ნიკოლაძემ, მათ კი მუხლი მოადრეკინეს შეურაცხმყოფელს...

დავით მიქელაძე ამგვარ ამბებში გამოცდილი კაცი იყო,ბუნებრივია, ნიკო შემთხვევით კაცს არც ენდობოდა და არც საქმის მოგვარებას დაავალებდა. ენდო იმას, ვინც თვითონ იყო რაინდი, ვინც არასოდეს არავის არაფერს შეარჩენდა, თუნდაც სამ ადგილას დაჭრილიყო, შეკვდომოდა კიდეც, მაინც აღასრულებდა აღსასრულებელს, იქმოდა რაინდისთვის შესაფერ საქმეს. და მერე თუნდაც ჩიტირეკიად მოენათლათ, თვითონ ხომ უნყოდა, რომ შუა საუკუნეების რაინდთა მსგავსად იქცეოდა.

ნურც ალექსანდრე ერისთავის ღვაწლი გამოგვრჩება. მასაც არაერთხელ გაუმჟღავნებია თანამედროვეთათვის რაინდული სული, სისხლის წილ სისხლის მიგება, უფრო მეტიც, შეჭიდებულ ადამიანთა შუა დგომა და სისხლისღვრის აცილება.

იშუაკაცა ორივემ, ნიკო ნიკოლაძის სახელით იმოქმედეს და მათთვის სასურველ შედეგამდე მიიყვანეს სადუელო შერკინებისთვის გამზადებული დაპირისპირება.

ასეთი რამეები, იქნებ სხვა დროსაც მომხდარა, სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდებოდა მეველის პრინციპული ხასიათი, შეუდრეკელი სული, ალბათ მოხდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რაც ვიცით, ისიც შთამბეჭდავია.

კისრისტეხით ბულვარის გადამრბენელ ბიჭს მეტი ეცოდინებოდა.

## ქრონიკა

30 აპრილს საგამოფენო დარბაზ „ქარვასლაში" საინტერესო საღამო გაიმართა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით მორიგი დისკის პრეზენტაცია შედგა. ცენტრმა და მისმა ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა უკვე რამდენიმე დისკი მიაწოდა ქართველ მსმენელს, ხოლო ამჯერად ილია ზაქაიძის კომპაქტდისკი წარმოადგინეს. დისკზე შეტანილია საქართველოს სახალხო არტისტის, ქართლ-კახური სიმღერის უბადლო ოსტატის ილია ზაქაიძის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული საგუნდო, სოლო საფანდურო სიმღერები და დუეტები, აგრეთვე მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ჩანაწერი „გუთნური"; ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული „ჩაკრულო" (რომელიც 1977 წელს, ნასას მიერ კოსმოსში იქნა გაგზავნილი).

საღამო გახსნა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა. მან მიწვეულთ საინტერესო ინფორმაციაც მიაწოდა იმის შესახებ, რომ მალე გაიხსნება ახალი რადიო „Folk" (ფოლკი), ამით კი მსმენელს საშუალება მიეცემა მოუსმინოს ქართულ ხალხურ სიმღერებს, აგრეთვე ამ რადიოზე ხშირად გაიჟღერებს ის სიმღერები დისკებიდან, რომლებიც ცენტრმა თავისი მუშაობის მანძილზე შექმნა.

პრეზენტაციაზე გუნდმა „მრავალჟამიერმა", სოლისტმა გიორგი ჭილლაძემ და გიორგი კობაიძემ ილია ზაქაიძის სიმღერები შეასრულეს. სიტყვით გამოვიდა ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია, რომელმაც ისაუბრა ილია ზაქაიძის შემოქმედებაზე და მის ღვაწლზე, მადლიერება გამოხატა იმისათვის, რომ მან ასეთი საგანძური შემოუნახა ქართველ ხალხს.

დასასრულ გიორგი უშიკიშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და დაემშვიდობა ახალი დისკის პრეზენტაციის მოლოდინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრ ბლოკი

# თორმეტი წლის შემდეგ

*ქ.მ.ს.*

ალექსანდრ ბლოკის პირველი სერიოზული გატაცება იყო ოქროსთმიანი ქსენია სადოვსკაია (ოსტროვსკაია), სამი შვილის დედა, დედამისის თანატოლი, ჭაბუკ გიმნაზიელზე 21 წლით უფროსი.

მათ ერთმანეთი გაიცნეს გერმანიის საკურორტო ქალაქ ბად ნაუჰაიმში. რომანი პეტერბურგშიც გაგრძელდა, რამაც შეაშფოთა ალექსანდრა ანდრეევნა – პოეტის დედა.

ბლოკი ხშირად ხვდებოდა ქსენიას, სწერდა წერილებს, უძღვნიდა ლექსებს. მაგრამ ქსენიას ლექსები არ უყვარდა.

პოეტის უკანასკნელი წერილი თარიღდება 1901 წლის 13 აგვისტოთი, როცა ბლოკი უკვე სტუდენტი იყო.

შემდეგ მათ ერთმანეთი არ უნახავთ.

ბლოკს უკვე სწვავდა „დიდი სიყვარულის ალი", რომელსაც ერქვა ლიუბოვ მენდელეევა.



12 წლის შემდეგ, ბად ნაუჰაიმში, ბლოკმა შეიტყო, რომ თურმე ქსენია გარდაცვლილა.

ეს ფაქტი იქცა ამ ციკლის შთაგონებად, ძველი სიყვარულის გახსენებად და რეკვიემად.

მაგრამ ქსენიას სიკვდილი ჭორი იყო. იგი ისევ ცხოვრობდა პეტერბურგში, თითქმის ბლოკის გვერდით, მაგრამ არაფერი სმენოდა მის სახელსა და დიდებაზე.

სამოქალაქო ომის წლებში ქალმა დამარხა მეუღლე და წვალებით, შიმშილით მისავათებულმა ძლივს მიაღწია კიევს. იქიდან ოდესაში გადავიდა, სადაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

სნეულმა ქალმა არაფერი იცოდა მისდამი მიძღვნილ ბლოკის შედევრებზე და ინიციალების მიხედვით მხოლოდ ექიმმა მიაქცია ყურადღება.

სადოვსკაია გარდაიცვალა 1925 წელს.

მას არაფერი აღმოაჩნდა, გარდა წერილების დასტისა, რომელსაც ჯვარედინად შემოხვეოდა ალისფერი ბაფთა.

ეს წერილები ალექსანდრ ბლოკს ეკუთვნოდა!

1.

ისევ იმგვარად წვეთავს მარილი,
ტბის ზედაპირიც კვლავ ისეთია,
ახლა, შენ წლები რომ მოგეძალა,
ეს მღელვარება ხომ ზედმეტია?

იქნებ პირველი, ახალგაზრდული,
ვნება სულს ველარ გასცილებია
და სამუდამოდ შენ რომ გაგწირა,
ეს იმ გარდასულ დღეთა ჩრდილშია!

შენ მას მოუხმე და იგი მოვა,
გაიციმციმებს ძველი პროფილი,
რომ მოგიტანოს ხმამ იდუმალმა
სიტყვა, ჟამისგან უარყოფილი.

*ივნისი 1909*

2.

ჩაბნელებულ პარკში, სად მურყანია,
შუაღამე როცა გულს უხარია,

თეთრმა გედმა ღამის ჩრდილის ამარა
თავი ფრთაში ჩამალა.

მხოლოდ ხსოვნად და ხმებად ვარ ქცეული,
ჩემთან არის შენი სული ეული.

ჩემ წინ არის შენი ძველი გზა-შარა,
ამდენი წლის წარღვნამ რომ გადაშალა.

მურყანების მგლოვიარე ჩრდილებით
და სუნამოს ტკბილ და ნაზ სურნელებით

ფერმილეულ ფოთოლთ ტბაში ციალით
შენი სული ისევ გაიშრიალებს.

მაგრამ ქარში ვნების წლების ხსენება
ბოდვა არის და მხოლოდღა ჩვენება.

აქ ყველაფერს დავიწყება სწვევია,
ტბორის ნისლი რასაც შემოხვევია.

*ივნისი 1909*

3.

როცა მტანჯველად წამოიმართა
ჩემ წინ ახალი დრო და დღეები
და მწუხარებით თავს მავიწყებდა
ძილად მივარდნილს ჩრდილთა ტყეები,

მე რა ვიცოდი, „ქალწულთა ტყეში"
თუ გაივლიდა წარსულის ლანდი
და გაღვიძებულს მომესმებოდა
ჩრდილში ჩიტის ხმით ნამღერი დარდი;

„ვნებას ერწმუნე, ყური მიუგდე,
უხმე მთელი ხმით მას ოცნებაში,
რომ შუაღამის ზარით აღებდე
კარებს, ჩაკეტილს ნეტარებაში!"

***ივნისი, 1909***

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

ლურჯთვალა და ასეთი საკვირველი,
შენ იყავი ჩემი ტრფობა პირველი;

წვიმებმა რომ გაანელა, განბანა,
აამღერა შხამით, როგორც კრაზანა;

სახელი რომ სევდით შემოინისლა
და ნაილო კვალი წარსულ დროისა, –

ეს ხელები, თხელი და მილეული,
ეს ბგერები, მწველი და შორეული...

და მგონია, ლურჯ თვალების მორევი
მე დამძირავს ისევ, განმეორებით.

*1897-1909*

5.

როს ჩამოდგება ნუთი კეთილი
და ყინვის ხაზი ჩნდება მინაზე,
თბილ ოთახებში გამოკეტილი
ოცნება ეძებს სულ სხვა სინაზეს.

აი, ის ხიდი და ნაკადული
და დანისლული ძველი ბაღები,
ყორე – ვარდებში მიმოკარგული
და ლურჯი მზერა გულისწამღები.

ნაკადულები ისევ ხმიანობს,
ისევ მახვევენ თავბრუს ფიქრები,
და მახსენდება, ოქროსთმიანო,
შენი კოცნა და შენი სიტყვები...

*ივნისი, 1909*

6.

ჩვენ საღამომ შეგვახვედრა
(გული ცოცხლობს მოგონებით),
ხეები რომ მწვანდებოდა
გაზაფხულის გვირგვინებით.

ალისფერი დაფიონი
ტბორის გასწვრივ წაიყვანა
ის ამ ვიწრო ხეივანმა
სიზმრისა და ჩრდილის დარად.

ეს სინაზე, სიყმაწვილე
როცა უკვე ჩავლილია,
ჩემი ლექსის სიშმაგე ხომ
შენი ლანდით ავსილია?

გულს ფარავენ ოცნებანი,
გულს აცოცხლებს მოგონება,
ტბორის თავზე ღამე ბნელი
და მანდილის სურნელება.

*23 მარტი, 1910*

7.

უკვე მოაკლდა მზერას სინათლე,
დუმს ვიოლინო, ხემი პატარა
და დირიჟორის ბოროტმა ნებამ
ქარი არფაზე გადაატარა.

აქ შენი სახე, კვამლით ფარული,
ლოჟის ბინდიდან მე მევლინება.
უმღერს სცენაზე ჰიმნებს ტენორი
შეშლილ ზაფხულს და ვიოლინოებს...

როცა უეცრად სისხლს გამიყინავს
სუნთქვა ახლიდან გამოქროლილი,
გულზე დამადებს ხელს ნაღვლიანად
ვილაც ბეჩავი თმადათოვლილი...

როცა არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
დაუძლეველი და იდუმალი
გაჩნდება ჩემ წინ კვამლივით ლანდი
და ცად გვეძახის არფა მდუმარი.

*მარტი, 1910*

8.

იგი, რაც ხსოვნამ შემოინახა,
ქრება საშინელ წელთა დენაში.
მაგრამ კვამლივით ტორტმანით იწევს
ჩემი ნაღველი ღამეულ ცაში.

სიცოცხლე უკვე ჩაფერფლილია,
სიზმრად თუ მოვა ის სიყვარული,
თითქოსდა კოლოფს შემოხვევია
სისხლისფერ ალად ბაფთა ჯვარული.

ჩემი სენაკის როს სიჩუმეში
კანდელის შუქზე მტანჯავს წყლულები,
გარდაცვლილ სატრფოს ლურჯ მოჩვენებას
აჩენს ოცნების საცეცხლურები.

*23 მარტი, 1910*

თარგმნა
**სოსო სიგუამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჰან ფამუქი

# ფანჯრიდან ყურება

1.

სანახაობა და ცხელ-ცხელი ამბები რომ არა, ცხოვრება კარგა ხანია, კაცს გვარიანად მობეზრდებოდა. ჩემს ბავშვობაში მონწყენილობას ხან რადიოს მოსმენით, ხან კი ფანჯრიდან გარეთ, ქუჩაში ყურებით, მოსაღამოვებისას კი ოთახების თვალიერებით ვიქარვებდი. იმხანად, 1958-ში, თურქეთში ტელევიზორი ჯერ კიდევ არ იყო. თუმცა ამას „არყოფნაც" არ ეთქმის. სტამბოლის კინოთეატრებში სამი-ხუთი წლის მანძილზე ჰოლივუდის ლეგენდარულ ფილმებს რომ უჩვენებდნენ, სწორედ იმ ფილმების გმირთა მსგავსად: „ჯერ არ მოსულაო," – ოპტიმიზმით აღსავსე ხმით შენიშნავდნენ.

ფანჯრიდან ყურება ისეთ ძლიერ ჩვევად იქცა, როდესაც თურქეთში ტელევიზორები შემოვიდა, ისე უყურებდნენ, კაცი იფიქრებდა, ფანჯრიდან გარეთ იხედებიანო.

მამაჩემი, ბიძაჩემი, დიდედაჩემი ფანჯრიდან გახედვისას როგორც იქცეოდნენ ხოლმე, ტელევიზორის ცქერისას, ერთმანეთს სახეზე საერთოდ არ უყურებდნენ, ისე საუბრობდნენ და კამათობდნენ. ფანჯრიდან გარეთ ყურებისას რომ სჩვეოდათ, ზუსტად ისე უზიარებდნენ ნანახზე საკუთარ შთაბეჭდილებას. – „ასე თუ გაგრძელდა, თოვლს ბლომად დადებს," ამბობდა დიდედაჩემი ფანჯრიდან ყურებისას დილიდან წამოსულ თოვლზე.

„ისევ ის მეჰალვე მოვიდა ნიშანთაშის კუთხეში!" ვამბობდი მეორე ფანჯრიდან და თან ქუჩაზე ტრამვაის მოძრაობას ვაკვირდებოდი.

კვირაობით ბიძაჩემები, ბიცოლები და ჩვენ ქვედა სართულის ოთახებიდან ზედა სართულზე, დიდედასთან ავდიოდით, ყველა ერთად ვსადილობდით. ფანჯრიდან ვიხედებოდი და ველოდი, როდის მიუსხდებოდნენ სადილის სუფრას. დედების, ბიცოლების, ბიძების თავყრილობაში თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, რომ როდესაც მათ ზურგს შევაქცევდი, სულ თვალწინ მედგა უკან, დიდ სასტუმრო ოთახში, გრძელი სადილის სუფრა როგორ იშლებოდა, მაგიდის თავზე დაკიდებული ბროლის ჭაღის ფერმკრთალი ნათურები როგორ ცოცხლდებოდა. დიდედაჩემის სასტუმრო, ყველა დანარჩენი სართულებივით, ნახევრად ჩაბნელებული იყო, მაგრამ მაინც ჩვენს სართულებზე ბევრად ბნელი მეჩვენებოდა. შესაძლოა, მუდმივად დახურულ, აივანზე გამავალ კარების კიდეებზე ფოჩებისა და ფარდების ჩრდილების ლიცლიცის, ან იქნებ იმის გამო, რომ სადაფით მოოჭვილი შირმებით, ძველი სკივრებით, უზარმაზარი, მასიური მაგიდებით, სამფეხებით, ჩარჩოში ჩასმული ფოტოებით სავსე როიალითა და სხვა ამგვარი რაღაც-რუღაცებით გადაჭედილ ოთახებში მუდამ მტვრის სუნი ტრიალებდა.



ნასადილევს სასადილო ოთახს რომ უერთდებოდა, ბნელი ოთახებიდან ერთ-ერთში, ბიძაჩემი სიგარეტს ეწეოდა. „თამაშზე ერთი ბილეთი მაქვს, მაგრამ ვერ მივდივარ," აღნიშნა. „მამათქვენმა წაგიყვანოთ." „მამა წაგვიყვანს," სიტყვა შეაშველა უფროსმა ძმამ. – „ბავშვები ჰაერს გადაყლაპავენ," გამოსძახა დედაჩემმა სასტუმრო ოთახიდან. „ბავშვები შენ წაიყვანე," ურჩია მამამ დედას. „მე დედაჩემთან მივდივარ," უპასუხა დედამ. „ბებოსთან წასვლა არ გვინდა," გააპროტესტა უფროსმა ძმამ. „მანქანასაც მოგცემ,„ უთხრა ბიძამ. „მამი, გეხვეწები, რა", შეევედრა უფროსი ძმა.

ხანგრძლივი, უცნაური დუმილი ჩამოვარდა. სასტუმროში შეკრებილნი, ყველანი თითქოს მამაჩემზე ფიქრობდნენ. მამაჩემიც გრძნობდა, რასაც ისინი ფიქრობდნენ.

„მანქანას იძლევი?" ჰკითხა ბოლოს ბიძიას მამამ.

ცოტა ხნის მერე ქვევით, ჩვენს სართულზე დედაჩვენმა ორივეს მუქი, სქელი შალის წინდები, ზემოდან კი ჯემპრები ჩაგვაცვა. მამაჩვენი გრძელ დერეფანში სიგარეტის წევით ბოლთასა სცემდა. ბიძაჩემს „საუცხოო კრემისფერი-მომწვანო," 52 მოდელის დოჯი „თეშვიკიეს" მეჩეთის წინ გაეჩერებინა. მამამ ორივეს წინ დასხდომის ნება დაგვრთო და ძრავა გასალების პირველივე გადატრიალებაზე აქოთქოთდა.

სალაროსთან რიგი არ იდგა. „ორივესთვის ერთი ბილეთი," უთხრა მამამ მოლარეს. „ერთი რვის, მეორე - ათი წლისაა." კაცმა ქვემოდან ისე ამოგვხედა, დამფრთხალებმა სასწრაფოდ სტადიონს მივაშურეთ. ტრიბუნებზე ბევრი ცარიელი ადგილი იყო და ჩვენც მყისვე დავსხედით.

სპორტსმენები ატალახებულ მოედანზე გამოჩნდნენ. ქათქათა თეთრტრუსებიანი ფეხბურთელების გასახურებლად მარჯვნივ და მარცხნივ სირბილმა ერთობ გაგვახალისა. „შეხე, ამ პატარა მეჰმედს," თქვა უფროსმა ძმამ და ხელით მანიშნა. „ახალგაზრდული სპორტიდან მოვიდა.„

„ვიცით.„

თამაში რომ დაიწყო, კარგა ხანს ხმა არ გაგვილია. ხოლო მერე ფეხბურთზე კი არა, სულ სხვა რაღაცებზე ვფიქრობდი. რატომ არის, რომ ფეხბურთელებს ერთნაირად აცვიათ, სახელები კი გამოცვლილი აქვთ? წარმოვიდგინე, რომ მოედანზე ფეხბურთელები კი არა, მათი სახელები დარბოდნენ. თანდათან ტრუსები ტალახში ამოეგანგლათ. ცოტა ხანმა რომ განვლო, უკვე ღია ტრიბუნებს მილმა, სრუტედან მდორედ მომავალი გემის საკვამურს ვადევნებდი თვალს. შუა თამაშში, ანგარიში ჯერ რომ არ გახსნილიყო, თითო პარკი ბარდა და ყველიანი ღვეზელი ვიყიდეთ.

„მამა, ამხელა ნამცხვარს ვერ შევჭამ." ნამცხვარი გავუწოდე, ხელში რომ მეჭირა.

„აქ დადე, არავინ გიყურებს."

შესვენებაზე ჩვენც სხვებივით წამოვხტით და გასათბობად ხტუნვა დავიწყეთ. ჩვენც, მამასავით, ხელები შალის პალტოს ჯიბეებში შევაცურეთ და მოედანს ზურგი ვაქციეთ, სხვა მაყურებლების თვალიერებისას, ხალხმრავლობაში ვილაც უცნობი მამაჩემს შეეხმიანა. მამაჩემმა, როგორმე რომ მიეხვედრებინა, ხმაურში არაფერი მესმისო, ხელები ყურებისკენ წაიღო. „ვერ მოვალ," უთხრა და ჩვენზე ანიშნა. „ბავშვებთან ვარ."

ხალხმრავლობაში კაცი დინებას გამოჰყვა. რიგებს შორის გამოძვრა, ზურგიდან მიაწვნენ, მაგრამ მუჯლუგუნებით ტალღა გაააპო და წამში ჩვენთან გაჩნდა.

„შენია ეს ბავშვები?" უთხრა მამაჩემს მას მერე, რაც მოეხვია და გადაკოცნა. „გრანდიოზულია, ვერ დამიჯერებია."

მამაჩემმა არაფერი უპასუხა.

„როდის გაახერხე ორი ბიჭი?" თქვა კაცმა და გაოცებულმა შემოგვხედა. „სკოლა რომ დაამთავრე, მაშინვე დაოჯახდი?" ჰკითხა მამას.

„დიახ," მიუგო მამამ ისე, რომ მისთვის სახეზე არც კი შეუხედავს. ცოტა კიდევ ისაუბრეს. ბრბოს ტალღას გამოყოლილმა კაცმა მუჭში თითო-თითო კანგაუცლელი ამერიკული თხილი ჩაგვიდო. როდესაც დაგვშორდა, მამაჩემი ერთხანს მდუმარედ იჯდა.

სპორტსმენები ქათქათა ტრუსებით მოედანზე ისევ რომ გაიშალნენ: - „მოდი, შინ დავბრუნდეთ," გვითხრა მამამ, „გაცივდებით."

„არ გავცივდებით," შეეპასუხა უფროსი ძმა.

„არა, გაცივდებით," გაუმეორა მამამ. „ალის შესცივდა, მიდი, წამოხტი."

მაყურებელთა რიგებიდან მუჯლუგუნების კვრითა და ფეხების რტყმევა-რტყმევით რომ გამოვდიოდით, უნებლიეთ შეუჭმელი ღვეზელი გავსრისეთ. კიბეზე ჩამოსვლისას შემოგვესმა, დაწყების ნიშნად მსაჯმა სასტვენს როგორ ჩაბერა. „შეგცივდა?' მკითხა უფროსმა ძმამ. „რატომ არა თქვი, რომ არ შეგცივნია?" გავიტრუნე. „რა ბრიყვი ხარ," მომახალა.

„მეორე ტაიმს შინ რადიოთი მოისმენთ," გვითხრა მამამ.

„რადიო ამ მატჩს არ გადმოსცემს," შეეპასუხა უფროსი ძმა.

„გაჩუმდი," უთხრა მამამ. „უკან თაქსიმის* გავლით დავბრუნდებით."

გავიყურსეთ. მოედანი რომ გადავკვეთეთ, მამაჩემმა, გული რომ მიგრძნობდა, მანქანა მართლაც, იპოდრომის სალაროსთან მისვლამდე შეაჩერა. „კარი არავის გაუღოთ", გვითხრა, „ახლავე მოვალ."

გადავიდა. ვიდრე კარებებს გარედან თვითონ დაკეტავდა, შიგნიდან ღილაკებს დავაჭირეთ ხელი. მაგრამ მამა იპოდრომის სალაროსკენ არ წასულა. მოკირწყლული გზით პირდაპირ პროსპექტის მეორე მხარეს აღმოჩნდა. ვიტრინაში გემის, დიდი პლასტმასის თვითმფრინავების, მზიანი პეიზაჟების სურათები რომ გამოეფინათ და კვირაობითაც ღია იყო, იმ მაღაზიაში შევიდა.

„მამა სად გაქრა?"

„შინ რომ დავბრუნდებით „ზედა თუ ქვედა" ვითამაშოთ?" შემეკითხა უფროსი ძმა, მამას დაბრუნებამდე სიჩქარეების გადამრთველით რომ თამაშობდა. ნიშანთაშში დავბრუნდით. მანქანა კვლავინდებურად მეჩეთის წინ დავაყენეთ. ალადინის დუქანს რომ ჩავუარეთ, „რამეს გიყიდით!" გვითხრა მამამ. „მაგრამ, იცოდეთ, ისევ ცნობილთა სერია არ მომთხოვოთ."

„რა იქნება, რა, მამილო!" ფეხების ბაკუნით შევევედრეთ.

ალადინის დუქანში მამამ, ცნობილთა სერიიდან ათ-ათი სალეჭი რეზინა გვიყიდა. შინ რომ შევედით, მღელვარებისგან ლიფტში ჩავისველე. ბინაში ცხელოდა, დედა ჯერ არ დაბრუნებულიყო. ქალალდები სასწრაფოდ შემოვახიეთ, მოვისროლეთ და სალეჭი რეზინების გახსნას შევუდექით. ბოლოს მე ორი ცალი ფევზი ჩაქმაქ ფაშა, ერთი შარლო, გურეშჩი ჰამით კაპლანი, განდი, მოცარტი, დე გოლი, ორი ათათურქი და, უფროს ძმას რომ არ ჰქონდა, 21 ნომერი გრეტა გარბო აღმომაჩნდა. ასე რომ, ცნობილთა სერიიდან ხელთ უკვე ზუსტად 173 ცალი სურათი მქონდა, მაგრამ მთელი სერიის შესავსებად ჯერ კიდევ შვიდი მაკლდებოდა. უფროს ძმას ოთხი ცალი მარშალი ფევზი ჩაქმაქ ფაშა, ხუთი ცალი ათათურქი და ერთი ედისონი აღმოაჩნდა. თითო სალეჭი რეზინა პირში ვიტკუცეთ და სურათების უკანა მხარეს წარწერების კითხვას შევუდექით.

მარშალი ფევზი ჩაქმაქი
განმათავისუფლებელი მოძრაობის
ერთ-ერთი მეთაური
(1876-1950)

**მამბოს შაქრიანი სალეჭი რეზინების წარმოება**

ცნობილთა სერიის 100 სურათის შემგროვებელს
ილბალი საჩუქრად ფეხბურთის ტყავის ბურთს უმზადებს

უფროს ძმას ხელში აქამდე შეგროვილი 165 სურათი ერთ დასტად ეჭირა. „ვითამაშოთ ზედა თუ ქვედა?" მკითხა.

„არა."

„ჩემ თორმეტ ფევზი ჩაქმაქში შენი ორი გრეტა გარბოდან ერთს თუ მომცემ, მითხრა, „მაშინ სულ 184 სურათი გექნება."

„არა."

„ ორი ცალი გრეტა გარბო კი გაქვს, მაგრამ."

ალარაფერი მითქვამს.

„ხვალ სკოლაში რომ აგცრიან, გეტკინება,"მითხრა. "იცოდე, სიახლოვეს არ გამეკარო, გესმის?"

„არ გაგეკარები.„

ვახშამი უხმოდ გეახელით. „სპორტულ სამყაროს„ მოვუსმინეთ და ის-ის იყო შევიტყვეთ, თამაში ორით ორი დამთავრებულაო, დედა ჩვენს დასაძინებლად ოთახში შემოვიდა. უფროსი ძმა ჩანთას ალაგებდა; სასტუმრო ოთახისკენ გავიქეცი. მამა ფანჯრიდან გარეთ, ქუჩაში იყურებოდა.

* თაქსიმი – სტამბოლის მთავარი მოედანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მამა, ხვალ სკოლაში წასვლა არ მინდა,„ ვუთხარი.

„კარგი, მაგრამ“

„ხვალ აცრაა, სიცხე ამიწევს და ხუთვას დამაწყებინებს. იცის დედამ,“ განვუმარტე.

არაფერი მიპასუხა, ერთხანს მიყურა. გავიქეცი, უჯრიდან ქაღალდი და საწერკალამი ამოვიღე და მივურბენინე.

„მაშ, დედამ იცის?“ მკითხა და ქაღალდი, მუდამ რომ კითხულობდა და არკი ასრულებდა, კირკეგორის ტომზე დადო. „ვწერ, რომ სკოლაში წახვალ, მაგრამ აცრას არ ჩაიტარებ,“ მითხრა. „ზუსტად ასე ვწერ.“

ხელი მოაწერა. მელანს სული შევუბერე, დავკეცე და ჯიბისკენ გავაქანე.

გავიქეცი და ჩანთაში ჩავაცურე, მერე კი სანოლ ოთახში გავედი და ხტუნვა დავიწყე.

„იცოდე, აღარ გამაბრაზო,“ მითხრა დედამ. „უნდა დაიძინო.“

2.

სკოლაში, ნასადილევს, მთელი კლასი ორად დაგვყვეს და ასაცრელად, აუტანელი სუნი რომ ტრიალებდა, კვლავ იმ სასადილოში შეყვანა დაგვიპირეს. ზოგი ტიროდა, ზოგი დამფრთხალი ელოდა. აცრის ოთახიდან გამოსული იოდის სუნი რომ მეცა, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. ჩემ რიგს ჩამოვშორდი და კიბის თავში, მასწავლებელთან გავჩნდი. მალე მთელი კლასი, ხმაურით, ჩვენ გვერდით ალმოჩნდა.

„კეთილი,“ თქვა მასწავლებელმა, „რა მოხდა?“

ჯიბიდან მამაჩემის წერილი ამოვაძვრინე და მასწავლებელს გავუწოდე. სერიოზული სახით კითხულობდა. „მამაშენი ექიმია?“ მკითხა ბოლოს. ცოტა ჩაფიქრდა. „მაღლა ადი, 2 ა-სთან დამელოდე,“ მითხრა.

ზემოთ, 2 ა-ში ჩემსავით საპატიო მიზეზით ექვსიშვიდი ბავშვი დამხვდა. ერთ-ერთი შეშინებული, ფანჯრიდან გარეთ იხედებოდა. დერეფნიდან ჩვენამდე გაუთავებელი ტირილის ხმა და შემაშფოთებელი ქოთქოთი აღწევდა. სათვალიანი სქელო კურკებს შეექცეოდა და „კინოვას“ კითხულობდა. კარი გაიღო და დირექტორის თანაშემწე, გამოთაყვანებული სეიფი ბეი შემოვიდა.

„თუკი თქვენ შორის, მართლაც, რომელიმე ავადაა, აცრას არ ჩაუტარებენ,“ გვითხრა. „მაგრამ ამ გამამართლებელი საბუთის მქონე ცრუპენტელების გასაგონად მინდა ვთქვა: მომავალში, თქვენ ყველანი რომ გაიზრდებით, ამ ქვეყანას უნდა ემსახუროთ, ეგებ რომელიმემ მისთვის თავიც კი დასდოს. დღეს ვინც აცრას გაექცევა და გამამართლებელი საბუთი მაშინაც არ ექნება, ქვეყნის მოღალატედ ჩაითვლება. სამწუხაროდ, ასე იქნება ეს!“

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ათათურქის პორტრეტს გავხედე და თვალები ამიცრემლიანდა.

ცოტა ხნის მერე, თვალი რომ არავის მოუკრავს ისე, საკლასო ოთახში დავბრუნდით. აცრილებიდან ზოგს სახელო აეწია, ზოგს თვალები ცრემლით ავსებოდა, ბღვერით, მუჯლუგუნებითა და ლანძღვით მოდიოდნენ.

„ვისი სახლიც ახლოსაა, შეუძლია წავიდეს,“ გვითხრა მასწავლებელმა. „ისინი კი, ვის წასაყვანადაც უნდა მოვიდნენ, ბოლო ზარს დაელოდებიან. იცოდეთ, მუშტიკრივი არ გამართოთ! ხვალ სწავლა არ იქნება.“

ერთბაშად ყველა ახმაურდა. ქვედა კარიდან რომ გავდიოდით, ზოგიერთს სახელო აეწია და აცრისა და იოდის კვალს კარისკაც ჰილმი ეფენდის უჩვენებდნენ.

ჩანთით ხელში გავედი ქუჩაში და გავიქეცი. მეყასბე ქარაბეთის დუქნის წინ ცხენშებმული ოთხთვალა გზაზე გაჩხერილიყო, გავძვერი და პირდაპირ ქვაფენილიან ტროტუარზე აღმოვჩნდი. ქსოვილების გამყიდველ ჰაირის, მეყვავილე სალიჰის სირბილით ჩავუარე. სახლის კარი კარისკაცმა ჰაზიმ ეფენდიმ გამიღო.

„ამ დროს აქ მარტოს რა გესაქმება?“ მკითხა.

„აცრა გვქონდა,“ ვუპასუხე. „გაკვეთილები ჩაიშალა.“

„უფროსი ძმა სად არის? მარტო დაბრუნდი?“

„ტრამვაის გზაზე მარტო გადმოვედი, ხვალ ვისვენებთ.“

„დედაშენი არ არის,“ მითხრა. „დიდედასთან ადი.“

„ავადა ვარ,“ ავუხსენი. „ჩვენს ოთახში შესვლა მინდა. კარი გამიღე.“

კედლიდან გასაღები აიღო, ლიფტში ჩავსხედით. ზევით ამსვლელებს შიგ ისეთი სიგარეტის ბოლი დაეყენებინათ, თვალები ამეწვა. ჩვენი კარი გაიღო. „ელექტრობითა და ჩამრთველებით არ ითამაშო,“ გამაფრთხილა, კარი გაწია და წავიდა.

შინ კი არავინ იყო, მაგრამ მაინც დავიყვირე: „სახლში ვინ არის, არის ვინმე?“ ჩანთა მოვისროლე, უფროსი ძმის უჯრა გამოვწიე და ჩემგან გადამალული კინოს ბილეთების კოლექციის თვალიერება დავიწყე. მერე კი გაზეთებიდან ამოჭრილი და რვეულში ჩაწებებული ფეხბურთის მატჩის ფოტოებში მთელი არსებით რომ ჩავიძირე, გასაღების გადატრიალების ხმა შემომესმა და ავფორიაქდი. ფეხის ხმაზე მივხვდი, დედა არ იქნებოდა, უფრო მამაჩემის ნაბიჯებს ჩამოჰგავდა. უფროსი ძმის ბილეთები და რვეულები ისე რომ აირია, ერთმანეთში ვერ გაარჩევდი, უჯრაში, ძველ ადგილას ჩავუძახე.

მამა საძინებელში შემოვიდა, კარადა გაალო და თვალიერებას მიჰყო ხელი.

„აქა ხარ?“ მკითხა.

„არა, პარიზში ვარ,“ სკოლაში რომ ვპასუხობდი ხოლმე, იმგვარად მივუგე.

„დღეს სკოლაში არ წახვედი?“

„დღეს აცრა გვქონდა.“

„უფროსი ძმა არ არის?“ შემეკითხა. „კარგი, შენს ოთახში შედი და, იცოდე, არ იხმაურო.“

წავედი. შუბლით ფანჯრის მინას მჭიდროდ მივეყრდენი და გარეთ გავიხედე. ხმით მივხვდი, მამაჩემმა, დერეფანში მდგარი კარადიდან, რომელიღაც ჩემოდანი აიღო. თავის ოთახში დაბრუნდა. ჩემამდე მოღწეული ხმით ვიგრძენი, კარადიდან პიჯაკებისა და შარვლების გამოღება დაიწყო. ტრუსების, პერანგებისა და წინდების უჯრებს აღებდა და კეტავდა. მივხვდი, ყველაფერი ჩემოდანში მოათავსა. აბაზანაში შევიდა და გამოვიდა. ჩემოდნის ღვედებს დააწვა, საკეტი გასაღებით ჩაკეტა. ოთახში შემოვიდა და მომიახლოვდა.

„აქ რას აკეთებ?“

„ფანჯრიდან ვიყურები.“

„ჩემთან მოდი,„ მითხრა.

ხელში ამიყვანა და ფანჯრიდან დიდხანს ერთად ვიხედებოდით.

ჩვენსა და მოპირდაპირე სახლს შორის ტანწერწეტა კვიპაროსებმა ქარის ქროლვაზე ნება-ნება დაიწყეს რხევა. მამის სურნელი მსიამოვნებდა.

„შორს მივდივარ,“ მითხრა. მაკოცა. „დედას არაფერი უთხრა. მოგვიანებით თვითონვე ვეტყვი.„

„თვითმფრინავით?“

„ჰო,“ მიპასუხა. „პარიზში. იცოდე, არავისთან წამოგცდეს.“ ჯიბიდან ერთი მუჭა ორნახევარი ლირა ამოიღო, მომცა. „არც ეს უთხრა ვინმეს,“ ხელახლა მაკოცა. „აქ რომ მნახე ესეც.... . .“

ფული მყისვე ჯიბისკენ გავაქანე. ხელში რომ ამიყვანა და ჩემოდანი აილო, „მამა, არ წახვიდე,“ შევევედრე. ერთხელაც მაკოცა და წავიდა.

ფანჯრიდან მის ზურგს ვუყურებდი. ალადინის დუქანთან მივიდა, მერე კი მიმავალი ტაქსი გააჩერა. ჩაჯდომამდე სახლს ერთხელ კიდევ შემოხედა, ხელი დამიქნია. ხელი მეც დავუქნიე, წავიდა.

კარგა ხანს გავყურებდი ცარიელ ქუჩას. ტრამვაიმ ჩაიარა, წყლის მზიდავის ცხენიანმა ოთხთვალამაც. ზარის ღილაკს დავაჭირე და ჰაზიმ ეფენდი გამოვიძახე.

„ზარი შენ მომეცი?“ მოსვლისას მკითხა. „ზარით ნუ თამაშობ.“

„აიღე ეს ორლირანახევარი!“ ვთხოვე. „ალადინის დუქანში წადი, ცნობილთა სერიიდან ათი ცალი მიყიდე. ორმოცდაათი ყურუში კი უკან დამიბრუნე.“

„ფული მამამ მოგცა?“ მკითხა. „დედა არ გაგიბრაზდეს.“

პასუხი არ გამიცია, წავიდა. ფანჯრიდან ვიხედებოდი და თვალყურს ვადევნებდი, ალადინის დუქანში როგორ შევიდა. ცოტა ხნის მერე გამოვიდა და, უკან რომ ბრუნდებოდა, მოპირდაპირე მხარეს, ქვაფენილზე მარმარილოთი მოპირკეთებული სახლის კარისკაცი შეხვდა და მასლაათი გაუბა.

დაბრუნებისას, ხურდა მომცა. სალეჭი რეზინები მყისვე გავხსენი. სამი ცალი კვლავ მარშალი ფევზი ჩაქმაქი, ერთი ცალი ათათურქი, თითო-თითო ლინდბერგი, ლეონარდო და ვინჩი, სულტან სულეიმან კანუნი, ჩერჩილი, გენერალი ფრანკო და უფროს ძმას რომ არ ჰქონდა, ისევ ის 21 ნომერი, ერთი ცალი გრეტა გარბო აღმოჩნდა. ამგვარად, ხელთ უკვე 183 ცალი სურათი მქონდა. მაგრამ ასის შესავსებად ოცდაექვსი ცალი მაკლდებოდა. პირველად 91 ლინდბერგი ამოვიდა. ატლანტის ოკეანე რომ გადაიფრინა, იმ თვითმფრინავის წინ იდგა. სურათს რომ ვუყურებდი, კარი გასაღებით გაიღო. დედა! სალეჭი რეზინები გადავყარე, ქაღალდები შევაგროვე და წამში ნაგავში გადავუძახე.

„აცრა გვქონდა, ადრე მოვედი,“ ვუთხარი. „მუცლის ტოფი, შავი ჭირი, ტეტანუსი.“

„უფროსი ძმა სად არის?“

„იმათი კლასისთვის ჯერ არ აუცრიათ,“ მივუგე. „ჩვენ შინ გამოგვიშვეს, ქუჩაზე ჩემით გადმოვედი.

„გტკივა?“

არაფერი ვუპასუხე. ცოტა ხნის მერე უფროსი ძმაც მოვიდა. სტკიოდა, საწოლში სალი მკლავის მხარეს დაწვა, სახემოღუშულს ჩაეძინა. რომ გაიღვიძა, უკვე გვარიანად ბნელოდა. „დედა, ძალიან მტკივა,„ უთხრა.

„ღამით სიცხე აგიწევთ,„ შეეხმიანა დედა მეორე ოთახიდან, თან აუთოვებდა. „შენც გტკივა, ალი? დაწექი, არ გაინძრე.“

გაუნძრევლად ვიწექით. ცოტა ჩაგვეძინა და, როცა გამოგვეღვიძა, უფროსმა ძმამ სპორტის ფურცლების კითხვა დაიწყო და, გუშინდელი თამაშიდან შენი გულისთვის რომ გამოვედით, ოთხი გოლი გაუშვესო, მითხრა.

„თამაშიდან რომ არ გამოვსულიყავით, ეგებ ის გოლები არ გაეშვათ,„ მისაყვედურა.

„რა?“

ცოტა კიდევ წაუძინა და მერე გრეტა გარბოს ერთ სურათში ექვსი ფევზი ჩაქმაქი, ოთხი ათათურქი და სამი ცალიც, მე რომ მქონდა, ის სურათები შემომთავაზა, ვიუარე.

„ზედა თუ ქვედა ვითამაშოთ?“ მკითხა მერე.

„ვითამაშოთ.“

ცნობილთა სერიის სურათების დასტა ორ მუჭში გიჭირავს. ზედა თუ ქვედაო, გეკითხება. ქვედას თუ ეტყვი, ყველაზე ქვემოთ რომელიცაა, იმ სურათს იღებ, უყურებ. მაგალითად, 78 რიტა ჰეივორთი. ზედა კი, 18 - პოეტი დანტეა. ქვედას იგებ და პარტნიორს, ყველაზე მეტად რომელიც არ მოგწონს და ბევრი გაქვს, იმ სურათებიდან ერთ ცალს აძლევ. საღამომდე მარშალ ფევზი ჩაქმაქის სურათები ჩვენს შორის მიდი-მოდიოდა. სადილობის დრო რომ დადგა:

„რომელიმე ზევით ადით და ნახეთ, მამათქვენი ხომ არ მოვიდა.„

ორივენი ზევით ავედით. ბიძია და დიდედა სიგარეტს ეწეოდნენ, მამაჩემი არ ჩანდა. რადიოს ახალ ამბებს მოვუსმინეთ, გაზეთში სპორტის გვერდი ჩავიკითხეთ. დიდედასთან სადილად რომ დასხდნენ, ჩვენ ქვევით ჩავედით.

„სად გაქრით?“ გვითხრა დედამ. „იქ ხომ არაფერი გიჭამიათ? მუხუდოს წვნიანს დაგისხამთ და მამათქვენის მოსვლამდე ნელ-ნელა მიირთვით.„

„გახუხული პური არ არის?“ ჰკითხა უფროსმა ძმამ.

დედა გვიყურებდა წვნიანს უხმოდ როგორ შევექცეოდით. მივხვდი, თავი ხელში აჰყავდა, თვალს არ გვაშორებდა და მთელი გულისყური ლიფტისკენ მიეპყრო. წვნიანს რომ მოვრჩით, „დაგიმატოთ?“ გვკითხა და ქვაბს ჩახედა. „ბარემ მეც შევჭამ, ვიდრე გაცივდება,“ თქვა. მაგრამ წამოდგა და, ნიშანთაშს რომ გადაჰყურებდა, იმ ფანჯრისკენ გაემართა, ერთხანს უხმოდ ქვემოთ იყურებოდა. მერე მობრუნდა და წვნიანის ჭამას შეუდგა. უფროს ძმასთან გუშინდელ მატჩს რომ ვარჩევდი: „გაჩუმდით!“ გვთხოვა დედამ. „ეს ლიფტის ხმა არ არის?“

გავჩუმდით და ყველამ ერთად მივაყურადეთ. ლიფტი არ იყო. სიჩუმეში მაგიდა, ჭიქები, წყლიანი სურები აძიგძიგდა და ტრამვაიმ ჩაიარა. ფორთოხალს გეახლებოდით და ამჯერად ყველას ლიფტი გვეგონა. მოგვიახლოვდა, მოგვიახლოვდა, მაგრამ არ შეჩერებულა, ზედა სართულზე დიდედასთან ავიდა. „ზევით ავიდა„, აღნიშნა დედამ.

ნასადილევს „თქვენი თეფშები სამზარეულოში გაიტანეთ,“ გვთხოვა დედამ. „მამასი - დატოვეთ.“ სუფრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავალაგეთ. ცარიელ სუფრაზე სუფთა თეფში მამაჩემს კარგა ხანს ელოდა.

დედამ პოლიციის შენობის მხარეს, ფანჯრისკენ გასწია. დიდხანს იყურებოდა. მერე კი, თითქოს თავში ერთბაშად რალაც აზრმა გაუელვაო, მამაჩემის ცარიელი თეფში, ჩანგალი, დანა აილო და მტკიცე ნაბიჯით სამზარეულოსკენ გაემართა. „ზევით, დიდედასთან ავდივარ, არ იჩხუბოთ,“ გვითხრა.

უფროს ძმასთან ერთად თამაში ქვევით გავაჩაღეთ.

„ზედა,“ ვთქვი პირველმა.

ხელში რომ სურათი ჰქონდა, გახსნა და მაჩვენა: „მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ათლეტი, ქოჯა იუსუფი, 34 ნომერი. ქვევით დახედა: „ათათურქი, ნომერი 50,„ თქვა. „ნაავე, ერთი ცალი უნდა მომცე.“

დიდხანს ვითამაშეთ და სულ ის მიგებდა. ჩემი ცხრამეტი ცალი 21 მარშალი ფევზი ჩაქმაქი, ათათურქებიდან კი ორი ცალი წამში თვალსადახელსშუა გამიქრო.

„აღარ ვთამაშობ,“ ვუთხარი აღშფოთებულმა. „ზევით, დედასთან ავდივარ.“

„ბრაზობს დედა.“

„ოთახში მარტო დარჩენისა გეშინია, მშიშარა!“

დიდედას კარი, ჩვეულებისამებრ, ღია დამხვდა. სადილობა დასრულებულიყო. მზარეული ბექირი დასვრილ თეფშებს რეცხავდა. დიდედაჩემი და ბიძაჩემი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. დედა, ნიშანთაშის მოედანს რომ გადაჰყურებდა, იმ ფანჯარასთან იდგა. „მოდი,“ ისე მითხრა, ფანჯრისთვის თვალი არც მოუშორებია. დედის სხეულსა და ფანჯარას შორის თითქოს ჩემთვის საგანგებოდ დატოვებულ სიცარიელეში ამოვყავი მყისვე თავი. მთელი ტანით მივეყრდენი და მეც ნიშანთაშის მოედანს დავუწყე გულისყურით თვალიერება. დედამ ხელი თავზე გადამისვა და დიდხანს მეფერა.

„მამა შინ მოსულა, შუადღისას გინახავს“, ნამჩურჩულა.

„დიახ.“

„რაო, სად მივდივარო, არ გითხრა, დედას სიხარულო?“

„არა,“ ვუპასუხე. „ორნახევარი ლირა მომცა.“

ქვევით, ქუჩაში ჩაბნელებული მაღაზიები, მანქანის ფარები, შუაგულ გზაში საგზაო პოლიციელის მიტოვებული სადგომი, სველი ქვაფენილი, ხეებზე დაკიდებული სარეკლამო ფირნიშები წარწერებით – ყველაფერი მიუსაფარი და უბადრუკი მეჩვენა.

წვიმა რომ წამოვიდა, დედა სვენებ-სვენებით ისევ თავზე ხელს მისვამდა.

მივხვდი, ბიძაჩემსა და დიდედას რადიო სულ მუდამ ჩართული რომ ჰქონდათ, ახლა დადუმებულიყო, და შემეშინდა.

„მანდ ნუ დგახარ, შვილო,“ უთხრა ცოტა ხნის მერე დიდედამ. „მოდი, აქ დაჯექი, თუ შეიძლება.“

უფროსი ძმაც ზევით ამოვიდა.

„თქვენ სამზარეულოში წადით,“ გვითხრა ბიძაჩვენმა. „ბექირ,“ დაიძახა. „აქ, კორიდორში ბურთი ითამაშონ.“

მზარეულ ბექირს ჭურჭლის რეცხვა დაესრულებინა: „აგერ, აქ დასხედით,“ გვითხრა. დიდედას ოთახის შემინულ, ლიმონარიუმად ქცეულ აივანზე რომ გავიდა და გაზეთები მოიტანა, კარგა გვარიანად დაამრგვალა და ბურთივით დატენა. მუშტივით რომ მოაქცია, „ასე კარგი იქნება?“ გვკითხა.

„ცოტაც დაახვიე,“ სთხოვა უფროსმა ძმამ.

ბექირმა რამდენიმე გაზეთის ფურცელი კიდევ რომ მოამრგვალა და დაახვია, კარის ღიობიდან დავინახე, დედაჩემი დიდედასა და ბიძაჩემის წინ იჯდა. ბექირმა, უჯრიდან ამოღებული თოკი ქაღალდის ბურთს ყოველი მხრიდან შემოუჭირა, საუცხოო მრგვალი ფორმა მისცა და: „წვეტიანი ნაპირები მოამრგვალეთ,“ გვითხრა, მერე ქაღალდის ბურთი ნაჭრით ოდნავ დაასველა და საბოლოოდ კიდევ ერთხელ მოუჭირა. უფროსმა ძმამ ვერ მოითმინა და ბურთი ხელში აიტაცა.

„უჰ, შენი გულისა, ქვასავით მაგარია.“

„აბა, აქ დააჭირე თითი,“ შესთავაზა ბექირმა.

უფროსმა ძმამ თოკის ნასკვზე თითი მთელი მონდომებით რომ დააჭირა, ბექირმა უკანასკნელი ნასკვი გააკეთა და ბურთიც მზად იყო. ჰაერში ატყორცნილ ბურთს ქვემოდან ფეხს ვახვედრებდით.

„ტალანში ითამაშეთ,“ გაგვაფრთხილა ბექირმა. „აქ ყველაფერს დაამსხვრევთ.“

დიდხანს, ვიდრე დაღლილობისგან დავიხოცებოდით, ვითამაშეთ. თავი „ფენერბაჰჩელ“ ლეფთერად წარმოვიდგინე და იმასავით ვმოძრაობდი. კედელს რომ პასი ვტყორცნე, რამდენჯერმე უფროსი ძმის აცრილ ხელს მოხვდა. ხან მე მხვდებოდა, მაგრამ არაფერი მტკენია. ოფლში ვცურავდით, ბურთი ნაწილ-ნაწილ იშლებოდა, მაგრამ ათით ხუთს რომ ვიგებდი, უფროს ძმას აცრილ ხელზე ისე მწარედ მოვარტყი, ადგილზევე ჩაიკეცა და აღრიალდა.

„იცოდე, როგორც კი ხელი გამივლის, მოგკლავ,“ მითხრა იატაკზე გაწოლილმა.

წაგებამ გაამწარა. ტალანიდან სასტუმრო ოთახში შევედი, დიდედას, დედაჩემს, ბიძაჩემს კაბინეტში მოეყარათ თავი. დიდედამ ტელეფონის დისკო მოატრიალა.

„ალო, ჩემი გოგო,„ ისეთი ხმით უთხრა, დედაჩემს „ჩემო გოგოს,“ რომ ეუბნებოდა ხოლმე. „იეშილქოის აეროპორტია? ჩემი გოგო, გუშინ ევროპაში გაფრენილ ერთ-ერთ თვითმფრინავზე მინდა შეგეკითხო.„ მამაჩემის გვარი დაუსახელა, ერთხანს, პასუხის მოლოდინში, ტელეფონის ზონარი ხელში ატრიალა. „სიგარეტი მომიტანე,“ სთხოვა მერე ბიძაჩემს. ბიძაჩემმა სიგარეტი რომ ამოიღო, დიდედამ ჩაბლუჯული ყურმილი ოდნავ გასწია.

„ჩემო გოგო, მითხარი, გეთაყვა,“ სთხოვა დიდედამ დედას. „საქმის კურსში თუ ხარ, სხვა ქალი ხომ არ ჰყავს?“

ვერ გავიგე, დედამ რა უპასუხა. დიდედა ისე უყურებდა, თითქოს არც არაფერი უკითხავსო. მერე ტელეფონში რალაც უთხრეს და გაბრაზებული: „წესიერად ხომ არ გიპასუხებენ,“ მიუბრუნდა ბიძაჩემს, სიგარეტითა და საფერფლით ხელში რომ უახლოვდებოდა.

დედა ბიძიას სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, იქ რომ ვიყავი. მკლავში ხელი წამავლო და ჩიქჩიქით ტალანში გამისტუმრა. ხელები ქეჩოდან ზურგისკენ ჩააცურა იმის სანახავად, როგორ გავოფლიანდი, მაგრამ არ გამიბრაზდა.

„დედა, ხელი მტკივა," შესჩივლა უფროსმა ძმამ.

„ახლავე ქვევით ჩაგიყვანთ და დაგაწვენთ."

ქვევით, ჩვენს სართულზე, ერთხანს არც ერთს ხმა არ ამოგვილია. პიჟამებში გამოწყობილმა სამზარეულოდან ჭიქა წყალი ავილე, სასტუმრო ოთახში შევედი. დედა ფანჯრის წინ იდგა და სიგარეტს ეწეოდა, ერთხანს ვერ მიხვდა, იქ რომ ვიყავი.

„შიშველი ფეხებით ხარ, გაცივდები," მითხრა, ჩემი ხმა როგორც კი შემოესმა. „უფროსი ძმა დაწვა?"

„დაიძინა. დედა, რაღაც მინდა გითხრა." მოვიცადე, ვიდრე დედაჩემსა და ფანჯარას შორის დარჩენილ სიცარიელეს შევავსებდი. დედამ, ასე რომ მივისწრაფოდი, ის საუცხოო ადგილი გაათავისუფლა და მეც მოვკალათდი. „მამა პარიზში წავიდა," ვუთხარი. „თანაც, იცი, რომელი ჩემოდანი წაიღო?"

არაფერი მიპასუხა. ღამის მდუმარებაში წვიმიან ქუჩას კარგა ხანს გავყურებდით.

3.

დედაჩემის დედის სახლი შიშლის მეჩეთის პირდაპირ, ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან მდებარეობდა. იქით უკვე ტრამვაის პარკი იწყებოდა. ახლა რომ მინიბუსებისა და ავტობუსების გაჩერებებია, წარწერებით აჭრელებული დიდი მრავალსართულიანი მაღაზიები და შუადღის შესვენებისას სენდვიჩებით ხელში, მუშაობით თავგაბეზრებული აქეთ-იქით მოსიარულე ხალხით სავსე ქუჩები, უსახური, აწოწილი სახლებით შემოზღუდული მოედანი, იმხანად სტამბოლის ევროპული ნაწილის განაპირა უბნად ითვლებოდა. ჩვენი სახლიდან თხუთმეტი წუთის სავალზე დედაზე ხელჩაკიდებულნი, თუთისა და ცაცხვის ხეებქვეშ ფილებით მოპირკეთებული ფართო და მშვიდი მოედნით რომ მივდიოდით, ისეთი განცდა გვეუფლებოდა, თითქოს ქალაქის კიდეზე მივაბიჯებდით.

დედაჩემის დედის ასანთის კოლოფივით ვიწრო, ოთხსართულიანი, ქვისა და ბეტონის სახლის ერთი მხარე დასავლეთს, სტამბოლს გადაჰყურებდა, მეორე კი – აღმოსავლეთს, თუთის ხეებით დაფარულ ფერდობებს. ქმარი რომ გარდაცვლია და სამი ქალიშვილი გაუთხოვებია, ბებოს კარადებით, მაგიდებით, სამფეხებით, პიანინოებითა და სხვა რალაც-რულაცებით გამოტენილი სახლის ერთ ოთახში დაუწყია ცხოვრება. სადილს ჩემ უფროს დეიდას აკეთებინებდა და ან თავად მოჰქონდა, ანდა დღეში ერთხელ მძღოლს თასით ატანდა. ბებო ვერაფრით ვერ ახერხებდა ოთახიდან გამოსვლას, ორი სართულით ქვევით, სამზარეულოში სადილობას, სახლის უსაშველოდ სქელი მტვრის ფენითა და განიერ ძაფებად დაკიდულ ობობის ქსელებით სავსე ოთახებში შესვლასა და ირგვლივ წესრიგის დამყარებას. დედამისივით, რომელიც ერთ დიდ ფიცრულში წლობით განმარტოებით ცხოვრობდა, ბებოც, მოჩვენებებიან სახლში მარტოობის სენით შეპყრობილი, მომვლელის ანდა მოახლე ქალის მოყვანას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.



მხატვარი ბადრი გაგნიძე

ბებოსთან სტუმრად რომ მივედით, დედამ ზარი კარგა ხანს რეკა, რკინის კარზე მუშტები აბრახუნა. ბოლოს, როგორც იქნა, შიშლის მეჩეთს რომ გადაჰყურებდა, მეორე სართულის იმ ფანჯრის საკეტისა და ჩაჟანგებული დარაბების ხმაური გაისმა და ბებომ გადმოგვხედა. შორს ვერ ხედავდა და საკუთარ თავს ვერ ენდობოდა, ამიტომ ყოველთვის მოითხოვდა, რომ შევხმიანებოდით და მისთვის ხელი დაგვექნია.

„კარის ზღურბლს მოშორდით და ბებოს დაენახეთ, ბავშვებო," გვითხრა დედამ. შუა ტროტუარზე დავდექით, ბებოს ხელი დავუქნიეთ და: „დედიკო, ჩვენა ვართ, ბავშვები და მე, გესმით ჩვენი?" შესძახა დედამ.

ბებომ რომ ტკბილად ჩაიხითხითა, მივხვდით, დაგვინახა და გვიცნო. ფანჯარას წამში მოწყდა, ოთახში შებრუნდა, ბალიშის ქვემოდან დიდი გასაღები გამოაძვრინა, გაზეთის ნაგლეჯში გაახვია და გადმოგვიგდო. მე და უფროსი ძმა ჰაერში გასაღების დაჭერაში გავეჯიბრეთ ერთმანეთს.

უფროს ძმას მკლავი ჯერ ისევ სტკიოდა და გაქცევა გაუჭირდა. მივირბინე, გასაღები ავილე და დედას გავუწოდე. დედამ კარი გაჭირვებით გაალო. რკინის მასიური კარი სამივეს ძალისხმევით მძიმე-მძიმედ დაიძრა და სიბნელეში, მსგავსი რომ არსად არაფერი გვენახა, წლობით ობადქცეული მტვრის, სიძველისა და ნესტის სუნი გვეცა. იქვე, კართან, საკიდზე, ხშირ-ხშირად შემოპარულ ქურდებს რომ ეფიქრათ, შინ მამაკაციაო, ბებოს პაპის ბეწვისსაყელოიანი პალტო, ფეტრის ქუდი და გვერდით ის ჩექმები მიეწყო, ცეცხლივით რომ მეშინოდა.

ცოტაც და, ორი სართული რომ სწორად მიუყვებოდა, ბნელი ხის კიბის ბოლოში, კარგა მოშორებით, გაურკვე-

ველ თეთრ ნათებაში ბებო დავინახეთ. ვიტრაჟიანი ფანჯრებიდან შემოღწეულ სუსტ შუქზე ხელჯოხით მოჩვენებასავით გაუნძრევლად დარჭობილიყო.

კიბე ჭრიალით ისე ავიარეთ, დედას ბებოსთვის სიტყვაც არ უთქვამს („როგორ ბრძანდები დედიკო," ეტყოდა სხვა დროს, „ძალიან მომენატრე, დედიკო, ძალიან ცივა, დედიკო!") კიბის უჯრედზე ბებოს ხელზე ვემთხვიე. ვიცოდე, სახესა და ხელის მტევანზე უზარმაზარი მეჭეჭებისთვის არ შემეხედა. ერთკბილიანი პირის, გრძელი ნიკაპის, თმიანი სახის კვლავინდებურად გვეშინოდა, ოთახში შევედით, დედას ავეკარით და აქეთ-იქიდან მივუსხედით. ბებო დღის უმეტესობას უზარმაზარ საწოლში ატარებდა და გრძელ ღამისპერანგსა და გრძელი შალის ჟილეტში გამოგვეცხადა, გაგვიცინა და ისეთი სახით შემოგვხედა, თითქოს, მიდით, ერთი გამამხიარულეთო, გვეუბნებოდა.

„ღუმელს კარგად არ უკიდია, დედიკო," უთხრა დედამ. საცეცხლური აილო და ნაკვერჩხალი გაალღვივა.

ცოტა აცადა და, „ღუმელს თავი ანებე," უთხრა ბებომ. „ეგებ ამ მთისა და იმ ბარისა მიამბო რამე. ქვეყნად რა ხდება?"

„არაფერი არ ხდება!" უთხრა დედამ და ჩვენ გვერდით ჩამოჯდა.

„როგორ, სულ არაფერი?"

„არაფერი, დედიკო, არაფერი."

ცოტა ხნის მერე კი: „არავინ გინახავს?" შეეკითხა ბებო.

„იცით, დედიკო," დაიწყო დედამ, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო.

„ღვთის გულისათვის, ახალი სულ არაფერია?"

სიჩუმე ჩამოვარდა.

„ბებო, აგვცრეს," მივახარე.

„მართლა?" თქვა ბებომ და, თითქოს ძალზე გაუკვირდაო, ცისფერი თვალები გაუფართოვდა. „ძალიან გეტკინათ?"

„ხელი მტკივა," წამოიძახა უფროსმა ძმამ.

„უჰ!" თქვა ბებომ და ჩაიქირქილა.

კვლავ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მე და უფროსმა ძმამ წამოვხტით და ფანჯრიდან ფერდობებს, თუთის ხეებს, უკანა ბაღში ცარიელ, ძველ საქათმეს დავუწყეთ ყურება.

„მართლა არაფერი იცი?" შეევედრა ბებო დედას.

„ზევით, დედამთილთან ხომ ადიხარ. როგორ, იქ არავინ მოდის?"

„გუშინ, ნაშუადღევს დილრუბა ხანუმი მოვიდა,„ უთხრა დედამ. „ბავშვების ბებიას კარტი ეთამაშა."

ჩვეულებისამებრ, ბებომ მყისვე სიამოვნებით წამოიძახა:

„ის ხომ სასახლიდან გამოვიდა!"

იმ წლებში მითების წიგნებსა და გაზეთებში ბევრი რამ წამეკითხა და ვიგრძენი, რომ დასავლეთის კრემიანი ნამცხვრებივით ფერად-ფერად სასახლეებს კი არა, უცილობლად დოლმაბაჰჩეს სასახლეს გულისხმობდა. მაგრამ დამცინავად რომ აღნიშნა, დილრუბა ხანუმი უკანასკნელი ფადიშაჰის ჰარემიდან არის გამოსულიო და ამით მიანიშნა, რომ ხასა იყო, მთელი ახალგაზრდობა ჰარემში გაატარა, მერე კი ერთმა ვაჭარმა შეირთო ცოლად, წლების შემდეგ მივხვდი, ამ ნათქვამით დიდედაჩემსაც დასცინოდა, მასთან რომ მეგობრობდა. მერე, დედას რომ მუდამ ერთსა და იმავეს უყვებოდა, თავის საყვარელ თემას მიუბრუნდა: კვირაში ერთხელ ბეიოღლუში როგორ მიდის, აბდულა ეფენდის ძვირ და ცნობილ სასადილოში მარტოდმარტო როგორ სადილობს, და თან საჭმელებზე ჩივილს მოჰყვა. მესამე გაშანშალებული თემა კი უცაბედად ამგვარი შეკითხვით გაგვიმჟღავნა: „ბავშვებო, დიდედათქვენი ოხრახუშს გაჭმევთ?" „არ გვაჭმევს, ბებო," მყისვე ისე მივუგეთ, თითქოს დედისგან ვიყავით დარიგებული.

ჩვეულებისამებრ გვიამბო, ვიღაცის ბაღჩაში როგორ ნახა ოხრახუშზე კატამ რომ გადაიაფსა, ადვილი შესაძლებელია, ეს ოხრახუში ვიღაც უტვინომ წესიერად არც კი გარეცხა, სადილში ისე ჩაყარა; აგვიხსნა შიშლიში, ნიშანთაშში დღემდე ჯერ კიდევ რომ ვაჭრობენ ოხრახუშით, იმ მემწვანილეებთან როგორ ვაჭრობდა.

„დედი,„ უთხრა დედამ. „ბავშვებს მოეწყინათ, სხვა ოთახების ნახვა უნდათ, წინა ოთახს გავაღებ."

ქურდი რომ ფანჯრიდან გადმოვა, სხვა ოთახებში ვერ უნდა შეაღწიოს, თქვა ბებომ, ამიტომ ყველა ოთახის კარი გარედან არის ჩაკეტილი. დედამ, ტრამვაის გზას რომ გადაჰყურებდა, იმ დიდი და ცივი ოთახის კარი გააღო და ერთხანს თეთრ შალითებიან სავარძლებსა და დივანს, ნესტსა და მტვერში ამოგანგლულ ლამპას, სამფეხასა და სკივრებს, გაზეთებში სქლად გახვეულ, გვერდზე მიყუდებულ გოგოს ძველ ველოსიპედს, ველოსიპედის დაგრეხილ საჭეს სინანულით უყურა. მაგრამ სხვა, კარგ დროს როგორც სჩვეოდა ხოლმე, სკივრიდან არაფერი ამოუღია და სიამოვნებით არ უჩვენებია („ბავშვობაში ასეთ სანდლებს ვიცვამდით, ნახეთ, დეიდათქვენის სასკოლო ფორმა, დეიდათქვენის ბავშვობის ყულაბა არ გაინტერესებთ, ბავშვებო?")

„გაიყინებით, მოდით," გვითხრა ბოლოს და გავიდა.

მე და უფროსი ძმა ფანჯრისკენ გავიქეცით და ერთხანს მოპირდაპირე მხარეს მეჩეთსა და მოედანზე ტრამვაის გაჩერებას ვუყურეთ. მერე ძველ გაზეთში ფეხბურთის მატჩებზე ვიკითხეთ. „მომეწყინა," ვთქვი, ცოტა ხანმა რომ განვლო. „ვითამაშოთ ზედა თუ ქვედა."

„დამარცხებული ფალავანი ბრძოლით ვერ ძღება," თქვა უფროსმა ძმამ ისე, რომ გაზეთიდან თავი არც კი აუღია. „ახლა გაზეთს ვკითხულობ."

გუშინდელი საღამოს მერე დილით ერთხელ კიდევ ვითამაშეთ და უფროსი ძმა კვლავ სულ მიგებდა.

„როგორც გენებოს."

„ერთი პირობით, მე თუ მოვიგებ, ორ სურათს მომცემ, შენ თუ მოიგებ, ერთ სურათს აიღებ."

„არა. "

„მაშინ არ ვთამაშობ," თქვა უფროსმა ძმამ, „ხომ ხედავ, გაზეთს ვკითხულობ."

გაზეთი, უწინ კინოთეატრ „მელექში" რომ გვინახავს, იმ შავ-თეთრი ფილმის დეტექტივივით ყასიდად ეკავა. ცოტა ხანს ქუჩაში ვიყურე და ბოლოს უფროსი ძმის პირობას დავყაბულდი. ჯიბიდან ცნობილთა სერია ამოვი-

ლე და თამაში გავაჩაღეთ. ჯერ მოვიგე, მაგრამ მერე ჩვიდმეტი ცალი ისევ წავაგე.

„ასე ყველას ვაგებ," ვუთხარი. „თუ ძველებურად არ ვითამაშებთ, იცოდე ვტოვებ."

„კარგი," თქვა უფროსმა ძმამ ზუსტად იმ დეტექტივივით. „მაშინ მეც გაზეთების კითხვას გავაგრძელებ."

ერთხანს ისევ ფანჯრიდან ვიყურე. ჩემი სურათები გულისყურით გადავთვალე: 121 ცალი დარჩენილიყო. გუშინ, მამის წასვლის მერე, 183 მქონდა! ამდენ ტანჯვას ვეღარ გავუძელი და უფროსი ძმის პირობებს დავჯერდი.

ჯერ ცოტაოდენი მე მოვიგე, მაგრამ მერე კვლავ მან დაიწყო მოგება. მოგებული სურათები საკუთარ დასტას სიამოვნებით დაუმატა და, რომ არ გავბრაზებულიყავი, სულ არ გაუცინია.

„თუ გინდა, სხვაგვარად ვითამაშოთ," მითხრა ცოტა ხნის მერე. „ვინც მოიგებს, იმან ერთი აიღოს. მე თუ მოვიგებ, ერთ ცალს შენგან ავირჩევ. რადგან ზოგიერთი სურათი არა მაქვს და ისინიც არ მაძლევენ."

მოვიგებ-მეთქი, ვიფიქრე და დავთანხმდი. არ ვიცი რა მოხდა. სამჯერ ზედიზედ წავაგე და, ვიდრე მივხვდებოდი ჩემ თავს რა ტრიალებდა, 21 ნომერი გრეტა გარბოიანი – ორი, და უფროს ძმას რომ ერთი ცალი ჰქონდა, 78 მეფე ფარუქი, ჩემი ბედოვლათობის წყალობით, ნამლიჯა. ყველაფრის უკან დაბრუნება განვიზრახე და თამაშიც გაჩაღდა: ასე რომ, თითო ცალი რომ მქონდა, მას კი არცერთი - 63 აინშტაინი, 3 მევლანა, მამბოს შაქრიანი სალეჭი რეზინების ფირმის დამაარსებელი, 100 სარქის ნაზარიანი და 51 კლეოპატრა ხელიდან ხელში გადადიოდა.

ნერწყვი გამიშრა. შემეშინდა, არ ავღრიალებულიყავი, ფანჯრისკენ გავიქეცი და გარეთ გავიხედე. სულ რაღაც ხუთიოდ წუთის წინათ, რა მშვენიერი იყო ყველაფერი - ტრამვაი, გაჩერებას რომ უახლოვდებოდა, ფოთლებგაძარცული ხეების ტოტებს შორის გამომზირალი, შორს აღმართული სახლები. ფილებით მოპირკეთებულ ქუჩაზე განოლილი ძაღლი, ზანტად რომ იქექებოდა! ეგებ დადგეს დრო, რომ ზარში და დოლზე როგორც ხდება ხოლმე, ხუთი პარტია უკან დაბრუნდეს. მაშინ უფროს ძმას ზედას თუ ქვედას საერთოდ აღარ ვეთამაშები.

„ერთი ხელიც ვითამაშოთ?"ვკითხე ისე, რომ ფანჯრის მინისთვის შუბლი არ მომიშორებია.

„არ ვითამაშებ," მითხრა. „მტირალა ხარ."

„გეფიცები, ჯევათ, აღარ ვიტირებ," შევევედრე და თამაშის ნადილით ანთებული მივუახლოვდი. „მხოლოდ იცოდე, როგორც პირველად, თანაბარ პირობებში ვითამაშოთ."

„გაზეთი უნდა წავიკითხო."

„კარგი", ვუთხარი. წავედი და თან სურათების დასტა, გულდაგულ რომ მქონდა შესწავლილი, ავურიე. „იცოდე, დათქმული პირობით - ზედა თუ ქვედა?"

„ტირილი არ იყოს, კარგი, ზედა."

მოვიგე და მარშალ ფევზი ჩაქმაქებიდან ერთი ცალი გამომიწოდა. არ ავიღე. „78 მეფე ფარუქს უკან არ მიბრუნებ, გეთაყვა?"

„არა,"თქვა. „ჩვენი პირობა ამას არ ითვალისწინებს."

ერთხელ კიდევ ვითამაშეთ, წავაგე. ბარემ მესამედაც რომ ვითამაშეთ, 49 ნაპოლეონი ხელის კანკალით გავუწოდე.

„აღარ მსურს თამაში," გამომიცხადა უფროსმა ძმამ.

შევევედრე. ორჯერ კიდევ ვითამაშეთ და, იმის მაგივრად, რომ ის სურათები მომეგო, რომელთა უკან დაბრუნებაც მენადა, მთელი დასტა სულ ძალისძალით ქარს გავატანე: ყოველ დღე ორნახევარი თვის მანძილზე თითოეულზე რომ ამდენს ვფიქრობდი, გულდაგულ ვინახავდი, ზედ ვაკვდებოდი, სათუთად შეგროვილი მთელი 28 მაე ვესთლერები და 82 იულიუს ვერნელები, 7 ფათიჰ სულტან მეჰმედები და 70 დედოფალი ელისაბედები, 41 ჟურნალისტი ჯელალ სალიქები და 42 ვოლტერები ჰაერში აფრინდა და აქეთ-იქით მიმოიფანტა.

ნეტა, სადღაც გადაკარგულში, სულ სხვა გვარად მეცხოვრა. ისე, რომ ბებოს ოთახში არ შევსულვარ, ჭრიალა კიბით უხმოდ ჩავედი ქვევით; თავი რომ მოიკლა, იმ შორეულ ნათესავზე, სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელზე ვფიქრობდი. დიდედაჩემმა თქვა, რომ თვითმკვლელები მიწის ქვეშ, სიბნელეში რჩებიან, სამოთხეში ვერ ხვდებიანო. კარგა ქვევით ჩავედი და სიბნელეში დავდექი. მერე სასწრაფოდ უკან მივბრუნდი და ზევით ავედი, ბებოს ოთახის გვერდით, ბოლო საფეხურზე ჩამოვჯექი.

„შენი დედამთილი აქ ვერაფერს გახდება," ამბობდა ბებო. „ბავშვებს მიხედე და დაელოდე."

„კიდევ გევედრები, დედიკო, მინდა ბავშვებთან ერთად აქ დავბრუნდე," სთხოვა დედამ.

„ამ მტვრიან, მოჩვენებებიან, ქურდებით სავსე სახლში ბავშვებით ვერ იცხოვრებ," მიუგო ბებომ.

„დედიკო," კვლავ წამოიწყო დედამ. „ჩემი დები რომ გათხოვდნენ და წავიდნენ, ცხონებული მამაჩემის სიცოცხლის უკანასკნელი წლები სამივემ ერთად აქ ხომ ბედნიერად ვიცხოვრეთ!"

"მთელი დღე მამაშენის ძველ ილუსტრირებულ ჟურნალებს ათვალიერებდი, ჩემო ლამაზო მებრურე."

„ქვემოთ დიდ ღუმელს დავანთებ, ეს სახლი ორი დღე თბილად უნდა იყოს."

„გითხარი, მას არ გაჰყვე-მეთქი," უთხრა ბებომ.

„ვინმე ქალთან ერთად მთელ მტვერსა და ჭუჭყს ამ სახლს ორ დღეში მოვაშორებთ." თავისას იმეორებდა დედა.

„ამ სახლში იმ ქურდბაცაცა მოახლეებს ფეხს არ დავადგმევინებ,"უპასუხა ბებომ.

„თანაც ამ სახლის მტვრისგან გაწმენდასა და ობობის ქსელებისგან გათავისუფლებას სულ მცირე ექვსი თვე მაინც დასჭირდება." მანამდე კი ის თავქარიანიც შინ დაბრუნდება."

„ეს შენი ბოლო სიტყვაა, დედიკო?" ჰკითხა დედამ.

„ჩემო მებრურიკო, საყვარელო, ბავშვები რომ იქიდან წამოიყვანო, ჩვენ, ორნი როგორ აუვალთ?"

„დედიკო, ვიდრე ჩამოგვართმევდნენ ბებექში სამოსახლო ნაკვეთს გავყიდი-მეთქი, რამდენი გთხოვე, გევედრე."

„მე იმ მიწის მზომელებთან არ წავიდოდი და იმ ბინძურ კაცებს ხელს არ მოვუწერდი, სახელმწიფო დოკუმენტს მათ ვერ ჩავუგდებდი ხელში."

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამას როგორ ამბობ დედიკო, მე და დეიდამ ნოტარიუსი განა შინ არ მოგაყენეთ?!“ ხმას აუმაღლა დედაჩემმა.

„იმ ნოტარიუსს საერთოდ ვერ ვენდობოდი,“ უპასუხა ბებომ. „სახეზე ეტყობოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. ვინ იცის, ეგებ არც კი იყო ნოტარიუსი. ასე ყვირილით ნუ მელაპარაკები.“

„კარგი, დედიკო, ხმას აღარ ამოვიღებ!“ მიუგო დედამ. „ბავშვებო, ბავშვებო, ადექით, მოემზადეთ, მივდივართ,“შემოგვძახა ოთახში დედამ.

„მოიცა, სად მიდიხარ!“ უთხრა ბებომ, „ერთი-ორი სიტყვაც მითხარი.“

„ჩვენ არაფერში გჭირდებით, დედიკო, „გამოსცრა დედამ.

„აილე ეგ, ბავშვებს ლუკმა შეაჭამე.“

„სადილობამდე არაფერი ეჭმევათ,“უთხრა დედამ, ოთახიდან გავიდა და ჩემ ზურგს უკან რომ ოთახი იყო, იქ შევიდა. „ვინ გადაყარა ეს სურათები? ახლავე შეაგროვეთ. შენც მიეხმარე,“ გაუწყრა უფროს ძმას.

სურათებს უხმოდ რომ ვაგროვებდით, დედამ ძველ სკივრს თავი ახადა და ბავშვობის კაბებს, ტიულის ქსოვილს, კოლოფებს თვალი შეავლო. მუხრუჭიანი მანქანის შავი ჩონჩხის ქვეშ დაფენილი მტვერი ცხვირს მიწვავდა, თვალებს მიცრემლიანებდა, ხახასა და ცხვირის ღრუს ეფინებოდა.

პატარა ტუალეტში ხელებს რომ ვიბანდით, ბებოს რბილად ნათქვამი შემოგვესმა. „ჩემო მებრურიკო, ეს ჩაიდანი აილე, ძალიან გიყვარს, შენი წილია. ჩრდილოეთის ვალი რომ იყო, პაპაჩემს დიდედაჩემისთვის მაშინ უჩუქებია. ჩინურია. აილე, გენაცვალე.„

„შენი აღარაფერი მინდა, დედიკო“უთხრა დედამ.„ეგეც კარადაში შეინახე, არ გატეხოთ. ნავედით, ბავშვებო, ბებოს ხელზე აკოცეთ.“

„მებრურიკო, ჩემო ლამაზო, საცოდავ დედაშენს გაუფრთხილდი, არ გაუბრაზდე,“ შეევედრა ბებო, ჩვენ რომ ხელზე გვაკოცნინებდა. „გეხვეწები, აქ უსტუმროდ, მარტო არ მიმატოვო.“

კიბე სწრაფად ჩავიარეთ, დიდი რკინის კარი სამივემ ძლივს გამოვწიეთ, გამოვაღეთ, გარეთ მზის გასაოცარ სხივს თვალი ვკიდეთ და კრიალა ჰაერი შევისუნთქეთ.

„კარი მაგრად გაიხურეთ!“ ხმა დაგვაწია ბებომ კიბის ბოლო საფეხურიდან. „ამ კვირაში კიდევ მოდი რა, გთხოვ, მებრურე?!“

დედაზე ხელჩაკიდებულნი უხმოდ მივდიოდით. ბოლო გაჩერებაზე ტრამვაის ვუცდიდით, ვიდრე დაიძვროდა, ჩუმად ვისხედით და მგზავრების ხველებას ვაყურადებდით. ტრამვაის ამოძრავებამდე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე მძღოლი თავის სავარძელს დაიკავებდა, მე და უფროსმა ძმამ ისევ ზედა თუ ქვედა წამოვიწყეთ. თავდაპირველად წანაგებიდან ცოტა რამ უკან დავიბრუნე, მაგრამ გახარებულმა თამაში რომ გავაჩაღე, წაგება ისევ სწრაფად ვიწყე. ოსმანბეის გაჩერებაზე: „უკან წაღებული მთელი სურათების სანაცვლოდ, თუ გინდა, ხუთი მთხოვე,“ მითხრა უფროსმა ძმამ.

ვითამაშე და ყველა წავაგე. მას რომ არ დაუნახავს ისე, სურათებიდან ორი ცალი ავწაპნე, მთელი დასტა კი ხელში ჩავუგდე. უკანა რიგში დედასთან მივედი. არ მიტირია. დედასავით მეც ნაღვლიანად ვიყურებოდი ფანჯრიდან და უკვე ყველაფერი სულერთი რომ იყო: გალანტერიის დუქნებს, პურის საცხობებს, სამუჰალებოს ტენტებს, მასისლის, ჰერკულესზე ნანახ რომაულ ფილმებს, „თანის“ კინოს, ცოტა მოშორებით, კედლის კიდეზე დაწყობილ სურათებიანი რომანების გამყიდველ პატარა ბიჭებს, წვეტიან მაკრატლიან პარიკმახერს, დანახვა რომ ასე მზარავდა, მუდამ ჭიშკართან დარჭობილ უბნელებს, ნახევრად შიშველ შეშლილებს ტრამვაის სევდიან კვნესაში, მძიმე-მძიმედ რომ აილო სიჩქარე, მერე კი გზას სწრაფად გაუყვა, გაფაციცებით თვალს ვადევნებდი.

ჰარბიეს გაჩერებაზე ტრამვაიდან ჩამოვედით. შინისკენ რომ მივდიოდით, უფროსი ძმის ცხოვრებით ერთობ კმაყოფილმა ხმამ გამაღიზიანა და გადამალული ლინდბერგის სურათი ჯიბიდან ამოვიღე.

“პირველად ვხედავ ამ სურათს. 91 ლინდბერგი!“ წაიკითხა გაკვირვებულმა. „თვითმფრინავით ატლანტიკა გადაცურა! საიდან გაქვს?“

„გუშინ მე არ ამიცრია,“ვუთხარი. „შინ ადრე მივედი, ვიდრე წავიდოდა, მამა ვნახე. მამამ მიყიდა.“

„თუ ასეა, ნახევარი ჩემია,“ მითხრა. „სულ ბოლოს რომ ვითამაშეთ, ყველა დარჩენილი სურათი ჩამოვთვალეთ.“ სურათის ხელიდან გამოსაგლეჯად თავს დამესხა, მაგრამ ვერ წამართვა. ჩემი ხელის მტევანი საკუთარ ხელში მოიქცია, რომ იხრებოდა, ფეხზე წიხლი ვკარი. ერთმანეთს დავერიეთ.

„ახლავე შეწყვიტეთ!“შეჰყვირა დედამ. „გაჩერდით, შუა ქუჩაში როგორ ბედავთ!“

გავჩერდით. ჰალსტუხიანმა კაცმა და ქუდიანმა ქალმა ჩაგვიარეს. ძალიან შემრცხვა, რომ ქუჩაში ვურტყამდით ერთმანეთს. ორმა კაცმა ჩაიარა და უფროსი ძმა იქვე ჩაიკეცა: „ძალიან მტკივა,“ ამბობდა და ფეხი ხელით ეკავა.

„ადექი,“ ნასჩურჩულა დედამ. „ადექი, გეყოფა, ყველა ჩვენ გვიყურებს.“

უფროსი ძმა ადგა და, ფილმებში რომ დაჭრილ გმირ ჯარისკაცებს უჩვენებენ, იმგვარი ხტუნვა-ხტუნვით გამოგვყვა. შემეშინდა მართლა ხომ არ სტკიოდა, მაგრამ მის საქციელს რომ ვუყურებდი, ვწყნარდებოდი. ცოტაოდენი უხმოდ რომ გავიარეთ: „შინ გიჩვენებ სეირს,“ დამემუქრა. „დედა, ალის არ აუცრია,“უთხრა დედას.

„ავიცერი დედა.“

„გაჩუმდით!“ დაგვიყვირა დედამ. ამასობაში ჩვენი სახლიც გამოჩნდა. მეორე მხარეს, სახლისკენ რომ გადავსულიყავით, მაჩქადან მომავალ ტრამვაის ჩავლას დაველოდეთ. სატვირთო მანქანამ, ბოლის ფრქვევაფრქვევითა და გრუხუნით, ბეშიქთაშის ავტობუსმა და გზის მეორე მხარეს სუმბულის ფერმა კერძო დესოტომ რომ ჩაგვიარეს, თვალი მოვკარი, ბიძაჩემი ფანჯრიდან ქუჩაში იხედებოდა. ვერ დაგვინახა. მანქანებს აკვირდებოდა. მე კი კარგა ხანს ვუყურებდი.

გზა უკვე მთლიანად გახსნილიყო. შევბრუნდი, რომ მეთქვა, ხელს რატომ არ გვკიდებ, რატომ არ გადაგვყავართ-მეთქი და დავინახე, დედა ჩუმად როგორ ტიროდა.

თურქულიდან თარგმნა
**ქეთევან ტომარაძე**

# აკრძალული ფიქრები

ერნესტ ჰემინგუეის რომანი „ვისთვის რეკს ზარი". მოქმედების დრო – 1937 წლის მაისი, მოქმედების ადგილი – ესპანეთის სამოქალაქო ომი.

ამერიკელი მოხალისე რობერტ ჯორდანი მეამბოხეთა ზურგში მიავლინეს სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის ასაფეთქებლად. ინსტრუქტაჟს უტარებს რესპუბლიკელთა ჯარის გენერალი გოლცი, რომლის პროტოტიპია წითელი არმიის ოფიცერი, წარმოშობით პოლონელი კაროლ სვერჩევსკი (1897-1947), ესპანეთში გენერალ ვალტერის ფსევდონიმით რომ იყო ცნობილი.

საქმიან დეტალებს დააზუსტებენ და გოლცი გაეხუმრება ჯორდანს: ხიდების აფეთქება მართლა გეხერხებაო?

ჯორდანი ფეხს აუწყობს: ზოგჯერ კარგად გამომდისო.

გენერალი ხმას გაიმკაცრებს: ამჯერად არავითარი „ზოგჯერ" არ უნდა იყოსო.

მერე ისევ შეუჩიჩხინებს ახალგაზრდა ამერიკელს: ფრონტის ხაზის მიღმა გოგოები ბლომად გყავსო?

– არა, გოგოებისთვის დრო არა მრჩება, – პასუხობს ჯორდანი.

– შენ არასოდეს ფიქრობ მხოლოდ გოგოებზე. მე კი საერთოდ არა ვფიქრობ. რატომ უნდა ვიფიქრო? მე ხომ საბჭოთა გენერალი ვარ. მე არასოდეს არა ვფიქრობ.

შტაბის ოფიცერი, რომელიც რუკას დაჰყურებს, რაღაცას ჩაიბუზღუნებს ჯორდანისთვის უცხო ენაზე (ე.ი. რუსულად). გოლცი ინგლისურად გასცემს პასუხს (ჯორდანმაც რომ გაიგოს): „მომეშვი. მინდა ვიხუმრო და ვხუმრობ. ისეთი სერიოზული ვარ, რომ ჩემთვის ხანდახან შეიძლება ხუმრობა".

ხუმრობა იქით იყოს, მხოლოდ ხუმრობის გამო როდი გაინვევდნენ სვერჩევსკის მოსკოვში (1938 წლის დამდეგს) და ტროცკისტობას როდი დასწამებდნენ. ბეწვზე გადაურჩა დახვრეტას.

სხვათა შორის, ჰემინგუეი თავისი რომანის ბოლოში გადმოგვცემს კიდეც გენერალ გოლცის ერთბაშად ამოხეთქილ მწარე ფიქრებს.

ფიქრი აკრძალული ჰქონდათ ბარიკადების მეორე მხარესაც.

სახელგანთქმული პოლონელი რეჟისორის ანჯეი ვაიდას ფილმის „ფერფლი და ალმასი" მთავარი გმირი მაცეკი ოპერატიული დავალების შესასრულებლად ჩადის პროვინციულ ქალაქში. უნდა მოკლას საოლქო კომიტეტის მდივანი შჩუკა. ახერხებს, რომ სასტუმროში სწორედ შჩუკას მეზობელ ნომერში დაბინავდეს და ვიდრე ხელსაყრელი მომენტი დაუდგება, სასტუმროს ბარში სახელდახელოდ გამოიჭერს მომხიბლავ კრისტინას.

ქუჩაში სეირნობისას ქალი ეკითხება ფიქრში წასულ მაცეკს: რამ ჩაგაფიქრაო?

ვაჟი ასეთ პასუხს სცემს: იმას ვფიქრობ, რომ საერთოდ ფიქრი საჭირო არ არისო.

მაგრამ თოვლივით უეცრად თავს დატეხილი სიყვარული აიძულებს მაცეკს, რომ ჩაუფიქრდეს თავის აწეწილ-დაწეწილ ცხოვრებას.



კადრი ფილმიდან „ფერფლი და ალმასი"

1945 წლის 9 მაისია. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ამასობაში ირკვევა, რომ მაცეკს შეცდომით, შჩუკას ნაცვლად, ორი უდანაშაულო კაცი მოუკლავს. სულიერად აფორიაქებული გულს გადაუხსნის ანჯეის, თავის უფროს მეგობარსა და მეთაურს.

– მაგრამ რისი გულისთვის უნდა ვაკეთო ეს ყველაფერი? ადრე ვიცოდი [გერმანელ ოკუპანტებს რომ ებრძოდა], ახლა? მითხარი! რისი გულისთვის უნდა მოვკლა ეს კაცი? და მერე კიდევ სხვები დავხოცო... რისი გულისთვის?

ანჯეი: აქამდე იცოდი, რისი გულისთვის?

მაცეკი: არა, ამაზე არ დავფიქრებულვარ.

სამხედრო დისციპლინის კარნახით მაცეკი ასრულებს დავალებას და კლავს შჩუკას, მეორე დილით კი თვითონაც იღუპება ბრმა შემთხვევის გამოისობით.

რომ არ დაღუპულიყო, ალბათ, გააგრძელებდა ბრძოლას იატაკქვეშა „არმია კრაიოვას" რიგებში, რომელმაც ომი გამოუცხადა სოციალისტურ პოლონეთს, და, ვინ იცის, ბრძოლის ველზე ეგებ გადაჰყროდა კაროლ სვერჩევსკის (გენერალი გოლცი ჰემინგუეის რომანში), რომელიც 1943 წლიდან იბრძოდა საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული პოლონური არმიის რიგებში და ომის დამთავრების შემდეგ დანიშნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზე. დაიღუპა 1947 წელს სწორედ „არმია კრაიოვას" რაზმთან შეტაკებისას.

მაშასადამე, ჰემინგუეის მიერ სიმპათიით დახატული პოლონელი გენერლის მკვლელობა შეიძლება ჩაედინა ვაიდას მიერ არანაკლები სიმპათიით დახატულ პოლონელ ბოევიკს.

ბრწყინვალე კადრი ვაიდას ფილმიდან: მკერდშენგრეული შჩუკა, 9 მაისის სალუტის შუქზე, მიეყრდნობა და გულში იხუტებს თავის მკვლელს (რომ არ წაიქცეს) და შეძრწუნებულ მაცეკს ხელიდან უვარდება იარაღი...

## მაღალი და სახელოვანი ხელმწიფეო

XIV საუკუნის ქართველი ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეს“ შემოუნახავს ერთი საინტერესო შტრიხი თავად ავტორის პორტრეტისათვის. ხვარაზმშაჰ ჯალალედინის მიერ თბილისის აოხრების თხრობისას ჟამთააღმწერელი შენიშნავს: „მოიგონა სხვაცა სიბოროტე, რომლისა ხსენება სირცხვილ მიჩნს“.

დაუფარავად გვიამბობს ეკლესიების ნგრევას, სიონის ტაძრის შემუსრული გუმბათის ადგილზე ხვარაზმშაჰისათვის საჯდომი ტახტის განწყობას, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების შეურაცხყოფას და ა.შ. მაშ რაღაა ის „სიბოროტე“, რომლის ხსენება ერცხვინება?

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ცნობით, თბილისში ჯალალედინმა გასცა ბრძანება – შეპყრობილ ქრისტიანთათვის ძალდატანებით ჩაეტარებინათ წინადაცვეთა. თურმე ორი ხვარაზმელი მეომარი ხელს ჩასჭიდებდა მამაკაცს გასაკავებლად, ხოლო მესამე ბასრი ხმლით ასრულებდა სათანადო პროცედურას.

ეტყობა, ეს ფაქტი უნდა იგულისხმებოდეს „ასწლოვან მატიანეში“.

მით უფრო გასაოცარია ჟამთააღმწერლის დამოკიდებულება ჯალალედინისადმი, რომელიც საქართველოს დაუძინებელ მტერთა რიცხვს მიეკუთვნება.

როდესაც მოგვითხრობს მონღოლთაგან დევნილი ჯალალედინის შემთხვევით დაღუპვას, ჟამთააღმწერელი დასძენს: „მოიკლა კაცი იგი მაღალი და სახელოვანი ხელმწიფე. ვინა დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოსა, ვითარ იტყვის ბრძენი ეკლესიასტე: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“. ამისთვის ამაო იქმნეს სპანი და სიმტკიცე ქედისა, წყობათა შინა მძლეობა და გარდარეული სიმდიდრე“ (ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ჟამთააღმწერელი ხვარაზმშაჰის დაღუპვას „დიდის ღირსებით, თითქოს სინანულითაც-კი“ გვამცნობსო).

შესადარებლად დავიმოწმოთ ერთი უცხოური წყაროს ცნობა იმავე ამბის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „ასე დაიღუპა ეს მტარვალი“.

ერთი მხრივ „მაღალი და სახელოვანი ხელმწიფე“, მეორე მხრივ „მტარვალი“. რაო, ქართველი მემატიანე ველარ არჩევს კეთილსა და ბოროტს, ესოდენ ელვარე ეპითეტით რომ შეუმკია საქართველოს მაოხრებელი და დამაქცევარი? რაო, ვუკიჟინოთ მტარვალის ქება-დიდება და აზროვნება დავუწუნოთ?

ჯალალედინი რომ მტარვალი იყო, ჟამთააღმწერელს ჩვენზე უკეთესად მოეხსენება. ერთი ფრაგმენტიც კმარა თბილისის აოხრების აღწერილობიდან: „აქა მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა გულისათა. რამეთუ ესეოდენ მძვინვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თვალნი წარსცვივდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის... სისხლისა მდინარენი დიოდეს“.

ასე რომ, ჯალალედინის გაუგონარი ავკაცობანი არც ჟამთააღმწერლისათვის გახლავთ საიდუმლოება, მაგრამ იგი ობიექტურად აფასებს გამოჩენილი სარდლის მთელ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ხვარაზმშაჰის მიერ მონღოლებთან გადახდილი ომების აღწერისას შემდეგნაირად ახასიათებს ჯალალედინს: „კაცი მხნე და ქველი, შემმართებელი, უშიში, ვითარ უხორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო“.

განსვენებული მტრის წყევლა-კრულვა უცხო ხილია ჟამთააღმწერლის კეთილშობილი და რაინდული სულისათვის. ეჩოთირება, რომ უკადრისი სიტყვებით შეაჩვენოს სახელმოხვეჭილი სარდალი, მონღოლთა ერთადერთი ღირსეული მეტოქე.

აი, ამგვარად ართმევს თავს ჟამთააღმწერელი თავის ძნელად გასახორციელებელ დევიზს, რომელიც ისტორიას ჭეშმარიტების მეტყველ საგნად აცხადებს და არა – სუბიექტურ შეფასებათა თუ მსჯავრთა გადმოფრქვევის იარაღად. მისი კალამი ვერ ეგუება თუნდაც შურისგებით ნაკარნახევი სიყალბის მტკიცებას.

ქართველი ხალხის რჩეულ შვილებს მომდევნო საუკუნეთა ძნელბედობაშიც ახსოვდათ ჟამთააღმწერლის უკვდავი დევიზი.

## ქრონიკა

2 მაისს უსინათლოთა საზოგადოებაში არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილის პოეზიის საღამო გაიმართა, რომელსაც პოეტი ამირან ლოლაძე უძღვებოდა. თავდაპირველად მან სტუმრებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. ამის შემდეგ სიტყვით შოთა ბოსტანაშვილი გამოვიდა, რომელმაც თავის შემოქმედებაზე ისაუბრა და დასძინა, რომ „აქ სიტყვას ისმენს ის, ვისაც აქვს მესამე თვალი ახელილი“, მანვე სტუმრებს მოუთხრო თავისი პოემის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ნაწარმოები „წყალწყალა ლაპარაკი“ პირველად „მნათობში“ დაიბეჭდა, ახლაც პერიოდულად ქვეყნდება სხვადასხვა გამოცემებში.

„ნუ ეცდებით, რომ რამე შინაარსი მიიღოთ წაკითხული ტექსტიდან, ეცადეთ ბგერად, მუსიკალურად აღიქვათ იგი“, – აღნიშნა ბატონმა შოთამ და ჩვეული არტისტიზმით „გაცეცხლებული ლაპარაკის“ კითხვა დაიწყო. შთაბეჭდილება იყო მშვენიერი და მასპინძელთა სახელით ამირან ლოლაძემ ასეთი სიტყვები შეაგება: „მე მეგონა, რომ სხვა სამყაროში მოვხვდი, ეს იყო მისტერია და რაღაც უცხო განცდა, ძალა, რომელმაც შეგვიპყრო ამ ერთი საათის განმავლობაში“.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა პოეტი დათო ბარბაქაძე: „სასიამოვნო პოემაა, შოთას მიერ წაკითხული ტექსტი ახლა პირველად მოვისმინე და ვაღიარებ, რომ დღეს დაიბადა ჩემში ეს პოეზია. დიდი ხანია ვიცნობ მის შემოქმედებას, მაგრამ ის დღეს გაღვივდა ჩემში. ვერცერთი მსახიობი და ავტორი ვერ წაიკითხავს საკუთარ ნაწარმოებს ასე არტისტულად, როგორც ეს ბატონმა შოთამ შეძლო. მისი შემოქმედება პოეზიაა, აგრეთვე პოეზიაა ის, რასაც ის ქმნის არქიტექტურაშიც“, ბოლოს კი დასძინა: „დიდი მადლობა ბატონ შოთას იმ ემოციისა და სიამოვნებისთვის, რაც აქ განგვაცდევინაო“.

სტუმართა შორის იყვნენ უსინათლოთა საზოგადოების წევრებიც. ჟურნალ „სხივის“ რედაქტორმა ცირა ვეფხვაძემ საღამოს შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა. „სტიქიამ იცის ასე, თუ მიენდობი, დაგიპყრობს და ისე გექცევა, როგორც სურს. იგივე განცდა დამეუფლა მეც, მაგრამ ამ სტიქიამ, როგორც ზღვის ტალღებმა, ჩამითრია, მაგრამ უკან უვნებელი გამომრიყა. ასეთია შოთა ბოსტანაშვილის შემოქმედებაც. ესაა სტიქია, რომელიც გაძლიერებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივრისპირელი მზეჭაბუკი

„ხშირად ვფიქრობ — რა ბევრი დაკარგა ქართულმა პოეზიამ, ომისდროინდელი თაობის უნიჭიერესი წარმომადგენლები — **ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია** და **გიორგი ძიგვაშვილი** რომ დაიღუპნენ. ასევე სავალალოა, **ძიგვაშვილთან** ერთად, ვითომდა სამშობლოს ღალატისთვის ულმობლად დახვრეტილი დიდად ნიჭიერი პროზაიკოსის **კოტე ხიმშიაშვილის** ბედიც“, — აღნიშნულია **ემზარ კვიტაიშვილის** ვრცელ ლიტერატურულ ნარკვევში, რომელიც დაერთვის **მირზა გელოვანის** (1917-1944) ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნს, საერთო სახელწოდებით **„ივრისპირელი მზეჭაბუკი“**.

ეს წიგნი მრავალმხრივ და ჯერჯერობით ყველაზე სრულად ასახავს ამ თვალსაჩინო პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც და ბიოგრაფიასაც.

აქ თავმოყრილია **მირზა გელოვანის** რჩეული ლექსები და ბალადები, მოთხრობები, დღიურები, პირადი ბარათები, მეგობარ-ნათესავთა, ახლობელთა — **ნიკოლოზ მიქავას, რონა გელოვანის, გაბრიელ ჯაბუშანურის, ნიკა აგიაშვილის, მარიამ შავერდაშვილის, დოდო ხიმშიაშვილის, ნინო ლაშხის, ნათელა ბერძენიშვილის, თინა ოჩიაურის, ნინო ლედიანის, თემურ ცალუღელის** — მოგონებები; **ნონა ლასხიშვილისა** და **ნინო ახვლედიანის** ბარათები; ფრაგმენტები **თეიმურაზ მაღლაფერიძის** ბიოგრაფიული რომანიდან **„ცხრაკარა“**, აგრეთვე **ლადო ავალიანის, სერგი ჭილაიას, გიორგი გამსახურდიასა** და **ნინო ხოფერიას** ლიტერატურული წერილები.

წიგნს დაერთვის **მირზა გელოვანის** ავტოგრაფები და **თინა ოჩიაურის** ჩანახატები **გაბრიელ ჯაბუშანურისა** და **მირზა გელოვანის** საზიარო უბის წიგნაკიდან.

მოძიებულია და იბეჭდება არაერთი უცნობი ფოტოსურათი.




პროექტის ავტორები:
**ციცინო გაბიდაური** და **მანანა ზარიძე**.

შემდგენელ-რედაქტორი: **ემზარ კვიტაიშვილი**.

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს
**მანანა ზარიძემ** და **ელგუჯა კურცხალიამ**.

მხატვარი **ანა შიოშვილი**.

გამომცემლობა **„აბული-7“**.

მირზა გელოვანის
ცხოვრებისა
და
შემოქმედების
წიგნი

ს202/18



შუადღე

ჯემალ კუხალაშვილი